ერნესტ
გელნერი



ერეზი და ნაციონალიზმი

ერნესტ გელნერი

ერები
და
ნაციონალიზმი

გამომცემლობა „ნეკერი„
2003

წიგნი გამოცემულია „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მთარგმნელობითი პროექტის“ მხარდაჭერით, ფონდის OSI-Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის, გამომცემლობის განვითარების ცენტრისა და ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველო“ ფინანსური ხელშეწყობით.

მთარგმნელი:
ნინო ცინცაძე

რედაქტორი:
ივანე შატბერაშვილი

ყდის დიზაინი და დაკაბადონება:
გიორგი ბაგრატიონი

საგამომცემლო ჯგუფი:
ნ. კალანდაძე
ი. მარგველაშვილი
ნ. ქვაჩახია
ნ. ჩავლეიშვილი
ნ. ჩიტაია

© გამომცემლობა „ნეკერი“, 2003

ISBN 99928-58-69-9

შინაარსი

1. განსაზღვრებები 5
სახელმწიფო და ერი 7
ერი 11

2. კულტურა აგრარულ საზოგადოებაში 14
ძალაუფლება და კულტურა აგრო-დამწერლობით სახელმწიფოში მოწყობაში 15
კულტურა 18
სახელმწიფო აგრარულ საზოგადოებაში 20
აგრარული წყობის მმართველთა მრავალფეროვნება 21

3. ინდუსტრიული საზოგადოება 27
მუდმივი ზრდის საზოგადოება 33
სოციალური გენეტიკა 39
უნივერსალური მაღალი კულტურის ხანა 46

4. ნაციონალიზმის ეპოქაში გადასვლა 51
შენიშვნა ნაციონალიზმის სისუსტის შესახებ 56
ველური და ბაღის კულტურები 63

5. რას ნიშნავს ერი? 68
ნამდვილი ნაციონალიზმი არასდროს ვითარდებოდა შეფერხებების გარეშე 74

6. სოციალური ენთროპია და თანასწორობა ინდუსტრიულ საზოგადოებაში 80
ენთროპიის ხელისშემშლელები 81
განხეთქილებები და ბარიერები 92
ფოკუსის მრავალფეროვნება 95

7. ნაციონალიზმის ტიპოლოგია 109
ნაციონალიზმის გამოცდილების მრავალფეროვნება 122
დიასპორული ნაციონალიზმი 127

8. ნაციონალიზმის მომავალი 139
ინდუსტრიული კულტურა — ერთი თუ ბევრი? 144

9. ნაციონალიზმი და იდეოლოგია 154
ვინ არის ნიურნბერგის მომხრე? 162
ერთი ერი — ერთი სახელმწიფო 167

10. დასკვნა 170
ის, რაც არ თქმულა 170
შეჯამება 173

მიძღვნა

ამ წიგნის დაწერაში, როგორც მორალური, ასევე ფინანსური თვალსაზრისით, უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს ცოლს სიუზანს და ჩემს მდივანს გაი ვულვენს. დაბეჭდვამდე ამ წიგნმა ჩემი შვილის დევიდის ფასეული კრიტიკა გაიარა. ყველა იმ ადამიანის დასახელება, ვინც ამ წლების განმავლობაში იდეებითა თუ ინფორმაციით დახმარება გამიწია, ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად, შეუძლებელია. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნში არსებული ყოველი მოსაზრებისთვის პასუხისმგებელი მე გახლავართ.

ერნესტ გელნერი

ტუზენბახი: *შენ ამბობ, რომ მომავალში დედამიწაზე ცხოვრება მშვენიერი იქნება. ეს მართალია. მაგრამ იმისთვის, რომ ამაში კაცმა აქედანვე, ამ სიშორიდან მიიღოს მონაწილეობა, უნდა იშრომოს და მოემზადოს...*

დიახ, უნდა იშრომოს. შენ ალბათ ფიქრობ — ეს გერმანელი მეტისმეტად აღელდაო. — მაგრამ პატივი მაქვს მოგიგოთ, რომ რუსი ვარ. მე გერმანულად ლაპარაკიც კი არ შემიძლია. მამაჩემი მართმადიდებელია...

ანტონ ჩეხოვი, *„სამი და„*

ჩვენში პოლიტიკა მაინც ჩვენი კულტურის ნაკლებ გაბედული ფორმა იყო.

ჯ. სლადეჩეკი

ჩვენი ნაციონალობა ქალებისადმი ჩვენს დამოკიდებულებას ჰგავს: იგი იმდენად ღრმადაა გამჯდარი ჩვენს მორალურ ბუნებაში, რომ შეუძლებელია მისი ღირსეულად ჩანაცვლება და მეტისმეტად შემთხვევითია, რომ შეცვლად ღირდეს.

ჯორჯ სანტაიანა

1
განსაზღვრებები

ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის პოლიტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური და ეროვნული ერთობა ურთიერთთანხვედრილი უნდა იყოს.

ნაციონალიზმი, როგორც განწყობა, ან როგორც მოძრაობა, ყველაზე უკეთ ამ პრინციპის მიხედვით შეიძლება განისაზღროს. ნაციონალისტური *განწყობა* არის ან ამ პრინციპის დარღვევით გამოწვეული ბრაზის, ან ამ პრინციპის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი კმაყოფილების გრძნობა. ნაციონალისტური მოძრაობა არის ის, რასაც განწყობის ეს ტიპი ბადებს.

ნაციონალისტური პრინციპის დარღვევა სხვადასხვანაირად შეიძლება: მოცემული სახელმწიფოს პოლიტიკურმა საზღვრებმა შეიძლება ვერ მოიცვას ამ ერის ყველა წევრი; ან სულაც, მან შეიძლება მოიცვას ერის ყველა წევრი, მაგრამ უცხოელების გარკვეული რაოდენობაც; ან იგი შეიძლება, ერთდროულად ორივე ამ გზით დაირღვეს: ვერ გააერთიანოს თავისი ერის ყველა წევრი და ამავდროულად მოიცავდეს რომელიმე სხვა ერის წარმომადგენლებს. ერი შეიძლება რამდენიმე სახელმწიფოში, უცხოელებთან შეურევლად განაწილდეს, ისე რომ ვერცერთი სახელმწიფოთაგანი ვერ მივიჩნიოთ ეროვნულად.

მაგრამ, არსებობს ნაციონალისტური პრინციპის რღვევის კიდევ ერთი განსაკუთრებული ფორმა, რომლის მიმართაც ნაციონალისტური განწყობა განსაკუთრებით მგრძნობიარეა. თუ პოლიტიკური ერთეულის მმართველები ეკუთვნიან სამართავთა უმრავლესობისგან განსხვავებულ ერს, ეს ნაციონალისტისათვის პოლიტიკური სამართლიანობის შეუსაბამო, გაუსაძლის მდგომარეობას წარმოადგენს. ამგვარი რამ ნაციონალური ტერიტორიების იმპერიებად გაერთიანების დროს, ან უცხო ჯგუფის დომინაციისასაა შესაძლებელი.

მოკლედ, ნაციონალიზმი არის პოლიტიკური ლეგიტიმურობის თეორია, რომელიც მოითხოვს, რომ ეთნიკური საზღვრები პოლიტიკურს არ კვეთდნენ, თანაც ხაზს უსვამს, იმას, რომ კონკრეტულ სახელმწიფოში ეთნიკური საზღვრები *(შემთხვევა, რომელიც ნაციონალიზმის პრინციპის ზოგადი ფორმულირებით უკვე თავისთავად გამორიცხულია)* ძალაუფლების მფლობელებს დანარჩენებისგან არ უნდა გამოყოფდეს.

ნაციონალისტურ პრინციპს შეიძლება ეთიკური, „უნივერსალისტური“ ხასიათი ჰქონდეს. შესაძლებელია, არსებობდნენ და არსებობენ „ნაციონალისტები-ზოგადად“, რომლებიც მიუკერძოებელნი, რომლებიც რომელიმე კონკრეტული ეროვნებისადმი კეთილგანწყობილნი არ არიან, არამედ ყველასთვის ზოგად დოქტრინას ქადაგებენ: ყველა ეროვნებას უფლება უნდა ქონდეს იქონიოს საუთარი პოლიტიკური სახლი და უარი თქვას ამ სივრცეში სხვა ეროვნების წარმომადგენლის გაწევრიანებაზე. ასეთი არაეგოისტური ნაციონალიზმის დეკლარირებისათვის ფორმალური წინააღმდეგობა არ არსებობს. როგორც დოქტრინას, მას შეიძლება რამდენიმე არგუმენტის გამო კაცმა დაუჭიროს კიდეც მხარი; თუნდაც კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, პლურალისტური ინტერნაციონალური პოლიტიკური სისტემის არსებობის და სხელმწიფოთა შიგნით შინაგანი დაძაბულობების შემცირების სურვილის საბაბით.

მაგრამ, სინამდვილეში, ნაციონალიზმი უმეტესად არც ასეთი გონივრულია და რაციონალურად გაწონასწორებული. როგორც იმანუელ კანტს სჯეროდა, მიკერძოებულობა, ანუ საკუთარი თავისთვის ყველაფერში გამონაკლისის დაშვებისადმი მიდრეკილება - *ძირითადი* ადამიანური სისუსტეა, რომლიდანაც ყველა სხვა სისუსტე გამომდინარეობს. ეს სისუსტე ისევე იჭრება ნაციონალისტურ გრძნობაში, როგორც სხვებში და აღვივებს იმას, რასაც იტალიელები მუსოლინის დროს ნაციონალიზმის *sacra egoismo*-ს ეძახდნენ., ნაციონალისტები იმ არასწორ ქმედებებს, რომლებიც თავიანთმა ერებმა ჩაიდინეს, ისევე ნათლად რომ აღიქვამდნენ, როგორც საკუთარი ერის მიმართ ჩადენილ ბოროტებებს, შესაძლებელია ნაციონალისტური განწყობის პოლიტიკური ეფექტურობაც შესუსტდეს.

მაგრამ ამ მოსაზრებების გარდა არსებობს სხვა ნიუანსები, დაკავშირებული იმ სამყაროს სპეციფიურობასთან, რომელშიც ჩვენ გვიწევს ცხოვრება, და რომლებიც ყოველგვარ მიუკერძოებელ, ზომიერ, სამართლიან ნაციონალიზმს ებრძვიან. მარტივად რომ გამოვთქვათ, დედამიწაზე პოტენციური ერების ძალიან დიდი რაოდენობაა. ჩვენს პლანეტას კი მხოლოდ გარკვეული რაოდენობის დამოუკიდებელი, ან ავტონომიური პოლიტიკური ერთეულებისთვის ყოფნის სივრცე. ყველა მისაღები გამოთვლით, პოტენციური ერების რიცხვი ალბათ შესაძლო სიცოცხლისუნარიან სახელმწიფოთა რიცხვზე *ბევრად* დიდია. თუ ეს გამოთვლა ან არგუმენტი მართალია, ყველა ნაციონალიზმი ვერ იქნება ერთნაირად წარმატებული. ზოგიერთის დაკმაყოფილება სხვების ფრუსტრაციას გამოიწვევს. ეს არგუმენტი საკმაოდ კარგად მტკიცდება იმ ფაქტით, რომ ძალიან ბევრი პოტენციური ერი

არსებობს, ან არც თუ ისე დიდი ხნის წინ არსებობდა არა კომპაქტურ ტერიტორიულ ერთიანობაში, არამედ საკმაოდ რთული ურთიერთშერეული სახით. აქედან გამომდინარეობს, რომ პოლიტიკურ ტერიტორიული ერთეული ეთნიკურად ჰომოგენური შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლავს ან აძევებს, სხვა ერის წარმომადგენელს ან, სულაც, მათ ასიმილაციას ახდენს. ამ ხვედრთან შეურიგებლობის სურვილმა კი, შესაძლოა ნაციონალისტური პრინციპის მშვიდობიანი განხორციელება გაართულოს.

რა თქმა უნდა, ამ განსაზღვრებებს, ისევე როგორც განსაზღვრებათა უმრავლესობას, საღად უნდა მივუდგეთ. უკვე განისაზღვრა, რომ ნაციონალისტური პრინციპი უცხოელების *მცირე* ჯგუფის, ან თუნდაც, ნაციონალურ მმართველ ჯგუფში შემთხვევითი უცხოელის არსებობით არ ირღვევა. შეუძლებელია იმის ზუსტად დადგენა, თუ რამდენი მუდმივად მცხოვრები უცხოელი ან რამდენი უცხო წევრი უნდა იყოს მმართველ კლასში იმისთვის, რომ ეს პრინციპი ნამდვილად დაირღვეს. არ არსებობს რაიმე დადგენილი პროცენტული ზღვარი, რომლის ქვემოთაც უცხოელი კეთილგანწყობით იქნებოდა მიღებული, ან რომლის ზემოთაც ეძულებოდათ და მისი უსაფრთხოება და სიცოცხლე სასწორზე იქნებოდა შეგდებული. უეჭველია, პროცენტული ზღვარი შეიცვლება გარემოებების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი და ყველასათვის მისაღები პროცენტული ზღვარის დადგენა შეუძლებელია, განსაზღვრების საჭიროება მაინც არ კნინდება.

სახელმწიფო და ერი

ნაციონალიზმის ჩვენეული განსაზღვრება ჯერ კიდევ განუსაზღვრელ ორ ცნებას: „სახელწიფოსა“ და „ერს“ ეფუძნება.

სახელმწიფოზე საუბარი შეიძლება დავიწყოთ მაქს ვებერის ცნობილი განსაზღვრებით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ის სააგენტოა, რომლიც საზოგადოებაში ლეგიტიმური ძალადობის მონოპოლიას ფლობს. ამის მიღმა არსებული იდეა მარტივი და მიმზიდველია: მოწესრიგებულ საზოგადოებებში, ისეთებში, რომლებშიც ჩვენი უმრავლესობა ცხოვრობს, ან სურვილი აქვს იცხოვროს, კერძო ან ჯგუფური ძალადობა არალეგიტიმურია. კონფლიქტი, თავისთავად, არ არის არალეგიტიმური, მაგრამ ის არ შეიძლება სამართლებრივად დარეგულირდეს კერძო ან ჯგუფური ძალადობის მეშვეობით. ძალადობა შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ ცენტრალურმა პოლიტიკურმა ძალაუფლებამ ან იმათ, ვისაც იგი

ამ უფლებას გადასცემს. წესრიგის შენარჩუნების სხვადასხვა სანქციებს შორის, ყველაზე უკიდურესი — ძალა – შეიძლება გამოიყენოს მხლოდ საზოგადოების შიგნით არსებულმა ერთმა განსაკუთრებულმა, ნათლად იდენტიფიცირებულმა და კარგად ცენტრალიზებულმა, დისციპლინირებულმა სააგენტომ. სწორედ ეს სააგენტო ან სააგენტოთა ჯგუფი *არის* სახელმწიფო.

იდეა, რომელიც ამ დეფინიციაშია ჩადებული საკმაოდ კარგად შეესაბამება თანამედროვე საზოგადოების დიდი ნაწილის, უფრო ზუსტად, უმრავლესობის მორალურ ინტუიციას. მიუხედავად ამისა, ის არ არის მთლად დამაკმაყოფილებელი. არსებობენ „სახელმწიფოები" — ან, ყოველ შემთხვევაში, ინსტიტუტები, რომლებსაც ჩვენ ნორმალურ ვითარებაში ამ სახელს ვუწოდებდით – რომლებიც არ ახორციელებენ ძალადობის მონოპოლიას იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ისინი მეტ-ნაკლები ეფექტურობით აკონტროლებენ. ფეოდალური სახელმწიფო არ კრძალავს ფეოდალებს შორის პირად დაპირისპირებებს, იმ შემთხვევაში თუ ისინი იმავდროულად აღასრულებენ თავის მოვალეობებს პატრონის მიმართ; ან კიდევ, სახელმწიფოს, რომელშიც განსხვავებული კლანები თანაარსებობენ, არაფერი აქვთ სისხლიანი ვენდეტის საწინააღმდეგო, თუ ისინი ბაზრობებსა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მშვიდობიან მოსახლეობას საფრთხეს არ შეუქმნიან. ბრიტანეთის მეურვეობის ქვეშ მყოფი ერაყის სახელმწიფო, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, თვალს ხუჭავდა ტომთა ჯგუფური ურთიერთავდასხმების (ტომობრივი რეიდების) მიმართ, იმ შემთხვევაში თუ მძარცველები ყოველი ექსპედიციის დაწყების და დამთავრებისას პატაკს ჩააბარებდნენ უახლოეს პოლიციის სადგურს და დატოვებდნენ სრულყოფილ ბიუროკრატიულ ჩამონათვალს ხოცვა-ულეტისა მკვლელობების და ყაჩაღობების შესახებ. მოკლედ, არსებობენ სახელმწიფოები, რომლებსაც არა აქვთ სურვილი ან საშუალება ლეგიტიმური ძალაუფლების მონოპოლიის განსახორციელებლად და რომლებიც მიუხედავად ამისა, ბევრი სხვა მიზეზის გათვალისწინებით, სახელმწიფოებად უნდა ჩაითვალონ.

მიუხედავად ყველაფრისა, ვებერის მიერ ხაზგასმული პრინციპი, რაგინდ უცნაურად ეთნოცენტრულიც არ უნდა მოგვეჩვენოს იგი, როგორც ზოგადი დეფინიცია, რომელიც ამავე დროს აშკარად კარგად ცენტრალიზებული დასავლური სახელმწიფოს თარგზეა გამოჭრილი, სწორედ *დღეს* არის გამოსადეგი. სახელმწიფო ადგენს შრომის სოციალური დანაწილების საკმაოდ გამორჩეულ და მნიშვნელოვან შემუშავების წესს. სადაც შრომის დანაწილება არ არსებობს, იქ სახელმწიფოს შესახებ საუბრიც კი არ შეიძლება. მაგრამ სახელმწიფოს არ ქმნის რომელიმე, ან

თუნდაც ყველა სპეციალიზაცია: სახელმწიფო არის წესრიგის შენარჩუნების სპეციალიზებული და კონცენტრირებული ძალა. სახელმწიფო არის ინსტიტუტი ან ინსტიტუტთა ქსელი, რომელიც განსაკუთრებით კონცენტრირებულია წესრიგის გაძლიერება-განხორციელებაზე (სხვა რა საქმეებითაც არ უნდა იყოს დაკავებული იგი). სახელმწიფო არის იქ, სადაც წესრიგის განმახორციელებელი სპეციალიზებული ორგანიზაციები, როგორიცაა პოლიცია და სასამართლო, გამოცალკევებულნი არიან სოციალური ცხოვრების სხვა მხარეებისგან. სწორედ ისინი *არიან* სახელმწიფო.

მაგრამ, ყველა საზოგადოება არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს გარანტი. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ნაციონალიზმი არ წარმოიშობა სახელმწიფოს არმქონე საზოგადოებებში. თუ არ არსებობს სახელმწიფო, ნამდვილად ვერავინ ვერ იკითხავს, შესაბამისობაშია თუ არა მისი საზღვრები ეთნიკურ საზღვრებთან. თუ არ არსებობენ მმართველები, არ არსებობს სახელმწიფოც და ვერავინ იკითხავს, მიეკუთვნებიან თუ არა მმართველები და სამართავები ერთსა და იმავე ეროვნებას. როცა არც სახელმწიფო და არც მისი მმართველები არ არსებობენ, არავის დასწყდება გული ნაციონალისტური პრინციპის გამყარების მოთხოვნის წარუმატებლობის გამო. ვინმე შეიძლება, სახელმწიფოს არარსებობას მისტიროდეს, მაგრამ ეს უკვე სხვა პრობლემაა.

ნაციონალისტები-ზოგადად ილაშქრებდნენ პოლიტიკური ძალაუფლების განაწილების და პოლიტიკური საზღვრების წინააღმდეგ, მაგრამ მათ ძალიან იშვიათად ეძლეოდათ შესაძლებლობა (თუკი საერთოდ ეძლეოდათ) უკმაყოფილება გამოეთქვათ ძალაუფლების ან საზღვრების საერთოდ არარსებობის გამო. ნაციონალისტური განწყობა, როგორც წესი, მაშინ არ წარმოიშობოდა ხოლმე, როდესაც სახელმწიფო საერთოდ არ არსებობდა, ან, როდესაც მისი რეალობა ეჭვქვეშ იყო დაყენებული. ისინი, ჩვეულებრივ, მაშინ წარმოშობოდნენ, როდესაც სახელმწიფო, ზედმეტად თვალშისაცემად იყო წარმოდგენილი. უკმაყოფილებას სწორედ მისი საზღვრები და/ან ძალაუფლების განაწილება, ან სხვა შესაძლო გარემოებები იწვევდა.

ეს თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია. ნაციონალიზმის ჩვენეული განსაზღვრება არ არის მხოლოდ სახელმწიფოს a priori და დასაშვებ განსაზღვრებაზე დამოკიდებული: ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნაციონალიზმი აღმოცენდება მხოლოდ იმ გარემოცვაში, სადაც სახელმწიფოს არსებობა უკვე თავისთავად ნაგულისხმევი ფაქტია. ისეთი პოლიტიკურად ცენტრალიზებული ერთეულების და მორალურ-პოლიტიკური კლიმატის არსებობა, რომელშიც ეს ცენტრალიზებული ერთეულები ნორმად არის მიჩნეული, აუცილებელია, მაგრამ ნაციონალიზმისათვის, არავითარ

შემთხვევაში, საკმარის პირობას არ წარმოადგენს.

ამ შემთხვევაში დაგვჭირდება სახელმწიფოზე წინასწარი გარკვეული ზოგადი დაკვირვებების ჩატარება. კაცობრიობამ თავის ისტორიაში სამი ფუნდამენტური ეტაპი გაიარა: პრეაგრარული, აგრარული და ინდუსტრიული. მონადირეები და შემგროვებლები ძალიან მცირე დაჯგუფებები არიან და იყვნენ იმისთვის, რომ შრომის პოლიტიკური დანაწილება დაუშვან, ანუ ის, რაც სახელმწიფოს შეადგენს; ასე რომ, მათთვის არ დგება სახელმწიფოს — სტაბილური სპეციალიზირებული წესრიგის დამამყარებელი ინსტიტუტის საკითხი. ამის საპირისპიროდ - აგრარული საზოგადოებებიდან უმეტესი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ყველა, სახელმწიფოთი გარანტირებული იყო. ზოგი მათგანი სუსტი გახლდათ, ზოგი ძლიერი, ზოგი დესპოტური და ზოგიც კანონის ერთგული. მათ ჰქონდათ ფორმათა დიდი არჩევანი. კაცობრიობის ისტორიაში აგრარული ფაზა არის პერიოდი, რომლის არსებობის დროსაც, თავად სახელმწიფოს არსებობა არჩევანის საკითხია. გარდა ამისა, სახელმწიფოს ფორმა ძალიან ცვალებადია. სამონადირო-შემგროვებლურ საფეხურზე კი ასარჩევიც არაფერია.

პოსტაგრარულ, ინდუსტრიულ ხანაში კვლავ არ არსებობს არჩევანი; მაგრამ ახლა, სახელმწიფოს *არსებობა* და არა არარსებობაა გარდაუვალი. ჰეგელის პარაფრაზი რომ მოვახდინოთ, ერთ დროს არავის ჰქონდა სახელმწიფო, მერე ვიღაცას ჰქონდა და ახლა ყველას აქვს. რა თქმა უნდა, ის ფორმები, რომელსაც ის ღებულობს ხოლმე, ცვალებადი რჩება. არსებობს სოციალური აზროვნების გარკვეული ტრადიციები — ანარქიზმი, მარქსიზმი — რომელთა მიხედვითაც, სწორედ, ან განსაკუთრებით, ინდუსტრიულ წყობაში არ არის სახელმწიფო გარდაუვალი, თუნდაც მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელისშემწყობი პირობებში არსებობს, ანდა იმ პირობებში მაინც, რომელიც დროთა განმავლობაში აუცილებლად ჩამოყალიბდება. ამ მოსაზრების ეჭვქვეშ დასაყენებლად, საკმაოდ აშკარა და საფუძვლიანი მიზეზები არსებობს. ინდუსტრიული საზოგადოებები უაღრესად დიდნი არიან და ცხოვრების გარკვეული სტანდარტების გამო, რომელსაც უკვე მიეჩვივნენ (ან უნდათ, რომ მიეჩვიონ), დამოკიდებულნი არიან სამუშაოს განაწილების წარმოუდგენლად რთულ ზოგად პრინციპზე და თანამშრომლობაზე. ამ თანამშრომლობებისგან ზოგიერთი, ხელშემწყობი პირობების მეშვეობით, შესაძლებელია სპონტანური იყოს და ცენტრალური სანქციები არ სჭირდებოდეს. მაგრამ, ის მოსაზრება, რომ ყოველი მათგანი მუდმივად ასე შესძლებს მუშაობას, და რომ იგი ყოველგვარი ძალდატანებისა და კონტროლის გარეშე იარსებებს, რბილად რომ ვთქვათ, ძნელი დასაჯერებელია.

ასე რომ, იქ სადაც არ არის სახელმწიფო, ნაციონალიზმის პრობლემაც არ წარმოიშობა. ეს არ ნიშნავს, რომ ნაციონალიზმის პრობლემა წარმოიშობა ყველა და ყოველი სახელმწიფოსათვის. პირიქით, ის წარმოიშობა მხოლოდ *ზოგიერთი* მათგანისთვის. ისღა დაგვრჩენია ვნახოთ, რომელი სახელმწიფოები დგანან ამ პრობლემის წინაშე.

ერი

ერის განსაზღვრებას მეტი სირთულეები ახლავს ვიდრე სახელმწიფოს განსაზღვრებას. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ადამიანისთვის ცენტრალიზებული სახელმწიფო (უფრო კონკრეტულად კი, ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფო) ჩვეულებრივი ფაქტია, მას დიდი ძალისხმევის გარეშე შეუძლია დაინახოს მისი შემთხვევითობა და წარმოიდგინოს სოციალური სიტუაცია, რომელშიც სახელმწიფო არ არსებობს; ამასთანავე მას საკმაოდ კარგად შეუძლია „პირველყოფილი მდგომარეობა“ წარმოიდგინოს. ანთროპოლოგი შესძლებს აუხსნას მას, რომ არ არის აუცილებელი ტომი მკრთალად გამოვლენილი სახელმწიფო იყოს, და რომ არსებობენ ისეთი ტომობრივი ორგანიზაციები, რომლებიც სახელწიფოს არმქონენად უნდა აღიწერონ. ნაციონალობის არმქონე ადამიანის იდეამ, კი საპირისპიროდ, უფრო მეტი დაძაბულობა შეიძლება შეიტანოს თანამედროვე წარმოდგენებში. ნაპოლეონის დროს გერმანიაში ემიგრირებულმა ფრანგმა შამისომ დაწერა ძლიერი პროტოკაფკასეული რომანი კაცზე, რომელმაც საკუთარი ჩრდილი დაკარგა. უეჭველია, რომ რომანის წარმატება ნაწილობრივ ფაბულის გამიზნულ ორმაგობაზე იყო დამოკიდებული; ძნელია ვერ დაინახო, რომ ავტორისთვის ეროვნების არმქონე იგივეა, რაც ჩრდილის არმქონე ადამიანი. როდესაც გმირის ნაცნობებმა და მიმდევრებმა მისი ჩრდილდაკარგულობა აღმოაჩინეს, ზურგი შეაქციეს სხვამხრივ უზრუნველყოფილ პეტერ შლემილს. ადამიანი ეროვნების გარეშე უარყოფს ნაცნობ კატეგორიებს და მოულოდნელობის პროვოცირებას იწვევს.

შამისოს თვალსაზრისი — თუ ეს მართლაც ის არის, რისი თქმაც მას სურდა — საკმარისად ღირებული იყო, ოღონდ ადამიანის მხოლოდ გარკვეული მდგომარეობისთვის და არა ადამიანის მდგომარეობისთვის, საზოგადოდ, ყველგან და ყოველ დროში. ადამიანისთვის აუცილებელია ჰქონდეს ეროვნება, ისევე, როგორც ერთი ცხვირი და ორი ყური; ერთერთი მათგანის ნაკლებობა წარმოუდგენელია (ასეთი რამ შეიძლება შეგვხვდეს, მაგ-

რამ როგორც რაიმე უბედურების შედეგი). ეს ყველაფერი თითქოს ცხადია, თუმცა სამწუხაროდ, მთლად ასე მართალი არ არის. მაგრამ ის, რომ ეს ყველაფერი ასე ცხადად *გვეჩვენება*, ეტყობა მართლაც ნაციონალიზმის პრობლემის ერთი ასპექტი ან სულაც მისი არსი გახლავთ. ეროვნების ქონა არ არის კაცობრიობის თანდაყოლილი ატრიბუტი, იგი მხოლოდ ახლა ჩანს ასეთად.

არსობრივად, ერები, ისევე როგორც სახელმწიფოები, შემთხვევითობაა და არა უნივერსალური აუცილებლობა. არც ერები და არც სახელმწიფოები არ არსებობდნენ ყოველთვის, ყველა გარემოში. უფრო მეტიც, ისინი არ არიან *ერთი და იგივე* შემთხვევითობები. ნაციონალიზმი თვლის, რომ ისინი ერთმანეთს ეკუთვნოდნენ, რომ ერთი მეორეს გარეშე არასრულყოფილია და ტრაგედიას წარმოშობს. მაგრამ, სანამ ერთმანეთისთვის განკუთვნილები გახდებოდნენ, ისინი უნდა წარმოშობილიყვნენ; ეს წარმოშობა კი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და შემთხვევითი იყო. სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ერის დახმარების გარეშე წარმოიშვა. ზოგი ერი, უდაოდ, მისივე სახელმწიფოს კურთხევის გარეშე წარმოიქმნა. უფრო საკამათოა, გულისხმობს თუ არა ერის ნორმატიული იდეა, მისი თანამედროვე მნიშვნელობით, სახელმწიფოს აპრიორულ არსებობას.

მაშინ რაღაა ეს შემთხვევითი, მაგრამ ჩვენს დროში გარეგნულად უნივერსალური და ნორმატიული ერის იდეა? ამ მოუხელთებელი კონცეფციის შეფასებაში, ორი ერთობ იმპროვიზირებული, დროებითი განსაზღვრება დაგვეხმარება:

1. ორი ადამიანი ერთი ერის წარმომადგენელი მხოლოდ მაშინაა, როცა ორივე ერთიდაიმავე კულტურის წარმომადგენლები არიან; იმ შემთხვევაში, როდესაც კულტურა იდეების, ნიშნების, ასოციაციების, ქცევათა წესების და კომუნიკაციების სისტემას აღნიშნავს.

2. ორი ადამიანი ერთი და იგივე ერის წარმომადგენელი მხოლოდ მაშინ არის, თუ ისინი ერთმანეთის ერთი ერისადმი მიკუთვნებულობას *აღიარებენ*. სხვა სიტყვებით: *ერმა შექმნა ადამიანი*; ერები არიან ადამიანების რწმენის, ლოიალურობის და სოლიდარობის პროდუქტები. ადამიანთა ჩვეულებრივი კატეგორია (მაგალითად, მოცემული ტერიტორიის მოსახლეობა, ან მოცემულ ენაზე მოლაპარაკეები) ერად იქცევა მაშინ, თუ ამ კატეგორიის წევრები მათ საერთო წევრობაზე დამყარებით მტკიცედ აღიარებენ გარკვეულ ორმხრივ უფლებებს და მოვალეობებს ერთმანეთის მიმართ. სწორედ ერთმანეთის ერთი რაღაცის მიმდევრებად ცნობა აქცევს მათ ერად და არა სხვა საერთო ატრიბუტები (როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი), რომლებიც

ასხვავებენ მათ დანარჩენებისაგან, ანუ არაწევრებისაგან.

ამ ორივე პირობით განსაზღვრებას, კულტურულსაც და ვოლუნტარისტულსაც, გარკვეული ღირსება გააჩნია. ორივე მათგანი გამოყოფს ელემენტს, რომელიც ნამდვილად მნიშვნელოვანია ნაციონალიზმის გაგებისათვის. მაგრამ არცერთი მათგანი არ არის საკმარისი. კულტურის დეფინიციები, რომლებსაც პირველი განსაზღვრება გულისხმობს, უფრო ანთროპოლოგიური ხასიათისანი არიან, ვიდრე ნორმატიული მნიშვნელობისა და ამიტომ იმთავითვე რთულნი და არასაკმარისნი. ალბათ უმჯობესია, თუ ამ პრობლემას არ მივუდგებით ცნების ფორმალური განსაზღვრების გამოყენების ფართო გზით, არამედ უბრალოდ ვნახავთ თუ რას *აკეთებს* კულტურა.

2
კულტურა აგრარულ საზოგადოებაში

არსებობს ერთი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა კაცობრიობის ისტორიის აგრარულ პერიოდში და რომელიც თავისი მნიშვნელობით თავად სახელმწიფოს წარმოშობას შეიძლება შევადაროთ: დამწერლობის და სპეციალიზებული კლერიკალური კლასის ან ფენის, ანუ ზოგადად კლერიკალობის წარმოშობა. ყველა აგრარულ საზოგადოებას არ მიუღწევია დამწერლობისთვის. კიდევ ერთხელ მოვიშველიოთ ჰეგელი: თავიდან არავინ იცოდა კითხვა; შემდეგ ვიღაცეებმა ისწავლეს და ბოლოს კი წერა-კითხვა ყველამ შესძლო. ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა იყოს გზა, რომლითაც დამწერლობა კაცობრიობის განვითარების სამ დიდ ეტაპში ჩაეწერება. შუა აგრარულ ხანაში წერა-კითხვის ცოდნა მხოლოდ ერთეულებისთვის იყო მისაწვდომი; ზოგიერთ საზოგადოებებს ჰქონდათ დამწერლობა, მაგრამ იმ საზოგადოებებშიც ზოგიერთებს და არა ყველას, შეეძლოთ წერა-კითხვა.

როგორც ჩანს, დაწერილმა სიტყვამ ისტორიაში პირველად საბუღალტრო ანგარიშებსა და გადასახადთა ამკრებებთან ერთად შეაბიჯა. სამწერლობო ნიშნების ყველაზე ადრეული გამოყენება, ანგარიშების შენახვის საჭიროებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ერთხელ წარმოშობილი დამწერლობა შემდეგ სხვა ფუნქციებსაც იძენს: იურიდიულს, სავაჭროსა თუ ადმინისტრაციულს. ბოლოს კი თავად ღმერთი აძლევს საკუთარ ქმნილებებს წერილობით თავის აღთქმას და კანონებს. თეოლოგია, კანონმდებლობა, სასამართლო, ადმინისტრაცია, თერაპია: ყოველი მათგანი წარმოშობდა წერა-კითხვის მცოდნე სპეციალისტთა ფენას თავისუფალ, წერა-კითხვის არმცოდნე ჯადოქრებთან ერთად, ან უფრო სწორედ, მათთან კონკურენციაში. აგრარულ საზოგადოებაში დამწერლობის გავრცელება წარმოშობს მთავარ განხეთქილებას დიდსა და მცირე ტრადიციებს (ან კულტებს) შორის. კლერიკალური ფენის დოქტრინების და მათი ორგანიზების ფორმები დამწერლობის მქონე, დიდ კულტურებში შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს; შესაბამისად ვარირებს განხეთქილებათა სიღრმეც დიდ და მცირე ტრადიციებს შორის. კლერიკალების ურთიერთმიმართება სახელმწიფოსთან და მისი შინაგანი მოწყობა შეიძლება იყოს ცენტრალიზებული ან დაქსაქსული, მემკვიდრეობითი, ან ქმნიდეს ღია კავშირებს და ა.შ.

დამწერლობას - მეტ-ნაკლებად მისაღები, სტაბილური და სტანდარტიზებული დამწერლობითი ნორმების შემოღებას - საბოლოოდ, კულტურისა და ცოდნის დაგროვებისა და მისი ცენტრალიზაციისაკენ მივყევართ. აუცილებელი არ არის, რომ ერთის მხრივ, წერა-კითხვის მცოდნეთა მიერ ამოქმედებულმა ცოდნის ცენტრალიზაციამ და კოდიფიცირებამ, ხოლო მეორეს მხრივ, პოლიტიკურმა ცენტრალიზაციამ, ანუ იმან, რაც თავისთავად სახელმწიფოა, ჰარმონიულად თანაიარსებონ. ხშირად ისინი მოწინააღმდეგეები არიან; დროდადრო შეიძლება ერთმა მეორე დაიმორჩილოს, მაგრამ უფრო ხშირად, წითელი და შავი, ძალაუფლების და რწმენის წარმომადგენლები, დამოუკიდებლად მოქმედი მოწინააღმდეგეები არიან და მათი საზღვრები იშვიათად თუ გადაიკვეთება.

ძალაუფლება და კულტურა აგრო-დამწერლობით სახელმწიფო მოწყობაში

შრომის დანაწილების ორ გადამწყვეტ და განსაკუთრებულ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფორმას — ძალაუფლების ცენტრალიზაციასა და კულტურის შემეცნების ცენტრალიზაციას — განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრო-დამწერლობითი სახელმწიფოებრივი მოწყობის ტიპური სოციალური სტრუქტურისათვის. მათი როლი უმჯობესია განხილული იყოს ერთობლიობაში და ისინი შეიძლება გამოისახოს ისე, როგორც ეს 1 სქემაზეა ნაჩვენები.

ჩვეულებრივ აგრო-დამწერლობით სახელმწიფოებრივ მოწყობაში, მმართველი კლასი წარმოადგენს მოსახლეობის უმცირესობას, რომელიც მკვეთრად არის გამიჯნული აგროკულტურის მწარმოებლების დიდი უმრავლესობისაგან ანუ გლეხებისგან. ზოგადად რომ ვთქვათ, მისი იდეოლოგია უფრო ზრდის, ვიდრე ამცირებს კლასების უთანასწორობას და მმართველი ფენის გამოყოფის ხარისხს. ისინი შეიძლება კიდევ დანაწილდნენ ქვედანაყოფებად უფრო ვიწრო სპეციალიზაციების მიხედვით: მეომრები, სასულიერო პირები, ჩინოვნიკები, ადმინისტრატორები, ბიურგერები. ზოგი ამ ფენებიდან შეიძლება ყალიბდებოდეს არა მემკვიდრეობის, არამედ ყოველი ახალი თაობის თავიდან არჩევის გზით (მაგალითად, ქრისტიან სასულიერო პირთა ფენა), მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ახალად არჩეულის ვინაობა სხვა მემკვიდრეობითი ფენის მიერ შეიძლება იყოს ნაკარნახევი.



სქემა I. აგრარული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ზოგადი ფორმა

მაგრამ ყველაფერ ამაში, მთავარი არის ის, რომ მმართველსა და დანარჩენ ქვეფენებს შორის კულტურული სხვაობა უფრო დიდია, ვიდრე ერთობა. რამდენადაც უფრო განსხვავებულნი არიან სხვადასხვა ფენები ერთმანეთისგან, უთანხმოება და გაუგებრობა მათ შორის მით უფრო ნაკლებია. ამ სისტემას ხელს აძლევს კულტურული დაშორების ჰორიზონტალური ხაზების არსებობა და მან შეიძლება ისინი გამოიგონოს კიდეც არარსებობის შემთხვევაში. იმისთვის, რომ გაემყარებინათ ეს განსხვავებები და განემტკიცებინათ ის ავტორიტეტითა და მუდმივობით, ფენებს შორის ფუნქციური სხვაობები გენეტიკურ და კულტურულ სხვაობებად ინათლებოდნენ. მაგალითისთვის, XIX საუკუნის დასაწყისში ტუნისიის მმართველი ფენა თავის თავს თურქულს უწოდებდა, მიუხედავად იმისა, რომ წესიერად ვერ ლაპარაკობდნენ თურქულად, საკმაოდ შერეული წინაპრები ჰყავდათ და ძალების მოსაკრებად თავის რიგებს, როგორც წესი, ქვედა ფენებიდან ავსებდნენ ხოლმე.

თავში მოქცეული ჰორიზონტალურად სტრატიფიცირებული უმცირესობის ქვევით არსებობს სხვა სამყარო, საზოგადოების

არასპეციალიზებული წევრების განცალკევებული, მცირე თემების სამყარო. კულტურული სხვაობა აქ, კვლავ, ძალიან შესამჩნევია, მიუხედავად იმისა, რომ მიზეზები საკმაოდ განსხვავებულია. ზოგადად, გლეხების მცირე თემები ცხოვრობენ კარჩაკეტილი ცხოვრებით და ერთ ადგილს მიჯაჭვულნი არიან, თუ პოლიტიკური ბრძანებით არა, ეკონომიკური საჭიროების გამო მაინც. მაშინაც კი, თუ მოცემული სივრცის პოპულაცია მომდინარეობს ერთი ლინგვისტური ძირიდან — რაც ძალიან იშვიათია — კულტურული წანაცვლების, მცირე ცვლილების მსგავსი რაღაც ყოველთვის წარმოშობს დიალექტურ ან სხვა განმასხვავებლებს. არავინ, ან თითქმის არავინ, არ არის დაინტერესებული ამ სოციალურ დონეზე კულტურული ერთიანობისთვის მხარის დაჭერით. სახელმწიფო მხოლოდ გადასახადების ამოღებითა და მშვიდობის შენარჩუნებითაა დაინტერესებული, და არ ზრუნავს მის სუბიექტ დაჯგუფებათა შორის ჰორიზონტალური კავშირების ხელის შეწყობისათვის.

თუმცა, კლერიკალებს, შესაძლოა, გარკვეული საერთო კულტურული ნორმების დაწესების რაღაც ინტერესიც ჰქონდეთ. ზოგიერთი მათგანი ხალხურ ჩვეულებებს ამრეზით უყურებს და ინდიფერენტულია მის მიმართ, სხვები სიწმინდესთან, გადარჩენასთან, კურნებასთან და ა.შ. მიახლოების მონოპოლირების ინტერესით თავდაუზოგავად ებრძვიან ხალხურ კულტურას და იქ არსებულ თავისუფალ შამანებს. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ აგროდამწერლობითი წყობილების პირობებში, კლერიკალები ვერასდროს მიაღწევენ რეალურ წარმატებას. ამ ტიპის საზოგადოებები უბრალოდ ვერ აწარმოებენ საშუალებებს დამწერლობის თითქმის უნივერსალურად გადასაქცევად, მოსახლეობის ფართო მასების მაღალ კულტურაში გასაერთიანებლად და კლერიკალობის იდეების ამ გზით განსახორციელებლად. ყველაზე მეტი, რასაც აქ კლერიკალობამ შეიძლება მიაღწიოს, არის ის, რომ დარწმუნდეს, რომ მისი იდეალები ჩამკვიდრდნენ, როგორც სწორი, მაგრამ აღუსრულებელი ნორმა, რომელსაც სცემენ არა მარტო პატივს, არამედ თაყვანსაც, ხოლო ენთუზიაზმის განსაკუთრებული გამოვლენების პერიოდებში – ცამდე აჰყავთ, მაგრამ, ანგარიშს უწევენ და მნიშვნელობას ანიჭებენ უფრო მაშინ, როდესაც მათ არღვევენ და ანადგურებენ, ვიდრე მაშინ, როდესაც იცავენ და ასრულებენ – მშვიდობიან ყოველდღიურობაში.

მაგრამ ალბათ, აგრო-დმწერლობითი საზოგადოების ცენტრალური, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი შემდეგში მდგომარეობს: ყოველი მისი შემადგენელი ნაწილი იბრძვის პოლიტიკური საზღვრების იმ განსაზღვრების წინააღმდეგ, რომელიც მას კულტურულ საზღვრებს ამთხვევს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაციონალიზმი ასეთ პერიოდში რომ წარმოქმნილიყო, მისი გავრცელების ალბათობა მინიმალური იქნებოდა, რადგან ორი პოტენციური პარტნიორი, სახელმწიფო და კულტურა, რომლებიც ნაციონალისტური თეორიის მიხედვით ერთმანეთს განაპირობებენ, აგრარული პერიოდის პირობებში სულაც არ მიილტვიან ერთმანეთისაკენ. მოდით, ორივე თანმიმდევრულად განვიხილოთ:

კულტურა

დამწერლობითი აგრარული საზოგადოების უმაღლესი ფენებისთვის ხელსაყრელია პრივილეგირებული ჯგუფების განმასხვავებელი, განსაკუთრებული მახასიათებლების გამოყოფა და მისი ხაზგასმა. ძალიან დიდია ყოფითი ენებისგან ლიტურგიული ენის გამოცალკევების ტენდენცია. თითქოს წერა-კითხვის ცოდნა არ კმაროდეს კლერიკალსა და ერის კაცს შორის ბარიერის წარმოქმნისათვის, თითქოს განხეთქილება კიდევ უფრო არ ღრმავდებოდეს ჩაწერის გართულებული ენის გამოყენების გამო, და ახლა მათი მეტყველებაც, არტიკულაციურად ისე უნდა გართულდეს, რომ ჩვეულებრივი კაცისთვის შეუცნობელი გახდეს.

ჰორიზონტალური კულტურული ბარიერების დაფუძნება მხოლოდ იმით კი არ არის მიმზიდველი, რომ ხელს უწყობს პრივილეგირებულების და ძალაუფლების მქონეთა ინტერესებს; არამედ იმითაც, რომ ამ ბარიერების შექმნა უდაოდ ადვილია. აგრადამწერლობითი საზოგადოებების შედარებითი სტაბილურობის გამო, მოსახლეობის ფენებად ანდა კასტებად მკვეთრი დაყოფა, შესაძლოა არატოლერანტული ღონისძიებების გამოყენების გარეშეც განხორციელდეს. პირიქით, უთანასწორობის გარეგნული ნიშნების ხაზგასმითა და მისი გაძლიერებით, გააბსოლუტურებით და ბუნებრიობის, გარდაუვალობისა და მარადიულობის აურაში მოქცევით ის ამყარებს მას და მიმზიდველობასაც კი ანიჭებს, რადგან ის, რაც ჩაწერილია საგანთა ბუნებაში და რაც მუდმივია, შეურაცხმყოფელი და მიუღებელი არ უნდა იყოს.

შედარებისათვის: ცვალებად და არასტაბილურ საზოგადოებაში ამ სოციალური ჯგუფების შენარჩუნება, რომლებიც არათანასწორ დონეებს გამოჯნავენ ძალიან რთულია, რადგან მუდმივ მღელვარე დინებები განუწყვეტლად აცლიან მათ საფუძველს და აქრობენ მკვეთრ საზღვრებს. მარქსიზმის საპირისპიროდ, ჰორიზონტალური დაყოფისკენ პრეინდუსტრიული საზოგადოებაა მიმართული და არა ინდუსტრიული საზოგადოება, რომელიც კლასებს შორის საზღვრების გამყარების ნაცვლად

ერებს შორის არსებულ ბარიერებს ამყარებს.

იგივე ხდება, სოციალური შკალის უფრო დაბალ საფეხურზე ოღონდ განსხვავებული ფორმით: ჰორიზონტალური, ხშირად ძნელად შესამჩნევი, მაგრამ ლოკალურად მნიშვნელოვანი განსხვავებები, შესაძლებელია აქაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. მაგრამ მაშინაც კი, თუ ლოკალური ჯგუფი შინაგანად მეტნაკლებად ჰომოგენურია, წარმოუდგენელია მისი განსაკუთრებული, თვითმყოფადი კულტურის რომელიმე ტიპის პოლიტიკურ პრინციპთან დაკავშირება და მათ მიერ პოლიტიკური კანონების შესრულებაზე საუბარი. სხვადასხვა აშკარა მიზეზის გამო, აზროვნების ეს სტილი, ამ პირობებში, ყველაზე უფრო არაბუნებრივია; და მათთვის ის რომ აეხსნათ კიდეც, მაინც აბსურდულად მოეჩვენებოდათ. ლოკალური კულტურა თითქმის უჩინარია. თავის თავში ჩაკეტილი საზოგადოებები, მიმართულნი არიან ისეთი ტერმინებით კომუნიკაციებისკენ, რომლის მნიშვნელობაც მხოლოდ განსაკუთრებულ *კონტექსტში* შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული, განსხვავებით სქოლასტიკოს მწერალთა და ჩამწერთა დოგმატიზმისგან, რომელიც შედარებით თავისუფალია კონტექსტისაგან. მაგრამ სოფლის დიალექტს (მოკლე ან „შეზღუდულ კოდს“), არა აქვს ნორმატიული ან პოლიტიკური პრეტენზიები; პირიქით, დიდი-დიდი, მან ვინმე ლოკალურ ბაზრობაზე მოლაპარაკის გარკვეული სოფლიდან წარმომავლობის იდენტიფიცირება მოახდინოს.

მოკლედ, ეს ის სამყაროა, რომელიც მრავალ კულტურას ბადებს მაგრამ მისი პირობები, *ზოგადად* არ უწყობს ხელს იმას, რასაც კულტურული იმპერიალიზმი ჰქვია, — ანუ რომელიმე კულტურის ძალისხმევა, გახდეს დომინანტური და მთლიანად მოიცვას პოლიტიკური ერთეული. კულტურა მიმართულია ან ჰორიზონტალური (სოციალური კასტები), ან ვერტიკალური დაყოფისაკენ, და იგი ძალიან პატარა ლოკალურ დაჯგუფებებს გამოჰყოფს. პოლიტიკური საზღვრების განმაპირობებელი ფაქტორები, კულტურული საზღვრების განმაპირობებლებისგან აბსოლუტურად განსხვავებულნი არიან. დროდადრო კლერიკალები ცდილობენ გააფართოონ თავიანთი კულტურის, უფრო სწორედ კი, კულტურაში მოქცეული რწმენის გავლენის საზღვრები. სახელმწიფოები დროდადრო წამოიწყებენ ხოლმე „ჯვაროსნულ ომებს“, რწმენის დამადასტურებელ აგრესიას, მაგრამ ეს არ არის აგრარული საზოგადოების ნორმალური, გავრცელებული მდგომარეობა.

მნიშვნელოვანია დავამატოთ, რომ კულტურები ასეთ სამყაროში საკმაოდ რთულ ურთიერთმიმართებაში იმყოფებიან. ბევრ შემთხვევაში, ძნელია გაირკვეს თუ როგორ ეწერება მოცემული

ინდივიდი თავის „კულტურულ ფონში". მაგალითად, ჰიმალაელი გლეხი შეიძლება წელიწადის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სიტუაციებში განსხვავებული რელიგიების და კონტექსტის მქონე მღვდლებით, ბერებით თუ შამანებით იყოს გარემოცული; პროფესიული კასტა, ენა და კლანი მას შეიძლება სხვადასხვა ერთეულებთან აკავშირებდეს. მოცემულ ტომობრივ ენაზე მოლაპარაკეები შეიძლება არ აღიქმებოდნენ ამ ტომის წევრებად, თუ ისინი სხვაგვარი საქმიანობით არიან დაკავებულნი. ცხოვრების სტილი, საქმიანობა, ენა და რიტუალი შესაძლებელია ერთმანეთს არ შეესაბამებოდეს. ოჯახის ეკონომიური და პოლიტიკური გადარჩენა ამ ორმაგობის მოხერხებულ გამოყენებაზე და არჩევანის და კავშირების თავისუფლების შენარჩუნებაზეა დამოკიდებული. მას შეიძლება არც ჰქონდეს სურვილი ან ინტერესი მოახდინოს კატეგორიული თვითგანსაზღვრება, რაც დღეს-დღეობით შინაგანი ჰომოგენურობისა და გარეგნული ავტონომიურობისაკენ მსწრაფ ერებთან ასოცირდება. ამ ტრადიციულ გარემოში ყოვლისმომცველი კულტურული იდენტურობის იდეას ნაკლები აზრი აქვს. ნეპალელი მთიელები ხშირად არიან დაკავშირებულნი რელიგიური რიტუალების მრავალფეროვნებასთან და გარემოებათა მიხედვით კასტის, კლანის ან სოფლის (და არა ერის) ენით ურთიერთობენ. და ვეჭვობ, რომ ერთიანობის პროპაგანდამ მათში რაიმე გამოხმაურება ჰპოვოს.

სახელმწიფო აგრარულ საზოგადოებაში

ასეთ გარემოებაში კულტურას მცირე სტიმულები და სრულიად არახელსაყრელი პირობები გააჩნია, ერთდროული ჰომოგენურობის და პოლიტიკური გავრცელებულობა- ბატონობის მისაღწევად, რომლისთვისაც ის მოგვიანებით, ნაციონალიზმის ხანის დადგომისთანავე დაიწყებს ბრძოლას. მაგრამ როგორია მდგომარეობა სახელმწიფოს, ან უფრო ზოგადად, პოლიტიკური ერთეულის თვალსაზრისით?

აგრარული ხანის პოლიტიკური ერთეულები ტიპებითა და სიდიდით ერთმანეთისგან ძალინ განსხვავდებიან, მაგრამ მათი დაყოფა მაინც შეიძლება ორ ნაწილად, თუნდაც ორ პოლუსად: ლოკალურ თვითმმართველ მცირე საზოგადოებებად და დიდ იმპერიებად. ერთის მხრივ, არსებობენ ქალაქ-სახელმწიფოები, ტომობრივი სეგმენტები, გლეხთა თემები და ა.შ. საქმეებით, რომლებსაც თავად აწარმოებენ, პოლიტიკაში მონაწილეობის საკმაოდ დიდი ხარისხით, — ანდერსკი რომ დავიმოწმოთ — არათანასწორობის მხოლოდ მცირე კოეფიციენტით; მეორეს მხრივ

კი არსებობს დიდი ტერიტორიები, რომლებსაც ერთ წერტილში კონცენტრირებული ძალები აკონტროლებენ. რა თქმა უნდა, ძალიან გავრცელებულია ისეთი პოლიტიკური ფორმაც, როცა ეს ორი პრინციპი გაერთიანებულია: ცენტრალური გაბატონებული ძალაუფლება თანაარსებობს ნახევრად ავტონომიურ ლოკალურ ერთეულებთან.

საკითხი, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, შემდეგია: არსებობს თუ არა იმ სამყაროში, რომელიც ასეთი ტიპის ერთეულებს მოიცავს, ძალები, რომლებიც კულტურის და პოლიტიკის შერწყმას – ნაციონალიზმის მთავარ არსს უწყობენ ხელს. პასუხი ერთმნიშვნელოვანია — არა. იმისთვის, რომ იარსებონ, ლოკალური დაჯგუფებები ბევრად არიან დამოკიდებულნი პირად კონტაქტებზე, ისინი ვერ განვითარდებიან, თუ საკუთარი თავი იმდენად არ შეცვალეს, რომ მათში ძველი ვეღარავინ ამოიცნოს. შესაბამისად, ეს ურთიერთშემავსებელი თემები ძალიან იშვიათად ამოწურავენ იმ კულტურას, რომლის ნაწილიც თავად არიან; მათ შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი დიალექტი (ლოკალური კილო-კავი, აქცენტი) და წეს-ჩვეულებები, მაგრამ ისინი არიან მხოლოდ ნაირსახეობები იმ უფრო ფართო ინტერკომუნიკატორული კულტურისა, რომელიც შეიცავს ბევრ სხვა მსგავს გაერთიანებებს. ქალაქ-სახელმწიფოებს, სხვათაშორის, იშვიათად აქვთ საკუთარი ენა. ანტიკური ხანის ბერძნები, უეჭველია, ამ თვალსაზრისით, საკმაოდ ტიპიურები იყვნენ. მაგრამ მათ ძლიერ თვითცნობიერებას, რომელიც ემყარებოდა ერთის მხრივ საერთო კულტურას და, მეორეს მხრივ, ბერძნების და ყველა ბარბაროსებს შორის არსებული განსხვავების შეგნებას (ბერძნებს შორის ჰორიზონტალური კულტურული დიფერენცირების უფრო მცირე ხარისხის გამო), ძალიან მცირე *პოლიტიკური* გამოხატულება ჰქონდა, რომ არაფერი ვთქვათ მის განხორციელებაზე, თუნდაც სურვილის დონეზეც კი. მაგრამ, როდესაც მაკედონელის თაოსნობით პანელინური სახელმწიფო დაარსდა, ის, ელინიზმის საზღვრების გაფართოებით, სწრაფად გადაიზარდა იმპერიაში. მიუხედავად ანტიკური საბერძნეთის თავისებური შოვინიზმისა იქ არასოდეს გაჩენილა *Ein Reich, Ein Volk, Ein Führer*-ის მსგავსი ლოზუნგები.

აგრარული წყობის მმართველთა მრავალფეროვნება

აგრო-დამწერლობითი სახელმწიფო არის საზოგადოების ტიპი, რომელიც დაახლოებით ხუთი ათასწლეული არსებობდა და რომელსაც მიუხედავად მისი განსხვავებული ფორმებისა, ჰქონდა საერთო ძირითადი მახასიათებლები. მისი მოსახლეობის დიდი

უმრავლესობა ჩაკეტილ გაერთიანებებში მცხოვრები სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელია. მას მართავს უმცირესობა, რომლის მთავარი განმასხვავებელი ატრიბუტებია ძალადობის მართვა, წესრიგის შენარჩუნება, ოფიციალური საზოგადოებრივი კეთილგონიერების კონტროლი, რომელიც საბოლოოდ დამწერლობაშია მოქცეული. მებრძოლი და წერა-კითხვის მცოდნე მმართველი კლასი შეიძლება აღვწეროთ შემდეგი ოპოზიციების გამოყენებით:

1 ცენტრალიზებული — არაცენტრალიზებული
2. იაბოები — ულაყები
3. დახურული — ღია
4. შერეული — სპეციალიზებული

1. ეკლესიაც და სამხედრო კლასიც შეიძლება იყოს ცენტრალიზებული ან დეცენტრალიზებული. შუა საუკუნეების კათოლიკური ეკლესია კლერიკალობის ეფექტური ცენტრალიზების შესანიშნავი მაგალითია, რომელსაც ცივილიზაციის მორალური კლიმატის წარმართვაც კი შეეძლო. ისლამის ულამამაც ამდენივეს მიაღწია, მაგრამ ცენტრალური ორგანიზების ან შინაგანი იერარქიულობის სრული არქონის პირობებში; იგი თეორიულად ღია კლასი იყო. ბრამინები ერთსა და იმავე დროს იყვნენ კლერიკალებიც და დახურული ნათესაური ჯგუფები. ჩინელ ბიუროკრატებს გადამწერები და ადმინისტრატორები შეადგენდნენ.

2. როგორც ეს თავის დროზე პლატონმა აღნიშნა, ცენტრალიზებული სახელმწიფოსთვის ყველაზე დიდი საფრთხე არის მასში არსებული მილიტარისტული თუ ბიუროკრატიული სამსახურების მმართველების კავშირები საკუთარ ნათესავებთან, რადგან ამ დაჯგუფებების ინტერესებმა შეიძლება გადაახვევინონ ამ ადამიანებს საკმაოდ მყარი მოვალეობების შესრულების გზიდან და იმავე ჯგუფების მხარდაჭერამ, შესაძლებელია, გარკვეულ შემთხვევებში, მათ დიდი ძალაუფლება მიანიჭოს.

გზები, რომლებიც ამ გავრცელებული საფრთხის დასაძლევად იყო გამოყენებული, დეტალებში ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, მაგრამ ისინი ზოგადად შეიძლება დახასიათდნენ როგორც *კასტრირება*. ამ იდეის მიზანია ნათესაური კავშირების მოშლა პერსპექტიული მეომრებისთვის, ბიუროკრატებისთვის, კლერიკალებისთვის წინაპრების, შთამომავლების ან ორივეს ერთად ჩამორთმევის საშუალებით. ეს ხერხი გულისხმობდა სახელმწიფო საქმიანობაში ისეთი ადამიანების გამოყენებას, როგორებიც იყვნენ მაგალითად: საჭურისები, რომლებსაც ფიზიკურად შთამომავლობის მოცემა არ შეეძლოთ, მღვდლები, რომელთა პრივილეგირებულ თანამდებობასაც დაუქორწინებლობის (ცელიბატის) აღთქმა განაპირობებდა, ამით კი მათ შთამომავლობის ყოლა

თავისთავად ეკრძალებოდათ, უცხოელები, რომელთა ნეთესაური დაჯგუფებები საკმაოდ შორს იყო და ამიტომ ხიფათს არ წარმოადგენდნენ, ან სხვაგვარად გარიყული და უფლებაჩამორთმეული ჯგუფის წევრები, რომლებიც სრულიად დაუცველები გახდებოდნენ, თუკი ისინი დამქირავებელ სახელმწიფოს განუდგებოდნენ. მეორე ხერხი სამუშაოზე „მონების“ აყვანა იყო; ადამიანებისა, რომელნიც ფაქტობრივად პრივილეგირებულნიც და დიდი ძალაუფლების მქონენიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ისინი მაინც სახელმწიფოს „საკუთრებად“ რჩებოდნენ, რადგან მათ ტექნიკურად არ გააჩნდათ რაიმე სხვა ლეგიტიმური კავშირები. მათი საკუთრება და თანამდებობა ნებისმიერ დროს შეიძლებოდა გადასცემოდა სახელმწიფოს მისი უფლებების და პროცესების ფორმალური დაცვის გარეშეც კი, და ამიტომ ჩამოქვეითებული ოფიციალური პირის ნათესავებს ან ახლობლებს არანაირი უფლება არ ენიჭებოდათ.

წერა-კითხვის მცოდნე საჭურისებს ყოველთვის ჰქონდათ სამუშაო[1]. დაუქორწინებლობის აღთქმადადებულ მღვდლებს ეკავათ გამორჩეული პოზიციები ქრიტიანულ ეკლესიაში. ხალიფატის დაცემის შემდეგ ისლამურ სახელმწიფოებში თვალშისაცემი გახდა მონურ-მილიტარისტული ბიუროკრატიები. იმპერიებში სასახლის ელიტარულ გვარდიასა და ფინანსურ უწყებებში უცხოელებს გამორჩეული პოზიციები ეკავათ.

მაგრამ კასტრირება, მიუხედავად ამისა, არ იყო უნივერსალური. მაგალითად: ჩინურ ბიუროკრატიაში ძალები არატიტულირებული „წვრილ“ თავადებით ივსებოდა; ევროპულმა ფეოდალურმა კლასმა გარკვეულ წარმატებას მემკვიდრეობის პრინციპის და მიწების დამსახურებისამებრ განბოძების შეთავსებით მიაღწია. კასტრირებულთა საპირისპიროდ, ელიტას, რომელთა წევრებსაც ფორმალურად შთამომავლობის შექმნის და თავიანთი მემკვიდრეებისათვის პოზიციათა შენარჩუნების უფლებას ანიჭებდა შეიძლება ულაყები ვუწოდოთ.

3. კლერიკალური, ბიუროკრატიული და მილიტარული კლასებისათვის ერთდროულად არსებობს გარკვეული სარგებელი იმაში, რომ იყვნენ *ღიანი* და იმაშიც, რომ იყვნენ *დახურულნი*. ევროპული ეკლესია და ჩინური ბიუროკრატია ტექნიკურად ღია იყო (ისევე როგორც მუსლიმური *ულამა*) მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძირითადად გარკვეული მკაცრად განსაზღვრული ფენებიდან ივსებოდა. ინდუიზმში მღვდელების და მმართველი მეომრების კლასი დახურული და იმავდროულად გამჭირვალეცაა, და სწორედ ეს მათი საერთო (თეორიული) შეუღწევადობა ამუშავებს

[1] Keith Hopkins, *Conquerors and Slaves*, Cambridge, 1978.ch.4.

მთელ ამ სისტემას. იგი ერთდროულადაა ცხადი, ღია და დახურულიც. ისლამში (მამლუქების და იანიჩარების პერიოდის ჩათვლით) არც კლერიკალები და არც მეომრები არ იყვნენ „კასტრირებული“ ფენები.

4. და ბოლოს, მმართველმა კლასმა შეიძლება ან გააერთიანოს სამხედრო და კლერიკალური (შესაძლოა სხვა ფუნქციებიც), ან სულაც დაყოს ისინი *სპეციალიზებულ* ჯგუფებად. მაგალითად, ინდუიზმი მათ ფორმალურად ყოფდა. ევროპული ფეოდალიზმი კი, მათ, გარკვეულ შემთხვევებში, სამხედრო ორდენებად აერთიანებდა.

საინტერესო იქნებოდა, თვალი მიგვედევნებინა კონკრეტულ ისტორიულ დეტალებში ამ ალტერნატივებიდან ამორჩევით მიღებული სხვადასხვა შესაძლო კომბინაციებისათვის. მაგრამ, ჩვენთვის საინტერესოა ის, რაც ყველა ამ ვარიანტისთვის საერთოა. ძალაუფლების მქონენი თითქოს მოქცეულნი არიან დაძაბულობის ველში, რომელიც იქმნება ნაციონალურში მოქცეულ ლოკალურ დაჯგუფებებს და ნაციონალურზე აღმატებულ ჰორიზონტალურ ფენასა თუ კასტას შორის. ისინი ლოიალურნი არიან იმ ფენის მიმართ; 1) რომელიც უფრო მეტად დაინტერესებულია განასხვაოს თავისი კულტურა ქვედა ფენებისგან, ვიდრე გააერთიანოს იგი მასთან; 2) რომელიც, საკმაოდ ხშირად ავრცელებს საკუთარ საზღვრებს ლოკალური პოლიტიკური მოწყობის ფარგლების გარეთ; 3) რომელიც არის ტრანს-პოლიტიკური; 4) რომელიც ეჯიბრება სახელმწიფოს. იგი იშვიათად (მაგალითად ჩინური ბიუროკრატიის შემთხვევაში) თანაარსებობს სახელმწიფოსთან (ამ შემთხვევაში, ის ნაციონალიზმის გარკვეულ ტიპს წარმოადგენს).

ერთადერთი ფენა, რომელიც ყველანაირი გაგებით ატარებდა კულტურულ პოლიტიკას, კლერიკალობა გახლავთ. ხანდახან, მაგალითად, როგორც ეს ბრამინების შემთხვევაში იყო, მისი პოლიტიკა მდგომარეობდა ორმხრივი ურთიერთშემავსებელი დამოკიდებულების შექმნაში თავის თავსა და სხვა კასტებს შორის. ისინი ცდილობდნენ საკუთარი პოზიცია თავისი თავის შეუცვლელობის გამოცხადებით გაეძლიერებინათ; დამატებითი როლები, რომელსაც ისინი საკუთარ თავსა და მათი წრის გარეთ დარჩენილებს – საერო ფენების წარმომადგენლებს - მიაწერდნენ, რაც საკმაოდ შორს იყო მათ მიერ საკუთარი თავის უნივერსალური როლის მიწერის მოთხოვნიდან, ფორმალურად ხელს უშლიდა ამ შეუცვლელობის დადგენას. მიუხედავად იმისა, რომ ბრამინები აცხადებენ, რომ მხოლოდ მათ გააჩნიათ უფლება რიტუალურ საკუთრებაზე და რომ მათ არ სურთ ყავდეთ მიმბაძველები. ისინი ყველანაირად ერიდებოდნენ მლიქვნელობას და მიბაძვის გულწრფელ ფორმასაც კი, მიუხედავად იმისა, რომ თავად იყვნენ

ამის მაპროვოცირებელნი.

სხვაგან, მაგალითად ისლამურ ქვეყნებში, ეკლესია დროდადრო იტვირთავს ხოლმე მისიონერულ მოვალეობას, რათა სულ უფრო და უფრო მეტი სერიოზულობით ამუშავდეს იმ საძმოებში, სადაც რწმენა შესუსტდა და ადათად იქცა. აქ არ არსებობს წესი, რომელიც ანაწილებს, თუ ვინ უნდა ილოცოს, ვინ იმუშაოს, ვინ იომოს, არც იმისა, რომ ამ ფენებმა თავის თავს ერთმანეთის საქმეებში ჩარევის უფლება არ უნდა მისცენ. როგორც კი რწმენის აქტუალურობის მოთხოვნა გაივლის, ყველას ეძლევა უფლება დაკავდეს სამივე ამ საქმით, თუ მას ამის საშუალებას შესაძლებლობები და ენერგია აძლევს (ეს ლატენტური თანასწორუფლებიანობა მეტად მნიშვნელოვანია ისლამის თანამედროვე სამყაროსთან წარმატებული ადაპტაციისთვის). ამგვარად, *უკიდურესობამდე* მიყვანილი კლერიკალურ-მისიონერული კულტურული პოლიტიკისათვის არ არსებობს ფორმალური ან თეოლოგიური ხელისშემშლელი საშუალება. მაგრამ პრაქტიკულად ჯერ კიდევ არსებობს პრობლემა: თუ ყველა რეალურად სისტემურად იქნება ჩართული ლეგალური თეოლოგიის შესწავლაში ვინ მოუვლის ცხვრებს, თხებს და აქლემებს? საჰარის ზოგ ნაწილში არსებობენ მთელი რიგი ტომები, რომლებიც ტომთა შორის შეთანხმების საფუძველზე, „ყურანის ხალხად“ ითვლებიან. თუმცა ეს პრაქტიკულად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ღვთისმსახურები სხვებისგან გამოყოფილნი არიან. ეს არ ნიშნავს, რომ, მართალია, თითქმის ყველა მათგანი რელიგიურ სპეციალობას იღებს, მაგრამ უმრავლესობა შრომას ან ბრძოლას აგრძელებს. საზოგადოებები, სადაც რელიგიური კანონის სწავლებაში ზრდასრულ მამაკაცთა საგრძნობლად დიდი პროცენტი იყო ჩართული, მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ებრაულ თემებში გვხვდებოდა. მაგრამ ეს განსაკუთრებული და ექსტრემალური შემთხვევა გახლდათ და ეს თემები თავად ყოველთვის უფრო ფართო და კომპლექსური საზოგადოების ქვეგანაყოფები იყვნენ.

ასე რომ, ამ ძალიან ღრმა, ძლიერი და გადაულახავი მიზეზების გამო, სამღვდელოება აგრო-დამწერლობით საზოგადოებაში მაინც საკმარისად ვერ ბატონობდა და ვერ მოიცავდა მთლიანად საზოგადოებას. ზოგჯერ მას ამას საკუთარი კანონები უკრძალავდა, ზოგჯერ კი გარე ფაქტორები ხდიდნენ ამას შეუძლებელს; მაგრამ ეს უკანასკნელნი უკვე თავად არიან გადაულახავი დაბრკოლებები, მაშინაც კი, თუ კანონები ამ მისწრაფებებს მხარს უჭერენ.

აგრარულ წყობილებაში ფუჭი ოცნება იქნებოდა, დამწერლობით გამყარებული ერთგვაროვანი კულტურის მატარებელი და ცენტრალიზებული ნორმებით განმტკიცებული უნივერსალური ეკლესიის ყველა სოციალურ საფეხურზე დანერგვა. მაშინაც კი,

თუ ასეთ პროგრამას რომელიმე თეოლოგიური დოქტრინა შეიცავს, ის ვერ იქნება, და არც არის განხორციელებადი. ეს უბრალოდ არ შეიძლება მოხდეს, რადგან ამისთვის არ კმარა რესურსები.

მაგრამ რა მოხდება, თუ სამღვდელოება, ერთ დღესაც უნივერსალური გახდება, და არსებული საზოგადოების ექვივალენტურად გადაიქცევა? და თანაც ამას, არა საკუთარი ძალებით, არა რაღაც თავგანწირული და ჯადოსნური შინაგანი *ჯიჰადით*, არამედ უფრო ეფექტური, ღრმად ფესვგამდგარი სოციალური ძალის მეშვეობით — შრომის დანაწილების, წარმოების და შემეცნებითი პროცესების ბუნების ტოტალური ტრანსფორმაციის საშუალებით მიაღწევს? პასუხი ამ კითხვაზე და ამ ტრანსფორმაციის ბუნების თავისებურებებზე, ნაციონალიზმის გაგებისთვის გადამწყვეტი შეიძლება გახდეს.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აგრარულ წყობილებაში, ზემოთ აღწერილი რომელიმე სპეციფიკური ხერხის გამოყენებით, მხოლოდ ზოგიერთი ელიტარული ფენა თუ კასტრირდებოდა, და ისიც მხოლოდ ზოგიერთ საზოგადოებაში — სისტემატურად. მაშინაც კი, თუ ეს ხდებოდა, ძნელი იყო, როგორც პლატონმა განჭვრიტა, დასაჭურისების პოლიტიკის უსაზღვროდ გატარება. მეომრები, მამლუქები თუ იანიჩარები, ბიუროკრატები თუ მიწათმფლობელები, კორუმპირებულები ხდებიან გარკვეული ერთიანობის და ხანგრძლივობის საერთო ინტერესის ქონის შემთხვევაში, ან პატივით და ქონებით ირყვნებიან, ან საკუთარი თავის სამუდამოდ დამკვიდრების სურვილი აცდუნებთ ხოლმე. აგრარული ადამიანი, ალბათ, კორუპტირებადი მეტალისგან არის გამოდნობილი.

მისი მემკვიდრე — ინდუსტრიული ადამიანი კი უფრო წმინდა (ოღონდ, არცთუ მთლად ბოლომდე გაწმენდილი) მეტალისაგანაა ჩამოსხმული. რა ხდება მაშინ, როცა რაღაც შემთხვევითობების გამო ეკლესია უკვე უნივერსალურია, დამწერლობა აღარ არის სპეციალობა, არამედ ყოველგვარი სპეციალობის წინა პირობა, და როცა არცერთი თანამდებობა აღარ არის მემკვიდრეობითი? რა ხდება, როდესაც კასტრირების პროცესი თითქმის უნივერსალური და ეფექტურია, და როდესაც ყოველი მეორე ჩვენს შორის არის მამლუქი *de Robe*, რომელიც თავის ნაკისრ ვალდებულებებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ნათესაობის მოთხოვნებს? უნივერსალური კლერიკალობის და მამლუქობის ხანაში კულტურისა და სახელმწიფო წესრიგის ურთიერთობა რადიკალურად იცვლება. მაღალი კულტურა მოიცავს მთელ საზოგადოებას, განსაზღვრავს მას და სახელმწიფო წყობისგან მხარდაჭერას საჭიროებს. სწორედ *ეს* არის ნაციონალიზმის საიდუმლო.

3
ინდუსტრიული საზოგადოება

ინდუსტრიული საზოგადოების წარმომავლობა დღემდე მეცნიერული კამათის ობიექტია. ვფიქრობ, შესაძლებელია, ის სამუდამოდ ასეთად დარჩეს. დიდ, მრავალფეროვან და შერეულ საზოგადოებაში არაჩვეულებრივად რთული ტრანსფორმაცია მოხდა და შედეგიც *უნიკალური* მივიღეთ: არცერთი მიბაძვითი ინდუსტრიალიზაცია არ შეიძლება იყოს მიღებული იმავე ტიპის მოვლენად, როგორც ნამდვილი ინდუსტრიალიზაცია, მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ ის ნამდვილად მიბაძვითია, რადგან ის ჩამოყალიბდა იმ ახლად შეძენილი ცოდნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ეს გზა განხორციელებადია და მას აშკარად ნათელი უპირატესობები გააჩნია (რა თქმა უნდა, მიუხედავად იმისა, რომ მისაბაძმა იდეამ სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციები განიცადა). ასე რომ, ჩვენ ვერასდროს გავიმეორებთ იმ თავდაპირველ მოვლენას, რომელიც იმ ადამიანების მიერ იქმნებოდა, რომლებმაც არ იცოდნენ რას აკეთებდნენ, ამის გაუცნობიერებელობა კი მოვლენის მთავარი არსი იყო. ჩვენ ამას რამდენიმე უდაო მიზეზის გამო ვერ გავაკეთებთ: განმეორების აშკარა ფაქტი მას ორიგინალური შემთხვევისგან განსხვავებულს გახდის; ჩვენ არ შეგვიძლია ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის გარიჟრაჟის ყველა გარემოების რეპროდუქცია მოვახდინოთ. თანაც, მხოლოდ თეორიული თვალსაზრისის შესაქმნელად ასეთი ექსპერიმენტების ჩატარება მორალურად გაუმართლებელი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ამ რთული პროცესის ყველა მიზეზობრივი ძაფის დასახარისხებლად, ჩვენ არა მხოლოდ ერთი, არამედ ძალიან ბევრი რამის განმეორებით ჩვენება დაგვჭირდება; ეს კი ჩვენთვის არასდროს იქნება შესაძლებელი.

მაგრამ, თუ ჩვენ ინდუსტრიალიზმის ეტიოლოგიის რეალურად დადგენა არ შეგვიძლია, შესაძლოა, ინდუსტრიული საზოგადოების ზოგადი მუშაობის მოდელების შემოთავაზება მაინც მოვახერხოთ. ფაქტიურად, მაქს ვებერის სახელგანთქმული ნაშრომის („*პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული*") რეალური ღირებულება და მნიშვნელობა ჩემთვის ნაკლებად დევს მის მომაჯადოებელ, მაგრამ სარისკო და დაუბოლოებელ ჰიპოთეზაში კაპიტალიზმის სულის გენეზისის შესახებ, განსხვავებით მისი მოსაზრებებისაგან, რომლებიც ახალი სოციალური წყობის ძირითად განმასხვავებ-

ლებს ეხება. ფაქტობრივად, ინტერესის გადატანა კაპიტალიზმის საწყისებიდან ინდუსტრიალიზმის საწყისებისაკენ, მოხდა ვებერის შემდეგ, რაც არაკაპიტალისტური ინდუსტრიული საზოგადოებების გაჩენის შედეგი გახლდათ. მაგრამ მაინც ამ გადამწყვეტი კითხვის თავიდან ფორმულირება იმთავითვე იგულისხმება ვებერის დაინტერესებაში როგორც ბიუროკრატიით, ასევე სამეწარმეო სულით. თუ ცენტრალიზებული ბიუროკრატია ისეთივე განსხეულებაა ახალი *Geist*-ის, როგორც რაციონალური ბიზნესმენი, მაშინ ცხადია, რომ ჩვენი საქმე უფრო ინდუსტრიალიზმია, ვიდრე კაპიტალიზმი.

ჩემი აზრით, ვებერისეულ, და ალბათ ახალი სულის ნებისმიერ საყურადღებო შეფასებებში, რაციონალობის ცნება ცენტრალური და უმნიშვნელოვანესია. თავად ვებერი არ იყო მიდრეკილი თანამიმდევრული და ადეკვატური განსაზღვრებების მოცემაში და ეს განსაკუთრებით ამ შემთხვევას ეხება; მიუხედავად ამისა, კონკრეტული რაციონალიზმის ცნების მისეული გამოყენების კონტექსტიდან შესაძლებელია გამოიყოს, თუ რას გულისხმობდა ავტორი ამ ცნების ქვეშ და რომ ეს ცნება ნამდვილად გადამწყვეტია მისი თეორიისათვის. იგივე ცნება შეუდარებელი ფილოსოფიური სიღრმით ფორმულირდება, როგორც მე-18 საუკუნის ორი უდიდესი ფილოსოფოსის დევიდ ჰიუმის და იმანუელ კანტის მიერ. თუმცა ორივე ფიქრობდა, რომ ადამიანის გონს იკვლევდა, როგორც ასეთს, *an sich*, ნებისმიერი დროის და ადგილის შესატყვისს, სინამდვილეში ისინი იძლეოდნენ იმ ახალი სულის ძირითადი ლოგიკის მეტად საფუძვლიან შეფასებას, რომლის გამოვლენაც მათი ეპოქის მახასიათებელი იყო. ის, რაც ამ ორ მოაზროვნეს აერთიანებს, უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც მათ განასხვავებს.

ვებერის რაციონალობის გაგებაში აშკარად გამოიყოფა ორი ელემენტი: ერთია ურთიერთკავშირი ან თანმიმდევრულობა, მსგავსი შემთხვევებისადმი მსგავსი მიდგომა, რეგულარულობა, რასაც კარგი ბიუროკრატის სული და გული შეიძლება დაერქვას. მეორე — ეფექტურობა — არსებული საშუალებების ცივი გონებით რაციონალური გადარჩევა კარგად ფორმულირებული და გამოკვეთილი მიზნების მისაღწევად; სხვა სიტყვით — იდეალური მეწარმის სული. რაციონალიზმის ყოვლისმომცველ სულში წესრიგი და ეფექტურობა მართლაც შეიძლება იყოს დანახული, როგორც ბიუროკრატიული და სამეწარმეო ელემენტები.

თავად მე არ მჯერა, რომ ეს ორი ელემენტი ერთმანეთისგან რეალურად დამოუკიდებელია. მიზან-საშუალების ეფექტურობის ცნება გულისხმობს, აგენტის მიერ მოცემული პრობლემისათვის ერთი და იგივე გადაწყვეტის ამორჩევას, რომლისთვისაც

არარელევანტური განხილვები მიუღებელია, და შესაბამისად, ის ატარებს მიმართების სიმეტრიის ბიუროკრატიულ მოთხოვნას, როგორც პირდაპირ ლოგიკურ შედეგს. თუმცა სიმეტრიულობის იმპერატივი, ყოველთვის არ გულისხმობს ეფექტურ შედეგს (და მართლაც, ემპირიული ფაქტია, რომ ძალიან პატიოსანი და შეგნებული ბიუროკრატებიც კი არ არიან ყოველთვის განსაკუთრებით ეფექტურები, როგორც ეს ვებერს ეგონა); მაგრამ, ნებისმიერი წესრიგის მოთხოვნის მდგრადი და არაზედაპირული დანერგვა უნდა გულისხმობდეს საერთო, მიზანთა და მოვლენათა დასადგენად ნეიტრალური ენის გამოყენებას, ანუ იმ გარემოს შექმნას, რომელშიც ეს შედეგები ხორციელდებიან. ასეთი ენა, რომელიც მიზეზებს და შედეგებს ნათლად საზღვრავს, საბოლოოდ მოქმედებათა მხოლოდ იმ გზით დახასიათებას უშვებს, რომლითაც ნათლად განსაზღვრული შედეგების მიღწევა მხოლოდ იმ საშუალებებითაა გარანტირებული, რომლებიც თავიანთი ოპტიმალურობით და ეფექტურობით გამოირჩევიან.

ვებერისათვის ცნობილ რაციონალური სულის ორი ელემენტის საფუძველში კიდევ რაღაც უფრო ღრმა დევს, რაც ჰიუმმა და კანტმა გააანალიზეს, მაშინ, როდესაც ეგონათ, რომ ზოგადად ადამიანის გონს იკვლევდნენ. ეს არის საგანთა საერთო საზომი, როგორც მოვლენათა ზოგადი დახასიათებისათვის საჭირო შემეცნებითი საფუძველი; ამას კი, უნდა დავუმატოთ უკვე დეკარტის მიერ კარგად შესწავლილი და დახასიათებული *esprit d`analyse*. ორივე ეს ელემენტი იგულისხმება რაციონალიზმის იმ არსში, რომლითაც ის ჩვენ გვეხება, როგორც თანამედროვე სულის საიდუმლო. საერთო და ერთიან საზომში მე ვგულისხმობ, რომ ყველა მოვლენა ერთ განგრძობად ლოგიკურ სივრცეშია თავმოყრილი და რომ მათი აღმწერი ფორმულირებები, შეიძლება გაერთიანდეს და ზოგადად იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული; ასე რომ, პრინციპში, სამყაროს ერთი ენა აღწერს და ის შინაგანად ერთიანია; ან სხვანაირად: არ არსებობენ განსაკუთრებული, პრივილეგირებული, იზოლირებული მოვლენები ან სფეროები, რომლებიც სხვა საკუთარ იზოლირებულ, დამოუკიდებელ ლოგიკურ სივრცეებში მცხოვრებ მოვლენებთან შეხებისა და მათთან წინააღმდეგობისაგან იქნებიან დაცულნი. რა თქმა უნდა, წინამოდერნისტული, წინარაციონალური ხედვების ყველაზე განსაკუთრებული შტრიხი იყო არა საფუძვლიანად გაერთიანებული, არამედ იერარქიულად დაკავშირებული ქვესამყაროების თანაარსებობა და განსაკუთრებულად პრივილეგირებული, საკრალიზებული და ყოველდღიური ცხოვრების წესისგან გამოთიშული მოვლენების არსებობა. ტრადიციულ სოციალურ წყობაში ყველა ენა იქნებოდა ის ნადირობის, მოსავლის აღების, სხვადასხვა

რიტუალების, სათათბიროს, სამზარეულოს თუ ჰარამხანის, თავის ავტონომიურ სისტემას ქმნიდა. განსხვავებული სფეროებიდან აღებული ფორმულირებების შეერთების და მათ შორის შეუთანხმებლობის გამოკვლევის, ან მათი გაერთიანების მცდელობა იქნებოდა ან სოციალური სოლეციზმი ანდა უარესი — ღვთისგმობა ან ურწმუნოება. კონტრასტისთვის, ჩვენს საზოგადოებაში მიღებულია, რომ ენის ყველა რეფერენციული გამოყენება მიემართება ერთ შეთანხმებულ სამყაროსკენ და შეიძლება დაყვანილ იქნას ერთიან იდიომამდე და რომ მათი ურთიერთმიმართება კანონზომიერია. „დაკავშირების აუცილებლობა" გასაგები და მისაღები იდეალია. ცოდნის თანამედროვე ფილოსოფიები არიან ამ იდეის ჩვენს მიერ მუდმივი, განმეორებადი გამოხატვა, კოდიფიცირება და სწრაფვა. ეს არის არა ფილოსოფიური კაპრიზი, არამედ მას ღრმა სოციალური ფესვები აქვს.

ფაქტების გაერთიანება და გაერთგვაროვნება არ არის სრული, თუ მას არ ახლავს ის, რასაც ყოველი გამოყოფადის გამოყოფა შეიძლება ვუწოდოთ, ანუ *esprit d`analyse*, ყველა კომპლექსების შემადგენელ ნაწილებად დაყოფა (მაშინაც კი, თუ ამის გაკეთება მხოლოდ გონებაში შეიძლება) და მზა ცნებების პაკეტის უპირობო მიღების უარყოფა. სწორედ საგნებს შორის კავშირის დადგენის გამო ხდება ის, რომ ტრადიციული ხედვები თავის თავისა და თავის ცრურწმენებს მარადიულად და ამოუწურავად ხდიან; ამ კავშირების დარღვევით ჩვენ ცრურწმენებისაგან ვთავისუფლდებით. იდეების სამყაროში მყოფი ეს კომპლექსური შეთანხმებები და წყვეტილი კონცეპტუალური სივრცეები ცხოვრებისეულ სფეროში სტაბილური სოციალური დაჯგუფებების და სტრუქტურების ექვივალენტები არიან. ისევე, როგორც უნიფიცირებული და სტანდარტიზირებული, ერთ თარგზე მოჭრილი მოვლენათა სამყარო, როგორც ეს კანტის და ჰიუმის ფილოსოფიებშია, მასობრივ საზოგადოებაში ანონიმური და თანასწორი ადამიანების დაჯგუფებების ანალოგიურია. ამ გამოკვლევაში, ჩვენ ადამიანი და მისი დაჯგუფებები უფრო გვაინტერესებს, ვიდრე იდეები; მაგრამ იდეების გაერთიანება შეუზღუდავ და ერთიან სისტემებში ადამიანთა დაჯგუფებების შინაგანად მოძრავ, კულტურულად შეუზღუდავ ერთიანობად ქცევასთანაა დაკავშირებული.

ინდუსტრიული საზოგადოება არის ერთადერთი საზოგადოება, რომელსაც ოდესმე უცხოვრია და დამყარებული ყოფილა ხანგრძლივ და უწყვეტ განვითარებაზე, მოსალოდნელ და მიმდინარე გაუმჯობესებაზე. არ არის გასაკვირი, რომ ესაა პირველი საზოგადოება, რომელმაც პროგრესის, განუწყვეტელი გაუმჯობესების კონცეფცია და იდეალი გამოიგონა. სოციალური

კონტროლის მის მიერ არჩეული ფორმა არის კასტრირების უნივერსალური მექანიზმი: ის სოციალურ აგრესიაზე უარის თქმაში მატერიალურ საზღაურს, მოქრთამვას იყენებს. მისი უდიდესი სისუსტე მდგომარეობს შეუძლებლობაში გადაიტანოს სოციალური მოქრთამვის ფონდის დროებითი შემცირებაც კი და გადაიტანოს ლეგიტიმურობის დაკარგვა, რომელიც იმ დროს იჩენს ხოლმე, თავს, როცა სიუხვის წყარო დროებით დაიწრიტება ან რაიმე მიზეზის გამო ნაკადი შეყოვნდება.

ბევრ საზოგადოებაში ადრეც ხდებოდა ხოლმე სიახლეების აღმოჩენა, რაც აუმჯობესებდა მათ დოვლათს და ხანდახან შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ ეს გაუმჯობესება არა ერთეულებს, არამედ მთელ ათასეულებს შეხებოდა. მაგრამ ის არასდროს არ იყო მუდმივი და ამას არც არავინ ელოდა. უნდა მომხდარიყო რაღაც განსაკუთრებული, ასეთი უჩვეულო და გასაოცარი მოლოდინი რომ წარმოშობილიყო.

და მართლაც, მოხდა რაღაც უჩვეულო, უნიკალური რამ — სამყაროზე, როგორც ჰომოგენურ, სისტემატიზებულ, არადისკრიმინებული კანონებისა და დაუსრულებელი აღმოჩენების მქონე სისტემაზე წარმოდგენა საშუალებათა ახალი კომბინაციების უსასრულო შესაძლებლობებს გვთავაზობდა წინასწარი დადგენილი მოლოდინების და შეზღუდვების გარეშე: ვერც ერთი შესაძლებლობა ვერ იქნება საბოლოოდ გამორიცხული, და მხოლოდ გამოცდილება გადაწყეტს როგორები უნდა იყვნენ საგნები და როგორ უნდა მოხდეს მათი კომბინირება სასურველი ეფექტის მისაღწევად. ეს იყო მთლიანად ახალი ხედვა. ძველი სამყაროები, ერთის მხრივ, თავად იყვნენ კოსმოსები: მიზანმიმართულნი, იერარქიულნი, „მნიშვნელობებით სავსენი", მეორეს მხრივ, კი ისინი არ იყვნენ საკმარისად ერთიანნი და ისეთი ქვესამყაროებისგან შედგებოდნენ, რომელთაგანაც თითოეულს საკუთარ ერთ საერთო წესრიგამდე დაუყვანელი იდიომა და ლოგიკა გააჩნდა. ახალი სამყარო კი, მორალურად ნეიტრალური და თანაც ერთიანი იყო.

ჰიუმის ფილოსოფია ამ ხედვის ერთ-ერთი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კოდიფიკაციაა. მისი ყველაზე კარგად ცნობილი ნაწილი მიზეზობრიობის თეორიაა, რომელიც მის მიერ სამყაროს ყოვლისმომცველი ხედვიდან გამომდინარეობს. ამ თეორიის მოკლედ ფორმულირება შემდეგნაირად შეიძლება: საგანთა (მოვლენათა) ბუნებაში არავითარი კავშირები არ არსებობს. ამ სამყაროს რეალური კავშირები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ აზროვნებაში იმ ყველაფრის განცალკევებით, რისი გამონცალკევებაც აზროვნებით შეიძლება: ანუ, ჩვენ შეგვიძლია წმინდა ელემენტების გამოყოფა და შემდეგ ნახვა, ექსპერიმენტის

შედეგად, რა რას დაუკავშირდება.

არსებობს კი ასეთი სამყარო? *ჩვენი სამყარო ასეთია.* ეს არის „უსასრულო აღმოჩენების სამყაროს“ წინაპირობაც და საფასურიც. ძიება არ უნდა იყოს დაკავშირებული საგანთა იმ თავისებურებებსა და ურთიერთკავშირებთან, რომლებიც ცხოვრების ამა თუ იმ ხედვასა და სტილს აგებენ. რა თქმა უნდა, ჰიუმისეული მიზეზობრიობის კონცეფცია არ არის მხოლოდ არაჩვეულებრივი სურათი, რომელიც შეურყეველი, მარადიული მკვლევარის წინაშე დევს. ის ამავე დროს მისი ეკონომიკური ორეულის, თანამედროვე მეწარმის ქცევის წესების აღწერაცაა. სოციალურ წესრიგს დაქვემდებარებული, ტრადიციის მიწერილი შრომის, ტექნიკის, იარაღის და მიწის ნაკვეთების გაერთიანება გონების ხანის ვაჭრის ან მანუფაქტურისტისათვის არ არის განსაზღვრული. მისი პროგრესი და ეკონომიკური წინსვლა, რომლის ძირითადი ნაწილიც ის თავადაა, დამოკიდებულია გამოცდილების საფუძველზე წარმოებულ საშუალებათა შეუზღუდავ არჩევანზე ისეთი ცხადი მიზნის მისაღწევად, როგორიც, მაგალითად, სარგებელის, მოგების მაქსიმალიზაციაა (მისი წინაპარი ან თუნდაც მისი თანამედროვე შემორჩენილი ფეოდალი ძნელად თუ გამოითვლის წარმატების ერთადერთ კრიტერიუმს. მისთვის სარგებელის იდეა სხვადასხვა ერთმანეთზე დამოკიდებულ პირობათა რიგშია ჩაქსოვილი, მაგალითად საზოგადოებაში მისი პოზიციის შენარჩუნებაში. ადამ სმიტი ძალიან ნათლად ხედავდა განსხვავებას გლაზგოელ ბიურგერსა და ქემერონ ლოკჰიელს[1] შორის. ჰიუმის მიზეზობრიობის თეორია ამყარებს სმიტის განაზრებებს).

ჩვენ ახლა ვიკვლევთ საზოგადოების სწორედ იმ ხედვას, რომელიც დამოკიდებული გახლავთ შემეცნებით და ეკონომიკურ განვითარებაზე (იმ ორ არსებით რამეზე, რომლებიც, რა თქმა უნდა, ერთმანეთს უკავშირდება), რადგან ჩვენ, პირველ რიგში, გვაინტერესებს მუდმივად მზარდი და მუდმივად პროგრესირებადი საზოგადოების შედეგები. ასეთი მუდმივი ზრდის შედეგებს საოცარი პარალელები ეძებნება იმ ხედვასთან, რომელიც ამ შედეგების პირობას წარმოადგენდა.

---

[1]ქემერონ ლოკჰიელი (1629-1719) შოტლანდიელი ბელადი, სტიუარტი მონარქების ჩარლზ II და ჯეიმს II ირლანდიელის მხარდამჭერი. Encyclopedia Britannica 1999. vol.2 (Micropedia). (მთარგმნელის შენიშვნა).

მუდმივი ზრდის საზოგადოება

თუ შემეცნების ზრდა გულისხმობს იმას, რომ a priori შესაძლებელია ყველა ელემენტის ერთმანეთისგან გამოყოფა და რომ ყველაფერი მზადაა თავიდან გადააზრებისათვის, მაშინ ეკონომიკური და სამეწარმეო განვითარება იგივეს მოითხოვს ადამიანთა აქტივობებისა და ადამიანის როლისაგანაც. როლები ამორჩევითი და ინსტრუმენტული ხდება. სოციალური როლის სტრუქტურის ძველი სტაბილურობა უბრალოდ შეუთავსებადია განვითარებასა და ინოვაციასთან. ინოვაცია ნიშნავს ახლის შექმნას, რომლის საზღვრებიც ვერ იქნება იმის მსგავსი, რაც მან შეცვალა. უეჭველია, საზოგადოებათა უმრავლესობას შეუძლია გაუძლოს სამუშაოთა სპეციფიკის და გილდიების საზღვრების შემთხვევით შეცვლას ისე, როგორც ფეხბურთის გუნდი შეიძლება გადავიდეს ერთი ლიგიდან მეორეში და მაინც შეინარჩუნოს უწყვეტობა. ერთი ცვლილება არ ქმნის პროგრესს. რა ხდება მაშინ, როცა ასეთი ცვლილებები არიან მუდმივნი და ხანგრძლივნი, როცა საქმიანობის და დასაქმების ცვლილება სოციალური წყობის ერთ მუდმივ მახასიათებლად იქცევა?

თუ ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ, ნაციონალიზმის პრობლემის ძირითადი საკითხიც გადაწყდება. ნაციონალიზმი შრომის დანაწილების მხოლოდ იმ ტიპში იდგამს ფესვს, რომელიც არის კომპლექსური და ხანგრძლივი და რომელიც მუდმივად იცვლება.

როგორც ადამ სმიტი აღნიშნავდა, მაღალი პროდუქტიულობა მოითხოვს კომპლექსურ და რაფინირებულ შრომის განაწილებას. მუდმივად მზარდი პროდუქტიულობა მოითხოვს ამ დაყოფის არა მხოლოდ კომპლექსურ, არამედ მუდმივ, ხშირ და სწრაფ ცვალებადობას. ორივეს — ეკონომიკური როლის სისტემებსაც და მასში ადგილების დაკავების სწრაფ და ხანგრძლივ ცვლილებებსაც გარკვეული პირდაპირი და ღრმა მნიშვნელობის შედეგები გააჩნიათ. მასში ლოკალიზებულ ადამიანებს არ შეუძლიათ მთელი ცხოვრება თავიანთ ადგილებზე დარჩენა; და ალბათ, თითქმის გამორიცხულია მათი დარჩენა ერთ ადგილას თაობების მანძილზე. მამიდან შვილზე გადაცემული პოზიცია, ამ ან სხვა მიზეზის გამო, ძალიან იშვიათია. ადამ სმიტი აღნიშნავდა მოქალაქის ბედის არასაიმედობას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, თუმცა, უშვებდა შეცდომას, როდესაც სოციალური მდგომარეობის სტაბილურობას პასტორალურ ცხოვრებას მიაწერდა, რადგანაც პასტორალისტების გენეალოგიური გადმოცემები და მითები რეალობად მიაჩნდა.

ამ ახალი ტიპის მობილურობის უშუალი შედეგი ეგალი-

ტარიზმის გარკვეული სახეა: თანამედროვე საზოგადოება მობილურია, იმიტომ რომ, ის ეგალიტარულია; ის ეგალიტარულია, იმიტომ რომ, ის მობილურია. უფრო მეტიც: ის უნდა იყოს მობილური უნდა თუ არა, რადგან ეს მისი არნახული და ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდის სურვილის განხორციელების პირობაა.

საზოგადოებას, რომელიც განკუთვნილია გამუდმებით ითამაშოს „სკამობანა“,[1] ვერ შექმნის რანგების, კასტების და ფენების მტკიცე ბარიერებს სკამთა (ადგილთა) იმ მრავალფეროვანებაში, რომელსაც ის ფლობს. ეს ბარიერი ხელს შეუშლიდა მობილურობას, და აუტანელ სიტუაციას შექმნიდა. ადამიანმა შეიძლება აიტანოს საშინელი უთანასწორობა, თუ ეს უთანასწორობა უცვლელია და თუ ამას ტრადიცია აღიარებს. მაგრამ შეუსვენებლად ცვალებად საზოგადოებაში, ტრადიციას აღარ აქვს დრო რაიმეს მიანიჭოს უპირატესობა. მგორავი ქვა ხავსს არ აიკრავს, და მოძრავი პოპულაციაც არ აძლევს ნებას არანაირ აურას მიეწებოს მის დაყოფის პროცესს. მართალია, სტრატიფიკაცია და არათანასწორობა, დროდადრო ექსტრემალურ ფორმებშიც კი აგრძელებენ არსებობს, მაგრამ მათ ჩახშული და შეკავებული ფორმა აქვთ. ეს სტრატიფიკაცია და არათანასწორობა შესუსტებულია სიმდიდრისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის გრადაციით, სოციალური დისტანციის ნაკლებობით, ცხოვრების სტილის კონვერგენტულობით, განსხვავებათა სტატისტიკური ანდა, აგრარული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მკვეთრი, აბსოლუტური, უფსკრულისებური განსხვავებების საწინააღმდეგო ალბათობრივი ხარისხით და სოციალური მობილურობის ილუზიითა ან რეალობით.

ილუზია აუცილებელია და ის რეალურობის რაღაც მცირე ნაწილის გარეშე არ შეიძლება შენარჩუნდეს. სხვა საკითხია მობილურობის კლებად ან მატებად გამოვლინებებში რამდენია რეალურობის დოზა. ეს მეცნიერული განსჯის საგანია, მაგრამ არ შეიძლება რაიმე ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მას რეალურობის რაღაც საგრძნობი პროცენტი ნამდვილად გააჩნია: როდესაც თავად როლების სისტემა იცვლება ასე მძლავრად, მასში არსებული პოზიციების მფლობელები ვერ იქნებიან გაქვავებულ სტრატიფიკაციულ სისტემასთან ისე მიჯაჭვულნი, როგორც ამას ზოგიერთი მემარცხენე სოციოლოგი ამტკიცებს. აგრარულ საზოგადოებასთან შედარებით ეს საზოგადოება მობილური და

[1]თამაში, როცა მოთამაშეები მუსიკის თანხლებით მოთამაშეთა რაოდენობაზე ერთით ნაკლები წრეში დადგმული სკამების გარშემო დარბიან და მუსიკის შეწყვეტისთანავე ადგილების დაკავება უნდა მოასწრონ (მთარგმნელის შენიშვნა).

ეგალიტარულია.

მაგრამ საქმე არა მხოლოდ ეგალიტარიზმსა და მობილურობაშია, რომელსაც განსაკუთრებულად ინდუსტრიულ ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკა განსაზღვრავს. არსებობენ შრომის ახალი დაყოფის რაღაც დამატებითი, ძნელად შესამჩნევი მახასიათებლები, რომლებიც, ალბათ, უკეთ გამოიკვეთებიან ინდუსტრიულ და რთულ, მაქსიმალურად განვითარებულ აგრარულ საზოგადოებებში შრომის დანაწილებების შედარებისას. *აშკარა* განსხვავება ამ ორს შორის შემდეგია: ერთი სტაბილურია, მეორე კი მობილური; ერთი თავს აცხადებს უფრო სტაბილურად, ვიდრე ამას სოციალური რეალობა უშვებს, მაშინ, როცა მეორე მეტ მობილურობას იჩემებს, თავისი ეგალიტარული იდეალის წარმატებულობის საჩვენებლად, ვიდრე ფაქტიურად ამას მისი რეალური ვალდებულებები მოითხოვენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივე სისტემა თავის ცენტრალურ მახასიათებლებს აზვიადებს, ისინი ერთმანეთთან შედარებისას ნამდვილად ფლობენ ამ მახასიათებელ ნიშნებს: ერთი არის უცვლელი, მეორე კი ცვალებადი. მაგრამ, თუ ეს ნათელი კონტრასტია, მაშინ რას წარმოადგენენ ის ძნელად შესამჩნევი მახასიათებლები, რომლებიც მათ ახლავს?

დეტალურად შევადაროთ შრომის დაყოფა მაქსიმალურად განვითარებულ აგრარულსა და საშუალო დონის ინდუსტრიულ საზოგადოებებში: ფუნქციათა ყოველ ტიპს ახლა ჰყავს ერთი ტიპის სპეციალისტი მაინც, რომელიც მასთან ასოცირდება. მექანიკოსი სპეციალიზირებულია მანქანის იმ კონკრეტულ მოდელზე, რომელსაც ემსახურება. ინდუსტრიულ საზოგადოებას ყავს უფრო დიდი მოსახლეობა და ჩვეულებრივი დათვლითაც კი ცხადია, რომ ფლობს განსხვავებულ სამუშაოთა უფრო დიდ რიცხვს. *ამ აზრით*, შრომის განაწილება მასში უფრო შორს არის წასული.

მაგრამ განსხვავებული კრიტერიუმებით თუ ვისარგებლებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ განვითარებულ აგრარულ საზოგადოებას შრომის უფრო რთული დანაწილება ჰქონდა. სპეციალობები მასში ერთმანეთისგან ალბათ უფრო დაშორებულია, ვიდრე, ინდუსტრიული საზოგადოების ერთმანეთის მსგავსი მრავალი სპეციალობა. ზოგი სპეციალობა ზრდასრულ აგრარულ საზოგადოებაშიც შეიძლება იყოს ექსტრემალური: ის შეიძლება იყოს მთელი ცხოვრების მანძილზე ჩატარებული მიზანმიმართული წვრთნის შედეგი, წვრთნისა, რომელიც შეიძლება ადრეულ ახალგაზრდობაში დაწყებულიყო და ამის პირობა სხვა ინტერესების სრული ჩაკვლა ყოფილიყო. ამ საზოგადოებაში სახელოსნო და ხელოვნების სფეროს მიღწევები შრომისა და უნარ-ჩვევების ექსტრემალური ინტენსივობის შედეგია და ხშირად სირთულის და სრულყოფილების იმ დონეს აღწევს, რომელსაც ოდნავადაც კი ვერ

შევადარებთ მოგვიანებით შესრულებულ საუკეთესო ქმნილებებსაც კი: ჩვენს დროში ხომ ხელსაქმე, ინტერიერები, კულინარია, ავეჯი თუ სამკაულები გაცილებით დაბალი ხარისხისაა, ვიდრე წინა საუკუნეებისა.

მიუხედავად მათი უშედეგობისა, აგრარული ხანის სკოლის მოღვაწეების მიერ ნასწავლი სქოლასტიკა და რიტუალური ტვინის ჭყლეტა მიუწვდომლადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს. გლეხები, რომლებიც აგრარული საზოგადოების უმრავლესობას ქმნიან, მეტ-ნაკლებად ურთიერთჩანაცვლებადნი არიან, როცა საქმე მათი სოციალური ამოცანების შესრულებას ეხება. მიუხედავად ამისა, ამ საზოგადოების უმცირესობის, ანუ მნიშვნელოვანი სპეციალისტების წარმომადგენლების ურთიერთჩანაცვლება თითქმის შეუძლებელია; ყოველი მათგანი, ან თითოეული ჯგუფი დამოკიდებულია მეორეზე და თუ ბოლომდე გულახდილნი ვიქნებით, საკმაოდ მოკლებულია თავისთავში სისრულეს. შედარებისათვის: ინდუსტრიულ საზოგადოებაში, მიუხედავად სპეციალობათა დიდი რიცხვისა, დისტანცია მათ შორის უფრო მცირეა. ისინი ერთმანეთისთვის უფრო ნაკლებად არიან გასაიდუმლოებულნი, მათი სახელმძღვანელოების ცნებები და წესები ურთიერთგადაფარვადია და გადამზადება, შესაძლო სირთულეების მიუხედავად, სულაც არ არის მიუღწევადი პირობა.

ასე რომ, თავად შრომის დანაწილებაში, ერთ შემთხვევაში მობილურობის და მეორე შემთხვევაში სტაბილურობის არსებობის გარდა, არსებობს ძნელად შესამჩნევი, მაგრამ ღრმა და მნიშვნელოვანი ხარისხობრივი განსხვავებაც. დიურკჰაიმი სცდებოდა, როდესაც მან განვითარებული პრეინდუსტრიული ცივილიზაციები და ინდუსტრიული საზოგადოება, პრინციპში, ერთ სათაურში — „ორგანული სოლიდარობა" გააერთიანა, და როცა, ორგანული სოლიდარობის ფართო კატეგორიის, ან დამატებით შრომის დანაწილების ფარგლებში, ვერ შესძლო ამ შორსწასული განსხვავების სწორად ჩვენება. განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: ინდუსტრიულ საზოგადოებაში ტრეინინგის ძირითადი ნაწილი *ზოგადი* ტრეინინგია, რომელიც არ არის სპეციალურად დაკავშირებული კონკრეტული ადამიანის მაღალ სპეციალიზებულ პროფესიულ აქტივობასთან და *წინ უსწრებს* მას. იდუსტრიული საზოგადოება, უმეტეს კრიტერიუმთა მიხედვით, შეიძლება ყველაზე მეტად სპეციალიზებული საზოგადოებაც კი იყოს ოდესმე არსებულთა შორის, მაგრამ მისი საგანმანათლებლო სისტემა უდაოდ *უმცირესად* სპეციალიზებული და ყველაზე მეტად უნივერსალურად სტანდარტიზებულია ოდესმე არსებულთა შორის. ბავშვების და მოზრდილების უმრავლესობა საოცრად გვიან ასაკამდე იღებს ერთსა და იმავე წვრთნასა თუ განათლებას.

სპეციალიზებული სკოლები, მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესის ბოლოს ხდება პრესტიჟული, ისიც მაშინ, თუ ისინი წინა არასპეციალიზებული განათლების შეჯამებას წარმოადგენენ. სპეციალიზებული სკოლები თავიდანვე, ადრეული ასაკის მოსწავლეთათვის პრესტიჟული არ არის.

ეს პარადოქსია თუ წინა პერიოდის ერთ-ერთი არალოგიკური გადმონაშთი? მათ, ვინც უმაღლეს განათლებაში „ჯენტლმენურობას" ან პრივილეგირებული კლასის ელემენტებს ამჩნევენ, ხანდახან ასეც შეიძლება იფიქრონ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი წესი და ჩვევა, რომელიც თან სდევს უმაღლეს განათლებას, შეიძლება მართლაც არარელევანტური და გადმონაშთი იყოს, მთავარი ფაქტი — ზოგადი, არასპეციალიზებული ტრეინინგის მნიშვნელობა და საყოველთაობა — უკავშირდება მაღალ სპეციალიზებულ ინდუსტრიულ საზოგადოებას არა როგორც პარადოქსი, არამედ, როგორც შესაფერისი და აუცილებელი. სპეციალიზაციის ტიპი, რომელიც არსებობს ინდუსტრიულ საზოგადოებაში, სწორედ არასპეციალიზებული და სტანდარტული ტრეინინგის ზოგად საფუძველზეა დამყარებული.

თანამედროვე არმიის ახალწვეულები, თავიდან ერთად იღებენ მონაწილეობას საერთო წვრთნაში, კურსით, რომლის შედეგადაც უნდა დაეუფლონ და შეისწავლონ ის ძირითადი წესები, რიტუალები და უნარ-ჩვევები, რომლებიც საერთოა ზოგადად არმიისათვის; და ახალწვეულები მხოლოდ ამის შემდეგ გაივლიან უფრო სპეციალიზებულ ტრეინინგს. იგულისხმება და იმედოვნებენ, რომ ყოველი კარგად მომზადებული ახალწვეული შეიძლება ერთი სპეციალობიდან მეორეზე ბევრი დროის დაკარგვის გარეშე გადამზადდეს, რა თქმა უნდა, რამოდენიმე შედარებით მცირერიცხოვანი, ძალიან კარგად გაწვრთნილი სპეციალისტის გარდა. ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, თანამედროვე საზოგადოება მეტ-ნაკლებად თანამედროვე არმიის მსგავსია. მოითხოვს რა გარკვეულ საერთო კვალიფიკაციებს, ის გულისხმობს საკმაოდ ხანგრძლივ და საფუძვლიან ტრეინინგს; ყველა მისი ახალი წევრისათვის ელემენტარულ სამუშაო ჩვევებს და სოციალურ უნარს, წერა-კითხვის, მარტივი არითმეტიკის და ძირითადი ტექნიკური და სოციალური ჩვევების ცოდნას. მოსახლეობის უმრავლესობისათვის განსხვავებული უნარების ცოდნა, ის რასაც სამუშაო ცხოვრება შეიცავს, ეფუძნება დაწყებით ტრეინინგს ან სამსახურს მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის დამატებითი ტრეინინგით. შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი, ვინც მთელი მოსახლეობისთვის საერთო ზოგადი წვრთნა დაასრულა, სხვა სამუშაოთა უმეტესობისათვის შეიძლება ბევრი სირთულის გარეშე გადამზადდეს. ზოგადად რომ ითქვას, ის დამატებითი უნარ-

ჩვევები, რომლებიც მოითხოვება ხოლმე, არის ცოტაოდენი სპეციალური ხერხები, რომლებიც ძალიან მალე შეიძლება ადამიანმა ისწავლოს, პლუს „გამოცდილება“, გარემოსთან მეტნაკლები სიახლოვე, სუბიექტის პიროვნული თვისებები და მისი მოქმედებების მანერა. ამის მიღწევამ შეიძლება ცოტა დრო წაიღოს, და ის ხანდახან ცოტაოდენი „ჩაწყობის“ მისტიკითაცაა გამყარებული, მაგრამ, რეალურად, იშვიათად ითხოვს ძალიან ბევრს. არსებობს ასევე ნამდვილი სპეციალისტების უმცირესობა — ადამიანები, ვის მიერ დაკავებული თანამდებობებიც ნამდვილად დამოკიდებულია მეტად ხანგრძლივ დამატებით წვრთნაზე და რომელთა შეცვლაც ვინმე ისეთით, ვისაც არა აქვს მათი მსგავსი სპეციალური განათლების საფუძველი და ტალანტი, არ არის ადვილი, ან სულაც შეუძლებელია.

წერა-კითხვის საყოველთაო ცოდნის და განათლების უფლების იდეალი თანამედროვე ღირებულებათა პანთეონის კარგად ცნობილი ნაწილია. მას პატივისცემით იხსენიებენ სახელმწიფო მოხელეები და პოლიტიკოსები, ის ჩადებულია უფლებათა დეკლარაციებში, კონსტიტუციებში, პარტიულ პროგრამებში და ა.შ. და არაფერი ამაში არაჩვეულებრივი არ არის. იგივე შეიძლება ითქვას, როცა საქმე წარმომადგენლობით ან არჩევით მთავრობებს, თავისუფალ არჩევნებს, დამოუკიდებელ სასამართლოს, სიტყვის და შეკრების თავისუფლებას და სხვა ამისთანებს ეხება. სამყაროს ბევრ ნაწილში ამ შესანიშნავ ღირებულებათა უმეტესობა ხშირად და სისტემატურად არის იგნორირებული, ისე რომ არავინ ყურსაც არ იბერტყავს. ხშირად, უფრო უსაფრთხოა ამ ფრაზების ცარიელ სიტყვებად აღქმა. ხშირ შემთხვევაში, კონსტიტუციები, რომლებიც სიტყვისა და არჩევნების თავისუფლების გარანტს უნდა წარმოადგენდნენ, ისევე არიან ინფორმირებულნი იმ საზოგადოების შესახებ, რომლებსაც ისინი რაღაც შემთხვევის გამო განსაზღვრავენ, როგორც კაცი, რომელიც „დილა მშვიდობისას“ ამბობს, ინფორმირებულია მოსალოდნელი ამინდის შესახებ. ეს ყველასთვის კარგადაა ცნობილი. უნივერსალური და ცენტრალურად გარანტირებული განათლების პრინციპთან დაკავშირებით, უდაოდ საინტერესოა და აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ იდეალს პატივს უფრო მიაგებენ, ვიდრე ასრულებენ. ამით ის ფაქტობრივად ერთადერთია თანამედროვე იდეალებს შორის. და ამიტომ ეს განსაკუთრებულობა უნდა აიხსნას: პროფ. როლანდ დორი ძლიერ აკრიტიკებდა განვითარებად საზოგადოებებში ფორმალური ქაღალდების გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭების ტენდენციას,[1] რომელიც თავს განსაკუთრებულად განვითარებად ქვეყნებში იჩენს. მაგრამ მე მგონი იგი კარგად ვერ ხედავდა იმ მოვლენის ღრმა ფესვებს, რასაც ის „დიპლომების ეპიდემიას“ უწოდებდა. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც უნარ-ჩვევების არაფორმალურ, ინტიმურ გადაცემას აღარ აღიარებს, რადგან სოციალური სტრუქტურები, რომლებშიც ასეთ გადაცემას შეიძლება ემუშავა, აღარ არსებობს. შესაბამისად ცოდნის ერთადერთი ტიპი, რომელსაც ჩვენ პატივს ვცემთ, არის ის, რაც მიუკერძოებლად ჩატარებული გამოცდების საფუძველზე მოწმდება. ასე რომ, ჩვენ განწირულნი ვართ ამ ეპიდემიისთვის.

ყველაფერ ამას მივყევართ იქითკენ, რომ განათლების ტიპი, რომელიც აღიწერა, როგორც უნივერსალური, სტანდარტიზებული და საერთო, *ნამდვილად* თამაშობს მნიშვნელოვან როლს თანამედროვე საზოგადოების ეფექტურ მუშაობაში და მას არა მხოლოდ ლოზუნგისა და თვითრეკლამის ფუნქცია აკისრია. ეს მართლაც ასეა. ამ როლის გასაგებად ერთ ნათქვამს მარქსსაც დავესესხები, თუმცა მთლიანად იმ აზრით არა, რომლითაც ის მას იყენებდა: უნდა გავითვალისწინოთ არა იმდენად თანამედროვე საზოგადოების წარმოების მიღწევები, არამედ უპირველეს ყოვლისა, მისი კვლავწარმოების მოდუსი.

სოციალური გენეტიკა

სოციალური ინდივიდების და ჯგუფების რეპროდუქცია შეიძლება მიმდინარეობდეს „ერთი-ერთზე“ პრინციპით, ანდა იმ გზით, რასაც შეიძლება „ცენტრალიზებული მეთოდი“ დაერქვას. რა თქმა უნდა, არსებობს ამ მიზნის შესრულების ბევრი შერეული და გაშუალებული გზა, მაგრამ მათი განხილვა უფრო გასაგები გახდება ამ ორი ექსტრემალური, ერთმანეთის პოლარული შესაძლებლობების განხილვით.

„ერთი-ერთზე“, მეთოდი მუშაობს, როცა ოჯახი, ნათესაური კლანი, სოფელი, ტომობრივი უჯრედი, ან მსგავსი მცირე ერთეული იღებს რა მათ შორის დაბადებულ ბავშვებს, ნებას აძლევს და ავალდებულებს მათ მონაწილეობა მიიღონ თემობრივ ცხოვრებაში, იყენებს ცოტ-ცოტა სპეციფიკურ მეთოდებს, წვრთნას, ვარჯიშებს, დარიგებებს, *rites de passage* და ა.შ. ფაქტობრივად, ამ ბავშვებს

[1] Ronald Dore, The Diploma Disease, London, 1976. ადრეულ პერიოდში დამწერლობის სოციალური გამოვლინენების შესახებ იხ: Jack Goody (ed.(, Literacy in Traditional Societies, Cambridge, 1968.

წინა თაობის მსგავს მოზრდილებად აქცევს. ამით საზოგადოება აგრძელებს საკუთარ თავს.

რეპროდუქციის „ცენტრალიზებული მეთოდი“ არის ის, რომელშიც ლოკალური მეთოდი მნიშვნელოვნადაა გართულებული (ექსტრემალურ შემთხვევებში კი სრულიად შეცვლილია) ლოკალური ერთეულებისგან განსხვავებული საგანმანათლებლო ან საწვრთნელი ორგანოებით, რომლებიც თავის თავზე იღებენ გარკვეული ახალგაზრდების მომზადებას და შემდეგ, თავ-თავისი როლის შესასრულებლად უბრუნებენ ფართო საზოგადოებას. ამ სისტემის ექსტრემალურმა ვერსიამ თავის სრულყოფილებისა და ეფექტურობის მაღალ ხარისხს ოტომანთა იმპერიაში მიაღწია, როცა ომისა და ადმინისტრაციული საქმეების საწარმოებლად დევშირმების და იანიჩარების რიგების შესავსებად, ჩვეულებრივ, დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობიდან ხარკის სახით წაყვანილ ჭაბუკებს ან სულაც ნაყიდ მონებს ამზადდებდნენ. ზემოთ ნახსენები სისტემის ნაკლებად ტოტალური ვერსია იყო და ნაწილობრივ დღემდეა შემორჩენილი ბრიტანულ არისტოკრატიაში, რაც დახურული პანსიონების მიმართ მათ ნდობაში გამოიხატება. გარკვეულ შემთხვევებში, ამ სისტემის ვარიანტები შეიძლება აღმოჩნდეს მარტივ წინარედამწერლობით აგრარულ საზოგადოებაშიც.

საზოგადოებები, რომლებიც შედგებიან ქვესაზოგადოებებისგან, შეიძლება დაიყოს ორ ტიპად: ერთი — რომელშიც ქვესაზოგადოებებს, აუცილებლობის შემთხვევაში, საზოგადოების დანარჩენი ნაწილის დახმარების გარეშე საკუთარი თავის რეპროდუქცია შეუძლიათ, და მეორე — რომელშიც ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთშევსება ისეთია, რომ ისინი საკუთარი თავის კვლავწარმოებას დამოუკიდებლად ვერ მოახდენენ. ზოგადად რომ ვთქვათ, აგრარული საზოგადოების სეგმენტებს და სოფლის კომუნებს დამოუკიდებლად *შეუძლია* თავის თავის კვლავწარმოება. სეგმენტური საზოგადოების ანთროპოლოგიური ცნება ზუსტად ამ იდეას შეიცავს: „სეგმენტი“ არის დიდი საზოგადოების შედარებით პატარა ვარიანტი და მას შეუძლია უფრო მცირე საფეხურზე გააკეთოს ის, რაც დიდი გაერთიანების მიერ გაკეთდა.

უფრო მეტიც, შეიძლება განვასხვავოთ ეკონომიკური და საგანმანათლებლო დამოუკიდებლობა თვითკვლავწარმოების უნარის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, აგრარული საზოგადოების მმართველი ფენა დამოკიდებულია დანარჩენი საზოგადოების მიერ წარმოებულ ჭარბ ნაწარმზე, მაგრამ მათ მიუხედავად ამისა, შეუძლიათ განათლების თვალსაზრისით საკმაოდ თვითკმარნი იყვნენ. არათვითკმარობის სხვადასხვა ტიპები, შეიძლება ასევე

დაბადოს სოციალურმა წესებმა, რომელიც მოსახლეობას უცხოელ სპეციალისტებზე ან ცოლების გარედან მოყვანაზე დამოკიდებულად აქცევს. მაგრამ ჩვენ ამჯერად საქმე გვაქვს ჯგუფური კვლავწარმოების საგანმანათლებლო და არა ეკონომიკურ შესაძლებლობებთან. არსებობს ჯგუფური რეპროდუქციის რთული შერეული და გაშუალებული ფორმები: როდესაც ლორდები თავის შვილებს მონარქების კარზე გარკვეული მომზადების გასავლელად ნახევრად მძევლებად აგზავნიან, როდესაც ხელოსნები შეგირდებად არა მხოლოდ თავის შთამომავლებს, არამედ უცხოსაც იყვანენ და ა.შ. აშკარად ამგვარი შერეული სისტემის გამოხატვაა.

საზოგადოდ, სიტუაცია აგრარულ საზოგადოებაში ასეთი უნდა ყოფილიყო: მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, ალბათ თვითკვლავწარმოების შემძლე ერთეულებს ეკუთვნოდა; ისეთებს, რომლებშიც, განათლების სპეციალისტისთვის მიუმართავად, წარმატებით და ეფექტურად ამზადებდნენ თავიანთ ახალგაზრდებს იმ სამუშაოებისთვის, რაც მათი ცხოვრების ძირითადი საქმის განუყოფელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ეს საზოგადოება, ასევე, შეიცავდა მთლიანად საგანმანათლებლო საქმიანობით დაკავებული ხალხის ერთ ან მეტ ფენას, რომლებიც საკუთარი თავის კვლავწარმოებას შეგირდების მომზადებით ახდენდნენ; და თანაც, საჭიროების შემთხვევაში, დანარჩენებსაც უწევდნენ გარკვეულ მომსახურებას: რიტუალურს, თერაპიულს, დამრიგებლურს, ბიუროკრატიულს და ა.შ. კარგი იქნებოდა განგვესხვავებინა „ერთი-ერთზე“ შიდა თემური წვრთნა, რომელსაც პირობითად „აკულტურაციას“ დავარქმევდით და სპეციალური ეგზოტრეინინგი (ეგზოგამიის ანალოგიით), რომელიც გარკვეულ უნარჩვევებს საჭიროებს, რომელიც თემში არ მოიპოვება და მისთვის საკუთრივ განათლება გვეწოდებინა.

დამწერლობით აგრარულ საზოგადოებაში ძალიან მნიშვნელოვანია კლერკების ფენა, მათ იციან წერა-კითხვა და მისი გავრცელებაც შეუძლიათ. ისინი საზოგადოებაში სპეციალისტთა ერთ-ერთ კლასს ქმნიან. მათ უფლება აქვთ ჩამოაყალიბონ, ან არ ჩამოაყალიბონ გილდია, ან გაერთიანდნენ ორგანიზაციად. ზოგადად რომ ვთქვათ, დამწერლობა სცდება წმინდად ტექნიკური ჩაწერის საზღვრებს და მორალურ და თეოლოგიურ მნიშვნელობას იძენს, კლერკობა და კლერიკალობა უკვე გრაფოტექნიკოსობაზე გაცილებით მეტს ნიშნავს. ნაწერი უბრალოდ დაწერილი ფრაზა არ არის, რაც დაწერილია — ის ღირებულია, მნიშვნელოვანია; აგრარულ საზოგადოებაში დაწერილ ტექსტთა შორის საკრალური აშკარად სჭარბობს პროფანულს, ისე რომ მწერლები და მკითხველები (ანუ ის ვინც იცის წერა და კითხვა) არიან სპეციალისტები და უფრო მეტნი, ვიდრე ჩვეულებრივი სპეცია-

ლისტები; ისინი არიან საზოგადოების წევრებიც და ამავდროულად თავს საზოგადოების ნების გამომხატველებად აცხადებენ. მათი სპეციალობა *უფრო მეტს* ეუბნება გარშემო მყოფთ, ვთქვათ, ვიდრე ხუროს, მეთუნის ან ნებისმიერი სხვა სპეციალობა.

ამ ტიპის საზოგადოებაში, სპეციალისტებს ხშირად, შიშითა და ზიზღითაც კი უყურებენ. სასულიერო პირებს შეიძლება ამბივალენტურად შევხედოთ, მაგრამ მათი მდგომარეობა საზოგადოებაში ძირითადად მაღალია. ისინი არიან სპეციალისტებიც და საზოგადოების ნაწილნიც და, გარდა ამისა, მათ საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის პრეტენზიაც აქვთ. ისინი გაჩენისთანავე პარადოქსულ სიტუაციაში ხვდებიან. აქ შეიძლება ერთი ლოგიკური პარადოქსი გავიხსენოთ: სოფელში ყველა მამაკაცი შეიძლება ორად დაიყოს: 1. ვინც პირს თითონ იპარსავს და 2. ვისაც დალაქი ემსახურება. მაგრამ დალაქი თავად იპარსავს პირს თუ მას სხვა დალაქი ემსახურება? მოდით, ეს შეკითხვა ლოგიკოსებს დავუტოვოთ. თუმცა, სასულიერო პირები რაღაცნაირად დალაქის სიტუაციაში არიან. ისინი კვლავაწარმოებენ თავიანთ გილდიებს ახალმოსულების წვრთნით, მაგრამ ამავდროულად, დანარჩენი საზოგადოების წევრებსაც ასწავლიან ცოტაოდენს და ცოტათი ემსახურებიან კიდეც მათ. ასე რომ, იპარსავენ თუ არა კლერიკალები თითონ პირს? სირთულე (და ეს სირთულე მხოლოდ ლოგიკური ხასიათის არ არის) თავად მათშია და ეს პრობლემა არ არის ადვილად დასაძლევი.

თანამედროვე საზოგადოება ამ თავსატეხს გადაწყვეტს იმით, რომ ის *ყველას* „სწავლულებად" აქცევს, ამ პოტენციურად უნივერსალური კლასის აქტუალურად გადაქცევით, იმის გარანტირებით, რომ ის, გამონაკლისების გარეშე, ყველას შეეხება, იმით, რომ დაწყებითი ეგზოგანათლება უნივერსალური ნორმა ხდება და შესაბამისად, კულტურულ კონტექსტში რომ ვთქვათ, პირს თითონ არავინ გაიპარსავს. ჩვენს დროში არცერთ საზოგადოებას არ შეუძლია საკუთარი თავის კვლავწარმოება თუ მას თავისი ზომის შესაფერისი დამოუკიდებელი საგანმანათლებლო სისტემის შენახვის საშუალება არა აქვს. თავიდან ბოლომდე სოციალიზებული ინდივიდების კვლავწარმოება თავისთავად სამუშაოს განაწილების ნაწილი ხდება და მას ქვედაჯგუფებები საკუთარი თავისთვის აღარ ასრულებენ.

დაახლოებით ეს არის ის, რასაც თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებას ვუწოდებთ. მაგრამ რატომ *უნდა* ხდებოდეს ასე? რა ძალა წარმართავს მათ ამ მიმართულებით? კვლავ ძველ კითხვას დავუბრუნდეთ: რატომ არის წერა-კითხვის ცოდნის და განათლების იდეალი ამგვარი არატიპიური სერიოზულობით აღქმული?

ამ შეკითხვას ნაწილობრივ პასუხი უკვე გავეცით, როდესაც პროფესიულ მობილურობასა და შრომის დანაწილების სწრაფ, არასტაბილურ ცვალებადობაზე ვსაუბრობდით. საზოგადოება, რომლის მოცემული პოლიტიკური სისტემა, კოსმოლოგია და მორალური წესრიგი ბოლო ანალიზების მიხედვით ნამდვილად ეკონომიკურ წინსვლაზე და „მოქრთამვის ფონდის" უნივერსალურ *ზრდაზე* და მოთხოვნილებათა მარადიული დაკმაყოფილების იმედზეა დაფუძნებული, საზოგადოება, რომლის ლეგიტიმურობაც ამ მოლოდინის შენარჩუნებასა და დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული, იმავდროულად მუდმივი ინოვაციისა და ცვალებადი პროფესიული სტრუქტურისთვისაა განწირული. აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანები თავიანთი ცხოვრების მანძილზე, მით უმეტეს თაობათა ცვლის განმავლობაში, მზად უნდა იყვნენ ახალ-ახალი ამოცანების შესრულებისათვის. აქედან ნაწილობრივ გამომდინარეობს ისიც, რომ ზოგადი წვრთნა მნიშვნელოვანია, და აგრეთვე ისიც, რომ სამუშაოთა უმრავლესობას სჭირდება დამატებითი წვრთნა და თანაც, მისი მიღება შეიძლება ზოგადი მომზადების მქონეთათვის სრულიად გასაგებ ენაზე დაწერილ სახელმძღვანელოებით (რადგან ოდნავ მეტი იშვიათად თუ შეიცავს ბევრს. ყველასათვის საზიარო და შესაბამისად ყოვლისმომცველი საერთო საფუძველი, დროდადრო შედარებით მაღალ საფეხურზე აიყვანება და გამოიყენება კიდეც. ეს საფეხური მაღალია არა აგრარული საზოგადოების ინტელექტუალურ მწვერვალებთან, არამედ მის საშუალო დონესთან შედარებით).

მაგრამ საქმე მხოლოდ მობილურობასა და პროფესიულ ცვალებადობაში არ არის, არამედ უმეტეს პროფესიათა აქტივობის *შინაარსშიც* მდგომარეობს. მუშაობა ინდუსტრიულ საზოგადოებაში არ ნიშნავს რაღაც საგნის ამოძრავებას, მუშაობის პარადიგმა აღარ არის ხვნა, თესვა, მეწისქვილეობა. მუშაობა ზოგადად არის არა საგნებით, არამედ მნიშვნელობებით მანიპულირება. ის ზოგადად კომუნიკაციების ურთიერთგაცვლას ან მანქანით მანიპულაციას გულისხმობს. იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ბუნების წიაღში იყენებენ ფიზიკურ ძალას ნატურალური ობიექტების მიმართ ძალიან მცირდება. სამუშაოთა უმრავლესობა, თუ ის უშუალოდ ადამიანებთან აქტიურ მუშაობაში არ გამოიხატება, ღილაკების, ჩასართავების ან პულტების კონტროლს გულისხმობს, რომელსაც სჭირდება *გაგება* და რომლებიც სტანდარტული წესების საშუალებით ყველასათვის ახსნადნი და გასაგებნი არიან.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად, გასაგები და ზუსტი კომუნიკაციები საზოგადოდ და საყოველთაოდ გამოიყენება და მნიშვნელოვანი ხდება. აგრარული ან ტომობრივი სამყაროს დახურულ ლოკალურ ერთეულებში, როდესაც საქმე კომუნი-

კაციას ეხებოდა, გადამწყვეტი კონტექსტი, ტონი, ჟესტი, პერსონალურობა და სიტუაცია იყო. ადრე კომუნიკაციები რაიმე სიზუსტის გარეშე ხდებოდა, ფორმულირებები მოსამართლეებს, თეოლოგებს, რიტუალის სპეციალისტებს ეკუთვნოდათ და მათი მისტერიების ნაწილი იყო. დახურული კომუნის წევრებში სიზუსტე პედანტურობად და აგრესიულობად ჩაითვლებოდა და ძნელად წარმოსადგენი და გასაგები იქნებოდა.

ენის გამოყენება თაობების მანძილზე ადამიანთა ძალიან მცირე ჯგუფის მიერ ინტიმურ, დახურულ და ვიწრო ინტერესების მქონე დაჯგუფებებში ხდებოდა; მასწავლებლებმა, იურისტებმა და სხვადასხვა ჯურის აბსტრაქტულად მოაზროვნე პურისტებმა მისი გამოყენება არც ისე დიდ ხანია რაც დაიწყეს. საკმაოდ უცნაური ფაქტია, რომ ისეთ ინსტიტუტს, როგორიც ენაა, ჰქონდა ისეთი პოტენცია, რომ გამოყენებულიყო როგორც „შემუშავებული კოდი" (როგორც ამას ბაზილ ბერნშტეინი ამბობდა), ანუ ფორმალური და კონტექსტისგან თავისუფალი ინსტრუმენტი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ის განვითარდა იმ გარემოში, რომელიც ასეთ განვითარებას არაფრით არ უწყობდა ხელს, განსაკუთრებით კი, მაშინ, როცა ის თავისი თავის წარმოჩენას შეეცდებოდა ხოლმე. ეს თავსატეხი დგას ისეთი პრობლემების გვერდით, როგორიცაა სხვადასხვა ნიჭის წარმოშობა (მაგალითად, მათემატიკური ნიჭი), რომლის არსებობაც კაცობრიობის ისტორიის უმეტესი პერიოდისთვის თავის გადარჩენისათვის აუცილებელ ღირებულებას არ წარმოადგენდა და შესაბამისად ის ვერანაირად ვერ წარმოიშობოდა ნატურალური სელექციის გზით. ფორმალური, კონტექსტისგან თავისუფალი გამოყენებისათვის გამოსადეგი ენის წარმოშობაც, ასეთსავე თავსატეხს წარმოადგენს; თუმცა იმავდროულად, იგი უდაო ფაქტიცაა. ეს პოტენციურობა, როგორიც არ უნდა იყოს მისი წარმომავლობა და ახსნა, თავადვე ენაში მდგომარეობს და ხდება. საბოლოოდ ჩამოყალიბდა საზოგადოების ტიპი — და ის თანდათან გლობალურდება — რომელშიც ეს პოტენციური შესაძლებლობა აქტიურდება, დომინანტად იქცევა და აუცილებელი ხდება.

ახლა არგუმენტები შევაჯამოთ: ინდუსტრიული საზოგადოება წარმოიშვა მაღალი ტექნოლოგიის და განუხრელი ზრდის მოლოდინის ბაზაზე, რომელიც მოითხოვს ორივეს: მობილურ შრომის დანაწილებასაც და უცნობ ადამიანებს შორის მყარ, ხშირ და ზუსტ კომუნიკაციას, აზრების სხარტი გაზიარების ჩათვლით, რომლებიც გადმოცემულნი იქნებიან სტანდარტულ იდიომებში, მოთხოვნის შემთხვევაში კი — წერილობითად. ერთდროულად არსებული მიზეზების გამო, ეს საზოგადოება უნდა იყოს აბსოლუტურად ეგზოგანმანათლებლური, სადაც ყოველ ინდივიდს წვრთნიან

სპეციალისტები და არა მხოლოდ ის ლოკალური ჯგუფი, რომლის წევრიც თვითონ არის, თუ ასეთი მას საერთოდ გააჩნია. მისი სეგმენტები და ერთეულები — ეს საზოგადოება ყოველთვის დიდი და მოძრავია და ტრადიციულ აგრარულ საზოგადოებასთან შედარებით ძალიან მოკლევადიანი მყარი სტრუქტურები გააჩნია — უბრალოდ არ ქმნის შესაძლებლობებს ან რესურსებს თავისი საკუთარი პერსონალის რეპროდუქციისათვის. საშუალო ფენაში წერა-კითხვის, ტექნიკური კომპეტენტურობის უკვე სტანდარტულად ქცეული დონე, რომელიც საზოგადოების წევრებისაგან მოითხოვება, თუ მათ უნდათ რომ სრულყოფილ მოქალაქეებად იქცნენ, იმდენად გაიზარდა, რომ მას ნათესაური ან ლოკალური ჯგუფები უბრალოდ ვეღარ უზრუნველყოფენ. მისი უზრუნველყოფა მხოლოდ რაღაც თანამედროვე „ნაციონალური" საგანმანათლებლო სისტემით შეიძლება; პირამიდით, რომლის საფუძველიც საშუალო სკოლებში ნასწავლი მასწავლებლებით დაკომპლექტებული დაწყებითი სკოლებია, საშუალო სკოლებში უნივერსტეტდამთავრებულები ასწავლიან, უმაღლესი სასწავლებლები კი თავის მხრივ, უფრო მაღალი კატეგორიის, მაგალითად ასპირანტურის კურსდამთავრებულებით კომპლექტებიან. სწორედ ასეთი პირამიდა უზრუნველყოფს სიცოცხლისუნარიან კრიტერიუმს პოლიტიკური გაერთიანების მინიმალური ზომისათვის. ერთეული, რომელიც ზედმეტად პატარაა იმისთვის, რომ ეს პირამიდა შექმნას, ვერ იფუნქციონირებს წესიერად: ეს მისი *მინიმალური* ზომის კრიტერიუმია. ამასთანავე არსებობს წინააღმდეგობები, რომლებიც პოლიტიკურ ერთეულებს ძალიან გაზრდის საშუალებას არ აძლევენ. მაგრამ ეს სხვა თემაა.

ის ფაქტი, რომ საზოგადოების ქვედაჯგუფებები აღარ არიან თვით-კვლავწარმოების შემძლენი, ის, რომ ცენტრალიზებული ეგზოგანათლება სავალდებულო ნორმაა, ის, რომ ასეთი განათლება, თუმცა ბოლომდე ვერა, მაგრამ მაინც ცვლის ლოკალურ კულტურას, თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური სოციოლოგიისათვის პირველადი მნიშვნელობის მქონეა; მაგრამ მისი ეს მნიშვნელობა ხშირად არ არის კარგად შეფასებული და გამოკვლეული. თანამედროვე საზოგადოების წყობის საფუძველზე ყალიბდება არა დამსჯელი, არამედ პროფესორი; ახლა გილიოტინა კი არა, სადოქტორო ხარისხია სახელმწიფო ძალაუფლების არსი, ძირითადი ხელსაწყო და სიმბოლო. კანონიერი განათლების მონოპოლია ახლა უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ცენტრალიზებული ხდება, ვიდრე კანონიერი ძალოვანი სტრუქტურების მონოპოლია. როცა ამას გავიაზრებთ, მაშინ გასაგები ხდება, რომ ნაციონალიზმის იმპერატივი, მისი ფესვები, არა ადამიანის ბუნებაში, არამედ ახლადგავრცელებულ სოციალურ წესრიგში მდგომა-

რეობს.

საყოველთაო, და თუნდაც, მეცნიერებაში გავრცელებული რწმენის საპირისპიროდ, ნაციონალიზმს ღრმა ფესვები გადგმული არა აქვს ადამიანის ცნობიერებაში. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ადამიანის ცნობიერება უცვლელი რჩებოდა დიდხანს, მრავალი ათასწლეულის მანძილზე და ის უკეთესი ან უარესი არ გამხდარა ნაციონალიზმის შედარებით მოკლე ახალ ხანაში. ამ სპეციფიკური ფენომენის ასახსნელად ზოგადი სუბსტრატის მოძებნა არავის შეუძლია. ზოგად სუბსტრატს ძალიან ბევრი გარეგნული გამოვლინება აქვს. ნაციონალიზმი - ადამიანთა ჯგუფების დიდ, ცენტრალიზებულად განათლებულ, ერთგვაროვან ერთეულებში ორგანიზება — ერთ-ერთი და არა ერთადერთი მათგანია, თუმცა, განსაკუთრებული. ამის კარგად გასაგებად გადამწყვეტი მისი სპეციფიკური საფუძვლების გამოვლენაა. მისი ახსნა მხოლოდ ამ საფუძვლებს შეუძლიათ. ასე ედებიან სპეციფიკური ფაქტორები ერთიან, საერთო საკაცობრიო სუბსტრატს.

ინდუსტრიული საზოგადოების განსხვავებულ სტრუქტურულ მოთხოვნებში ნაციონალიზმის ძირები, მართლაც, ძალიან ღრმაა. ეს მომენტი არ არის არც იდეოლოგიური დაბნეულობის, არც ემოციური სიჭარბის ბრალი. თუმცა თითქმის ყველა, ვინც მასში მონაწილეობს, როგორც წესი, ვერ აცნობიერებს იმის არსს, რასაც აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა სხვა არაფერია, თუ არა კულტურასა და სახელმწიფოს შორის ღრმა ურთიერთდარეგულირების გარეგანი გამოხატვა, რაც შეიძლება ითქვას, რომ გარდაუვალია.

უნივერსალური მაღალი კულტურის ხანა

ერთხელაც ჩამოვთვალოთ ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი მახასიათებლები: წერა-კითხვის საყოველთაო გავრცელება, ტექნიკურ-არითმეტიკული და ზოგადი ცოდნის მაღალი დონე მის ფუნქციურ წინაპირობებს შორისაა. ამ საზოგადოების წევრებს მობილობა მოეთხოვებათ, ისინი მუდამ მზად უნდა იყვნენ ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელად. ისინი საერთო ელემენტალურ განათლებას უნდა ფლობდნენ, რომელიც მათ ახალი მოვალეობების შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და ინსტრუქციების დაუფლების საშუალებას მისცემს. მუშაობისას მათ ბევრ უცნობ ადამიანთან კონტაქტების დამყარების უნარი მოეთხოვებათ. ეს კონტაქტები უნდა იყოს ზუსტი და არა კონტექსტზე დამყარებული. ამასთანავე, მათ უნდა შესძლონ არაპერსონალური, კონტექსტისაგან თავისუფალი წერილობითი

გზავნილებით ურთიერთობა. შესაბამისად, ეს კომუნიკაციები ზოგადი, სტანდარტული ენობრივი საშუალებით უნდა სრულდებოდეს. სოციალური მიღწევების გარანტია — საგანმანათლებლო სისტემა — ფართოვდება და აუცილებელი ხდება, მაგრამ ამავე დროს ის „დაწერილი სიტყვის“ ერთადერთ მონოპოლისტად აღარ გვევლინება: ამ სისტემის წევრები საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები არიან და პიროვნებათა ურთიერთჩანაცვლების მექანიზი საგანმანათლებლო სისტემასაც ისევე, შესაძლებელია უფრო მეტადაც, ეხება, როგორც საზოგადოების სხვა ნებისმიერ სეგმენტს. შესაძლოა, მხოლოდ რამოდენიმე დიდი მეცნიერის ან ცნობილი პედაგოგის შეცვლა გახდეს რთული, დანარჩენ შემთხვევაში კი ნებისმიერი საშუალო დონის პროფესორისა თუ სკოლის მასწავლებლის სხვა ნებისმიერით ჩანაცვლება ადვილადაა შესაძლებელი.

რა როლს თამაშობს ყოველივე ეს საზოგადოებისა და მისი წევრებისათვის? როგორც წესი, დღეს ადამიანთა უმრავლესობის შემოსავალი, სტატუსი, უშიშროება და თავმოყვარეობა, მათსავე *განათლებაზეა* დამოკიდებული. იმ კულტურის საზღვრები, რომელშიც მათ განათლება მიიღეს, იმ სამყაროს საზღვრებს ემთხვევა, რომელშიც მათ საკუთარი თავის პროფესიონალური თუ მორალური თვალსაზრისით დაკმაყოფილება ძალუძთ. ადამიანისთვის განათლება მისი ყველაზე ძვირფასი ინვესტიციაა, და საბოლოოდ მას საკუთარ იდენტურობას ანიჭებს. ამის შესახებ რა აზრიც არ უნდა გააჩნდეს თანამედროვე ადამიანს, იგი არის არა მეფის, მიწის თუ რწმენის ერთგული, არამედ კულტურის. ეს დებულება რომ განვაზოგადოდ, შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე ადამიანი კასტრირებულია, და რომ მამლუქის მდგომარეობა საყოველთაო გახდა. თანამედროვე ადამიანს ნათესაურ ჯგუფებთან განსაკუთრებული აღარაფერი აკავშირებს. ასევე, ნათესაური ჯგუფები აღარ დგანან მასსა და კულტურით განსაზღვრულ ანონიმურ საზოგადოებას შორის.

მხოლოდ ის ფაქტიც კი, რომ ინდუსტრიულ ადამიანს სკოლის, და არა ხალხური გზით გადაცემული კულტურა ანიჭებს საზოგადოებისთვის აუცილებელი პიროვნების სტატუსს, და აქედან გამომდინარე, საკუთარი თავის პატივისცემის უნარს, ნიშნავს, რომ სკოლას სხვა ვერაფერი შესცვლის. უაზრობა იქნებოდა თავი მოგვეტყუებინა, თითქოს წარმომავლობა, სიმდიდრე და გარკვეული კავშირები თანამედროვე საზოგადოებისათვის უმნიშვნელოა, და რომ ასეთი მდგომარეობა მათი მფლობელებისათვის სიამაყის წყაროს არ წარმოადგენს. თუმცა ასეთი გზით მოპოვებულ პრივილეგიებს დღეს აფიშირებას აღარავინ უკეთებს და თანაც მისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია.

საინტერესო იქნებოდა ასეთი კითხვის დასმა: ამ ვითარების მიზეზი შრომის ეთიკის გავრცელებაა, თუ პირიქით, იგი მხოლოდ მის ანარეკლს წარმოადგენს? უსაქმური მედროვეები და რანტიეები ჩვენს დროში, რა თქმა უნდა, ისევ არსებობენ, მაგრამ ისინი განსაკუთრებით თვალშისაცემნი აღარ არიან, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პრივილეგიები და უსაქმურობა დღეს უფრო შენიღბულია, და მათი აღმოჩენა მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვინც შეფარული უთანასწორობების აღმოჩენას სპეციალურ მიზნად დაისახავს.

წარსულში სულ სხვა მოვლენებთან გვქონდა საქმე: იმ დროს არისტოკრატული პრივილეგია საამაყოც კი იყო, მსგავსად, იმ დღესაც შემორჩენილი აგრარული საზოგადოებისა ან საზოგადოებებისა, რომელიც პრეინდუსტრიული ცხოვრების წესის შენარჩუნებას უწყობს ხელს. საინტერესოა, რომ თვალშისაცემი ფლანგვის იდეა შრომისადმი განწყობილი საზოგადოების შრომაზე ორიენტირებული წევრის მიერ იქნა შემოტანილი: ტორსთენ ვებლენი[1] უარყოფდა იმას, რასაც იგი პრეინდუსტრიული, ველური ხანის გადმონაშთად აღიქვამდა. ინდუსტრიული საზოგადოების ეგალიტარული, მუშაობასა და კარიერაზე ორიენტირებული ზედაპირი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მისი არაეგალიტარული დაფარული სიღრმეები. მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრების დიდი ნაწილი მაინც ზედაპირზე მიედინება, მაშინაც კი, თუ საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ხანდახან სიღრმისეულ დონეებზე მიიღება.

გარკვეული აზრით, მასწავლებელთა კლასი ახლა უფრო მნიშვნელოვანია — ის შეუცვლელია — მაგრამ მეორე მხრივ, მათ წერილობით განხორციელებულ კულტურულ ღირებულებებთან მიახლოებაზე მონოპოლია დაკარგეს. საზოგადოებაში, სადაც ყველანი დანაწევრებულნი არიან საკუთარი პროფესიული ადგილისა და წვრთნის მიხედვით, სადაც, თითქმის ვერავინ იღებს მხარდაჭერასა თუ გარანტიებს ნათესაური კავშირებისაგან, მასწავლებელ-კლერკები რაიმე პრივილეგირებულ, მმართველ ადგილებზე რაიმე განსაკუთრებულ უფლებებს აღარ ფლობენ. როდესაც ყველა მამლუქი ხდება, მამლუქთა განსაკუთრებული კლასი ბიუროკრატიაში ვეღარ ბატონობს. ახლა უკვე, ბიუროკრატიული მმართველობის შევსება მოსახლეობის ფართო ფენიდან ხდება, თანაც, საშიშროება, რომ ყოველ ახალმოსულს

[1] ტორსტენ ვებლენი (1857-1929) - ამერიკელი ეკონომისტი და სოციოლოგი. მისი ყველაზე ცნობილი შრომაა „უქმად მყოფი კლასის თეორია" (1899). (მთარგმენლის შენიშვნა).

უამრავი ბიძაშვილ-მამიდაშვილი მოჰყვება, თითქმის ნოლამდეა დაყვანილი.

ეგზოსოციალიზაცია, ანუ განათლება, დღეს უნივერსალური სოციალური ნორმაა. ადამიანი დღეს ისეთ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იძენს, რომელიც მას საზოგადოებაში ადგილის დაკავების საშუალებას აძლევს, და რომელიც მას იმად ხდის, „რაც ის არის". ნათესაურმა ჯგუფმა (დღევანდელი გაგებით, ვიწრო ოჯახურმა წრემ), ეს ყოველივე საგანმანათლებლო მექანიზმს გადააბარა, ერთადერთ რამეს, რომელსაც ზოგადი კულტურული საფუძვლისათვის შესაბამის წვრთნაგავლილთა ფართო ჯაჭვის შექმნა შეუძლია. ეს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა დიდი, შეუცვლელი და ძვირია. როგორც ჩანს, მისი საარსებო საშუალების ფინანსირება საზოგადოებაში არსებულ უდიდეს და უმდიდრეს ორგანიზაციებსაც, ინდუსტრიულ კორპორაციებსაც კი არ შეუძლიათ. ასეთი ორგანიზაციები ხშირად უზრუნველყოფენ მათთან მომუშავეებს საცხოვრებელი პირობებით, სპორტული თუ გასართობი კლუბებით, მაგრამ (თუ რაიმე მარგინალურ სპეციფიკურ შემთხვევას არ გავითვალისწინებთ) სკოლით — თითქმის არასდროს. მსგავსი ორგანიზაციების პერსონალი მუშაობს და თავისუფალ დროსაც თავის ორგანიზაციაში ატარებს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მათი შვილები, მაინც სახელმწიფო ან არასახელმწიფო სკოლებში დადიან.

ასე რომ, ერთის მხრივ, საგანმანათლებლო სტრუქტურა მეტისმეტად დიდი და ძვირადღირებულია ყველა ორგანიზაციისთვის, გარდა ერთი ყველაზე დიდი ორგანიზაციისა, რომელსაც სახელმწიფო ჰქვია. მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია იტვირთოს ეს და მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება აკონტროლოს ეს უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ფუნქციის მატარებელი ინსტიტუტი. კულტურა უკვე აღარ არის სამკაული, სოციალური წესრიგის დაკანონება და დადასტურება, რომელიც უფრო უხეშ იძულებებზე და დავალდებულებებზეა აგებული. კულტურა ახლა საყოველთაოდ აუცილებელი საშუალებაა, მსგავსად საარტერიო სისხლისა ან თუნდაც ჰაერისა, რომლითაც მხოლოდ ამ საზოგადოების წევრებს შეუძლიათ სუნთქვა, გადარჩენა და გამრავლება. მოცემული საზოგადოებისათვის არსებობს ერთი სივრცე, სადაც *ყველას* შეუძლია სუნთქვა, ლაპარაკი და წარმოება. ეს *საერთო* კულტურა უნდა იყოს. უფრო მეტიც, ის ახლა დიდი და მაღალი (დამწერლობითი თუ სწავლებაზე აგებული) კულტურა უნდა იყოს და იგი შერეული, ლოკალური, დამწერლობის არმქონე კულტურა თუ ტრადიცია ვეღარ იქნება.

მაგრამ, რომელიმე ორგანიზმმა გარანტია მაინც უნდა მოგვცეს, რომ ეს დამწერლობითი და ერთიანი კულტურა მარ-

თლაც ეფექტურია და რომ მისი საგანმანათლებლო პროდუქცია მდარე ხარისხის არ არის. ამის გაკეთება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც საგანმანათლებლო მექანიზმის უმნიშვნელოვანესი ნაწილები კერძო ან რელიგიურ ორგანიზაციათა ხელშია, სახელმწიფო ამ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ინდუსტრიის პროდუქციის ხარისხზე — სიცოცხლისუნარიანი და გამოსადეგი ადამიანების შექმნაზე — კონტროლს მაინც ახორციელებს. იმ დროს, როდესაც ევროპული სახელმწიფოები დანაწევრებულნი იყვნენ და სოციალურად სუსტებად რჩებოდნენ, ჩრდილოვანმა სახელმწიფომ, ანუ ცენტრალიზებულმა ეკლესიამ განათლებაზე კონტროლის დამყარება სცადა; მაგრამ, მის მიერ ამ სფეროს მონოპოლიზაციის ყოველგვარი მცდელობა საბოლოოდ უშედეგო აღმოჩნდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკლესია ინკლუზიური მაღალი კულტურის შესაბამისად, ახალი ნაციონალისტური სახელმწიფოს ინტერესებისათვის ირიბად იბრძოდა.

არსებობდა დრო, როდესაც განათლება ძალიან მცირე ინდუსტრია იყო, როდესაც ადამიანს სოფელი ან კლანი ქმნიდა. ის დრო უკვე წავიდა, წავიდა სამუდამოდ (დღეს, განათლებაში, მცირე სტრუქტურა შეიძლება მიმზიდველი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეფარულად დიდზეა დამოკიდებული და პარაზიტულად მასზე ცხოვრობს). ეგზოსოციალიზაცია, ლოკალური, ინტიმური ერთეულების გარეთ ადამიანის წარმოება და კვლავწარმოება ახლა უკვე ნორმაა, და ეს ასეც უნდა იყოს. ეგზოსოციალიზაციის აუცილებლობა მთავარი პუნქტია იმ საკითხის გარკვევაში თუ რატომ *უნდა* იყოს სახელმწიფო და კულტურა აგრერიგად დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ წარსულში მათი კავშირები სუსტი, შემთხვევითი, ცვალებადი და ხშირად მინიმალურიც კი იყო. დღეს ეს კავშირი გარდაუვალია. ეს ნაციონალიზმის მახასიათებელია. ჩვენ სწორედ ამიტომ ვცხოვრობთ ნაციონალიზმის ხანაში.

4
ნაციონალიზმის ეპოქაში გადასვლა

ჩვენი მოსაზრების დასაბუთების გზაზე უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით. კაცობრიობა საბოლოოდ გაერთიანდა ინდუსტრიულ საზოგადოებად, ანუ საზოგადოებად, რომლის პროდუქტიული სისტემა კონცენტრირებულ მეცნიერებასა და ტექნოლოგიაზეა დამყარებული. მხოლოდ ეს ფაქტიც საკმარისი გარანტიაა ჩვენი პლანეტის მცხოვრებთა არსებული ან მოსალოდნელი რიცხვის შესანარჩუნებლად და იმ გარკვეული ცხოვრების სტანდარტის პერსპექტივის არსებობისათვის, რომელიც თანამედროვე ადამიანს მიეცა, ანდა სავარაუდოა, რომ მიეცემა. აგრარული საზოგადოება უკვე არჩევის საგანი აღარ არის, მისი აღდგენის შემთხვევაში კაცობრიობის უდიდესი ნაწილი უბრალოდ სიკვდილისთვის გაიწირება, აღარაფერი რომ არ ვთქვათ, შესაძლო გადარჩენილთა სავალალო მდგომარეობასა და ენით აუწერელ სიღარიბეზე. ასე რომ, პრაქტიკული მიზნებისათვის აგრარული ხანის კულტურული თუ პოლიტიკური მხარეების ავ-კარგიანობაზე საუბარი ფუჭია. ჩვენ კარგად არ გვესმის ინდუსტრიული საზოგადოების შესაძლებლობები და ალბათ ჯეროვნად ვერც ვერასდროს ჩავწვდებით მას: ჩვენ მხოლოდ მისი ზოგი ძირითადი მახასიათებელი ვიცით. ნაციონალიზმის მიერ მოთხოვნილი კულტურული ჰომოგენურობაც ერთ-ერთი მათგანია და უმჯობესია ამას შევეგუოთ. ნაციონალიზმი კი არ წარმოშობს ჰომოგენურობას, როგორც ამას ელი კედური[1] აცხადებს, არამედ ობიექტური, აუცილებელი იმპერატივის მიერ შექმნილი ჰომოგენურობა, ფაქტობრივად ნაციონალიზმის ფორმით გამოვლინდება.

კაცობრიობის უდიდესმა ნაწილმა ინდუსტრიულ ხანაში აგრარული ეპოქიდან შეაბიჯა (იმ უმნიშვნელო ნაწილის არსებობა, რომელიც ამ ხანაში პირდაპირ პრეაგრარული ფორმაციიდან შედის, არგუმენტზე არანაირად არ მოქმედებს). მაგრამ, მიუხედავად ამისა, აგრარული საზოგადოების სოციალური ორგანიზაცია ნაციონალიზმის პრინციპისთვის სრულიად მიუღებელია, პრინციპისათვის, რომელიც ყოველი კონკრეტული პოლიტიკური ერთეულის წიაღში სკოლის საშუალებით გამყარებული და გადაცემული

[1] Elie Kedourie, *Nationalism*, London, 1960

კულტურის არსებობაში მდგომარეობს. პირიქით, აგრარული კულტურა, ისე როგორც ეს შუა საუკუნეების ევროპაში ხდებოდა, რეალურად არსებულ კულტურულ საზღვრებზე ბევრად მეტ ან ბევრად მცირე პოლიტიკურ ერთეულებს წარმოშობს; მხოლოდ რაღაც შემთხვევის გამო შეიძლებოდა მას ისეთი დინასტიური სახელმწიფო წარმოეშვა, რომელშიც ეს ორი საზღვარი ენობრივად და კულტურულად ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად შესაბამებული იქნებოდა, როგორც ეს ევროპის ატლანტიკურ სანაპიროზე მოხდა (მანძილი მათ შორის მცირე არასდროს არ ყოფილა. კულტურა აგრარულ საზოგადოებაში ყოველთვის უფრო მრავალფეროვანი იყო, ვიდრე მისი შემცველი იმპერიები და უფრო ფართო, ვიდრე მისი დაცალკევებული სოციალური ერთეულები).

ჩვენი მოდელის მიხედვით, ინდუსტრიალიზმში გადასვლის პროცესი ნაციონალიზმის ხანასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული, მუდმივი გადაფასების პერიოდთან, სადაც პოლიტიკური და კულტურული საზღვრები შეიცვალნენ იმ ახალი ნაციონალისტური იმპერატივის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც პირველად საკუთარი თავის შეგრძნებას ახლა იწყებდა. ის, რომ საერთოდ მმართველები სიამოვნებით არ თმობენ საკუთარ ტერიტორიებს (და რომ პოლიტიკური საზღვრის ყოველი ცვალებადობა ვიღაცის დამარცხებას ნიშნავს), ის, რომ რომელიმე კულტურის შეცვლა ხშირად საკმაოდ მტკივნეული პროცესია, მით უფრო, რომ არსებობდნენ მოქიშპე კულტურები, რომლებიც ადამიანთა სულების მოსაპოვებლად იბრძოდნენ, ადამიანთა მისატყუებლად და ტერიტორიების დასაპყრობად მუდამ მზადმყოფი პოლიტიკური ძალაუფლების დაპირისპირებული ცენტრების მსგავსად, ნიშნავს, რომ გადასვლის ეს პერიოდი ძალადობით და კონფლიქტებით აღსავსე უნდა ყოფილიყო. არსებული ისტორიული ფაქტები სრულად ამყარებს ამ მოსაზრებას.

მიუხედავად ამისა, უმართებულო იქნებოდა კვლავ ასე გაგვეგრძელებინა მსჯელობა და ამ გზით აგრარულ საზოგადოებაში ნაციონალისტური იმპერატივის დანერგვისათვის საჭირო ქმედებების ნუსხა მარტივად შემოგვეხაზა. ინდუსტრიული საზოგადოების სცენაზე გამოჩენა ღვთაებრივი ჩარევის შედეგი როდია. ის თავად იყო ნაყოფი ერთ კერძო აგრარულ საზოგადოებაში მომხდარი განვითარებებისა და ეს განვითარებები არ იყო საკუთარ ტურბულენტობას მოკლებული. ეს განვითარება მშვიდობიანი არც მას შემდეგ გამხდარა, რაც მან მთელი მსოფლიო მოიცვა გლობალური კოლონიზაციისას და არც მას შემდეგ, რაც ინდუსტრიული მმართველობის ტალღებზე ამოზრდილმა ხალხმა მასზე მონოპოლია დაკარგა. ეს კი მიგვანიშნებს, რომ ნაციონალიზმის შედეგები რეალურ ისტორიაში ინდუსტრიალიზმის სხვა მონაპოვრებთანაა გაერთიანებული. მიუხედავად იმისა, რომ, ნაციონალიზმი მართლაც ინდუსტრიული სოციალური ორგანიზაციის შედეგია, ის *მხოლოდ* ამ ახალი სოციალური ფორმის დადგენის შედეგი არ არის და შესაბამისად აუცილებელია მისი გამოცალკევება ინდუსტრიული საზოგადოების ყველა სხვა მონაპოვრისაგან.

ამ პრობლემის ილუსტრირებისათვის, განსაკუთრებით ადვილია, რეფორმაციასა და ნაციონალიზმს შორის არსებულ ურთიერთობის ფონზე გავიხსენოთ რეფორმაციის აქცენტი დამწერლობასა და სკრიპტურალიზმზე, მისი გალაშქრება მონოპოლისტი სამღვდელოების წინააღმდეგ (რაც ვებერის თქმით, სამღვდელოების უნივერსალიზაცია უფროა, ვიდრე მისი განადგურება), მისი ინდივიდუალიზმი, კავშირები მობილურ ურბანულ პოპულაციასთან რეფორმაციას გარკვეული სოციალური თავისებურებების და ჩვევების წინაპირობად ხდის, რაც, ჩვენი მოდელის მიხედვით, ნაციონალიზმის ხანას წარმოშობს. პროტესტანტიზმის როლი ინდუსტრიული სამყაროს ჩამოყალიბებაში უზარმაზარი, რთული და მრავალი დავის წარმომშობი საკითხი გახლავთ. ჩვენ მისი უბრალო დამოწმების გარდა აღარაფერი დაგვრჩენია. მაგრამ მთლიანის იმ ნაწილებში, სადაც მოგვიანებით, გარეგანი იმპულსების გზით, ინდუსტრიალიზმი და ნაციონალიზმი შემოიჭრა, ნაციონალიზმის და პროტესტანტული განწყობების ურთიერთობები უფრო ღრმადაა გამოსაკვლევი.

ამგვარი ურთიერთობები ყველაზე მეტად თვალში საცემი ისლამში უნდა იყოს. არაბული სამყაროს და მრავალი სხვა ისლამური ქვეყნის ბოლო ასი წლის კულტურული ისტორია დიდწილად ისლამური პროტესტანტიზმის სახის, რეფორმიზმის შემოსვლის და გამარჯვების ისტორიაა, რაც სკრიპტუალიზმზე აქცენტით და ადგილობრივი სულიერი შუამავლების (პრაქტიკულად კი, ადამიანთა დაპირისპირებული ჯგუფების) წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატებოდა. ამ მოვლენის და სხვა არაბული ნაციონალიზმების ისტორია ერთმანეთისგან ძნელი გამოსაყოფია. ისლამს საფუძველშივე რწმენის ამ „რეფორმირებული“ სახისადმი მიდრეკილება ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ ის მას ვერ ახორციელებდა, რადგან ავტონომიურ თემებს სინმინდის განსაკუთრებული მატარებელი სჭირდებოდათ, მის გარეშე ისინი ვერ იარსებებდნენ. თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტად იჩენს თავს უფრო აბსტრაქტულ რწმენად გარდაქმნის შესაძლებლობა, რაც თანაბარუფლებიან მორწმუნეთა ჯგუფებზეა აგებული.

მაგრამ ინდუსტრიალიზმის და ნაციონალიზმის შემოტევის ჟამს, ის რელიგიებიც კი, რომლებსაც სავარაუდოდ, ამგვარი „პროტესტანტული“ ინტერპრეტაციისთვის თანდაყოლილი მიდრეკილება ნაკლებად ახასიათებდათ, ამ მიმართულებით მიბრუნდებოდნენ

ხოლმე. საერთოდ, არავინ უნდა მოელოდეს, რომ სინტოიზმს რაიმე მსგავსებას უპოვის ინგლისურ ნონკონფორმიზმთან. თუმცა, როდესაც იაპონური მოდერნიზაცია ხდებოდა, მასში საკმაოდ მკაცრი და თანამიმდევრული, თითქოს კვაკერული ელემენტები გამოვლინდნენ (რომელიც ალბათ, ადამიანმა, რომ მოინდომოს იქნებ მოძებნოს ან სულაც შექმნას კიდეც): ელემენტები, რომლებიც ნებისმიერი ექსტაზური ელემენტის და საკრალურთან ფამილარული დამოკიდებულების სანინააღმდეგოდ იყო აქცენტირებული.[1] დღეს რომ ანტიკური საბერძნეთი ცოცხალი ყოფილიყო, დიონისური კულტები უფრო თავშეკავებულ ელფერს მიიღებდნენ.

ნაციონალიზმის და პროტესტანტიზმის ეთოსს შორის კავშირების გარდა, არსებობენ თავად ინდუსტრიალიზმის პირდაპირი შედეგებიც. ჩამოყალიბებული ინდუსტრიული წყობის ზოგადი და ყოვლისმომცველი შედეგები, რომელიც ინდუსტრიული შრომის დანაწილების და ნაციონალიზმის პრინციპის განხორციელებას ეხებიან, ჩვენს უკვე განვიხილეთ მთავარ მოდელთან კავშირში. ადრეული ინდუსტრიალიზმის გარკვეული სპეციფიკური შედეგები, რომლებიც მოგვიანებით აღარ ნარჩუნდებიან, მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ადრეული ინდუსტრიალიზმი მოსახლეობაში აფეთქებას, სწრაფ ურბანიზაციას, შრომის მიგრაციას და მეტ-ნაკლებად დახურული თემების ეკონომიკურ და პოლიტიკურ გააქტიურებას ნიშნავს. ეს ნიშნავს, რომ ტრადიციული აგრარული თემების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შედეგად მიუვალი, დახურული, შედარებით სტაბილური, იზოლირებული ბაბილონის სისტემები, მაინც ახალი ტიპის ბაბილონებით იცვლებიან, რომელთა ახალი კულტურული საზღვრები ამ მოცემულ დრამატულ მომენტში სტაბილურნი არ არიან და რომლებსაც ძალინ იშვიათად გააჩნდათ რაიმე კავშირი ტრადიციასთან.

კავშირი არსებობს ასევე ნაციონალიზმსა და კოლონიზაციის პროცესს, იმპერიალიზმსა და დეკოლონიზაციას შორის. დასავლეთ ევროპაში ინდუსტრიული საზოგადოების წარმოშობას ევროპული ძალებით მთელი სამყაროს ვირტუალური დაპყრობა მოჰყვებოდა შედეგად და ხანდახან ამაში თავად ევროპული მოსახლეობაც კი უშუალოდ მონაწილეობდა. შედეგად, მთელი აფრიკა, ამერიკა, ოკეანეთი და აზიის დიდი ნაწილი ევროპის მმართველობის ქვეშ მოექცა. ხოლო აზიის ნაწილები, რომელიც ამ ხვედრს გადაურჩა, ხშირად ირიბად განიცდიდა ევროპის ძლიერ გავლენას. სწორედ ეს გლობალური დაპყრობა იყო ყველაზე უჩვეულო რამ. როგორც წესი, პოლიტიკური იმპერია მილიტარული ორიენტაციისა და ერთგულებისათვის მიღებული ჯილდოა. ის მზადდება ხოლმე

[1] როლანდ დორთან პირადი საუბრებიდან.

ისეთი საზოგადოებების მიერ, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ომის წარმოების ტრადიციასთან ან იმიტომ, რომ მათი ცხოვრების ტომობრივი ფორმა ავტომატურ მილიტარულ სვრთნას შეიცავს ან იმიტომ, რომ ისინი ამასთან დაკავშირებულ მმართველ ფენას ან რაიმე მსგავს მიზეზს წარმოშობენ. უფრო მეტიც, გამარჯვებათა აქტივობა საკმაოდ რთულია და მას დამპყრობელი ჯგუფების ენერგიის დიდი ნაწილი მიაქვს.

არცერთი ზემოთდასახელებულ მიზეზთაგანი არ შეესაბამება ევროპის მიერ მთელი ქვეყნის დაპყრობას. ეს პროცესი დასრულებული და ბოლომდე მიყვანილი იქნა არა რაიმე მილიტარისტული ხეხრხების ან დროებით შეკრული ტომობრივი გაერთიანებების მიერ, არამედ ინდუსტრიალიზმის და მეწარმეობისადმი ერების მზარდი ორიენტაციის გამო. იგი დაპყრობილი ერების ტერიტორიაზე რაიმე ტოტალური პრეოკუპაციის პროცესის გარეშე იქნა მიღწეული. ინგლისის შესახებ არსებული აზრი, რომ იგი ისე გახდა იმპერია, რომ ამაზე არც კი უფიქრია, შეიძლება რაღაც დონემდე განზოგადდეს (ინგლისმა ასევე სანაქებოდ დაკარგა იმპერია ამ ფაქტისთვის დიდი ყურადღების მიქცევის გარეშე). მაშინ, როდესაც ევროპა იპყრობდა და ბატონდებოდა მთელ მსოფლიოზე, მისი ყურადღება სხვა უფრო გადაუდებელი შინაგანი საქმეებით იყო დაკავებული. მას ისიც კი არ უთქვამს დაპყრობილი ერებისთვის თუ რატომ იყო მათით ასე დაინტერესებული. თუ თვალს დავხუჭავთ რამოდენიმე უხერხულ, თვითკმაყოფილ, და ამდენად, არატიპიურ იმპერიალიზმზე და ძველმოდური არაკომერციული სიხარბით ინსპირირებულ ლათინური ამერიკის ადრეულ დაპყრობასაც არ ჩავთვლით, ახალი დროის ევროპული დაპყრობები წინასწარ დაგეგმილი არ იყო, იგი მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური და ტექნიკური აღმატებულების შედეგი იყო და არა მილიტარისტული ორიენტაციისა.

ეკონომიკის და ტექნოლოგიის გავრცელებით უნდა შეცვლილიყო ძალაუფლების ბალანსი. დაახლოებით 1905-1960 წლებს შორის პლურალისტური ევროპული იმპერია დაინგრა ან საკუთარი ნებით გაქრა. აქაც საჭიროა, არ დავივიწყოთ ამ ყველაფრის სპეციფიკური გარემოებები; მაშინაც კი, თუ ნაციონალიზმის არსი ზოგადი, აბსტრაქტულად ფორმულირებადი წინამძღვრებიდან გამომდინარეობს, ნაციონალიზმის ფენომენის სპეციფიკური ფორმები არ შეიძლება არ იყოს სპეციფიკურ გარემოებებზე დამოკიდებული.

შენიშვნა ნაციონალიზმის სისუსტის შესახებ

ტრადიციულად, ყოველთვის აღნიშნავენ ნაციონალიზმის ძლიერებას. ეს მნიშვნელოვანი შეცდომაა. თუმცა, ამ შეცდომის გაგება შეიძლება, რადგან ყველგან, სადაც ნაციონალიზმი ფესვებს იდგამს, ის თავისუფლად ბატონდება სხვა თანამედროვე იდეოლოგიებზე.

ამისდა მიუხედავად, ის ძაფი, რომელსაც ნაციონალიზმის გაგებისაკენ მივყევართ, იმავდროულად მისი სისუსტეც არის, ისევე, როგორც მისი ძალა. სწორედ ძაღლმა, რომელმაც არ დაიყეფა, შერლოკ ჰოლმსი სწორ გზაზე დააყენა. პოტენციური ერების რიცხვი, რომლებმაც არ „დაიყეფეს" ბევრად უფრო დიდია მათზე, ვინც ეს მოახერხა, თუმცა მთელი ჩვენი ყურადღება *ამ უკანასკნელებმა* მიიპყრეს.

ჩვენ უკვე გავამახვილეთ ყურადღება პრეინდუსტრიული ხანის ამ თითქოსდა მძლავრი მონსტრის მთვლემარე ბუნებაზე. მაგრამ ნაციონალიზმის ხანაშიც კი, არსებობს ერთი მნიშვნელოვანი რამ, რომლის ფარგლებშიც ნაციონალიზმი საოცრად სუსტია. საბოლოოდ ნაციონალიზმი განისაზღვრა, როგორც კულტურის და სახელმწიფოს თანხვედრილობისათვის მებრძოლი, კულტურისთვის საკუთარი პოლიტიკური სივრცის გარანტიის მიმცემი. კულტურა, როგორც მოუხელთებელი გაგება, განზრახ განუსაზღვრელი დარჩა. მაგრამ, კულტურის დროებით მისაღებ კრიტერიუმად შეიძლება ენა ჩაითვალოს, თუნდაც მთლად ამომწურავ არა, მაგრამ აუცილებელ ქვაკუთხედად მაინც. წარმოვიდგინოთ ენობრივი სხვაობა, რომელიც კულტურულ სხვაობასაც ბადებს (თუმცა საპირისპირო რამ აუცილებელი არ არის).

თუ ეს ფორმულირება დროებით მაინც მისაღებია, ამას შემდეგი დასკვნები შეიძლება მოსდევდეს: მე ვიცი რომ დედამიწაზე ენათა რაოდენობა დაახლოებით 8000-ია. ეს ციფრი, რა თქმა უნდა, გაიზრდება თუ ჩვენ მათ დიალექტებსაც მივათვლით. ეს სრულიად ლოგიკურია, თუ ჩვენ „პრეცედენტულ" ლოგიკას მივყვებით: თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ განსხვავებათა ტიპი, რომელიც გარკვეულ ადგილებში ნაციონალზმს განსაზღვრავს „პოტენციური ნაციონალიზმების" წარმომქნელად ყველგან იქნება დაშვებული, მაშინ პოტენციური ნაციონალიზმების რიცხვი მკვეთრად გაიზრდება. მაგალითად ზოგიერთი სლავური, გერმანიკული და რომანული ენები ფაქტობრივად ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ჩვეულებრივი დიალექტები რომელიმე ტრადიციულად ერთიან ენაში. ზოგიერთი სლავური ენები ალბათ უფრო ახლოა ერთმანეთთან, ვიდრე პრინციპში ერთი ენის — არაბულის

არალიტერატურული განსხვავებული ფორმები.

„პრეცედენტული" ლოგიკის მიხედვით, პოტენციური ერები შეიძლება არა მხოლოდ ენათა განსხვავებამ წარმოშვას. მაგალითად შოტლანდიური ნაციონალიზმი უდაოდ არსებობს (რაც მართლაც, შეიძლება ჩემი მოდელის საწინააღმდეგოდაც გამოდგეს). ის უარყოფს ენას (რომელმაც შეიძლება შოტლანდიელთა მცირე ნაწილი ირლანდიელებს მიაკუთვნოს, დანარჩენები კი ინგლისელებს), სანაცვლო კრიტერიუმად კი საერთო ისტორიულ გამოცდილებას იღებს. თუ ასეთ დამატებით კავშირებს ჩავთვლით, მაშინ პოტენციურ ერთა რიცხვი ბევრად უფრო მაღლა აიწევს (იმ პირობით, რომ ისინი ჩემს მოდელს არ ეწინააღმდეგებიან, ანუ ისინი *მთლიანობაში* გამოდგებიან ერთიანი, შინაგანად მობილური კულტურის თუ პოლიტიკის შემქმნელი მექანიზმისათვის, რომელიც კულტურას ამავე პოლიტიკის მეთვალყურეობის ქვეშ ემსახურება).

მოდით შევჩერდეთ რიცხვზე 8000, რომელიც მე ერთმა ლინგვისტმა მითხრა, რაც ძალიან მიახლოებით წარმოდგენას ქმნის ენების რიცხვის შესახებ, და რა თქმა უნდა, ეყრდნობა ენის საკმაოდ თავისუფალ განსაზღვრებას. დღეს სახელმწიფოთა რიცხვი მსოფლიოში დაახლოებით 200-ია. ამ რიცხვს შეიძლება დაემატოს ნაციონალისტური მოძრაობები, რომლესაც ჯერ არ მიუღწევიათ თავიანთ სახელმწიფოებრიობამდე (და ალბათ ვერასდროს მიაღწევენ), მაგრამ რომლებიც იღწვიან ამ მიმართულებით და აქვთ კანონიერი პრეტენზია ჩაითვალონ არსებით და არა პოტენციურ ნაციონალიზმებად. მეორეს მხრივ, ამ სიას უნდა გამოვაკლოთ ყველა ის სახელმწიფო, რომელიც ქვეყანაზე ნაციონალისტური კურთხევის გარეშე მოვიდა და რომელიც პოლიტიკური კანონიერების ნაციონალურ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს და სულაც უარყოფს მას; მაგალითად უმეტესობა მრავალფეროვანი მინი-სახელმწიფოებისა, რომლებიც ძირითადად პრენაციონალისტური ხანიდან შემორჩნენ, ხორციელდებიან და ძალას იკრებენ, როგორც გეოგრაფიული შემთხვევითობის, ანდა პოლიტიკური კომპრომისის შედეგები. როცა ეს ყველაფერი დათვლილია, ალბათ რიცხვ ორასს ისევ არ გადააჭარბებს. მაგრამ მოდით გულმოწყალედ წარმოვიდგინოთ, რომ ქვეყანაზე რეალურად არსებულ ერთა რიცხვი ოთხჯერ უფრო მეტია, ანუ 800. მე ვფიქრობ, რომ ეს რიცხვი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ეს ფაქტებს შეესაბამება, მაგრამ მოდით ამაზე თვალები დავხუჭოთ.

ზედაპირული გამოთვლითაც კი *ათ* პოტენციურ ერზე *ერთი* რეალური ერი მოდის! და ეს განსაცვიფრებელი თანაფარდობა, რომელიც ალბათ ყველა თავგადაკლულ პანნაციონალისტს სასოს წარკვეთს (თუ ასეთი ვინმე საერთოდ არსებობს ბუნებაში) და

შეიძლებოდა უფრო სასოწარმკვეთი გამხდარიყო, თუკი პოტენციური ერების რიცხვის განსასაზღვრად „პრეცედენტულ“ ლოგიკას გამოვიყენებდით, და თუ ერების რეალურად „ცნობის“ კრიტერიუმებს უფრო გავამკაცრებდით.

რა უნდა დავასკვნათ აქედან? ის, რომ ყოველ ერთ ნაციონალიზმზე, რომელმაც თავისი მახინჯი თავი უკვე წამოყო, დანარჩენი ცხრა თავის ბედს ფრთებში თავჩარგული ელოდება? რომ იარაღის ყოველი გასროლა, ტანჯვა, და სხვა საშინელებანი რაც კაცობრიობას თავს დაატყდა, კიდევ ათჯერ გამეორდება?

მე ვფიქრობ — არა. ყოველ რეალურ ნაციონალიზმზე მოდის აგრარული სამყაროდან გადმოყოლილი საერთო კულტურული მემკვიდრეობით განსაზღვრული *n* პოტენციური რაოდენობები, ან ჯგუფები რაიმე სხვა კავშირებით, რომელებსაც ერთგვაროვანი ინდუსტრიული დაჯგუფებების შექმნის იმედის მოცემა *შეუძლია*, მაგრამ, რომლებიც, მიუხედავად ამისა, არ ცდილობენ იბრძოლონ, და ვერც ააქტიურებენ თავის პოტენციურ ნაციონალიზმს. ასე რომ, არც თუ ისე ძლიერია კულტურული ურთიერთჩანაცვლებულობის სახელმწიფოს საფუძვლად გადაქცევის საჭიროება. ზოგიერთ დაჯგუფებათა წევრები ამ საჭიროებას გრძნობენ, მსგავსი მონაცემების მქონე სხვა დაჯგუფების წევრები კი ვერა.

ამის ასახსნელად ჩვენ ნაციონალიზმის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას უნდა დავუბრუნდეთ: თითქოს ნაციონალიზმი მოითხოვს ერთგვაროვნება მოახვიოს თავს იმ პოპულაციებს, რომლებსაც ნაციონალისტური იდეოლოგიის მიერ წარმოშობილი გავლენის სფეროში მოხვედრის „ბედნიერება“ ხვდათ წილად. ეს ბრალდება ეფუძნება იმას, რომ ტრადიციული, იდეოლოგიურად მოუწამლავი ქვეყნები, მაგალითად ოტომანთა თურქეთი, ინარჩუნებდნენ რა მშვიდობას და გადასახადების ამოღების უეჭველობას, სხვა მხრივ, ტოლერანტულნი და ინდიფერენტულნი იყვნენ მათ მიერ მართულების რწმენისა და კულტურის მიმართ. ამის საპირისპიროდ, მათი მემკვიდრეები, რომელთაც მხოლოდ იარაღის ძალისა სწამდათ, ვერ ისვენებენ მანამ, სანამ *cuius regio, eius lingua*-ს ნაციონალისტურ პრინციპს არ განახორციელებდნენ. მათ აღარ აკმაყოფილებთ მხოლოდ ფისკალური გადასახადები და მორჩილება. მათ თავიანთი სუბიექტების კულტურული და ლინგვისტური სული სწყურიათ.

ნაციონალიზმის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება თავიდან უნდა იყოს შესწავლილი. არ არის მართალი, თითქოს ნაციონალიზმი ერთგვაროვნებას თავისებური კულტურული *Machtbedürfniss*[1]*-სგან* წარმოშობს; ეს ნაციონალიზმში არეკლილი ჰომოგენურობის ობიექტური საჭიროებაა. თუ თანამედროვე ინდუსტრიულ სახელმწიფოს მობილურ, დამწერლობით, კულტურულად სტანდარტულ, ურთიერთჩანაცვლებად მოსახლეობით შეუძლია არსებობა, მაშინ დამწერლობის უქონელი, ნახევრად მშიერი მოსახლეობა, რომელიც თავის თავდაპირველ კულტურულ გეტოებს დაშორდა და დიდი ქალაქის ჭუჭყიან გარეუბნებში მოხვდა, იმისთვის იღწვის, რომ ერთ-ერთ იმ კულტურულ ერთობლიობას შეუერთდეს, რომელიც უკვე აქვს, ან, რომლის მოპოვებასაც მისი სახელმწიფო ცდილობს. ანუ ცდილობს გახდეს იმ ერთობლიობის წევრი, რომელიც მას სრულყოფილი კულტურული მოქალაქეობით — დაწყებითი სკოლებით, სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს. ხშირად ეს გარიყული, ფესვგადაჭრილი, მაწანწალა მოსახლეობა ურთიერთგამომრიცხავ პირობებს შორის არჩევნის წინაშე შეიძლება დადგეს და არჩევანი ვერ გააკეთოს. დროდადრო ისინი დროებით ნავსაყუდელში, რომელიმე დროებით ტრანზიტულ კულტურულ სივრცეში შეიძლება მოხვდნენ.

მაგრამ, არსებობს გარკვეული პირობები, რომელთა მიღებისგან მათ თავის შეკავება სურთ. ისინი არ მოინდომებენ ისეთ კულტურულ ერთობლიობაში შესვლას, სადაც მათი სრული უარყოფა მოხდება. რა თქმა უნდა, ახლადმოსულ ღარიბ ხალხს ყოველთვის ზევიდან უყურებენ; ყოველ შემთხვევაში, მათ ამის შიში მუდამ თან სდევთ. პრობლემა იმაში მდგომარეობს, სად შეიძლება ეს დამოკიდებულება შერბილდეს და გადაეცემა თუ არა ეს ბედი მათ შთამომავლებს. ეს კი იმაზეა დამიკიდებული, თუ ახალმოსულები რამდენად ფლობენ თვისებებს, რომლებსაც ვერც მისი წევრები და ვერც შთამომავლები ვერ მოიცილებენ და რომლებიც[2] აგრძელებენ მათ თვითიდენტიფიკაციაში მონაწილეობას: გენეტიკურად გადაცემული და ღრმად ფესვგამდგარი რელიგიურ-კულტურული ტრადიციების მიტოვება საერთოდ შეუძლებელია, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ძალიან ძნელია.

ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ასეთი ხალხი მცირე კულტურული სივრცით მოხიბლულიყო; ერთ ენაზე მოლაპარაკე რამოდენიმე სოფელი ან ძალიან გაბნეული, დამწერლობითი ტრადიციის არმქონე სივრცე მათ მეტად მცირეს სთავაზობდა. ისინი ეძებდნენ დიდ, კარგი ისტორიული საფუძვლის მქონე კულტურულ ერთობას. შეუძლებელია რაიმე მახასიათებლის, ან მახასიათებელთა ქსელის გამოყოფა, რომელიც, როგორც ნაციონალისტური კატალიზატორი მასში ჩადებული კულტურის წარმატებას განა-

[1] სწრაფვა ძალაუფლებისაკენ (გერმ).
[2] თვისებები (მთარგმნელის შენიშვნა)

პირობებს, ან პირიქით, მისი მარცხის გარანტია იქნება. სიდიდე, ისტორიული წარსული, კომპაქტური ტერიტორია, ენერგიული და ინტელექტუალური კლასი — ეს ყველაფერი აშკარად კარგია; თუმცა, არცერთი მათგანი არ არის აუცილებელი კულტურის ნაციონალისტურ კატალიზატორად გადასაქცევად. ის, რომ ნაციონალიზმის პრინციპი ქმედითი იქნება, ამის წინასწარმეტყველება ნამდვილად შეიძლება, მხოლოდ იმის ჩვენებაა ძნელი, თუ რომელი ოდენობები მოგვევლინებიან მათ მატარებლებად, რადგან ეს ბევრ ისტორიულ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული.

ნაციონალიზმი, როგორც ასეთი, ბატონობისთვისაა შექმნილი (არ იგულისხმება რომელიმე ერთი, განსაკუთრებული ნაციონალიზმი). ჩვენ ვიცით, რომ ერთგვაროვანი კულტურები, საკუთარი პოლიტიკური ჭერით, გარემოთი და მმართველობით თითქმის ყველგან, მცირეოდენი გამონაკლისებით საყოველთაოდ მიღებული ნორმები ხდებიან. მაგრამ, ჩვენ ვერ ვიწინასწარმეტყველებთ თუ რომელი კულტურაა ნაკურთხი წარმატებისათვის და თანაც როგორი პოლიტიკური ჭერით. ზემოთ ჩატარებულმა მარტივმა გათვლებმაც კი, რომლებიც კულტურების და პოტენციური ეროვნებების რიცხვთა და ნორმალური ეროვნული სახელმწიფოსთვის საჭირო სივრცეთა გამოთვლას შეეხებოდა, ნათლად გვაჩვენა, რომ პოტენციურ ეროვნებათა უმეტესი ნაწილი ან დამარცხდება, ან უარს იტყვის საკუთარი პოლიტიკური გამოხატვის პოვნის ცდაზე.

ეს ზუსტად ის არის, რაც რეალურად ხდება. კულტურათა, ან პოტენციურ ერთა უმრავლესობამ ნაციონალიზმის ხანაში ისე შეაბიჯა, რომ ოდნავადაც არ უცდია მისგან საკუთარი თავისათვის რაიმე სარგებლობა მოეტანა. „პრეცედენტული“ ლოგიკის ენით რომ ვილაპარაკოთ, იმ დაჯგუფებათა რიცხვი, რომლებიც ერებად გადაქცევას ცდილობენ და საკუთარი თავის იმ კრიტერიუმებით განსაზღვრა შეუძლიათ, რომლებიც სხვა ადგილას რეალურ და ეფექტურ ერს განსაზღვრავენ, ძალიან დიდია. და მაინც, ახლა მათი უმრავლესობა ნელ-ნელა საკუთარ ბედისწერას ემორჩილება — თვალნათლივ ხედავს თუ როგორ ქრება თანდათან მისი კულტურა და რომელიმე ახალი ეროვნული სახელმწიფოს უფრო ფართო კულტურაში ინთქმება. კულტურათა უმრავლესობა ინდუსტრიული ცივილიზაციის მიერ ისე გადაიყარა ისტორიის სანაგვეზე, რომ მათ ოდნავი წინააღმდეგობაც კი არ გაუწევიათ. შოტლანდიის ჩრდილოეთსა და დანარჩენ ნაწილს შორის ლინგვისტური განსხვავება უფრო დიდია, ვიდრე კულტურული სხვაობა შოტლანდიასა და გაერთიანებული სამეფოს დანარჩენ ნაწილებს შორის; მაგრამ, ხომ არ არსებობს „ჰაილანდური“ ეროვნება. იგივე სურათი გვაქვს მაროკოელ ბერბერებთან მიმართებაში. დიალექტური და კულტურული სხვაობები გერმანიასა თუ იტალიაში ისეთივე დიდია, როგორც გერმანიკულსა თუ რომანულ ენებში. სამხრეთელი რუსები კულტურულად ჩრდილოელი რუსებისაგან გამოირჩევიან, მაგრამ უკრაინელებისაგან განსხვავებით, მათ ეს ეროვნულ განსხვავებაში არ გადაჰყავთ.

ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება კაცმა გაიფიქროს, რომ ნაციონალიზმი გარდაუვალობა არ არის, ან თუნდაც ის, რომ იგი იდეოლოგიური არტეფაქტი, ვიღაც ჭკუის კოლოფების ნაბოდვარია? არა და არა. ასეთი დასკვნის გაკეთება, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს ეს, ნაციონალისტური იდეის ყველაზე უფრო არასწორი გაგების უსიტყვო მიღებამდე მიგვიყვანს; კერძოდ: „ერები“ არიან აქ, საგანთა ბუნებაში, თავიანთი სავალალო თვლემიდან „გამომღვიძებლის“ მიერ გამოღვიძების მომლოდინენი (უსაყვარლესი ნაციონალისტური გამოთქმა). ეროვნებათა „გაღვიძების“ მცდელობათა უმეტესობის მარცხიდან და გაღვიძების სერიოზულად მომლოდინეთა სიმცირიდან გამომდინარე, ვინმემ შეიძლება დაასკვნას, რომ ნაციონალიზმი სულაც არ არის იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც ამას ჩვენ აღვიქვამთ. ასეთი დასკვნა „ერების“ სოციალურ ონტოლოგიას უშვებს და მხოლოდ გარკვეული გაკვირვებით უმატებს, რომ ზოგიერთ მათგანს აკლია ძალა და სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც ისტორიის მიერ მათთვის მინიჭებული ხვედრის აღსრულებისთვისაა საჭირო.

მაგრამ ნაციონალიზმი არ არის ძველი, ლატენტური, მიძინებული ძალების გაღვიძება, თუმცა ის თავს ასეთად წარმოგვიდგენს. რეალურად ის სოციალური ორგანიზაციის ახალი ფორმის შედეგია, რომელიც კარგად გააზრებულ, განათლებაზე დამოკიდებულ მაღალ კულტურაზეა დაფუძნებული, ისეთზე, რომელსაც საკუთარი სახელმწიფო იცავს. იგი ადრე არსებულ ზოგიერთ კულტურას იყენებს, გარდაქმნის რა მას თანდათან გამოყენების პროცესში. თუმცა, ის მათ ყველას ვერ გამოიყენებს, ისინი მეტისმეტად მრავალფეროვანნი არიან. სიცოცხლისუნარიანი მაღალი კულტურის მქონე თანამედროვე სახელმწიფო ვერ დაეშვება გარკვეული მინიმალური სიდიდის ქვევით (თუ იგი არ არის პარაზიტულ დამოკიდებულებაში მეზობლებთან); ქვეყანაზე კი, ასეთი სახელმწიფოების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობისთვის თუ მოიძებნება ადგილი.

ზემოთ ნახსენები „მთვლემარების“ დადგენილი მაღალი რიცხვი, რომლებიც არასდროს გამოფხიზლდებიან, და რომლებიც უარს ამბობენ გაღვიძებაზე, ჩვენ საშუალებას გვაძლევს ნაციონალიზმი თავისივე პოზიციიდან გავაკრიტიკოთ. ნაციონალიზმი საკუთარ თავს კაცობრიობის პოლიტიკური ცხოვრების ბუნებრივ და უნივერსალურ მომწესრიგებლად აღიქვამს, რომელიც რატომღაც ამ ხანგრძლივი და მისტიკური მთვლემარე მდგომარეობით

ოდნავ დამძიმებულია. ჰეგელი ამ ხედვას შემდეგნაირად აღწერს: „ეროვნებებს ჰქონდათ გრძელი ისტორია, სანამ ისინი საბოლოოდ თავიანთ დანიშნულებას — საკუთარი თავების სახელმწიფოებად ქცევას — მიაგნებდნენ.“[1] შემდეგ ჰეგელი უშუალოდ გადადის იმის მტკიცებაზე, რომ ეს პრესახელმწიფოებრივი პერიოდი რეალურად „პრეისტორიულია“ (*sic*): ამ მოსაზრების მიხედვით ჩანს, რომ ერების ნამდვილი ისტორია, მხოლოდ მათ მიერ სახელმწიფოებრიობის მიღწევით იწყება. თუ ჩვენ ნაციონალური დოქტრინის საპირისპირო არგუმენტად „მძინარე-მზეთუნახავ“ ერებს დავასახელებთ, რომელთაც არც სახელმწიფო შეუქმნიათ და მას არც ისაკლისებენ, აუცილებლად მის სოციალურ მეტაფიზიკას მივიღებთ, მეტაფიზიკას რომელიც ნაციონალიზმს კაცობრიობის შემქმნელ ქვაკუთხედად აღიქვამს. ნაციონალიზმის კრიტიკოსები, რომლებიც ამ პოლიტიკურ მოძრაობას ლანძღავენ, მაგრამ ერების არსებობას უსიტყვოდ იღებენ, არ მიდიან საკმაოდ შორს. ერები, როგორც ბუნებრივი, ღმერთისგან ბოძებული ადამიანთა დასანაწილებელი საშუალება და ნაციონალიზმი, როგორც თანდაყოლილი, ოღონდ დიდხანს დაყოვნებული პოლიტიკური ხვედრი — მითია; ნაციონალიზმი, დროდადრო იღებს ადრე არსებულ კულტურას და გარდაქმნის მას ერად, ხანდახან კი იგონებს კიდეც მას, მაგრამ ხშირად ანადგურებს კიდეც მათ: *აი ეს* არის რეალობა, თანაც გარდაუვალი, მიუხედავად იმისა, კარგია ის თუ ცუდი. მართალია, ისინი, ვინც ამის ისტორიული შემსრულებლები იყვნენ, არ იცოდნენ რას აკეთებედნენ. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

მაგრამ ჩვენ მითი არ უნდა მივიღოთ. ერები საგანთა ბუნებაში არ არიან ჩაწერილები, ისინი არ წარმოადგენენ ბუნებრივი სახეობების თეორიის პოლიტიკურ ვერსიას. ეროვნული სახელმწიფოები არც ეთნიკური და არც კულტურული ჯგუფების ულტიმატურ მანიფესტურ ხვედრს არ წარმოადგენდნენ. ის რაც არსებობს, ესაა სუსტად დაჯგუფებული, ერთმანეთში გარდამავალი და ურთიერთგადაჯაჭვული კულტურები, და გარდა ამისა, ჩვეულებრივ (მაგრამ არა ყოველთვის) არსებობენ ყველანაირი ზომისა თუ ფორმის პოლიტიკური გაერთიანებები. წარსულში ეს ორი ოდენობა იშვიათად ემთხვეოდა ერთმანეთს. საამისოდ ბევრი მიზეზი არსებობდა. მათი მმართველები საკუთარი თავის იდენტურობას ქვედა ფენებისგან განსხვავებაში ამყარებდნენ, ხოლო მათ მიერ მართული მცირე თემები, თავის მხრივ, თავის თავს მსგავს ერთეულებში დაჯგუფებულ მეზობლებისაგან ასხვავებდნენ.

[1]G.W.F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History*, tr. H.B. Nisbet, Cambridge,1975,p.134.

მაგრამ ნაციონალიზმი არ არის ამ მითიური, უმრავლესობის აზრით ბუნებრივად მოცემული ერთეულების გაღვიძება და დამკვიდრება. პირიქით, ის ჩვენს დროში გაბატონებული პირობებისთვის შესაბამისი ახალი ერთეულების ფორმირებაა, რომელიც მასალად პრენაციონალისტური სამყაროდან აღებულ კულტურულ, ისტორიულ თუ სხვა სახის დანატოვარს იყენებს. შრომის დანაწილების ახალ პრინციპებზე აგებული ახალი ერთეულების მიმართულებით მოძრაობის ძალა, მართლაც, ძალიან დიდია, თუმცა ის თანამედროვე სამყაროსთვის ერთადერთი და შეუცვლელი არ არის. უბრალოდ, ბევრ შემთხვევებში, ნაციონალიზმი იმარჯვებს და ის თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური ერთეულების დაკანონების განმაპირობებელი *ნორმა* ხდება: როგორც უკვე ითქვა, ამ ერთეულთა უმრავლესობა ნაციონალიზმის იმპერატივს უნდა დაემორჩილოს. ნაციონალიზმი თავის სტანდარტებს განავრცობს, იქაც კი, სადაც ის საყოველთაოდ გაბატონებულნი არ არიან.

აქედან მომდინარეობს ნაციონალიზმის სიძლიერისა თუ სისუსტის გამოცანის ორმაგობაც. ნაციონალიზმი საკუთარ თავს ხედავს და წარმოადგენს როგორც ყოველი და თითოეული „ეროვნების“ დამკვიდრებას; თითქოს ისინი სულ არსებობდნენ და ყოველთვის იარსებებენ ჯომოლუნგმას მწვერვალივით. ბედის ირონიულობით, ნაციონალიზმი საკუთარივე გაგებით, საოცრად სუსტია: პოტენციურ ეროვნებათა უმეტესობა, რომლებსაც შეეძლოთ ეროვნულობის პრეტენზია განეცხადებინათ (იმავე პირობათა საფუძველზე, რა პირობებშიც რომელიმე ერმა სადღაც სხვაგან თავის სახელმწიფოებრიობას მიაღწია), მის შედეგიან განხორციელებას თავი რომ დავანებოთ, ამ პრეტენზიის განცხადებასაც კი ვერ ახერხებენ. მეორეს მხრივ, თუ ნაციონალიზმის ისეთი ინტერპრეტირება მოხდება, რომელიც ჩემი აზრით მართალია, მაგრამ რომელიც მის თვითწარმოდგენას უარყოფს და არღვევს, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ნაციონალიზმი მართლაც დიდი ძალაა, თუმცა არა ერთადერთი და შეუცვლელი.

ველური და ბაღის კულტურები

ძირითად თემასთან მიახლოების ასეთი გზა გამოვიყენოთ: კულტურები მცენარეთა მსგავსად, შეიძლება კულტივირებულებად და სარეველებად დავყოთ. ეს უკანასკნელნი საკუთარი თავის წარმოებას და კვლავწარმოებას სპონტანურად ახდენენ. არცერთი დაჯგუფება არ არსებობს გარკვეული ერთიანი კომუნიკაციური ან ნორმობრივი სისტემის გარეშე. ამ ტიპის

ველური სისტემები (სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულტურები) თაობიდან თაობამდე თვითწარმოებას ყოველგვარი ზედამხედველობის, წინასწარშემუშავებული დიზაინის, სპეციფიკური დანამატების თუ დაკვირვების გარეშე ახდენენ.

მათგან განსხვავდებიან კულტივირებული, ანუ ბაღის კულტურები, თუმცა ისინი ველური სახესხვაობებისგან წარმოიშვნენ. ისინი წარმოშობენ დოვლათსა და კომპლექსურობას, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში, დამწერლობისა და სპეციალიზებული პერსონალისაგან შედგება და გაქრება, თუკი მას მოაკლებენ მხოლოდ მისთვის განსაზღვრულ დახმარებას, რომელიც მას კარგად დაკომპლექტებული სასწავლო ინსტიტუტების მრავალრიცხოვანი, სრულშტატიანი სახით მიეწოდება. კაცობრიობის აგრარულ პერიოდში დიდი ტრადიციების მაღალმა კულტურებმა საგრძნობი და მნიშვნელოვანი პოზიციები დაიმკვიდრეს, თუმცა მხოლოდ ერთადერთი აზრით დომინანტური. მართალია ამ კულტურებმა ვერ შესძლეს საკუთარი თავი ყველასთვის ან თუნდაც მოსახლეობის უმრავლესობისთვის თავს მოეხვიათ. აი, ავტორიტეტის განმტკიცება კი მათ მაინც შესძლეს; მაშინაც კი (ან იქნებ სწორედ მაშინ), როცა ისინი მიუწვდომელნი და მისტიკურნი იყვნენ. დროდადრო ისინი ცენტრალიზებულ სახელმწიფოს განამტკიცებდნენ ხოლმე, დროდადრო კი მას ეჯიბრებოდნენ. მათ ასევე შეეძლოთ ჩაენაცვლებინათ სახელმწიფო, როცა ის სუსტდებოდა, ანდა სულაც ინგრეოდა ჟამთა სიავისას. ეკლესიას და რიტუალურ სისტემებს შეიძლება შეესრულებინათ წარსული, ანდა მოჩვენებათა იმპერიის როლი. მაგრამ მაღალი კულტურები ზოგადად პოლიტიკური ერთეულების საზღვრებს არ აპირობებდნენ, რადგან აგრარულ ხანაში ისინი ამას უბრალოდ ვერ მოახერხებდნენ. მრავალი მიზეზის გამო, მათ ეს არც სჭირდებოდათ.

ინდუსტრიულ ხანაში ყოველივე ეს იცვლება: მაღალი კულტურები სრულიად ახალი აზრით ბატონდებიან. მათთან ასოცირებული ძველი დოქტრინები კარგავენ თავიანთ ძალას, მაგრამ კომუნიკაციის დამწერლობითი წესები და სტილი მეტად შედეგიანი და ნორმატიული ხდება და გარდა ამისა, საზოგადოებაში ისინი ყოვლისმომცველნი და უნივერსალურნი არიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეალურად ყველა საზოგადოება დამწერლობითი ხდება და ერთმანეთს შეთანხმებული, გრამატიკულად ზედმიწევნით გამართული კოდებითა და წინადადებებით ესაუბრება.

მაგრამ ახლად უნივერსალიზებულ მაღალ კულტურებს ახლა უკვე მოსახლეობის მხრიდან სჭირდებათ პოლიტიკური მხარდაჭერა და გამყარება. აგრარულ ხანაში, კულტურა ხანდახან სახელმწიფოსგანაც იღებდა დახმარებას, მაგრამ, სხვა დროს მას

შეეძლო თავი ამ პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშეც გაეტანა და ეს უდაოდ მისი ერთერთი ძლიერი მხარე იყო. ჟამთა სიავისას, როცა ქვეყანაში ანარქია და უკანონობა დაისადგურებდა, ქრისტიანულ თუ ბუდისტურ მონასტრებს, დერვიშების და ბრამინების დაჯგუფებებს შეეძლოთ გადარჩენილიყვნენ და მაღალი კულტურის რაღაც ნაწილი ხმლის დახმარების გარეშე შეენარჩუნებინათ.

ახლა, როდესაც მაღალი კულტურების ამოცანა იმდენად უფრო დიდი და რთული ხდება, ის პოლიტიკური ინფრასტრუქტურის გარეშე თავს ვერანაირად ვერ გაიტანს. *„მისს ბლანდიშისათვის ორქიდეები არ არის“* [1] პერსონაჟისა არ იყოს, ყველა ქალს უნდა რომ ჰყავდეს ქმარი, თანაც მისი საკუთარი, ასევე ყოველ მაღალ კულტურას სჭირდება სახელმწიფო და ასევე მისი საკუთარი. ნებისმიერი ველური კულტურა ვერ მიაღწევს მაღალი კულტურის საზღვრებს, ხოლო ისინი, ვისაც ამის მიღწევის სერიოზული პერსპექტივები არ გააჩნიათ, შეეჯიბრებას უბრძოლველად ეთიშებიან; ისინი ვერ წარმოშობენ ნაციონალიზმს. ზოგიერთები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ აქვთ შანსი, ერთმანეთში მოსახლეობის და სახელმწიფოს ტერიტორიის მოპოვებისათვის იბრძვიან. ეს ეროვნული თუ ეთნიკური კონფლიქტების ერთ-ერთი ტიპია. იქ, სადაც არსებული პოლიტიკური საზღვრები პოლიტიკური სწრაფვების მქონე ძველ ანდა ახლად ფორმირებად მაღალი კულტურების საზღვრებს აღარ ემთხვევიან, თავს იჩენს ნაციონალიზმის ხანისათვის ასე დამახასიათებელი სხვა კონფლიქტი.

ზემოთ მოყვანილი ბოტანიკური ანალოგიის გარდა, ახალი სიტუაციის აღწერა კიდევ ერთ ანალოგიას შეუძლია: აგრარული ხანის ადამიანი შეიძლება შევადაროთ მცენარეთა ნებისმიერ სახეობას, რომელსაც ბუნებრივ გარემოში გადარჩენა შეუძლია. ინდუსტრიული ადამიანი კი უნდა შეედაროს ხელოვნურად შექმნილ ან გამოყვანილ სახეობებს, რომელსაც გადარჩენა და ნორმალურად სუნთქვა მხოლოდ ხელოვნურად გაჯერებულ, სპეციალურად შექმნილ ჰაერსა თუ პირობებში ძალუძს. შესაბამისად, ისინი სპეციალურად შემოფარგლულ და კონსტრუირებულ ერთეულებში ცხოვრობენ, რომლებიც გიგანტურ აკვარიუმებსა თუ სასუნთქ კამერებს ჰგავს. მაგრამ ეს კამერები უნდა შეიქმნას და მას უნდა ემსახურებოდნენ. ამ გიგანტურ რეზერვუარებში სიცოცხლის მიმცემი და შემანარჩუნებელი ჰაერისა თუ სითხის მიწოდება ავტომატურად არ ხდება. ის სპეციალიზებულ მექანიზმს მოითხოვს. ამ მექანიზმის სახელი ეროვნული საგანმანათლებლო და კომუნიკაციური სისტემებია.

---

[1] ამერიკელი მწერლის ჯონ ჰადლი თრუსის ნაწარმოები. ძალიან პოპულარული XX საუკუნის 30-40 იან წლებში.

მათი ერთადერთი ეფექტური შემნარჩუნებელი და დამცველი კი სახელმწიფოა.

პრინციპში, შეუძლებელი არ არის ასეთი ერთიანი პოლიტიკური ძალაუფლების და ერთიანი საგანმანათლებლო სისტემისგან შემდგარი, მთელი სამყაროს გამაერთიანებელი კულტურულ-საგანმანათლებლური ოქროს თევზების აკვარიუმის წარმოდგენა. დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, ეს შეიძლება ახდეს კიდეც. მაგრამ ახლა გლობალური ნორმა რეზერვუარების თუ აკვარიუმების ქსელია — ყოველი თავისი საკუთრების უფლებით, თითქმის ჩაუნაცვლებადი საშუალებითა და ატმოსფეროთი. მათთვის საერთოა სრულიად გარკვეული ზოგადი მახასიათებლები. კარგად განვითარებული ინდუსტრიული ოქროს თევზების აკვარიუმების არსებობის ფორმულები თითქმის ერთი ტიპისაა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზედაპირული განსხვავებებიც, რომლებიც ხაზგასმულია „საფირმო ნიშნების“ ერთმანეთისგან განსასხვავებლად.

ამ ახალი პლურალიზმისთვის არაერთი აშკარა მიზეზი არსებობს, რომლებიც უნდა გამოვიკვლიოთ. ინდუსტრიულმა ხანამ მემკიდრეობით წინა პერიოდის პოლიტიკურ ერთეულებთან ერთად მაღალი და დაბალი კულტურაც მიიღო. მათ გასაერთიანებლად არავითარი მიზეზი არ არსებობდა მაშინ, როცა საპირისპირო მიზეზები მრავლად იყო: ინდუსტრიალიზმს, ანუ პროდუქციის ან შრომის დანაწილების ტიპს, რომელიც ამ ერთგვაროვანი აკვარიუმების არსებობის იმპერატივს ქმნიდა, მსოფლიოს ყველა კუთხემდე ერთდროულად და ერთნაირად არ მიუღწევია. მიღწევის განსხვავებული დრო, კაცობრიობას ეფექტურად ყოფს კონკურირებად ჯგუფებად. სხვადასხვა დაჯგუფებებში ინდუსტრიალიზმის დადგომის დროის განსხვავება პრინციპული ხდება, თუ მას აგრარული ხანის მიერ მივიწყებული კულტურული, გენეტიკური და მსგავსი განმასხვავებლების გამოყენება შეუძლია. „განვითარების“ დაწყება გადამწყვეტ პოლიტიკურ დიაკრიტულ ნიშანს[1] აკონტროლებს, თუკი მას შეუძლია დაიჭიროს რაღაც კულტურული განმასხვავებელი, რომელიც აგრარული ხანიდან მოდის და გამოიყენოს ის, როგორც სიმბოლური აღმნიშვნელი.

ინდუსტრიალიზმის პროცესი სხვადასხვა ფაზებსა და განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობს, და სარგებელის პოვნის და

[1] დიაკრიტული ნიშნები – განსაკუთრებული დამატებითი ნიშნები ზოგიერთ დამწერლობაში, რომელიც მოთავსებულია ასოს თავზე ან ძირზე და ცვლიან ამ ასოების ჟღერადობას, ან აღნიშნავენ დამწერლობაში გამოტოვებულ ბგერებს.

დანაკარგთა თავიდან აცილების თავისი შესაძლებლობებით ახალ მრავალფეროვან დაპირისპირებებს წარმოშობს. ინდუსტრიული ხანის მემარცხენე თუ მემარჯვენე პროგნოზისტებისა და კომენტატორების მიერ ძალიან ხშირად ხდებოდა ინტერნაციონალიზმის წინასწარმეტყველება, მაგრამ დადგა სრულიად საპირისპირო რამ: ნაციონალიზმის ხანა.

5
რას ნიშნავს ერი?

ჩვენ ახლა უკვე შეგვიძლია ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაც ვცადოთ. თავდაპირველად ნაციონალიზმის თეორიის საძირკველად ორი საკმაოდ იმედის მომცემი კანდიდატურა გვესახებოდა: ნება და კულტურა. ცხადია, რომ ორივე მათგანი მნიშვნელოვანი და რელევენტურია, მაგრამ ასევე ცხადია, რომ არცერთი მათგანი არ არის სრულად ადექვატური. აუცილებელია ამის გამომწვევი მიზეზების დადგენა.

უეჭველია, ნება ან ერთიანობა, უმრავლეს დაჯგუფებათა ჩამოყალიბებაში, დიდნი არიან ისინი თუ მცირენი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს. კაცობრიობა ყოველთვის სხვადასვა ზომისა და ფორმის დაჯგუფებებში იყო ორგანიზებული: დროდადრო ისინი ცხადად განსაზღვრულნი იყვნენ, სხვა შემთხვევაში კი ნაკლებად; ხანდახან მკვეთრად იყვნენ გამოყოფილნი, სხვა დროს კი ისინი ერთმანეთს გადაკვეთავდნენ და გადაფარავდნენ ხოლმე. ამ ჯგუფების არსებობის, მათი შევსებისა და საარსებო საშუალებების მრავალფეროვნება დაუსრულებელია. მაგრამ ჯგუფის ფორმაციის და საარსებო საშუალების ორი დამახასიათებელი აგენტი, თუ კატალიზატორი, აშკარად გადამწყვეტია: ერთი მხრივ ნება, საკუთარი სურვილით მიმხრობა, ლოიალურობა, სოლიდარობა, ხოლო მეორეს მხრივ — შიში, იძულება, ძალდატანება და ა.შ. ეს ორი შესაძლებლობა მრავალფეროვანი სპექტრის ორი ურთიერთსაპირისპირო პოლუსია. მხოლოდ ძალიან მცირე დაჯგუფებათა რიცხვს თუ შეუძლია მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე იყოს დაფუძნებული. მაგრამ ეს ალბათ, ძალიან იშვიათი გამონაკლისია. ჩვეულებრივ, ყველაზე მტკიცე დაჯგუფებები ლოიალურობისა და იდენტურობის ნარევს (*სურვილისმიერ* ერთგულებას), და გარეგნულ აღმგზნებებს — პოზიტიურს თუ ნეგატიურს, ანუ იმედს ან შიშს ეფუძნება.

თუ ჩვენ ერებად ისეთ დაჯგუფებებსაც განვსაზღვრავთ, რომლებსაც ერთობებად[1] დარჩენა თავად *სურთ,* ბადე, რომელსაც ჩვენ დეფინიციათა ზღვაში მოვისვრით, უფრო მეტ ნადავლს

[1] Ernest Renan, "Qu`est-ce qu`une Nation" repunlished in Ernest Renan et l`Allemagne, Textes receuilis et commentes par Emile Bure, NY,1945.

მოგვიტანს. ეს გზა, რა თქმა უნდა, ისეთ დაჯგუფებებსაც მოიცავს, რომლებშიც ჩვენ ეფექტური და შედეგიანი ერების აღმოჩენა შეგვიძლია: ეს ნამდვილი ერები, პრინციპში, საკუთარ თავს, თავად ქმნიან ასეთებად, და მათი ცხოვრება, მართლაც, შეიძლება ხანგრძლივი, არაფორმალური, თვითდამამკვიდრებელი პლებისციტის ტიპის იყოს. მაგრამ (ამ განსაზღვრებისთვის სავალალოდ) იგივე შეეხება ბევრ სხვა კლუბს, საიდუმლო საზოგადოებას, ბანდას, გუნდს, პარტიას თუ ბრიგადას, თავი რომ დავანებოთ პრეინდუსტრიული ხანის მრავალრიცხოვან დაჯგუფებებსა თუ ასოციაციებს, რომლებიც არ ივსებოდნენ და ისაზღვრებოდნენ ნაციონალისტური პრინციპის მიხედვით და რომლებიც უარყოფდნენ კიდეც მას. ნება, სურვილი, იდენტიფიკაცია კაცობრიობის სცენაზე ყოველთვის იდგნენ, იმის მიუხედავადაც კი, რომ იქვე იყვნენ შიში და ინტერესთა ჭიდილიც (საინტერესოა რად უნდა მივიჩნიოთ აშკარა ინერცია, ერთობლიობათა და კომბინაციათა ხანგრძლივობა, მდუმარე თანხმობად, თუ რაიმე სხვად?).

მდუმარე თვითიდენტიფიკაციას ადგილი ჰქონდა ყველანაირი ტიპის დაჯგუფებებში, მცირეში თუ დიდში, ჰორიზონტალურად თუ ტერიტორიულად, ან რაიმე სხვა გზით დაყოფილში. მოკლედ, ნება ერად ქცევის საფუძველიც რომ იყოს (სახელმწიფოს იდეალისტური დეფინიციის პერიფრაზი), ის კიდევ რაღაც იმდენად დიდის საფუძველიც არის, რომ ჩვენ, ალბათ, ამ გზით ერს ვერ განვსაზღვრავთ. დღეს იგი ასე იმიტომ ისაზღვრება, რომ თანამედროვე, ნაციონალისტურ ხანაში, ნაციონალური ერთეულები, იდენტიფიკაციისა და ნებით მიკუთვნებულობის პრივილეგირებული, ფავორიტული ობიექტები არიან. ამგვარი განსაზღვრებები დღეს ასე მომხიბვლავად იმიტომ გამოიყურებიან, რომ დაჯგუფებათა სხვა განსხვავებული ტიპები ჩვენს დროში უკვე მივიწყებულია. ისინი, ვინც ნაციონალიზმს თავისთავად ნაგულისხმევ, ჩვეულებრივ მოვლენად იღებენ, მცდარად მიაწერენ მას კაცობრიობის ნებისმიერ ხანაში არსებობას. მაგრამ განსაზღვრება, რომლებიც ერთ, გარკვეულ ხანის პირობებს და დაშვებებს უკავშირდება (როგორი გაზვიადება და განზოგადებაც არ უნდა მოხდეს შემდეგ), ამ ხანის აღმოცენების ასახსნელად არ გამოდგება.

ნაციონალიზმის საერთო კულტურიდან გამომდინარე დეფინიცია მეორე ბადეა, რომელსაც არანაკლებ მდიდარი ნადავლი მოაქვს. კაცობრიობის ისტორია ადრეც და ახლაც კარგადაა მომარაგებული კულტურული განმასხვავებლებით. კულტურული საზღვრები ხან მკვეთრად გამოკვეთილია, ხანდახან კი ბუნდოვნად; მისი ჩარჩოები ხან გამოკვეთილი და მარტივია, ხან კი ძნელად შესამჩნევი და რთული. ჩვეულებრივ და ზოგადად, ეს კულტუ-

რული განმასხვავებლები არ და ვერ ემთხვევიან არც პოლიტიკური ერთეულების საზღვრებს (ძლიერი მმართველობის იურისდიქციას) და არც სურვილისა და ნების დემოკრატიული ნიშნით ნაკურთხ ერთეულებს. აგრარული სამყარო, უბრალოდ, ვერ იქნება ასეთი მოწესრიგებული. ინდუსტრიული სამყარო ცდილობს ამგვარი გახდეს, ან თუნდაც მიუახლოვდეს ასეთ სიმარტივეს; მაგრამ ეს სხვა მიზეზია, თანაც ამისთვის სპეციალური ფაქტორები არ არსებობენ.

ყოვლისმომცველი მაღალი კულტურების გავრცელება (სტანდარტული დამწერლობა და განათლებაზე დამყარებული კომუნიკაციის სისტემები) — სამყაროს გარშემო დატრიალებული სწრაფი პროცესებია, რომელიც თანამედროვე წარმოდგენებში ძალიან ღრმად ჩაფლულ ადამიანს მოაჩვენებს, რომ ნაციონალიზმი მხოლოდ საერთო კულტურიდან ამოსვლით შეიძლება განისაზღვროს. დღეს ადამიანებს მხოლოდ საერთო გაზიარებული კულტურით განსაზღვრულ მობილურ ერთეულებში ცხოვრება შეუძლიათ. თანამედროვე პირობებში თავდაპირველი კულტურული პლურალიზმი სიცოცხლისუნარიანი აღარ არის. მაგრამ ცოტაოდენი ისტორიული და სოციალური გათვითცნობიერება გააქრობს იმის ილუზიას, თითქოს ყველაფერი მუდამ ასე ყოფილიყო. კულტურულად მრავალფეროვანი საზოგადოებები წარსულში ხშირად კარგად ფუნქციონირებდნენ: იმდენად კარგად, რომ ხანდახან კულტურული პლურალიზმი იქაც კი შეჰქონდათ, სადაც ამის ნაკლებობა შეიმჩნეოდა.

თუ ასეთი დამაჯერებელი მიზეზების გამო, ნაციონალიზმის განსაზღვრის იმედისმომცემი ეს ორი გზა გამოირიცხება, დარჩება კი, რაიმე სხვა?

დიდი და ნიშანდობლივი პარადოქსი შემდეგში მდგომარეობს: ერის განსაზღვრება მხოლოდ ნაციონალისტური ხანის ცნებებით შეიძლება, და არა პირიქით, როგორც ეს შეიძლებოდა გვეფიქრა. „ნაციონალიზმის ხანა" არა მხოლოდ ამა თუ იმ ერის გამოფხიზლების და პოლიტიკური თვითდამკვიდრების უბრალო შედეგია. მაშინ, როდესაც ზოგადი სოციალური პირობები მოითხოვენ სტანდარტიზებული, ერთგვაროვანი, ცენტრალურად დაცულ მაღალ კულტურას, რომელიც მთელ საზოგადოებას და არა მხოლოდ ელიტარულ უმცირესობას მოიცავს, იქმნება სიტუაცია, სადაც კარგად განსაზღვრული, განათლებით სანქცირებული და გაერთიანებული კულტურები შეადგენენ კულტურის იმ ერთადერთ ტიპს, რომელთანაც ადამიანები თავს დიდი მონდომებით აიგივებენ. ამის შემდეგ კულტურები პოლიტიკური ლეგიტიმურობის ბუნებრივი შემნახველები ხდებიან. მხოლოდ *შემდეგ* ხდება, რომ პოლიტიკური ერთეულების მიერ საკუთარი საზ-

ღვრების ყოველი უგულველყოფა სკანდალს იწვევს.

მხოლოდ და მხოლოდ ამ პირობებით შეიძლება ერი განისაზღვროს ნების და კულტურის მეშვეობით და ამ ორთან პოლიტიკურ ერთეულების დამთხვევის საშუალებით. ამ პირობებში ადამიანებს მხოლოდ და მხოლოდ მათთან სურთ პოლიტიკურად გაერთიანება, ვინც მათ კულტურას იზიარებს. შესაბამისად პოლიტიკა გააფართოებს თავის საზღვრებს თავისი კულტურის ჩარჩოებამდე, რათა საკუთარი ძალაუფლების გავრცელების არეში დაიცვას და კვლავწარმოშვას თავისი კულტურა. ნების, კულტურის და პოლიტიკის გაერთიანება ნორმა ხდება და არცერთი მათგანის ერთი ხელის მოსმით უგულველყოფა არ არის ადვილი (ერთ დროს მას ხშირად უარყოფდნენ, მაგრამ ამან შეუმჩნევლად და დაუსჯელად ჩაიარა). ეს პირობები კაცობრიობის ისტორიისათვის კი არ არის დამახასიათებელი, არამედ მხოლოდ მისი ინდუსტრიული ვარიანტისთვის.

ერებს მხოლოდ ნაციონალიზმი წარმოშობს და არა პირიქით. ბუნებრივია, ნაციონალიზმი კულტურის ადრე არსებულ, ისტორიულად გადმოცემულ სახეებს იყენებს, თუმცა ამორჩევით, და თანაც ის მას ხშირად რადიკალურად გარდაქმნის. მკვდარი ენა შეიძლება ისევ გაცოცხლდეს, ტრადიციები შეიძლება თავიდან იქნენ გამოგონებულნი, ძველი სიწმინდეები შეიძლება ისევ აღდგენენ. მაგრამ ნაციონალისტური ლტოლვის ამ შემოქმედებითმა, გამოგონებულმა ასპექტმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს და ისე არ უნდა მოგვაჩვენოს თავი თითქოს, ნაციონალიზმი შემთხვევითი, ხელოვნური, იდეოლოგიური გამონაგონია, რომელიც შეიძლებოდა არც შემდგარიყო, რომ იმ წყეულ, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფის მოყვარულ ევროპელ მოაზროვნეებს, საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, საბედისწეროდ ეს ყველაფერი არ გამოეგონათ და სხვა მხრივ სიცოცხლისუნარიან პოლიტიკური დაჯგუფებების სისხლის მიმოქცევაში არ ჩაეშვათ. ნაციონალიზმის მიერ გამოყენებული ყოველი კულტურული მოზაიკა ხშირად შემთხვევითი ისტორიული გამოგონებაა, რომლის ყოველი ძველი ფრაგმენტი შეიძლება მშვენივრად იყოს შენახული, მაგრამ აქედან, არავითარ შემთხვევაში, არ გამომდინარეობს, რომ თავად ნაციონალიზმის პრინციპი, იმ ავატარებისაგან[1] განსხვავებით, რომელსაც ის ირჩევს ინკარნაციებისათვის, შემთხვევითი და მოულოდნელია.

---

[1] ავატარები (სანსკრ. „გარდმოსული") – ინდურ მითოლოგიაში ღმერთი ვიშნუს განსხეულებები. ინდური მითოლოგიის მიხედვით ვიშნუს 9 ავატარაა ცნობილი (მათ შორის – რამა). მთარგმნელის შენიშვნა.

სიმართლისგან არაფერი ისე არაა დაშორებული, როგორც ეს მოსაზრება. ნაციონალიზმი არ არის ისეთი, როგორიც ჩანს, და არც ისეთი, როგორადაც მას საკუთარი თავი მიაჩნია. კულტურები, რომლის დაცვასა თუ აღდგენაზე ის პრეტენზიას აცხადებს, ხშირად მისივე გამოგონილია, ან მის მიერ ისეა შეცვლილი, რომ პირვანდელს მასში ვეღარ იცნობ. მაგრამ ნაციონალისტური პრინციპი, როგორც ასეთი, როგორც ყოველი სპეციფიკური ფორმისაგან და ნაქადაგები უაზრობისგან განსხვავებული, ძალიან ღრმად არის გამჯდარი ჩვენს ყოველდღიურობაში და სულაც არ არის ადვილად უარსაყოფი.

დურკჰაიმი ფიქრობდა, რომ რელიგიურ თაყვანისცემაში საზოგადოება თავისივე შენიღბულ წარმოდგენებს ასხამს ხოტბას. ნაციონალისტურ ხანაში, საზოგადოებები საკუთარ თავს ღიად ეთაყვანებიან, თანაც ყოველგვარი კამუფლაჟის გარეშე. ნიურბერგში ნაცისტური გერმანია არ ცდილობდა თავი მოეჩვენებინა ისე, თითქოს ღმერთს ან სულაც ვოტანს ეთაყვანებოდა; ის ღიად ადიდებდა საკუთარ თავს. უფრო სუსტად, მაგრამ ასევე ნიშანდობლივად, განათლებულ თანამედროვე თეოლოგებს აღარ სჯერათ, ან აღარ ინტერესდებიან თავიანთი სარწმუნოების იმ დოქტრინებით, რომლებიც მათი წინაპრებისთვის ასე მნიშვნელოვანი იყო. ისინი მათ ინტერპრეტაციას ახდენენ, თანაც ისეთი კომიკური ავტოფუნქციონალიზმით, გეგონება, იგი რაღაც მარტივი, კონცეპტუალური და რიტუალური იარაღიაო; ოღონდ იმ მნიშვნელობის მინიჭებით, რითაც სოციალური ტრადიცია ხანგრძლივად და სოლიდურად აძლიერებს მის ღირებულებას. ამით ისინი სისტემატურად აბუნდოვანებენ და აკნინებენ განსხვავებას იმ თავისთავად გაუბრალოებულ „რწმენას“ და იმ რეალურად მომხდარს შორის, რაც მას წინ უძღოდა და რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ადრეულ ევროპულ ისტორიაში, როლი, რომელიც ალბათ ვერასდროს შესრულდებოდა თანამედროვე ამოუცნობლობამდე სახეშეცვლილი ვერსიების მიერ.

მაგრამ ის ფაქტი, რომ სოციალური თვითთაყვანისცემა, იქნება ის აშკარა და მოძალადეობრივი, თუ სუსტი და შეფარული, ახლა საყოველთაოდ მიღებული რამ არის, და არანაირად არ არის დურკჰაიმის მიერ დასახელებული ღმერთში საკუთარი წარმოდგენების შეფარვით ჩადების სინდრომი, სულაც არ ნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოება უფრო ობიექტურია, ვიდრე დურკჰაიმის მიერ აღწერილი. დაჯგუფებათა აღქმა უკვე ღვთაებრივის პრიზმაში აღარ ხდება, ახლა ნაციონალიზმი საკუთარ მეთოდებს იყენებს, რომლებიც იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი სრულიად საერონი არიან (ანუ რწმენასთან არანაირ კავშირში მყოფნი) შეუძლიათ საკმაოდ მომაჯადოებელნი და მაჰიპნოზირებელნი იყვნენ.

ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელი ძირითადი სიცრუე და თავის მოტყუება შემდეგია: არსობრივად, ნაციონალიზმი საზოგადოებაზე მაღალი კულტურის თავსმოხვევაა, იმ საზოგადოებაზე, სადაც ადრე დაბალი კულტურები მოსახლეობის უმრავლესობას მოიცავდა. ეს ნიშნავს, რომ სკოლის მიერ გაშუალებული და აკადემიით კონტროლირებადი ენა, რაციონალურად ზუსტი და ტექნიკური კომუნიკაციებისთვისაა კოდიფიცირებული. ეს არის ადრე არსებული ლოკალური ჯგუფების რთული, ლოკალურად თვით-კვლავ-წარმოებადი სტრუქტურების ადგილას ურთიერთშეცვლადი ინდივიდებით შემდგარი ანონიმური, არაპერსონალური საზოგადოების დაარსება, რომლებიც ერთმანეთთან გარდა ყველაფრისა, გარკვეული საერთო კულტურით არიან დაკავშირებულნი. ეს არის ის რაც *რეალურად* ხდება.

მაგრამ ეს სრულიად საწინააღმდეგოა იმისა, რასაც ნაციონალიზმი ქადაგებს და რისაც ნაციონალიზმს სჯერა. ნაციონალიზმი, ჩვეულებრივ, არარსებული ხალხური კულტურის სახელით იბრძვის. მისი სიმბოლიზმი გლეხების, „*ნაროდის*“ ჯანმრთელი, წმინდა, ძლიერი ცხოვრებიდანაა აღებული. ნაციონალიზმის თვითწარდგინებაში სიმართლის გარკვეული მარცვალია, როდესაც სხვა უცხო კულტურის წარმომადგენელთა მიერ მართული ხალხის, „ნაროდის“ ჩაგვრა ჯერ კულტურული გამოცოცხლებით და გაძლიერებით, შემდგომ კი, ალბათ, ეროვნულ განმანთავისუფლებელი ბრძოლით უნდა იყოს დაძლეული. თუ ნაციონალიზმი აყვავების გზაზე დგას, ის აუცილებლად ანადგურებს უცხო კულტურას, და შემდეგ მას ადგილობრივი დაბალი კულტურით კი არ ცვლის, არამედ აღადგენს ან იგონებს საკუთარ, ადგილობრივ მაღალ კულტურას, თუმცა ისეთს, რომელსაც, როგორც წესი, ძველ ადგილობრივ სტილთან და დიალექტთან გარკვეული კავშირები აქვს. მაგრამ სინამდვილეში ეს ისე გამოიყურება, როგორც ბუდაპეშტის ოპერის დიდებული ქალბატონები, ქუჩაში გლეხის ფორმით, ან ისეთი ფორმით, გლეხის ტანისამოსად რომ ითვლებოდა სეირნობდნენ ხოლმე. დღეს ისინი, ვინც საბჭოთა კავშირში „ეთნიკური“ სიმღერების ფირფიტებს ყიდულობენ, გადარჩენილი ეთნიკური სოფლის მოსახლეობას კი არ წარმოადგენენ, არამედ ახლად ურბანიზებულ, საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფილ, განსწავლულ და მრავალენოვან პოპულაციას,[1] რომელსაც საკუთარი რეალური თუ წარმოდგენილი გრძნობების და ფესვების გამოხატვა მოსწონს, და რომელიც, პოლიტიკური სიტუაციის შესაძლებლობის ფარგლებში, უეჭველია

[1] Yu. V. Brombley et al., *Sovremennye Etnicheskie Protsessy v SSSR* (Contemporary Ethnic Processes in the USSR), Moscow, 1975.

სიამოვნებით ავლენს ნაციონალისტურ ცხოვრების წესს.

ასე რომ, სოციალური თვითმოტყუება, რეალურობის ილუზიის პრიზმაში დანახვა, დღესაც არსებობს, მაგრამ ეს არ ჰგავს იმას, რასაც დურკჰაიმი აანალიზებდა. საზოგადოება საკუთარ თავს რელიგიური სიმბოლოების გზით აღარ ეთაყვანება; თანამედროვე ბორბლებზე შემდგარი მაღალი კულტურა საკუთარ თავს სიმღერებსა და ცეკვებს უძღვნის, რომელსაც ის (ასხვაფერებს რა მას), ხალხური კულტურიდან სესხულობს, თანაც ჰგონია კიდეც, რომ აგრძელებს, იცავს და აძლიერებს მას.

ნამდვილი ნაციონალიზმი არასდროს ვითარდებოდა შეფერხებების გარეშე

ნაციონალიზმის დამახასიათებელი სცენარი (რომელსაც კვლავაც დავუბრუნდებით) დაახლოებით ასე ვითარდება: დავუშვათ, რომ ვიღაც რურიტანელები რომელიღაც მეგალომანიის იმპერიის გლეხები იყვნენ, რომლებიც ერთმანეთთან მონათესავე და მეტ-ნაკლებად ურთიერთგასაგებ დიალექტებზე ლაპარაკობდნენ, და მათი ქცევის წესებიც მეტ-ნაკლები ჰარმონიულობით თავსდებოდა იმ იმპერიის ფარგლებში, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. რურიტანულ ენაზე, უფრო სწორედ კი, რურიტანულ დიალექტებზე, რომელიც ამ ენას ქმნიდა, მხოლოდ ეს გლეხები ლაპარაკობდნენ. არისტოკრატები და ოფიციოზი კი ე.წ. მეგალომანიის სამეფო კარის ენაზე ლაპარაკობდა, რომელიც რურიტანული დიალექტისგან ცალკე მდგომ ენობრივ დაჯგუფებას ეკუთვნოდა.

რურიტანელ გლეხთა უმრავლესობა, თუმცა არა ყველა, ეკუთვნოდა ეკლესიას, რომელშიც ლიტურგია ასევე განსხვავებულ ენაზე სრულდებოდა, სასულიერო პირებიც, განსაკუთრებით იერარქები, საუბრობდნენ ენაზე, რომელიც სალიტურგიო ენის თანამედროვე ვარიანტს წარმოადგენდა და რომელიც რურიტანული დიალექტისგან საკმაოდ შორს იდგა. წვრილი ვაჭრებიც, რომლებიც იმპერიის არაურბანულ დასახლებას ემსახურებოდნენ, განსხვავებულ ეთნიკურ თუ რელიგიურ დაჯგუფებებს ეკუთვნოდნენ და რურიტანელებს შორის მძაფრ ზიზღს იწვევდნენ.

წარსულში რურიტანელებმა ბევრი უბედურება გადაიტანეს, სადაც შემდეგ მათ ელეგიურ სიმღერებში ძალიან ხატოვნად აისახა (ეს სიმღერები მე-19 საუკუნეში დიდი ძალისხმევის შედეგად რურიტანელმა სოფლის მასწავლებლებმა შეკრიბეს და ისინი რურიტანელი ერის დიდი კომპოზიტორის ლ.-ს წყალობით კარგად ცნობილი გახდნენ ინტერნაციონალური მუსიკალური საზოგადოებისათვის). რურიტანელი ხალხის საშინელმა ჩაგვრამ მე-19 საუკუნეში პარტიზანული აჯანყება გამოიწვია, რომელსაც ცნობილი რურიტანელი ყაჩაღი და ბუნტისთავი კ. ხელმძღვანელობდა, რომლის საქმეები ადგილობრივ ხალხურ მახსოვრობაში დღესაც შემორჩენილია, არაფერი რომ არ ვთქვათ, რამდენიმე ნოველასა და ორ ფილმზე, რომელთაგან ერთ-ერთიც ცნობილმა ეროვნულმა ხელოვანმა ზ-მ. გადაიღო მაღალი ფენების დიდი მხარდაჭერის წყალობით, მას შემდეგ რაც რურიტანიის სახალხო სოციალური რესპუბლიკა გამოცხადდა.

უსინდისობა იქნებოდა იმის დამალვა, რომ ის ყაჩაღი თავისივე თანამებრძოლებმა დააჭერინეს, და რომ იმ ტრიბუნალის თავჯდომარე, რომელმაც მას წამებით სიკვდილი მიუსაჯა, ასევე მისი ყოფილი თანამებრძოლი იყო. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც რურიტანიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, შინაგან, იუსტიციის და განათლების სამინისტროებს შორის დაიწყო დებატები, იმის შესახებ, თუ რა იქნებოდა პოლიტიკურად უფრო გამართლებული: იმ სოფლებისთვის პატივის მიგება, რომლებიც თავს ამ ყაჩაღისა და მისი რაზმისაგან იცავდნენ თუ თავად ყაჩაღის სახელის განდიდება, მოსახლეობაში არსებული პოლიციისადმი ოპოზიციური განწყობის თავიდან ასაცილებლად.

მე-19 საუკუნეში დიდი ძალისხმევის ფასად შეგროვებული სიმღერების ანალიზი (რომლებიც, სხვათაშორის, დღეს რურიტანელი ახალგაზრდობის ბრძოლის თუ სპორტის სახეობებისადმი მიძღვნილ სიმღერებშია ფესვგამდგარი), გლეხობის ენობრივი თუ კულტურული სიტუაციის გამო რაიმე უკმაყოფილებაზე სრულიადაც არ მიგვანიშნებს, არამედ იმაზე, რომ მათი უკმაყოფილება სხვა უფრო მიწიერი მიზეზებით იყო გამოწვეული. პირიქით, იმ ლინგვისტური მრავალფეროვნების გაცნობიერება, რომელიც სიმღერათა ტექსტებში არსებობს ირონიული და სახუმაროა და ხანდახან იგი კითხვა-პასუხის სახით ორენოვან შაირებშიც გვხვდება. ამასთან, უნდა დავუმატოთ, რომ ამ სიმღერათა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია (აკი მეც არაერთხელ მიმღერია იგი საზაფხულო არდადეგებზე, საღამო ხანს, კოცონს გარშემო შემომსხდარ მეგობრებთან ერთად) ლექსი მწყემსი ბიჭის ბედის შესახებ, რომელიც ბატონის მიწებზე ტყის პირას სამ ხარს მწყემსავდა და რომლისთვისაც აბუნტებულებს თბილი ჯუბის წართმევა მოუნდომებიათ. გაჯიუტებულ ბიჭს ჯუბის გახდაზე უარი უთქვამს და ამის გამო ყაჩაღებს მოუკლავთ. მე არ ვიცი, შეცვალეს თუ არა უფრო შესაფერისად ამ სიმღერის ტექსტი მას შემდეგ რაც რურიტანია სოციალისტური გახდა. ასეა თუ ისე, მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ: მიუხედავად იმისა, რომ სიმღერები ხშირად გამოხატავენ გლეხების ცხოვრებისეული პირობებით უკმაყოფილებას,

ისინი კულტურული ნაციონალიზმის თემას არანაირად არ ეხებიან.

მე-19 საუკუნეში მოსახლეობის აჯანყებებმა ერთდროულად მეგალომანიის იმპერიის გარკვეული სხვა მხარეებიც მოიცვა — მაგრამ არა ინდუსტრიული რურიტანია. რურიტანელი გლეხები სამუშაოს საძებნელად უფრო განვითარებულ რეგიონებში გადავიდნენ და ზოგიერთმა მათგანმა იმ დროს არსებული საშინელი პირობების მიუხედავად, იქ ფეხიც კი მოიკიდა. თუმცა, როგორც ჩამორჩენილები და განუვითარებელ ენაზე მოლაპარაკენი, ისინი შავ სამუშაოებს თუ შოულობდნენ ქალაქის ღარიბ უბნებში. მაგრამ იმავდროულად, ეკლესიაში გაზრდილმა რამდენიმე რურიტანელმა ახალგაზრდამ, რომლებიც განათლებას პრივილეგირებულ მეგალომანიურ ენაზე იღებდნენ, თავიანთ სამრევლო სკოლებშივე ახალი ლიბერალური იდეების გავლენა მიიღეს და უნივერსიტეტის თუ სხვა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ არა მღვდლებად, არამედ, ჟურნალისტებად, მასწავლებლებად თუ პროფესორებად მოგვევლინენ. მათ ამ საქმეში რურიტანიის გამოსაკვლევად მოსული რამდენიმე უცხოელი ეთნოგრაფი, მუსიკათმცოდნე თუ ისტორიკოსი ეხმარებოდა და ამხნევებდა. ხანგრძლივმა სამუშაო მიგრაციამ გაზარდა და გააფართოვა ელემენტარული განათლების არე და თანაც, რურიტანელი განმანათლებლები ფართო აუდიტორიით მოამარაგა.

რა თქმა უნდა, სურვილის შემთხვევაში (და ეს ბევრს სურდა), რურიტანელებისთვის ადვილად იყო შესაძლებელი, გაბატონებულ მეგალომანიურ ენასთან ასიმილაცია. არავითარი განსაკუთრებული გენეტიკური მახასიათებელი, არავითარი ღრმა რელიგიური ტრადიცია განათლებულ რურიტანელს მსგავსი მეგალომანიელისაგან არ ასხვავებდა. რეალურად ძალიან ბევრი ასიმილირდა, ისე, რომ გვარის გამოცვლითაც არ შეუწუხებია თავი. მეგალომანიის ძველი დედაქალაქის (ახლა კი მეგალომანიის ფედერაციული რესპუბლიკის) ტელეფონების წიგნი სავსეა რურიტანული სახელ-გვარებით, თუმცა ისინი ხშირად მეგალომანიური ენის გავლენით უცნაურადაა დამარცვლული და მეგალომანიურ ფონეტიკურ ჟღერადობასთან ადაპტირებული. საქმე ისაა, რომ სამუშაოს მაძიებელ რურიტანელთა ძნელი და სირთულეებით აღსავსე სტარტის შემდეგ, მათი შთამომავლების ცხოვრება სულაც არ არის განსაკუთრებით ცუდი, ან სულაც, ისეთივეა (კონკრეტული შემთხვევის, შრომისუნარიანობის და მოთხოვნილებების გათვალისწინებით), როგორც არარურიტანელი, მეგალომანიელი მოქალაქისა. ასე რომ, ამ თაობას თავის განვითარებაში უკვე რეგიონის აყვავებისა და გაძლიერების ინტერესებიც საერთო აქვს. აქედან გამომდინარე, იმდენად, რამდენადაც ინდივიდუალური ცხოვრებისეული პროცესების ცვლილება მიმდინარეობს, ალბათ,

აღარ უნდა არსებობდეს მტრული რურიტანული ნაციონალიზმის აუცილებლობა.

მიუხედავად ამისა, რაღაც ამის მსგავსი მაინც ხდება. მე ვფიქრობ არ იქნება მართალი, ამ მოძრაობის წევრებს თავინთი მიზნების მისაღწევად გაცნობიერებული გამოთვლები მივაწეროთ. სუბიექტურად ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ მათ ჰქონდათ სურვილებიც და მოტივებიც, ის, რაც ასე გამომსახველადაა ასახული აღორძინების პერიოდის ნაციონალისტურ ლიტერატურაში. ის მწერლები საკუთარი მიწის მოუვლელობას კიცხავდნენ, რადგან ეგონათ, იქ ისევ შეიძლებოდა პირველყოფილი სიწმინდის აღმოჩენა; ისინი გმობდნენ იმ დისკრიმინაციას, რომელიც თავიანთი თანამემამულეების მიმართ ხორციელდებოდა, ასევე უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთი კულტურისადმი გაუცხოების იმ ტენდენციით, რასაც ინდუსტრიული ქალაქების პროლეტარულ შემოგარენში ჰქონდა ადგილი. ისინი ყოველივე ამის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და მათ არც ისე ცოტა მიმდევარი ჰყავდათ. ის გზა, რომლითაც რურიტანიამ დამოუკიდებლობას მიაღწია, მაშინ, როდესაც ამას საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია უწყობდა ხელს, ახლა ისტორიული „ჩანაწერის" ნაწილია და აქ მისი გამეორება აღარ არის საჭირო.

როდესაც ნაციონალისტი ინტელიგენტები ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილნი მთებს სერავდნენ და წმინდა ტყეებში პოემებს თხზავდნენ, ისინი ალალი და კეთილშობილური გრძნობებით იყვნენ აღვსილნი საკუთარი თანამემამულეების დასახმარებლად და ერთ მშვენიერ დღეს ბიუროკრატებად, ელჩებად თუ მინისტრებად გახდომაზე სულაც არ ოცნებობდნენ. არც გლეხებსა და მუშებს, რომელთა გამოფხიზლებასაც ინტელიგენტები ცდილობდნენ, არ უოცნებიათ ინდუსტრიული განვითარების გეგმებზე და ვერც წარმოიდგენდნენ ერთ დღეს რურიტანული ხეობების გულში ფოლადის წისქვილი თუ გაჩნდებოდა (საკმაოდ უსარგებლო რამ, როგორც ეს შემდგომ აღმოჩნდა) და მთლად დაანგრევდა სახნავისა თუ საძოვრის იდილიურ გარემოს. არასწორი იქნებოდა, ამ გრძნობების მატერიალური წარმატების და სოციალური მობილურობის წინასწარ გამოთვლამდე დაყვანა გვეცადა. თანამედროვე თეორია ხანდახან, ნაციონალური გრძნობის პერსპექტივებისა და სოციალური წინსვლის გათვლებამდე დაყვანითაა გაშარჟებული, რაც არასწორია. ადრე აზრი არ ჰქონდა გლეხისთვის გეკითხა უყვარს თუ არა მას თავისი ქვეყანა, ის მას გაუცნობიერებლად, ბუნებრივ მოვლენად აღიქვამდა, ისევე, როგორც ჰაერს, რომელსაც სუნთქავდა. მაგრამ, როდესაც მათ სოციალურ ჰორიზონტში შრომითი მიგრაცია და ბიუროკრატიული სამსახურები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, მათ სწრაფად ისწავლეს

განსხვავება თანამემამულესა, ანუ იმის, ვისაც მათი კულტურა ესმის და მისდამი სიმპატიითაა განწყობილი, და ვინმე უცხოს შორის. ამ კონკრეტულმა გამოცდილებამ მათ თავიანთი კულტურის (ან სულაც მისგან თავის დაღწევის სურვილის), სოციალური გაცნობიერება და სიყვარული ასწავლა სოციალური მობილურობის, სარგებელისა და პერსპექტივების გამოთვლის გარეშე. სტაბილურ, საკუთარი თავის უზრუნველყოფის შემძლე დაჯგუფებებში კულტურა ხშირად თითქმის შეუმჩნეველია, მაგრამ, როდესაც მობილურობა და კონტექსტისაგან თავისუფალი კომუნიკაციები სოციალური ცხოვრების ზედაპირზე ამოვა, კულტურა, რომლის წიაღშიც ვიღაცამ კომუნიკაცია ისწავლა, მისი იდენტურობის საფუძველი ხდება.

ასე რომ, იქ ასეთი გამოთვლა რომც *არსებულიყო* (რაც არ არსებობდა), ის ბევრ შემთხვევაში (თუმცა არა ყოველში), საფუძვლიანი იქნებოდა. ფაქტიურად, მოცემულ რურიტანელ ინტელექტუალთა მცირე რაოდენობა, იმ რურიტანელთა, რომლებსაც მაღალი კვალიფიკაცია გააჩნდათ, უკეთეს პოსტებს დამოუკიდებელ რურიტანიაში მიაღწევდნენ, ვიდრე უფრო დიდ მეგალომანიაში, სადაც ისინი მეცნიერულად უფრო განვითარებულ ეთნიკურ ჯგუფებს უნდა შეჯიბრებოდნენ, მსგავსად მუშების და გლეხებისა, რომლებიც თავსა და ოჯახებს მაშინვე ვერ უზრუნველყოფდნენ; მაგრამ ახლად განსაზღვრული რურიტანიის გარშემო პოლიტიკური საზღვრების გამოკვეთა ნიშნავდა მხარის ინდუსტრიის დაცვასა და შესაძლო კეთილდღეობას და ბოლოს, სამუშაო მიგრაციის საჭიროების საგრძნობ შემცირებას.

ყოველივე ზემოთ თქმული, მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს: ინდუსტრიალიზმის გარიჟრაჟზე, ცენტრალური კულტურისგან დაშორებული კულტურული და ენობრივი ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც სამუშაოს საპოვნელად ცენტრებისაკენ მიგრირებენ, მნიშვნელოვან წარუმატებლობას განიცდიან, თანაც მათი წარუმატებლობები ბევრად უფრო დიდია, ვიდრე იმ ეკონომიურად სუსტი პროლეტარების წარუმატებლობა, რომელთაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ მმართველებთან საერთო კულტურა აკავშირებთ. თუმცა კულტურულ/ლინგვისტური დისტანცია და საკუთარი თავის სხვებისგან განსხვავების უნარი (ის, რაც ამ შემთხვევაში, კონკრეტული ადამიანებისთვის უდაოდ ხელისშემშლელია), ახლად შობილ სამყაროს მიერ წარმოქმნილ ამ მსხვერპლთა მთლიანი ორგანიზმისთვის პოზიტიური უპირატესობად შეიძლება იქცეს და ალბათ, ხშირად, ასე ხდება კიდეც. ეს მათ საშუალებას აძლევს თავიანთი აღშფოთება და უკმაყოფილება ყველასვის გასაგებად გაიაზრონ და გამოხატონ. ადრე რურიტანელები ოჯახის და სოფლის, ან თუნდაც თავიანთი მიწის, ანდა

ზოგ შემთხვევაში, რელიგიის ენაზე აზროვნებდნენ. მაგრამ, ახლა, ადრეული ინდუსტრიალიზმის განვითარების წისქვილში მოხვედრილებს, საკუთარი არც მიწა და არც სოფელი აღარ აქვთ; ზოგიერთს ოჯახიც არა აქვს. მაგრამ მათ გვერდით *არსებობდნენ* ღარიბები და ექსპლუატირებულები, თანაც მათ უმრავლესობას აშკარად საერთო დიალექტი აკავშირებდათ, მაშინ როდესაც პრივილეგირებულთა უმრავლესობა საკმაოდ განსხვავებულ ენაზე საუბრობდა. სწორედ ამ კონტრასტიდან დაიბადა რურიტანული ერის ახლებური გაგება ზემოთ ნახსენებ ჟურნალისტთა და მასწავლებელთა გარკვეული ხელშეწყობით. და ეს არ იყო ილუზია: ახლადშობილი რურიტანული ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ობიექტის მიღწევას, მართლაც, მოჰქონდა იმ ავადმყოფობების განკურნება, რამაც ის წარმოშვა. განკურნება, ალბათ, ოდესმე მაინც გარდაუვალი იყო, რადგან ამ ეროვნულ ფორმაში ის ახალ მაღალ კულტურას და მის დამცველს სახელმწიფოს წარმოშობს.

ეს ორიდან ერთერთი იმ უმნიშვნელოვანესი პრინციპთაგანია, რომლებიც ახალ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოშობს იმ დროს, როცა იბადება ახალი, იზოლირებული კულტურული აუზებით განპირობებული ინდუსტრიული სამყარო. მას შეიძლება საკომუნიკაციო ბარიერთა პრინციპი ვუწოდოთ, ბარიერის, რომელიც წინა, პრე-ინდუსტრიულ კულტურაზეა დამყარებული, და რომელიც ადრეული ინდუსტრიალიზაციის პერიოდში განსაკუთრებული ძალით მოქმედებს. მეორე პრინციპს, ასევე მნიშვნელოვანს, შეიძლება სოციალური ენთროპიის შემაფერხებელი ვუწოდოთ. ეს საკითხი კი, ცალკე გამოყოფას იმსახურებს.

6
სოციალური ენთროპია და თანასწოროობა ინდუსტრიულ საზოგადოებაში

აგრარული საზოგადოებიდან ინდუსტრიულში გადასვლას გარკვეულწილად ენთროპიული ხასიათი ჰქონდა — მკაცრი ნახაზიდან სისტემური შემთხვევითობისკენ გადაადგილება. აგრარულ საზოგადოებას, თავისი შედარებით სტაბილური პროფესიებით, მყარი რეგიონალური, ნათესაური, პროფესიული თუ რანგობრივი დაჯგუფებებით, ნათლად მარკირებული სოციალური სტრუქტურა გააჩნდა. მისი ელემენტები მოწესრიგებულნი იყვნენ და არა შემთხვევით გადანაწილებულნი. მისი ქვეკულტურები ხაზს უსვამდა და აგრძელებდა ამ განსხვავებებს. ეს პროცესი საზოგადოების ფუნქციონირებას არავითარ შემთხვევაში ხელს არ უშლიდა, მაშინაც კი, როდესაც კულტურების განსხვავებულ ფორმებს წარმოშობდა. პირიქით, აგრარულ საზოგადოებაში ასეთი კულტურული განმასხვავებლები რაიმე საფრთხის გამოხატულებად კი არა, ნორმად მიაჩნდათ.

ინდუსტრიული საზოგადოება კი განსხვავებულია. მისი ტერიტორიები და სამუშაოები *ad hoc* არის წარმოდგენილი: მისი წევრები ცვალებადნი არიან, მასში დიდი რეორგანიზაციები ხდება ხოლმე და ზოგადად ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს მათი წევრების ლოიალურობასა და იდენტურობას. მოკლედ, ძველი სტრუქტურები დაიშალა და შეიცვალა შინაგანად შემთხვევითი და მოძრავი მთლიანობით, რომელშიც აღარ არის (განსაკუთრებით, როცა მას აგრარულ საზოგადოებას ვადარებთ) ნამდვილი ქვესტრუქტურები. ინდივიდისა და მთლიანი საზოგადოების ეფექტურად დამაკავშირებელი ორგანიზაციები ყველა დონეზე ძალიან მცირეა. ასე რომ, ეს ტოტალური და ულტიმატური პოლიტიკური დაჯგუფება, დაკავშირებულია რა (რაც ადრე იშვიათად ხდებოდა) სახელმწიფოსთანაც და კულტურულ საზღვრებთანაც, სრულიად ახალ და ყურადსაღებ აუცილებლობას მოითხოვს. ქვედაჯგუფებების დაშლის და საერთო დამწერლობაზე დამოკიდებული კულტურის აუცილებლობის მზარდი მოთხოვნის გამო, *ერი* ახლა უმაღლესი აუცილებლობაა. სახელმწიფო, უზარმაზარი სოციალური სტრუქტურების მხარდაჭერასა და ზედამხედველობაზე აუცილებლადაა პასუხისმგებელი (ამის საფასური, როგორც წესი, საზოგადოების მთელი შემოსავლის ნახევარს

უტოლდება). საგანმანათლებლო სისტემა მისი აუცილებელი ნაწილი ხდება, ხოლო კულტურულ-ლინგვიტური შუამავლობა და მისი შენარჩუნება, ახლა განათლების ძირითადი ფუნქციაა. მოქალაქეებს მოქმედება მხოლოდ ამ გარემოში შეუძლიათ, გარემოში, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიასა და მის საგანმანათლებლო და კულტურულ აპარატურასთანაა თანხვედრილი, და რომელსაც მისი დაცვა, მოვლა და მხარდაჭერა სჭირდება.

კულტურის როლი, უკვე დიდი ხანია აღარ არის საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული განმასხვავებლების ხაზგასმა, გამომზეურება და ავტორიზირება (მაშინაც კი, თუ ასეთი რამ არსებობს და ახლის გაჩენის შესაძლებლობაც არის); პირიქით, როდესაც, რაღაც შემთხვევაში, კულტურული განსხვავება ეჯაჭვება და აძლიერებს სტატუსურ განსხვავებას, ეს საზოგადოებისთვის სამარცხვინო მოვლენად განიხილება და საგანმანათლებლო სისტემაში დაშვებულ გარკვეულ შეცდომებს მიეწერება. ამოცანა, რომლის შესრულებაც ამ სისტემას მოეთხოვება, მთლიანი საზოგადოებისთვის საჭირო წვრთნაგავლილი, კომპეტენტური და ლოიალური წევრების მიწოდებაა, რომელთა მიერ პოსტების დაკავება არსებულ დაჯგუფებაში გარკვეული ქვედაჯგუფებისადმი ფრაქციული ლოიალურობით არ იქნება შეფერხებული; და თუ საგანმანათლებლო სისტემის ზოგიერთი ნაწილი, ვისიმე გულგრილი დამოკიდებულების, ან თუნდაც საიდუმლო გეგმის არსებობის გამო, აქტიურად წარმოშობს შინაგან კულტურულ განმასხვავებლებს და ამით უშვებს ან ხელს უწყობს დისკრიმინაციას, ეს სკანდალის ტოლფასია.

ენთროპიის ხელისშემშლელები

ეს ყველაფერი ჩვენი ძირითადი თეორიის — ნაციონალიზმის საფუძვლის, მობილური, განათლებული, ანონიმურ საზოგადოებაში კულტურის ახალი როლის თეორიის — ხელახალი ფორმულირებაა. მაგრამ აქ წინა პლანზე შემდეგი გამოდის: ენთროპული მობილურობის და განათლების პროცესის უწესრიგობის მოჩვენებითობა. მიუხედავად იმისა, რომ, მასში ქვე-დაჯგუფებები ნაწილობრივ დანგრეულია და მათი მორალური სიძლიერე ბევრად შესუსტებული, ადამიანები სხვადასხვა გზით ერთმანეთის განსხვავებას მაინც აგრძელებენ. შეიძლება ადამიანები მაღლებად და დაბლებად, მსუქნებად და გამხდრებად, შავგვრემანებად და ქერებად ან ბევრი სხვა ნიშნით დავყოთ. ცხადია, ასეთი კლასიფიკაციებისთვის ზღვარი არ არსებობს. ამ ტიპის შესაძლო კლასიფიკაციათა უმეტესობა საერთოდ არ იქნება საინტერესო. მაგრამ

ზოგიერთი მათგანი სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ხდება. არსებობენ ისეთი კლასიფიკაციები, რომლებსაც მე ენთროპიისადმი მდგრადს ვუწოდებდი. კლასიფიკაცია ენთროპიამდგრადია, თუ ის დაფუძნებულია იმ ატრიბუტზე, რომლის გავრცელებაც ყველგან, მთელ ტერიტორიაზე, თუნდაც ინდუსტრიული საზოგადოების შინაგანი ჩამოყალიბების შემდგომაც, ადვილი *არ არის*. ასეთ ენთროპიაგამძლე შემთხვევაში, ის ინდივიდები, რომლებიც რაღაც მახასიათებლებით გამოირჩევიან, მთელი საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილში კონცენტრირდებიან ხოლმე.

დავუშვათ, რომ საზოგადოება ისეთ ინდივიდთა რაოდენობას შეიცავს, რომლებიც შთამომავლობითი შემთხვევითობით ცისფრად პიგმენტირებულნი არიან; და დავუშვათ, მიუხედავად ახალი ეკონომიკის თავდაპირველი ჩამოყალიბების დროიდან გარკვეულ თაობათა ნაწილზე *la carriere ouverte aux talents* პოლიტიკის ოფიციალურად გავრცელების და გაძლიერებისა, ცისფერთა უმრავლესობა ჯიქურ მიილტვის საზოგადოების უმაღლესი თუ უმცირესი ადგილების დაკავებისაკენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცისფრები ამ საზოგადოებაში ძალიან ბევრი ან ძალიან ცოტა უპირატესობის (სარგებლობის) მოპოვებისთვის ილტვიან. ამ აზრით, სიცისფრე სოციალური ენთროპიისათვის ხელისშემშლელი მახასითებელია.

აღვნიშნოთ ისიც, რომ ყოველთვის შესაძლებელია ისეთი მახასიათებლების გამოგონება, რომელიც მოცემულ მომენტში ენთროპიაგამძლედაა აღიარებული. ყოველთვის შეიძლება ისეთი კონცეფციის გამოგონება, რომელიც ადამიანთა მხოლოდ ამა თუ იმ კლასს შეეხება. მაგრამ ენთროპიაწინაამღდეგობის კონცეფცია ამ აზრით, როგორც წესი, საინტერესოა მხოლოდ მაშინ, თუ ის საზოგადოების კვლევისას მისაღები, ბუნებრივი გაგებაა და არა არსებული მიზნებისთვის ხელოვნურად გამოგონილი. იმ შემთხვევაში, თუ ის ფართო საზოგადოებაში არათანაბრადაა განაწილებული, უსიამოვნებებს უნდა ველოდეთ.

ამ არგუმენტაციის დარჩენილი ნაწილის გამოთვლა ადვილი შესაძლებელია. ენთროპიამდგრადობა ინდუსტრიული საზოგადოებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. სრულიად საწინააღმდეგო ხდებოდა აგრარულ საზოგადოებაში: ენთროპიამდგრადული მახასიათებლების ძაგებისგან შორს მდგომი ამ ტიპის საზოგადოება, ჩვეულებრივ იგონებს კიდეც მას, თუ ის ბუნებრივად „ამ ტიპის პროდუქტით მომარაგების“ ნაკლებობას განიცდის. მათ აწყობდათ ვარაუდი, თითქოს ადამიანთა გარკვეული კატეგორია ბუნებით მმართველები იყვნენ, დანარჩენები კი, ბუნებით მონები და ამის განსახორციელებლად დამსჯელობითი და იდეოლოგიური

(ადამიანების ამ მოთხოვნებთან შესაგუებლად) სანქციებიც კი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. იმდროინდელი საზოგადოება იგონებდა საეჭვო საკაცობრიო ატრიბუტებს და საწყისებს, რომელთა ძირითადი მიზანი, სწორედ ენთროპიამდგრადობა იყო. მუსულმანურ სამყაროში რელიგიური ელიტა ხშირად წინასწარმეტყველის შთამომავლობის ნიშნითაა განსაზღვრული და დაკანონებული; ცენტრალური აზიის ტომებს შორის სტატუსი ხშირად ჩინგიზ ხანის კლანიდან შთამომავლობის ნიშნითაა გამოხატული; ბევრ ევროპელ არისტოკრატს სწამს, რომ მისი წინაპრები რომელიმე განსაკუთრებული დამპყრობელი ეთნიკური დაჯგუფებიდან მომდინარეობს.

ენთროპიამდგრადობა ინდუსტრიულ საზოგადოებაში განხეთქილებებსა და უფსკრულებსაც კი წარმოშობს. როგორ უნდა განვასხვავოთ ეს განხეთქილებებისადმი მიდრეკილება იმ კულტურული განმასხვავებლებისაგან და საკომუნიკაციო პრობლემების წარმომქმნელებისაგან, რომელსაც ადრეულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ვხვდებით, და რომელიც ჩვენ წინა ნაწილში განვიხილეთ?

ამ ორ ფენომენს ერთი მახასიათებელი და საერთო გადაკვეთის წერტილი აქვს. მაგრამ, მათ შორის განსხვავებებიც ასევე მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ენთროპიამდგრადული ტიპისაა ენისა და კულტურისადმი განსხვავებული მიდგომა უფრო წინ წასული პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრისა და პერიფერიული კულტურის მცხოვრებლებს შორის და შესაძლოა, ეს ამ უკანასკნელებსა და მათ ლიდერებს კულტურული და პოლიტიკური ნაციონალიზმისაკენ უბიძგებდეს. ემიგრანტი მუშა, რომელიც არც კი ლაპარაკობს არცერთ იმ დიალექტურ ვარიანტზე, რომელზედაც დიდი სახელმწიფოს ბიუროკრატები და მეწარმეები ლაპარაკობენ, ზუსტად ამის გამო რჩება სოციალური იერარქიის ძირში. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მას ნაკლები შესაძლებლობა ექნება გამოასწოროს და გადალახოს ის წარუმატებლობა, რომელიც მას და მის შვილებს თან სდევს. მაგრამ სხვა მხრივ, როდესაც მისი ენა (ან თუნდაც მისი დიალექტის ერთერთი სტანდარტიზირებული ვერსია) ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საგანმანათლებლო, ბიუროკრატიული და კომერციული ენა ხდება, სწორედ ეს განსაკუთრებული შემაფერხებლები ქრება და მისი კულტურული მახასიათებლები ენთროპიამდგრადი აღარ არის.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ჰიპოთეტურ შემთხვევაში, მას *ასევე* შეეძლო, შემაფერხებელი ფაქტორებისგან თავი ძველ გაბატონებულ კულტურასთან და ენასთან ასიმილაციით დაეღწია; ფაქტიურად, ამ გზას ბევრი დაადგა. აზრი არა აქვს ვივარაუდოთ, თითქოს ისინი, ვინც ამ გზას დაადგნენ, რიცხობრივად ნაკლებნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც ნაციონა-

ლისტური არჩევანი გააკეთა. სინამდვილეში ბევრმა ორივე ეს გზა, ერთდროულად და წარმატებულად გაიარა.[1] მაგალითად, ბევრი ირედენტისტი[2] ნაციონალისტი გახდა იმ კულტურის სახელით, რომელიც სულაც არ იყო მისთვის რეალურად დასაბამიერი, ისინი ჯერ ასიმილირდნენ, და მხოლოდ შემდეგ ასწიეს პოლიტიკური „ტრანსპარანტები" სრული მაღალი კულტურის სტატუსის და საკუთარი სახელმწიფოებრივი სახურავის მისაღწევად.

მაგრამ, ის რაც ამ შემთხვევას (რამდენადაც გადამწყვეტად მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს იგი) სხვა ენთროპიამდგრადი ტიპებისაგან განასხვავებს, შემდეგია: თუ ყველაფერი ის, რაც ჩვენს წინაშეა, მართლაც კომუნიკაციური დეფიციტია (თუნდაც ზოგად სტატუსთან და ეკონომიკურ წარუმატებლობასთან მჭიდროდ დაკავშირებული), მაშინ მისი გამოსწორება უკვე განხილული ორი მეთოდიდან — ნაციონალიზმიდან და ასიმილაციიდან — ერთერთით (ან მათი კომბინაციით) შეიძლება. მაგრამ არსებობს ენთროპიამდგრადობის ისეთი ფორმებიც, რომლის დამანგრეველი სოციალური შედეგების გამოსწორებაც მხოლოდ კომუნიკაციის გაუმჯობესებით არ ხერხდება. მაგალითად, როდესაც მეორე შესაძლებლობა — ასიმილაცია განათლების გზით — გამორიცხულია, ანდა როდესაც მიზეზი მეტია, ვიდრე რთული კომუნიკაციური ბარიერი და თუ პოლიტიკური ძალაუფლების ბალანსით პირველი შესაძლებლობაც (წარმატებული, შედეგიანი ირედენტიზმი) გამორიცხება, სიტუაცია სერიოზულია და ის კიდევ უფრო გაუარესდება.

წარუმატებელი კომუნიკაცია, ანუ ის, რაც ინდუსტრიულ სივრცეში უცხო კულტურიდან მოსულებს ყველაზე მეტად აწუხებთ, ენთროპიის შეკავების ერთერთი ფორმაა (თუმცა ისეთი, რომლის დაძლევაც თაობათა მანძილზე ადვილად შეიძლება); მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ენთროპიის შეკავების ყველა ტიპი კომუნიკაციის შეუძლებლობაზე არ დაიყვანება. ის დაჯგუფებები, რომლებიც აღარ გამოდგებიან თუნდაც წარუმატებელი კომუნიკაციის საწარმოებლად, რაც არც გაბატონებულ გაერთიანებასთან ასიმილაციით და არც ახალი, დამოუკიდებელი გაერთიანებების შექმნით არ გამოსწორდება, შესაბამისად, უფრო ტრაგიკულები არიან. ისინი წარმოადგენენ პრობლემას, რომლის

[1] F. Colonna, *Institeurs Algeriens*, 1883-1939, Paris, 1975

[2] ირედენტიზმი - პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოძრაობა XIX საუკუნის დასასრულის XX საუკუნის დასაწყისის იტალიაში. ირედენტისტები იბრძოდნენ იტალიისათვის ავსტრია-უნგრეთის იმ ტერიტორიების მისაერთებლად, რომლებიც იტალიელებით იყო დასახლებული.

გადაჭრაც ჯერ-ჯერობით შეუძლებელია და რომელიც ინდუსტრიალიზმის წინაშე არსებული ერთერთი უმძიმესი პრობლემათაგანი შეიძლება გახდეს.

ახლა, ფართო საზოგადოებაში არსებულ ცისფრად პიგმენტირებულ სუბ-პოპულაციათა ჩვენს ჰიპოტეტურ შემთხვევას დავუბრუნდეთ და დავუშვათ, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო ეს ადამიანები სოციალური შკალის ქვედა საფეხურთან არიან თავმოყრილნი. ინდუსტრიული საზოგადოებები თავიანთი მოქალაქეების სოციალურ პოზიციათა მრავალფეროვნებით უზრუნველყოფაში საკმაოდ არაეგალიტარულნი არიან, ზოგი ამაში მეტად წარმატებულია, ზოგიც ნაკლებად; მაგრამ ისინი, ამავე დროს, ეგალიტარულები არიან იმაში, რომ პოსტების ეს სისტემა განგრძობითობის რაღაც ტიპს ქმნის (მასთან რადიკალური წყვეტილები არ არსებობს) და რომ არსებობს ფართოდ გავრცელებული რწმენა იმისა — თუმც გადაჭარბებული, მაგრამ ჭეშმარიტებას არა მთლიანად მოკლებული — რომ ზევით და ქვევით მოძრაობა შესაძლებელია და რომ სისტემაში არსებული რიგიდული ბარიერები უკანონოა. აგრარული საზოგადოების ნებისმიერ მდგომარეობასთან შედარებით, ინდუსტრიული საზოგადოება საოცრად ეგალიტარულია. განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ცხოვრების სტილის გარკვეულ ურთიერთშერწყმას და სოციალური დისტანციის დიდ შემცირებას აქვს ადგილი. მაგრამ ჩვენს ჰიპოთეტურ შემთხვევაში, ქვედა ფენებში თავმოყრილი ცისფერი შეფერილობის მოსახლეობის ადვილად შეცნობადობას (ცისფერი ადვილად გამოსარჩევი ფერია), ამ კატეგორიის ადამიანების არაშემთხვევით, ენთროპიის საპირისპირო გადანაწილებასთან დამთხვევას, რამდენიმე ძალიან სავალალო შეგეგი მოსდევს.

შეიძლება ითქვას, რომ *პოპულაციები* თავიანთი თანდაყოლილი ნიჭით და უნარით ერთმანეთისგან ხშირად განსხვავდებიან. იმის დაშვება, რომ ყველა ნიჭი და უნარი სრული თანასწორობითაა გადანაწილებული, იმ დაშვების ტოლფასია, დედამიწა მრგვალი არ არის. მაგრამ სრულიად ნათელია, რომ როცა საქმე ნიჭის და უნარის გავრცობას შეეხება, სოციალური ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თანდაყოლილი ნიჭი (ხალხები, რომლებიც მიმდინარე საუკუნეებში კაცობრიობის მიღწევებთან განსაკუთრებით არიან ასოცირებულნი, ისტორიისთვის არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩამორჩენილი ველურები იყვნენ, მიუხედავად ამისა, ძნელი დასაჯერებელია, რომ მათი გენეტიკური აღჭურვილობა იმ მოკლე ხანში შეცვლილიყოს, რომელმაც მათ ბარბაროსულ პერიოდსა და მსოფლიო-ისტორიულ გამორჩეულობას შორის გაიარა — რაც ჩვენს არგუმენტს ამყარებს). მთელი ეს საკითხი არც ისე მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც ცხადია,

რომ შესაძლებლობათა გამოვლინებები, რომელსაც მოცემული „ეთნიკური“ თუ „რასობრივი“ დაჯგუფებების შიგნით აქვს ადგილი, უფრო დიდია, ვიდრე განსხვავებები ასეთ განცალკევებულ ჯგუფებს შორის.

აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დასკვნა შეიძლება გამომდინარეობდეს: ცისფრები ქვედა სოციალურ საფეხურზე არიან თავმოყრილნი და შესაძლებელია, რომ საშუალოდ მათი შესაძლებლობები სხვა უფრო თავისუფლად გადანაწილებულ დაჯგუფებებზე ნაკლები იყოს. არავინ უწყის ეს ასე გენეტიკური განმასხვავებლების თუ სოციალური ფაქტორების გამო უფრო ხდება, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: ცისფრად პიგმენტირებულ *მოსახლეობაში*, უფრო ბევრნი არიან მეტად უნარიანები და მზადმყოფნი მოთხოვნილებების შესაბამის ქმედებათა განსახორციელებლად, ვიდრე დანარჩენ არაცისფერ მოსახლეობაში.

რას უნდა ველოდოთ აღწერილი სიტუაციის ფარგლებში? ცისფერ პიგმენტიანების დაბალ პოზიციებთან ასოცირებულობამ, მათ შესახებ წინასწარი უარყოფითი განწყობა შეიძლება წარმოშვას. იმ შემთხვევაში, თუ ისინი, ვინც საზოგადოების ქვედა ფენებში შემთხვევით და არა კანის შეფერილობის მიხედვით მოხვდნენ, მაშინ მათ მიმართ უარყოფითი განწყობა რაიმე სპეციფიკურ მიზეზზე ვერ იქნება დამყარებული, რადგან მათი დაბალი წარმომავლობა ex hypothesy[1] ამ ნიშნებთან არ არის დაკავშირებული. მაგრამ თუ ქვედა ფენებში ამდენი ცისფერპიგმენტიანია, უარყოფითი განწყობა, რომელიც ცოტათი უფრო მაღლა განლაგებულ იმ ფენებშია მათ მიმართ გავრცელებული, იმ ფენებში რომლებიც უფრთხიან ქვევით ჩაგდებას, აუცილებლად გავრცელდება სიცისფრეზეც. და აქედან გამომდინარე, იმავე სოციალურ შკალაზე არსებული არაცისფერი დაჯგუფებებიც განსაკუთრებით მიდრეკილნი იქნებიან ცისფერ პიგმენტიანების საწინააღმდეგო გრძნობა-განწყობებისადმი, რადგან მათ თავიანთი არაცისფრობა ოდნავ მაინც ეამაყებათ, რასაც ხშირად განსაკუთრებული გზნებითაც გამოხატავენ კიდეც.

მაგრამ, მიუხედავად არსებული წინასწარგანწყობისა, ბევრი ცისფერპიგმენტიანი მაინც მოახერხებს სოციალურ საფეხურზე ზევით წაწევას. ცისფერთა ქვედა ფენებში კონცენტრაცია მხოლოდ სტატისტიკაა, და ბევრი ცისფერპიგმენტიანი (მაშინაც კი, თუ ის თავისი ხალხის უმცირესობას წარმოადგენს) დაუღალავი შრომის, მონაცემების, თუ ბედის წყალობით, გზას ზევითკენ იკვლევს და უმაღლეს პოზიციებსაც აღწევს. რა ემართებათ მათ ამ შემთხვევაში?

[1] სავარაუდოდ (ლათ.)

წარმოვიდგინოთ, რომ ცისფერი პიგმენტები, ამა თუ მიზეზის გამო მოუშორებელია. ასე რომ, წინ წაწეული ცისფერპიგმენტიანების მდგომარეობა მძიმე და დაძაბულობით აღსავსე იქნება. როგორიც არ უნდა იყოს მისი ინდივიდუალური თვისებები, არაცისფერი შემთხვევითი ნაცნობებისა და შემხვედრებისთვის (რაც, მოძრავი და რთული ინდუსტრიული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი, რადგან აქ უამრავი შემთხვევითი და წარმავალი კონტაქტები არსებობს ადამიანებს შორის) ის მაინც იქნება ჭუჭყიანი, ზარმაცი, ღარიბი, ყველასათვის მიუღებელი ცისფერი, რადგან სიცისფრე, როგორც მახასიათებელი, დაბალ სოციალურ ფენაზე მყოფებთანაა ასოცირებული.

წინ წასული ცისფერპიგმენტიანი არაფრით არ უნდა იყოს ასევე წინ წასულ რურიტანელ ემიგრანტ მუშაზე უარესი, მაგრამ მათ შორის ერთი საოცრად მნიშვნელოვანი განსხვავებაა: რურიტანული კულტურის დამალვა შეიძლება, ცისფერ პიგმენტებისა კი არა. ჩვენ ასევე დავუშვით, რომ რურიტანელებს ტერიტორიული ბაზა გააჩნია: არსებობს რურიტანელების სამშობლო მიწა, სადაც რურიტანული ენის ერთერთ დიალექტზე მოლაპარაკე გლეხები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. ასე რომ, რურიტანელებს ორი შესაძლებლობა აქვთ: მეგალომანიურ ენასთან და კულტურასთან ასიმილაცია ან ძლიერი, დამოუკიდებელი რურიტანიის ჩამოყალიბება, სადაც ეს დიალექტები ოფიციალურ ლიტერატურულ ენად გადაიქცევა. ორივე ამ ალტერნატივათაგანი წარმატებით იქნა გამოყენებული სხვადასხვა ხალხის მიერ, სხვადასხვა ადგილებში. მაგრამ, *ex hypothesi*, ცისფრები ამ ორი შესაძლებლობიდან პირველს მოკლებულნი არიან. მათი დაწყევლილი პიგმენტები, მათი სურვილისგან დამოუკიდებლად, მარად მათთან რჩება. უფრო მეტიც, მეგალომანიური კულტურა ძველია და მასში კარგად ჩამოყალიბებული თვითწარმოდგენები გამორიცხავს სიცისფრეს.

რა ვითარებაა მეორე შესაძლებლობის, ანუ ეროვნული დამოუკიდებლობის ჩამოყალიბების მოპოვების შემთხვევაში? ისტორიული, ფაქტია, და თანამედროვე მოვლენებიც ამას ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ხალხები ხანდახან ჩვენს მიერ დასახელებული ცისფრების მსგავს სიტუაციში აღმოჩნდებიან ხოლმე, ხანაც კი არა, ანუ მაშინ როდესაც ისინი საკუთარ ტერიტორიულ ბაზას ფლობენ. გარდა ამისა, ადრე ისინი სულ მცირე ერთს მაინც ფლობდნენ, რურუტანელების შემთხვევაში არსებული ორი შესაძლებლობიდან; პოლიტიკურად და მილიტარისტულად შესაძლებელია, რომ ისინი ამ შესაძლებლობას გამოიყენებენ. თუ ჰიპოთეტური ცისფრები არ ფლობენ ტერიტორიულ ბაზას, რომელშიც მათ დამოუკიდებელი ცისფრების ქვეყნის დაარსების იმედი

შეიძლება ქონდეთ, ან თუ მათ რაღაც მიწა მაინც გააჩნიათ, მაგრამ იგი ამა თუ იმ მიზეზის გამო, მათი მიზნებისთვის სრულიად გამოუსადეგარი და არამიმზიდველია, მაშინ ცისფერპიგმენტიანების მდგომარეობა მართლაც დამაფიქრებელია.

ამგვარ სიტუაციაში სერიოზული შემაფერხებლები, რომელთა თავიდან აცილება კეთილი ნებით, კანონმდებლობით, პოლიტიკური ირედენტიზმით თუ აქტიურობით ადვილი აღარ არის, იმ კულტურულ ერთგვაროვნებასა და სოციალურ ენთროპიას ულობავენ გზას, რომლებიც უკვე განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების ნორმა კი არა, ჩვენს დროში ჩვეულებრივი ფუნქციონირებისთვის საჭირო მდგომარეობაც კი გახდა. იქ, სადაც ამგვარი სისტემატური ენთროპიის შეკავება ხდება, ინდუსტრიული საზოგადოებისთვის ყველაზე დიდი საფრთხე შეიძლება წარმოიშვას. მაგრამ, მაშინ, როცა ცისფერ პიგმენტიანებს ორივე ამ მიმართულებით გზა მოჭრილი აქვთ, მაშინ, როცა მათთვის არც უმტკივნეულო ასიმილაცია და არც დამოუკიდებლობა არ არის შესაძლებელი, სხვა ხალხისთვის ორმაგად ხელსაყრელი პირობები ვითარდება. ფედერალურ სახელმწიფოში, ისეთ მოსახლეობას, როგორც ჩვენი ჰიპოთეტური რურიტანელები არიან, ერთდროულად შეუძლიათ შექმნან ავტონომიური რურიტანია, რომელშიც ოფიციალური ენა რურიტანული იქნება და გარდა ამისა, შესაძლებელი ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ, უმტკივნეულოდ, განხეთქილებების გარეშე, ენთროპიული გზით, დიდ საზოგადოებაში შერწყმა, მათსა და ფედერალურ სახელმწიფოში არსებულ სხვა კულტურათა შორის არსებული მცირე განსხვავებისა და ასიმილირებული რურიტანელების იდენტიფიცირების შეუძლებლობის გამო. მე ვფიქრობ, თავად რურიტანელებმა უნდა გადაწყვიტონ უღირთ თუ არა მათ იმ საფასურის გადახდა, რასაც ისინი ამ ორმაგი უპირატესობისთვის იხდიან. თანაც, რურიტანიის ოლქი თუ ფედერალური ავტონომიური რესპუბლიკა მთლიანად დამოუკიდებელი არ იქნება: ზოგჯერ ეს ერთეულები ნებით რჩებიან დიდი ფედერალური სახელმწიფოს ფარგლებში; სხვაგან, მათ ამას აიძულებენ. კვებეკი[1] პირველი შემთხვევის მაგალითისთვის გამოდგება; ნიგერიის იბოლანდი[2] კი მეორესთვის.

---

[1] კვებეკი – კანადის პროვინცია. მოსახლეობის უმრავლესობას ფრანგულენოვანი მოსახლეობა შეადგენს. ფრანკო-კანადელების მოძრაობის ცენტრი კულტურული და ადმინისტრაციული ავტონომიის მოსაპოვებლად.

[2] ნიგერიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი. იბოს ხალხით დასახლებული. სეპარატული მოძრაობის ცენტრი XX საუკუნის 60-იან წლებში. ნიგერიაში სამოქალაქო ომის (1966-1969) დროს გამოცხადდა დამოუკიდებელ ბიაფრას რესპუბლიკად.

ახლა უკვე ახალი კითხვა ჩნდება: რა სახის მახასიათებლები შეესაბამება რეალურ სამყაროში ჩვენს მიერ მოგონილ ჰიპოთეტურ „სიციისფრეს“? ასეთი „სიციისფრის“ გენეტიკურად გადაცემული მახასიათებლები ერთი ტიპისაა, მაგრამ ამავე დროს, სხვა, არაგენეტიკურად გადაცემული მახასიათებლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. შეიძლება ვინმემ ისიც დაამატოს, რომ *ყველა* გენეტიკური მახასიათებელი საზოგადოებაში ბზარს არ გამოიწვევს. მაგალითად, ჟღალთმიან ბავშვებს ხშირად დასცინიან ხოლმე, მაშინ როცა ჟღალთმიანი ქალები ბევრისთვის განსაკუთრებით მიმზიდველნი არიან. უფრო მეტიც, ამბობენ, რომ გარკვეულ ეთნიკურ დაჯგუფებებში ჟღალთმიანთა რიცხი არაპროპორციულად დიდია, მაგრამ, მიუხედავად ამ ფაქტისა, და/ან ხალხური რწმენებისა, ეს არ არის კონფლიქტებისა და სოციალური პრობლემების მაპროვოცირებელი რამ.

განმარტების ნაწილი (სპეციალურად ამ მიზნისთვის შემოტანილი ტერმინი რომ გამოვიყენოთ), ასე უნდა ჟღერდეს: წითელი თმა, მიუხედავად მისი ნებისმიერი საეჭვო ეთნიკური კორელაციისა, მაინც ერთობ ენთროპიულია. გენეტიკურობის ის ფიზიკური მახასიათებლები, რომლებიც განსაკუთრებულ ისტორიულ თუ გეოგრაფიულ ასოციაციებს არ იწვევენ, ენთროპიულნი არიან; იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ სოციალურ წარმატება-წარუმატებლობასთან რაიმე სუსტი კორელატი გააჩნიათ, ეს კორელატი სოციალურად მაინც აღუქმელად რჩება. თუმცა, მცირე რაოდენობით საწინააღმდეგო მაგალითებიც არსებობს: რუანდასა და ბურუნდიაში ეთნიკურ მიკუთვნებულობასა და სოციალურ სტატუსთან, ფაქტობრივადაც და იდეოლოგიურადაც, დაკავშირებულია ფიზიკური სიმაღლე: დამპყრობელი მეჯოგეები უფრო მაღლები არიან, ვიდრე ადგილობრივი მიწათმოქმედები, ორივე ისინი კი, პიგმეებზე მაღლები არიან. მაგრამ საზოგადოებათა უმრავლესობაში, როგორც წესი, ასეთი კორელაციები იმდენად უმნიშვნელოა, რომ ისინი სოციალურად ნიშანდობლივნი არ ხდებიან. იტონელები, საშუალოდ, უფრო მაღლები არიან ვიდრე სხვა კოლეჯის კურსდამთავრებულები, მაგრამ ამაზე საუბრისას არავინ იტყვის, რომ დაცვის სამსახურში მყოფი მაღალი კაცი იტონელებივით მაღალ ფენას მიეკუთვნება.

ფიზიკურად და გენეტიკურად გადაცემული მახასიათებლები „სიციისფრის“ ერთი ტიპია. აქ კიდევ ერთი კითხვაც ჩნდება: როგორები არიან სხვები? საოცრად საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ზოგიერთი ღრმად გამჯდარი რელიგიურ-კულტურული ჩვევები ისეთ ძალასა და სიცოცხლისუნარიანობას ავლენენ, რომ ისინი ვირტუალურად ჩვენს გენეტიკურ კონსტიტუციაში ფესვგამდგარ ჩვევებს შეიძლება გაუტოლდნენ. ენა და ფორ-

მალური დოქტრინალური რწმენები უფრო ნაკლებ ფესვგამდგარი ჩანან და მათი დავიწყება უფრო ადვილად შეიძლება, მაგრამ ინტიმურ და ფართოდ გავრცელებულ ღირებულებათა ერთობლიობას, რომელიც აგრარულ ხანაში, როგორც წესი, რელიგიასთანაა დაკავშირებული (მიუხედავად იმისა, განსხეულებულია თუ არა ის უმაღლეს ოფიციალურ თეოლოგიაში), ხშირად საუკეთესო წებოსმაგვარი გამძლეობა გააჩნია, და ის მის მატარებელ ხალხთა დიაკრიტულ მახასიათებლად დიდხანს რჩება. მაგალითად, იმ დროს, როცა ალჟირი საფრანგეთის ნაწილად ითვლებოდა, საფრანგეთში ალჟირელი ემიგრანტი მუშების ასიმილაციისთვის რაიმე ფიზიკურ და გენეტიკურ განსხვავებებს ხელი არ შეუშლია. ძირითადი გადაულახავი ზღვარი, რომელიც ამ ორი ხალხის ასიმილაციას უშლიდა ხელს არა ფიზიკური, არამედ კულტურული შინაარსის იყო. ოლსტერში არსებული ღრმად ფესვგამდგარი საკომუნიკაციო კონფლიქტი მის ორ თემს შორის არსებულ საურთიერთო დეფიციტზე არანაირად არ არის დაფუძნებული. ეს კონფლიქტი ორ მოქიშპე ადგილობრივ კულტურასთან თვითიდენტიფიკაციაზეა აგებული, რომელიც ისეთი ძლიერია, რომ ფიზიკურ მახასიათებელსაც კი შეიძლება შევადაროთ, თუმცა სინამდვილეში, სოციალური წარმომავლობისაა. ტერორისტული ორგანიზაციების შევსება, რომელთა ნომინალური ან თუნდაც, სიტყვიერი დოქტრინა დღეს უკვე დაკარგული რევოლუციური მარქსიზმია, მხოლოდ და მხოლოდ ისეთი დაჯგუფებებიდან ხდება, რომლებიც ერთ დროს რელიგიური რწმენით განისაზღვრებოდნენ, და დღესაც იმ კულტურით განისაზღვრებიან, რომელსაც ამ რელიგიასთან ღრმა კავშირები გააჩნია.

იუგოსლავიაში გასაოცარი და ნიშანდობლივი მოვლენა მოხდა: ბოსნიაში ექსმუსულმანურმა მოსახლეობამ დიდი ხნის ენერგიულ ბრძოლის შემდეგ, აღწერის „ნაციონალობის" გრაფის შევსებისას საკუთარი თავის „მუსულმანებად" ჩაწერის უფლება მოიპოვა. ეს არ ნიშნავს, რომ მათ კვლავ სწამთ და ისევ ასრულებენ ყველა მუსლიმანურ რიტუალს, არც იმას, რომ ისინი საკუთარი თავის იუგოსლავიის სხვა მუსულმანებთან ან ექსმუსულმანებთან (ალბანელებთან და ხორვატებთან) იდენტიფიცირებას ახდენენ. ისინი მუსულმანური კულტურული საფუძვლის, სლავი წინაპრების მქონე, სერბო-ხორვატულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები არიან. მათ მხოლოდ ერთი რამ სურთ: არ იყვნენ იდენტიფიცირებულნი სერბებთან და ხორვატებთან (მიუხედავად იმისა, რომ მათ საერთო ენა აქვთ), რადგან ეს იდენტიფიკაცია მართლმადიდებლად ან კათოლიკედ *ყოფნას* გულისხმობს; ხოლო საკუთარი თავის უბრალოდ „იუგოსლაველებად" დახასიათება ძალიან ზოგადი და აბსტრაქტულია.

მათ ურჩევნიათ საკუთარი თავი მუსულმანებად დაახასიათონ (რისი უფლებაც ბოლოსდაბოლოს ოფიციალურად მიიღეს კიდეც): ამ სახელში სლავი ექსმუსულმანები იგულისხმებიან, რომლებიც ცალკე ეთნიკურ ჯგუფად არიან აღქმულები, მიუხედავად იმისა, რომ ენობრივად სერბებისა და ხორვატებისაგან არ განსხვავდებიან და მიუხედავად იმისა, რომ რწმენა, რომელიც მათ გამოარჩევს, ახლა უკვე წარსულის რწმენაა. მოსამართლე ოლივერ ვენდელ ჰოლმსმა ერთხელ შენიშნა: იმისთვის რომ იყო ჯენტლმენი არ არის აუცილებელი იცოდე ძველი ბერძნული და ლათინური, აუცილებელია ისინი უბრალოდ დავიწყებული გქონდეს. დღეს იმისთვის, რომ იყო ბოსნიელი მუსულმანი, არ არის აუცილებელი გჯეროდეს, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი გარდა ალაჰისა, მაგრამ აუცილებელია ეს რწმენა დაკარგული მაინც გქონდეს. რწმენის კულტურაში გადასვლის, მისი ეთნიკურობასა და შესაძლო სახელმწიფოებრიობასთან შერწყმის თემა კარგად არის აღწერილი ანტონ ჩეხოვის პიესაში „სამი და", როდესაც მისი გმირები განვითარებად ქვეყანაში სამხედროების როლზე საუბრობენ:

ტუზენბახი: ალბათ თქვენ ფიქრობთ — ეს გერმანელი ძალიან აღელდაო. მაგრამ მე პატივი მაქვს მოგიგოთ, რომ რუსი ვარ. მე გერმანული არც კი ვიცი. მამაჩემი მართმადიდებელია.

ბარონი, მიუხედავად მისი გერმანული გვარისა და სავარაუდოდ გერმანული წარმოშობისა, თავის სლავურ სტატუსს მართმადიდებლურ რელიგიასთან კავშირით იცავს.

ამის თქმა არ ნიშნავს იმის განცხადებას, რომ ყოველი წინარეინდუსტრიული ეპოქის რელიგია მიმართულია იქითკენ, რომ თავისი თავი ინდუსტრიულ წისქვილში მოძრავ ეთნიკური ერთეულის საბურველით წარმოადგინოს. ასეთი ხედვა ალბათ აბსურდული იქნებოდა. მსგავსი რამისთვის, ისევე როგორც ენობრივი და კულტურული განმასხვავებლების შემთხვევაში, აგრარული სახელმწიფოები საკმაოდ კარგად იყვნენ რელიგიით უზრუნველყოფილნი. მათი (რელიგიების) რიცხვი ძალიან დიდი იყო, იმ ეთნიკურ დაჯგუფებებზე და ეროვნულ სახელმწიფოებზე ბევრად უფრო დიდი, რაც შესაძლოა თანამედროვე სამყაროში აღმოჩნდეს. ასე რომ, ყველა მათგანი ვერ გადარჩებოდა (რაღაც მანქანებით ეთნიკურ ერთეულებად გადაქცევის შემთხვევაშიც კი), რამდენად ძლიერნიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი: უფრო მეტიც, ენების მსგავსად, ბევრი მათგანი სულაც არ არის განსაკუთრებულად სიცოცხლისუნარიანი. მხოლოდ მაღალი დამწერლობით და სპეციალისტთა კორპუსით გაძლიერეებული რელიგიები, და ისიც არა ყველა, შეიძლება ინდუსტრიულ სამყაროში ახალი კოლექტიური იდენტურობის საფუძველნი გახდნენ, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კულ-

ტურული რელიგიიდან კულტურულ სახელმწიფოში გადასვლას შესძლებენ.

მაღალი კულტურები მიისწრაფიან იმისკენ, რომ ახალი ნაციონალიზმის საფუძვლი გახდნენ (ისე როგორც ეს ალჟირში მოხდა) სადაც, ნაციონალიზმის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე, რელიგია ძალიან კარგად გამოყოფდა *ყველა*, პრივილეგირებულებს არაპრივილეგირებულებისგან — მაშინაც კი, ან, უფრო სწორედ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არაპრივილეგირებულებს არ ჰქონდათ რაიმე სხვა საერთო განმასხვავებელი მახასიათებელი (ისეთი როგორიცაა ენა და საერთო ისტორია). ალჟირის ნაციონალური მოძრაობის ერთერთი გამოჩენილი ლიდერის ფერჰატ აბასის აზრით ალჟირული ეროვნება XX საუკუნემდე, ნაციონალური გამოღვიძების ხანამდე არ არსებობდა. ადრე, უფრო ფართო ისლამური თემებიც არსებობდნენ, და მცირე თემთა მთელი ქსელებიც, მაგრამ არაფერი მსგავსი, ან თუნდაც ახლოს მდგომი, თანამედროვე ნაციონალური ტერიტორიის მცხოვრებლებთან. ასეთ შემთხვევაში ახალი ერი საბოლოოდ იბადება და ისაზღვრება, როგორც მოცემულ ტერიტორიაზე მოცემული რწმენის მომხრეების ერთიანობა (როგორც ჩანს, პალესტინელების შემთხვევაში, დღეს მსგავს კრისტალიზაციას, არა რელიგია, არამედ ენა, კულტურა და საერთო მძიმე მდგომარეობა წარმოშობს). დიაკრიტული, ეროვნების განმსაზღვრელი როლის შესასრულებლად რელიგიას ფაქტობრივად შეიძლება თავისი თავის სრულიად გარდაქმნა დასჭირდეს, როგორც ეს ალჟირში მოხდა: XIX საუკუნის ალჟირულმა ისლამმა, ღმერთის გამაშუალებლებში რწმენასთან ერთად, პრაქტიკული მიზნების გამო, მშვენივრად შეითვისა ადგილობრივი საკრალური კულტები და სალოცავები. მეოცე საუკუნეში მან ყოველივე ეს უარყო და რეფორმისტულ სკრიპტურალიზმთან იდენტიფიკაციით ღმერთსა და ადამიანს შორის ყოველგვარი მედიაცია აკრძალა. კულტები ტომებს და ტომობრივ საზღვრებს საზღვრავენ; დაწერილ სწავლებას შეუძლია და საზღვრავს კიდეც ერს.

განხეთქილებები და ბარიერები

ახლა კვლავ ჩვენს ძირითად დებულებას დავუბრუნდეთ: ინდუსტრიალიზმი წარმოშობს მობილურ და კულტურულად ერთგვაროვან საზოგადოებას, შესაბამისად, ეგალიტარული მიზნები და მისწრაფებები გააჩნია, ისეთი, რომელიც აკლდა წინა, სტაბილურ, დაყოფილ და დოგმატურ აგრარულ საზოგადოებას. მაგრამ, ამავე დროს, ინდუსტრიული საზოგადოება თავისი განვითარების ადრეულ პერიოდში საკმაოდ მძაფრ, მტკივნეულ და თვალშისაცემ უთანასწორობას განიცდიდა, თანაც მეტად მტკივნეულს, რადგან ეს ყველაფერი ისეთ დროს ხდებოდა, რომელიც შეიძლება აღიწეროს, როგორც სრულიად დაკნინებული. იმ სიტუაციაში (ეგალიტარული სურვილები, არაეგალიტარული რეალობა, სიღარიბე, უკვე სასურველი მაგრამ ჯერ არგანხორციელებული კულტურული ერთგვაროვნება) ფარული პოლიტიკური დაძაბულობა მძაფრია და აქტუალური ხდება, თუ ის კარგი სიმბოლოებითა და დიაკრიტული ნიშნებით სარგებლობს მმართველთა და სამართავთა, პრივილეგირებულთა და არაპრივილეგირებულთა დასაყოფად.

ის, ჩვეულებრივ, ენას, გენეტიკურად გადაცემულ მახასიათებლებს („რასიზმი“) ან მხოლოდ კულტურას შეიძლება იყენებდეს. მას ამ მიმართულებით სვლას უფრო მეტად ის ფაქტი აიძულებს, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებებში კომუნიკაციები და შესაბამისად, კულტურა ახალ, უპრეცენდენტო მნიშვნელობას იძენს. რთულ, ურთიერთდამოკიდებულ და მობილურ სამეწარმეო ყოფაში კომუნიკაციები აუცილებელი ხდება, რომლის ფარგლებშიც ბევრად უფრო მეტი რთული, ზუსტი და კონტექსტისაგან თავისუფალი ინფორმაციების გადაცემაა აუცილებელი, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა საჭირო.

კულტურათაგან უკმაყოფილების კრისტალიზატორის როლს ძირითადად სწორედ მაღალ (დამწერლობით) რწმენებთან დაკავშირებული კულტურები ასრულებდნენ. ლოკალური ხალხური რწმენები, მცირე დიალექტების მსგავსად ასეთი სიმაღლეებისკენ არ ილტვოდნენ. რა თქმა უნდა, ინდუსტრიალიზაციის ადრეულ პერიოდში დაბალი კულტურები ასევე გამოიყენებოდნენ და წარუმატებლობის დიაკრეტულ მარკერებად იყვნენ ქცეულნი. ისინი ასევე გაჭირვებულთა საიდენტიფიკაციოდ და გასაერთიანებლადაც გამოდგებოდნენ, თუკი ისინი პოლიტიკურად იმედის მომცემნი იყვნენ და თუ დიდ და ტერიტორიულად მეტ-ნაკლებად კომპაქტურ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. ამ ადრეულ საფეხურზე კონტრასტი: პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული აღარ არის ერთადერთი. ამას ემატებიან ისინი, ვისთვისაც ცხოვრების ახალი სტილის და მისი საგანმანათლებლო წინაპირობის მიღწევა ადვილია და ისინი, ვისთვისაც ეს გაძნელებულია.

ეს განხეთქილებაში მყოფი გარდამავალი თაობის ტიპია, სადაც აქტუალური კომუნიკაციის დეფიციტი გადამწყვეტი ხდება, რადგან ის ობიექტურ განმასხვავებლებს გამოყოფს და ააშკარავებს. მას შემდეგ რაც, საკომუნიკაციო ბარიერის ზოგადი განვითარების წყალობით უთანასწორობა უკვე არცთუ ისე დიდია და, ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ, განსხვავებულ ენათა არსებობის

პირობებშიც კი იურთიერთონ, ეს უფრო არათანაბრად გადანაწილებული მახასიათებლების (ენთროპიის შემაფერხებელი) შენარჩუნებაა, რომელიც მართლაც გადამწყვეტი ხდება, მიუხედავად იმისა, არიან ისინი გენეტიკურნი თუ ღრმად კულტურულნი. ამ საფეხურზე, თავდაპირველი დაბალი კულტურების მაღალ კულტურებად ტრანსფორმაცია არაპრივილეგირებულთა ერთიანი დროშის შესაქმნელად ასე ადვილად წარმოსადგენი აღარ არის. ქვედა ფენის უკიდურესი სიღარიბის, არაორგანიზებულობის, სტაგნაციის და გაუცხოების პერიოდი დამთავრდა. ახლა უკვე უკმაყოფილების წარმომშობი გაუსაძლისი ობიექტური პირობები აღარ არსებობს; ის ახლა ზოგიერთი შესამჩნევი და ჩვეულებრივ აღნიშნული მახასიათებლის არაშემთხვევითი სოციალური გადანაწილებითაა გამოწვეული.

ორ საფეხურს — ადრეულსა და გვიანდელს შორის განსხვავება შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: ადრეულ საფეხურზე, წარმატებულთა და უკიდურესად ღარიბების შესაძლებლობებს შორის, ანუ იმათ შორის, ვინც ინდუსტრიულ აუზში კარგად ცურავს და ვინც ახლა გაჭირვებით სწავლობს ამ საქმეს, ენით უთქმელი განსხვავება არსებობს. მარქსისტული მოლოდინების მიუხედავად, ამ შემთხვევაშიც კი კონფლიქტები უკიდურესად იშვიათად თუ მწვავდება ვიდრე პრივილეგირებულები და ყველა დანარჩენები ერთმანეთს კულტურული და „ეთნიკური“ თვალსაზრისით არ გამოეყოფიან. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი დაყოფა მართლაც მოხდება იბადება ახალი ერი (ან ერები); და ის შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც მაღალი, ასევე დაბალი კულტურის გარშემო. თუ მაღალი კულტურა მზა ან მისაწვდომი არ არის, ან თუ ის უკვე მოქიშპე დაჯგუფებებმა გამოიყენეს, მაშინ ხდება დაბალი კულტურის მაღალ კულტურად გადაქცევა. ეს ერების დაბადების (ან ვითომ „აღორძინების“) და დაბალი კულტურების ახალ დამწერლობით კულტურებად გარდაქმნის ხანაა.

შემდეგი საფეხური ადრეულისაგან სრულიად განსხვავებულია. ეს ის შემთხვევა აღარ არის, როცა მწვავე ობიექტური უკმაყოფილება, ან აშკარა სოციალური განსხვავება ძველ კულტურულ განმასხვავებლებს ეძებს, რომლებიც შეიძლება ახალი ბარიერის, სინამდვილეში კი შესაძლო ახალი საზღვრის შესაქმნელად გამოადგეს. ახლა მობილურობისა და თანასწორობისთვის ნამდვილი ბარიერი მხოლოდ ისაა, რომელიც თავისუფალ იდენტიფიკაციას შეაფერხებს და ამით ახალ საზღვრებს შექმნის. აქ განსხვავება ყველასათვის ნათელია.

ფოკუსის მრავალფეროვნება

არსებობს რამოდენიმე განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც განსაკუთრებულ კომენტარს მოითხოვს. აგრარული ხანის ისლამური ცივილიზაცია ჩვენს თეზისს ზედმიწევნით შეესაბამება: აგრარულ საზოგადოებებს არა აქვთ მიდრეკილება კულტურის საფუძველზე განსაზღვრონ პოლიტიკური ერთეულები, ანუ ის ნაციონალისტური არ იყო. ულამას მწიგნობარ-მოსამართლე-თეოლოგთა[1] თავისუფალი გილდია, ანუ ის რაც მუსულმანური სამყაროს მორალურ კლიმატს ქმნიდა, ტრანსპოლიტიკური და ტრანსეთნიკური იყო და არცერთ სახელმწიფოსთან (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთიანი პოლიტიკური სივრცის შექმნის პრეტენზიის მქონე ხალიფატი დაიშალა) თუ „ერთან“ არ იყო დაკავშირებული. მეორე მხრივ კი, კულტის და ღმერთთან გამაშუალებლის რწმენის სახალხო ისლამი სუბეთნიკური და სუბპოლიტიკური იყო (თუ საერთოდ ისტორიულ და „ეროვნულ“ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე), და ის სიცოცხლისუნარიანი, საკუთარი თავის დაცვის შემძლე და თვითმართვადი ერთეულების (ტომების) ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ასე რომ, ისლამი შინაგანად მაღალ და დაბალ კულტურებად იყო დაყოფილი. რა თქმა უნდა, ეს ორი კულტურა ერთმანეთში გადაედინებოდა და ხშირად გადაფარავდა კიდეც ერთმანეთს, მაგრამ პერიოდულად ეს ურთიერთობები კონფლიქტებში გადაიზრდებოდა ხოლმე; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც „მოგონებები“ თანატომელების ვითომდა მაღალი კულტურის სულს აღორძინებდნენ და თემის წევრებს წარმომავლობის სიწმინდისა და პოლიტიკური კეთილდღეობისათვის საბრძოლველად აერთიანებდნენ. მაგრამ ამ გზით გატარებულ ცვლილებებს (მიუხედავად მათი სიხშირისა), ტრადიციულ წყობილებებში ფუნდამენტური სტრუქტურული ცვლილებები არ გამოუწვევიათ. ისინი ცვლიდნენ მხოლოდ პერსონაჟებს და არა საზოგადოებას.[2]

ეს ყველაფერი ქვეყანად მოდერნიზაციის შობის პროცესში გამოწვეულმა ტკივილმა შეცვალა. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეს (სხვა რაღაცეებთან ერთად) ნიშნავს მრავალფეროვანი ადგილობრივი დაბალი კულტურების სტანდარტიზირებული, ფორმალიზებული, კოდიფიცირებული და დამწერლობით გავრცელებული მაღალი კულტურით შეცვლას. თუმცა, ისტორიულმა ვითარებამ ამ განვი-

[1] N. Keddie (ed.), *Scholars, Saints and Sufis, Berkley*, 1972; E. Gellner, Muslim Society, Cambridge, 1981

[2] Ibn Khaldun, *The Muqaddimah*, tr. F. Rosenthal, London, 1958.

თარებისთვის ისლამური საზოგადოება იდეალურად მოამზადა. მასში დაბალი და მაღალი კულტურები თანაარსებობდნენ. მათ ერთნაირი სახელი ჰქონდათ და ძნელად თუ განასხვავებდი ერთმანეთისგან. ისინი ხშირად ერთდებოდნენ და ერთიანდებოდნენ კიდეც, რადგან ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულნი. წარსულში ისინი ისლამთან, როგორც აბსოლუტურ, უკომპრომოსო და საბოლოო ხსნასთან, მთლიანი და განუყოფელი იდენტიფიკაციის მატარებელნი უნდა ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდეც. შეიძლება ადრე ისლამს ეკლესია არ ჰქონია, მაგრამ ეკლესია, რომელიც მას არ ჰქონდა, ძალიან არაშეზღუდული და არადოგმატური იყო. თანამედროვე სამყაროში კულტურის დაბალ ვარიანტს შემთხვევით აღმოცენებულ ან კოლონიალისტი მტრების მიერ გამოგონებულ, კოროზიულ ვარიანტად განიხილავენ, ან არ განიხილავენ. ამავე დროს კი, ერთადერთ კულტურად ქცეულ [კულტურის] მაღალი ვარიანტის გარშემო ნაციონალიზმის დაკრისტალებაა შესაძლებელი. ეს განსაკუთრებით ადვილია ერთი ენობრივი ჯგუფის შემთხვევაში, როდესაც ენა ღვთაებრივ გამოცხადებასთანაა დაკავშირებული; ეს ადვილია მაშინაც, როდესაც მთელი ერი ისლამთანაა იდენტიფიცირებული, ის კი, არაისლამისტი მეზობლებითაა გარშემორტყმული (სომალია, მალაიზია), ან როდესაც დისკრიმინირებული მოსახლეობა ენობრივად არაერთგვაროვანი მუსულმანებისგან შედგება, ხოლო მმართველი ძალა არამუსულმანურია (ალჟირი), ან მაშინ, როდესაც ნაციონალობა ერთი მუსულმანური სექტის ფარგლებში განისაზღვრება და მისი ძალები პროვოკაციულად სეკულარული და ვესტერნიზებული მმართველი კლასის და უცხოელი არამუსულმანების წინააღმდეგაა მიმართული (ირანი).

ისლამის უნიკალურობა ყველაზე კარგად, ალბათ, მაშინ გამოჩნდება, თუ ჩვენს ძირითად თემას დავუბრუნდებით. კაცობრიობის აგრარული ხანა ეს ის პერიოდია, როდესაც ვიღაცას შეუძლია კითხვა, უმეტესობას კი არა; ინდუსტრიული ხანა კი — როდესაც ყველას შეუძლია და უნდა იცოდეს კიდეც, კითხვა. აგრარულ ხანაში დამწერლობითი მაღალი კულტურები არა-დამწერლობით, დაბალ, ხალხურ კულტურასთან თანაარსებობდნენ. ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის პერიოდში ზოგიერთი თავდაპირველად დაბალი კულტურა ახალ მაღალ კულტურად გარდაიქმნება. გარკვეულ შემთხვევაში, ახალი მაღალი კულტურა შეიძლება გამოიგონონ ან აღადგინონ პოლიტიკური სურვილით თუ კულტურული მექანიზმით. და ეს იქნება კულტურა, რომელიც შორეული წარსულის ელემენტებზეა დამყარებული, მაგრამ შედეგად რაღაც სრულიად ახალს ქმნის, ისე როგორც ისრაელში.

მაგრამ ის კულტურები, რომლებიც ამ გადასვლის პერიოდს გადაურჩებიან, უკვე კლერიკალობის, ეკლესიის ან მეფის კარის

მედიუმები და მახასიათებლები კი აღარ არიან, არამედ „ერის“ მედიუმები და ემბლემები. ამასთანავე, ისინი სხვა საინტერესო ტრანსფორმაციასაც განიცდიან. მაშინ, როდესაც კულტურას სასახლის კარი, დიდგვაროვანთა ფენა ან კლერიკალობა ატარებდა, ის ტრანს-ეთნიკური და ტრანს-პოლიტიკურიც კი იყო; მისი გადატანა შეიძლებოდა ყველგან, სადაც მეფის კარი არსებობდა, სადაც კლერიკალური ფენა ფუნქციონირებდა და მას პატივს სცემდნენ. მეორეს მხრივ კი, ისინი ჩვეულებრივ, რიგიდულ, დოგმატურ თეოლოგიასთან, დოქტრინალურ კორპუსთან, კლერიკალობის და სამეფო კარის ენასთან სამუდამო კავშირისთვის იყვნენ განწირულნი. აგრარული ხანის დამწერლობითი იდეოლოგიების წესისამებრ, დოქტრინალურ კორპუსს აბსოლუტიზმის პრეტენზიები ჰქონდა. საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, ის ამ პრეტენზიებს იმით ამყარებდა, რომ საკუთარ თავს არა მხოლოდ ჭეშმარიტებად, არამედ ყოველი ჭეშმარიტების *ნორმად* აცხადებდა. ამავე დროს ის საშინელ წყევლას იყენებდა ყველა ერეტიკოსის და განდგომილის წინააღმდეგ. ამ ადამიანთა მიერ უნიკალურობის და მორალური მანიფესტის მიმართ გამოთქმული ყოველი ეჭვი, მათთვის უზნეობის დაწამების და „ამქვეყნიურ გარყვნილობაზე“ მინიშნების საბაბი ხდებოდა. „ამქვეყნიური გარყვნილება“ ეს ის ხშირი ფრაზაა, რომელიც სასიკვდილო განაჩენში გამოიყენება იმ აგრარული ხანის მემკვიდრეების მიერ, ირანს დღესაც რომ აკონტროლებენ. ეს იდეოლოგიები ციხესიმაგრეების მსგავსნი არიან — *Eine feste Burg ist mein Gott* — სადაც წყლის ყველა მარაგს ბასტიონებში ინახავენ და ამით მტრისთვის მიუღწეველნი ხდებიან. ისინი არა მხოლოდ ჭეშმარიტებაზე მონოპოლიას ფლობენ (ეს ხომ ისედაც ცხადია), არამედ ჭეშმარიტების ყველა წყაროსა თუ ქვაკუთხედსაც. ციხესიმაგრის გარშემო ძალიან ღრმა თხრილია, ამიტომ მას მტერი ვერ აიღებს.

აგრარულ პერიოდში ეს ძალიან დიდი უპირატესობა იყო; მაშინ მათ ბრძოლა მათსავე მსგავს ან მათზე უფრო სუსტ, გაუნათლებელ, ჩამორჩენილ, მტრულ ხალხურ რელიგიებთან უწევდათ. ინდუსტრიული ხანა ეკონომიკურ განვითარებაზეა დამყარებული. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, კოგნიტურ განვითარებაზე, რომელსაც კარტეზიანული და ემპირიული ფილოსოფიები მნიშვნელოვნად ეხმარებიან. მათი არსი სამყაროს შესახებ არსებული ყველა სუბსტანტური რწმენის თუ შეხედულების დეაბსოლუტიზაციაა. ის ყველა ცოდნას რელიგიური შეხედულების საზღვრებს გარეთ განიხილავს, კრიტერიუმებით: „გამოცდილება“ და „ნათელი გონება“. ეს კი ზღვარს უდებს მათ პრეტენზიას აბსოლუტიზმზე, რადგან ისინი ახლა უკვე რელიგიური შეხედულებების კონტროლის არეალის გარედან განიხილებიან. აქ ფაქტი ხდება

მბრძანებელი, ანდა, სულ ცოტა, მბრძანებლის შემქმნელი მაინც. აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტება ახლა უკვე, ნეიტრალურ ტერიტორიაზეა ლოკალიზირებული და მის მფლობელობაზე პრეტენზიას ვერავინ აცხადებს.

ყველა შემთხვევაში, ეს ისტორიის რთული, წმინდად ინტელექტუალური, დოქტრინალური ასპექტია, ისტორიისა, რომელსაც აქ მთლიანად თვალს ვერ გავადევნებთ, ამბისა, რომელშიც აგრარული ხანის აბსოლუტისტური მაღალი კულტურები თავიანთი აბსოლუტიზმის დასათმობად იყვნენ განწირულნი. მათ უნდა დაეშვათ, რომ ჭეშმარიტების წყარო საზოგადოების ნეიტრალური კონტროლის ქვეშ იქნებოდა. მოკლედ, მაღალი კულტურები, სეკულარიზაციის ფასად, მხოლოდ კლერიკალური ფენის კი არა, მთლიანი ერის იდიომად იქცნენ. მათ აბსოლუტისტური და აბსოლუტური ცოდნის პრეტენზიები დათმეს, ისინი დოქტრინასთან აღარ არიან დაკავშირებულნი. ამის ყველაზე გვიანდელი მაგალითი ესპანეთია. მან საკმაოდ გვიანობამდე შეინარჩუნა ნაციონალისტური რეჟიმი, რომელიც მისივე ნაციონალისტური წარმოდგენის გასახორციელებლად კათოლიციზმის აბსოლუტისტურ ამბიციებს იყენებდა. ფრანკისტული ლიბერალიზაციის ადრეულ, უფრო თავშეკავებულ დროს, პროტესტანტიზმის საზოგადო გამოვლინების ლეგალიზაცია ესპანური ერთიანობის და იდენტურობის პროვოკაციულ დარღვევად განიხილებოდა. აბსოლუტური დოქტრინა *ყველასათვის* და მაღალი კულტურა *ზოგისათვის* ხდება აბსოლუტური კულტურა *ყველასათვის* და დოქტრინა ზოგისათვის. თუ ეკლესიას მთელი საზოგადოების მოცვა სურს, მან თვითკაპიტულაცია და თვითლიკვიდაცია უნდა მოახდინოს. თუ მას ყოვლისმომცველ და უნივერსალურ კულტურად ქცევა სურს, დიდმა ტრადიციამ თავისი პირვანდელი დამაკანონებელი დოქტრინა უნდა უარყოს.

მოკლედ, ის რაც ადრე ვიღაცისთვის მოქმედების წესი, ხოლო ყველასათვის სავალდებულოდ გამოწერილი რწმენა იყო, ხდება სავალდებულო მოქმედების წესი ყველასათვის და გასართობი, არასერიოზული „საკვირაო“ რწმენა ვიღაცისთვის. ეს გარდამავალ პერიოდს გადარჩენილი მაღალი კულტურებისთვის დამახასიათებელი ხვედრია. შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური ჩრდილოდასავლური ევროპის შემთხვევაში, ამ პროცესს ორი ეტაპი ჰქონდა: რეფორმაცია, რომელმაც ღმერთთან ურთიერთობა ყველასათვის წვდომადი გახადა და ხალხური ენისა და ლიტურგიის ენის გაერთიანება მოახერხა და განმანათლებლობა, რომელმაც ახლად უნივერსალიზებული სამღვდელოების და იმ ენობრივი იდიომის სეკულარიზაცია მოახდინა, რომელიც ახლად გაფართოებულ დოქტრინასთან და გარკვეულ კლასთან უკვე აღარ იყო გადაჯაჭვული.

საინტერესო იქნებოდა დავფიქრებულიყავით, რა მოხდებოდა დასავლეთ ევროპაში, ინდუსტრიალიზაცია ყველა მისი შემცველი მოვლენით მაღალი შუასაუკუნეების ხანაში, სახალხო ლიტერატურების განვითარებამდე რომ დაწყებულიყო, ანუ მანამ, სანამ წარმოიშვა ის, რაც ფაქტობრივად განსხვავებულ ეროვნულ მაღალ კულტურათა საფუძველი უნდა გამხდარიყო. ალბათ, იარსებებდა საეკლესიო ლათინური, ანდა რომანული ნაციონალიზმი, როგორც შედარებით უფრო ლოკალური ნაციონალიზმების ოპოზიცია, რომლის კრისტალიზებაც არა ტრანსპოლიტიკური კლერიკალური მაღალი კულტურით, არამედ ნახევრად კლერიკალური, ნახევრად სასახლის სეკულარიზაციით მოხდებოდა. ინდუსტრიალიზაცია ადრე რომ მომხდარიყო, პანრომანული ნაციონალიზმი ისეთივე მხარდაჭერას მიიღებდა, როგორიც პანსლავიზმი, რომელსაც მე-19 საუკუნეში ჰქონდა ადგილი, ან როგორც 20-ე საუკუნის პანარაბიზმი, რომელიც ასევე საერთო კლერიკალურ მაღალ კულტურაზე იყო დაფუძნებული, თანაარსებობდა რა დაბალ საფეხურზე არსებულ უამრავ ერთმანეთისაგან განსხვავებულ კულტურასთან.

სწორედ ამ მდგომარეობაშია ისლამი. იგი რამოდენიმე სახის სახეცვლილებას ერთდროულად განიცდის. ის მონოთეისტურ რელიგიათა შორის ყველაზე მეტად პროტესტანტულია, რეფორმატორობისადმი თავისი მუდმივი მიდრეკილებით (ისლამი მართლაც შეიძლება აღიწეროს, როგორც მუდმივი რეფორმაცია). მისი მრავალი წარმატებული თვითრეფორმაციებიდან ერთ-ერთი ვირტუალურად თანამედროვე არაბული ნაციონალიზმის დადგომას ემთხვევა და იგი მისგან საკმაოდ რთული გამოსაყოფია: ერის წარმოშობა და რეფორმისტული მოძრაობის გამარჯვება ერთსა და იმავე პროცესის ნაწილები უნდა იყვნენ. ძველი, მყარი, ლოკალური ნათესაური სტრუქტურების დაშლას (რომელთა ძლიერი და ხანდახან საზარელი აჩრდილი ცენტრალიზებული პოლიტიკური სტრუქტურების ქსელში დომინანტურად გადარჩება ხოლმე) მინითემობრივი ორგანიზაციების ხელისშემწყობი კულტების გაუქმება მოჰყვება ხოლმე. შემდეგ ხდება მათი ჩანაცვლება რეფორმირებული ინდივიდუალიზებული ერთიანი თეოლოგიით, რომელიც მორწმუნეს ღმერთის და ერთ დიდ, ანონიმურ, გამაშუალებლისგან თავისუფალი საზოგადოების წინაშე მარტოს ტოვებს — და ყოველივე ეს ნაციონალიზმის ვირტუალური პარადიგმაა.

სხვა მაღალმა კულტურებმა ეს გადასვლა თავანთ თავდაპირველ დოქტრინაზე უარის თქმით განახორციელეს. დოქტრინათა დიდი ნაწილი, რომლებსაც ისინი დიდხანს დაატარებდნენ, ეპისტემიკური ფილოსოფიების ხანაში (რომლებიც მხოლოდ ფაქტებს ეყრდნობიან) ისეთი აბსურდულნი და სუსტნი გახდნენ, რომ უფრო ხელის შემშლელ ტვირთს დაემსგავსნენ, ვიდრე უპირატესობას,

რასაც თავის დროზე წარმოადგენდნენ. ისინი სიამოვნებით, თავისუფალი ნებით უარყვეს, ან იმ „სიმბოლურ“ ნიშნებად გადაქციეს, რომლებიც შინაარსზე ყურადღების ნაკლები მიქცევით, წარსულთან კავშირს ინარჩუნებდნენ.

ისლამში ეს ასე არ ხდებოდა. აგრარულ ხანაში ისლამი ორსახა იანუსს მოგვაგონებდა. ერთი სახე რელიგიურად და სოციალურად მრავალფეროვანი სოფლური თემებისაკენ იყო მიმართული, მეორე კი — დამწერლობის მცოდნე ქალაქელი სწავლულებისკენ. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელთათვის სავალდებულო დოგმა იმდენად გამარტივებული, ეკონომიური და უნიტარული იყო, რომ ის თანამედროვე ხანაშიც კი შეიძლებოდა მისაღები ყოფილიყო. მაშინ, როდესაც უცნაური ტვირთი, რომელსაც ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მათ მოქიშპეებმა გადმოიტანეს, საკმაოდ მიუღებელი აღმოჩნდა და ნელ-ნელა მიჩქმალვას ან სულაც უარყოფას საჭიროებდა. ხმელთაშუა ზღვის სამხრეთით, ამ აქციის ჩატარება საჭირო არ იყო — ან უფრო სწორედ, იგი *უკვე* მოხდა, ხმამაღალი და ნათელი, ჭეშმარიტი რწმენის დაბალი, ხალხური, ხანდახან გარედან შემოტანილი ველური ელემენტებისგან განთავისუფლების სახელით. იანუსმა ერთ-ერთ მის სახეზე უარი თქვა. ასე რომ, მუსულმანურ სამყაროში, განსაკუთრებით კი, მის არაბულ ნაწილში (და ასევე არაბობის სუროგატ ერთა შორის, რომლებიც ლოკალურად საკუთარ თავს მოცემული მხარის მუსულმანებად განსაზღვრავენ) ზოგადმა, ანონიმურმა, ტერიტორიულ თემზე დამყარებულმა ნაციონალიზმმა შეიძლება კლერიკალური ფენის მიერ ამაყად და დაუკარგავად მოტანილი სპეციფიკური დოქტრინები გააგრძელოს. *ულამას* (მუსულმანური სამღვდელოების) იდეალი სხვადასხვა ეროვნულ ტერიტორიებზე რეალობას მაინც უახლოვდება, ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტად, ვიდრე ეს თემებად დანაწევრებული სივრცეების ხანაში ხდებოდა.

დოქტრინალური ელეგანტურობა, სიმარტივე, განსაზღვრულობა, ზუსტი უნიტარიზმი, რომელიც მაინცდამაინც ინტელექტუალური განცხადებების გზით არ მიედინება, ის მახასიათებლებია, რომლებიც თანამედროვე სამყაროში ისლამს გადარჩენაში სხვა უფრო მდიდარ რელიგიებზე მეტად ეხმარება. მაგრამ მაშინ ჩნდება კითხვა: რატომ არ გადარჩა უფრო უკეთ ისეთი აგრარული იდეოლოგია, როგორიც კონფუციანიზმია; მისი სისტემა მორალურ კოდექსებსა, წესრიგსა და იერარქიაზე მყარად იყო დაფუძნებული, და, თანაც, კიდევ უფრო ნაკლებად ემყარებოდა თეოლოგიურ და კოსმოლოგიურ დოგმებს. მაგრამ, ალბათ, მკაცრი და თანამიმდევრული უნიტარიზმი ამ შემთხვევაში უკეთესია, ვიდრე მორალურობაზე დამყარებული დოქტრინისადმი ინდიფერენტულობა. თანამედროვე გემოვნებისთვის აგრო-დამწერლობითი სახელმწიფოს მორალი და პოლიტიკური ეთიკა ზედმეტად მაღალფარდოვანი და არაეგალიტარულია, რაც თანამედროვე სამყაროში კონფუციანიზმის გაგრძელებას შეუძლებელს ხდის; ყოველ შემთხვევაში, იგივე სახელით და მართვის იგივე სისტემით.

ისლამის წმინდა უნიტარიზმის ხაზგასმამ კი, თავისი კონკრეტული მორალის და პოლიტიკური მითითებების გარდაუვალი ორმაგობით, შეიძლება ისეთი სიტუაციის შექმნას შეუწყოს ხელი, სადაც ერთსა და იმავე რწმენამ შესაძლოა ტრადიციული რეჟიმი დააკანონოს, ისე, როგორც საუდის არაბეთში და ჩრდილო ნიგერიაში, ან სოციალურად რადიკალური რეჟიმები ლიბიაში, სამხრეთ იემენსა და ალჟირში რომ გვხვდება. პოლიტიკური ჯადოქრები თავიანთ შელოცვებს მკაცრი თეოლოგიის გარშემო აგებენ, მაშინ როდესაც ისინი პოლიტიკური სიტუაციის თავინთი მოწონების მიხედვით გადათამაშებას ახდენენ, თანაც ისე, რომ ამან დიდი ყურადღება არ მიიქციოს. სულიერი მაშუალებელის უარმყოფი უნიტარიზმი მორწმუნე ადამიანებს ინტელექტუალური ტრანსფორმაციის უფლებას არ აძლევს, ტრანსფორმაციის, რომელიც იმ რწმენას, რომელსაც ერთ დროს აქლემების მემკვიდრეობით მიღებასთან ჰქონდა კავშირი, აქცევს იმ რწმენად, რომელიც მდგომარეობის შესაბამისად, ხან ნავთობის სიმდიდრის ნაციონალიზაციას მოითხოვს და ხანაც კრძალავს მას.

თუ ისლამი უნიკალურია იმით, რომ ის პრეინდუსტრიული კლერიკალობის დიდი ტრადიციის ნაციონალისტურ, სოციალურად გამძლე იდიომად და ახალი სტილის დაჯგუფებების რწმენად გამოყენების საშუალებას იძლევა, ქვემოსაჰარული აფრიკის ბევრი სახელმწიფო საინტერესოა სწორედ იმით, რომ ისინი სრულიად საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენდნენ: ისინი ხშირად მაღალ კულტურას არც აგრძელებენ და არც იგონებენ (რაც საკმაოდ რთული იქნებოდა, რადგან ადგილობრივი დამწერლობა ამ რეგიონებში ძალიან იშვიათია). ისინი, ევროპელი ნაციონალისტებისაგან განსხვავებით, თავდაპირველი ხალხური კულტურის ახალ, პოლიტიკურად სანქცირებულ დამწერლობით კულტურამდე აყვანას არ ცდილობენ, როგორც ამას ევროპული ნაციონალიზმი ხშირად აკეთებს. ამის მაგივრად ისინი *სხვა*, ევროპული კულტურის გამოყენებას ცდილობენ. ქვემო-საჰარის აფრიკა საუკეთესო ბაზაა დიდი ძალაუფლების ნაციონალიზმის პრინციპთა განხორციელების მცდელობისათვის, რომელიც ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრების თანხვედრილობას ითხოვს. მაგრამ მათი პოლიტიკური საზღვრები ამ პრინციპს თითქმის გამონაკლისის გარეშე უარყოფენ. შავმა აფრიკამ კოლონიალური პერიოდიდან მემკვიდრეობით ლოკალური კულტურული ან ეთნიკური საზღვრების სრულ უარყოფაზე (ზოგადად, ამის ელემენტარული ცოდნის

გარეშე) დამყარებული საზღვართა ქსელი მიიღო.

აფრიკის პოსტკოლონიალური ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მეტად საინტერესო და საყურადღებო მახასიათებელი არის ის, რომ ნაციონალისტები, ირედენტისტები, რომლებიც საქმეთა ამ ვითარების გამოსწორებას შეეცდებოდნენ, გასაოცრად ცოტანი და სუსტნი იყვნენ. ევროპული ენების ლოკალური ენებით შეცვლის ან საზღვრების ეთნიკურ მომენტთან შესაბამისობით მოწესრიგების მცდელობა სუსტი და იშვიათი იყო. რით შეიძლება ეს აიხსნას? ნუთუ აფრიკის შავ მოსახლეობაში ნაციონალიზმი ძალას არ წარმოადგენს?

ჩვენ კომუნიკაციების დეფიციტის მქონე „ადრეულ" (როდესაც გადასახლებულ, ექსსოფლურ მოსახლეობას, ახალი სირთულეები უჩნდება, გაბატონებულ კულტურაში ვერჩართვის გამო) და „გვიანდელ", სხვა სახის დეფიციტების მქონე ნაციონალიზმებს შორის დიქოტომია ვივარაუდეთ. ამ მნიშვნელოვანი კონტრასტის გათვალისწინებით, აფრიკული ნაციონალიზმი მთლიანად მეორე, ენთროპიის შემაფერხებელ ტიპს ეკუთვნის. ყოველივე ამის გამო, აქ ვერ ვიპოვით ემიგრანტ მუშას, რომელსაც ქარხნის კარიბ-ჭესთან უცხო ენაზე მოლაპარაკე ზედამხედველი ლანძღავდეს; ჰა-ჰა, ის ინტელექტუალი ვიპოვოთ, რომელსაც მშვენივრად შეუძლია კომუნიკაცია, მაგრამ ის რეალურ ძალაუფლებასთან ერთი საერთო მახასიათებლის — ფერის — გამო არ არის დაშვებული. მათ არა საერთო კულტურა, არამედ საერთო გარიყულობა აერთიანებთ. რა თქმა უნდა, ის ფენომენებიც, რომელიც ადრეულ, კომუნიკაციის დეფიციტის მქონე ნაციონალიზმის ტიპებთანაა ასოცირებული, ხშირად მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. სამხრეთ აფრიკის ნაციონალური კონფლიქტის აფეთქების საფუძველი, აშკარად აფრიკული პროლეტარიატის მდგომარეობა იყო; მაგალითად, ნკრუმას[1] აღზევებაში ურბანული დაბალი კლასის როლი თვალშისაცემი იყო.

აფრიკაში ევროპული ბატონობის მიერ შექმნილი ტიპიური სიტუაცია შემდეგია: ეფექტური მმართველობის დანერგვა, პოლიტიკური ერთეულების კონტროლი და ფართო, სტაბილურ რეგიონებში მშვიდობის გამყარება. ეს ჩარევები აშკარად კონტრ-ენთროპიულნი იყვნენ. მმართველები და კიდევ ცოტა უცხოები თეთრკანიანები იყვნენ, ყველა დანარჩენი კი შავკანიანები. აქ ძალიან მარტივი და ნათელი დაყოფა მუშაობს. იშვიათად თუ არსებობს ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომლის მთავარი

[1] ნკრუმა კვამე (1909-1972) – განას რესპუბლიკის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი (1957-1966). 1966 წელს ჩამოაგდეს სამხედრო გადატრიალების შედეგად. სიცოცხლის ბოლო წლები გვინეაში გაატარა.

პრინციპები ასე მარტივად შესაცნობი და ამოსაკითხია.

ტრადიციულ აგრარულ სამყაროში მდგომარეობის განუსაზ-ღვრელობის და სტატუსური ორმაგობის პრინციპი ყველა სხვა გაურკვეველ ძალთა ურთიერთობების გამო პოზიტიურ უპირატე-სობად და დიდ დახმარებად ჩაითვლებოდა. იგი სისტემის სტა-ბილურობისა და გადარჩენილ ღირებულებებისთვის კარგად იმუშავებდა. ეს პრინციპი აფრიკისთვის უცხო არ იყო, და ზოგი-ერთმა ადგილობრივმა პოლიტიკურმა სტრუქტურამ მისი ვარი-ანტები მართლაც გამოიყენა. აზანდები[1] ეთნიკურად განსხვა-ვებულ სუბიექტებზე მებატონე დამპყრობელი არისტოკრატია იყო. ბევრ ჩრდილო ნიგერიულ ქალაქ-სახელმწიფოს ფულანის[2] არის-ტოკრატია მართავდა.

მაგრამ ეს აგრარული წყობა უკვე ტრადიციული აღარ იყო. ევროპელები აფრიკაში იმისთვის იყვნენ, რომ იქ ბაზარსა და სავაჭრო ეკონომიკაზე ორიენტირებული, განათლებული („ცივი-ლიზებული") შესაბამისად კი, ინდუსტრიული ტიპის საზოგადოება ჩამოეყალიბებინათ, მიუხედავად იმისა, რომ დროდარო ისინი ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და იქაური მმართველობის მიმართ პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი. მაგრამ იმ მიზე-ზების გამო, რომლებიც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, და რომელთა შესახებაც აქ საუბარს აღარ გავაგრძელებთ, ინდუსტრიული თუ ინდუსტრიალიზებადი საზოგადოებები კონტრენთროპიული ინს-ტიტუტების მიმართ საოცარი ალერგიულობით არიან განწყო-ბილნი. ამის ნათელი მაგალითი ჩვენ უკვე მოვიყვანეთ! ეს იმ უფრო ადრეულ მაგალითს არ გავს, როდესაც „ცისფერპიგმენტიანთა" კატეგორია საზოგადოების დაბალ ფენებში სტატისტიკური თვალ-საზრისით ძალიან დიდი რაოდენობით იყო ლოკალიზირებული, იგი არც ევროპულ ირედენტისტულ ნაციონალიზმს ჩამოჰგავს. ამ შემთხვევაში შავკანიანთა უზარმაზარ მოსახლეობას თეთრკა-ნიანთა მცირე დაჯგუფება მართავს. ამ სიტუაციის მიერ წარ-მოშობილი ნაციონალიზმი მოცემულ, ისტორიულად შემთხვევით ტერიტორიაზე (რომელიც ახლა ახალი ადმინისტრაციული მექა-ნიზმით ერთიანდება) ყველა ჯურის შავკანიანის უბრალო ჯამი იყო. აუცილებელი არ არის ახალი ნაციონალიზმის მხარდამჭერებს რაიმე საერთო პოზიტიური მახასიათებელი ქონდეთ.

[1] აზანდები – ზაირის ჩრდილოეთით, სუდანის და ცენტრალურ აფრიკულ რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონებში მცხოვრები ხალხი (დაახლ. 3 მილიონი).

[2] ფულანი (ფულბე) – მესაქონლე ხალხი. ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში – ნიგერიაში, გვინეაში, ლენეგალში, მალიში, კამერუნში, ა.შ. (დაახლ. 20 მილიონი).

როგორც წესი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მოწინააღმდეგეებს ახლად დაპყრობილი სახელმწიფოების კონტროლისათვის, ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფებში საკუთარი ძალაუფლების საყრდენი გააჩნდათ. მითუმეტეს საოცარია, კოლონიალისტების მიერ თვითნებურად გავლებული ეთნიკურად განუპირობებელი საზღვრების სტაბულურად შენარჩუნება და სამართავ და საგანმანათლებლო საშუალებად კოლონიალისტური ენის გამოყენება. ალბათ, ნაადრევია იმაზე ფიქრი, კოლონიალური ენის გამოყენების პირობებში მიაღწევენ თუ არა ეს საზოგადოებები ნამდვილ ერთგვაროვნებას, მობილურობას და ზოგად განათლებას; თუ მოხდება ისე, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ისინი თამამად შეუდგებიან თვითტრანსფორმაციას, რომელიც ერთ-ერთი მათი მშობლიური ენის განახლებაში, ადაპტირებაში ან თუნდაც თავიდან გამოგონებაში გამოიხატება. მაგალითისთვის, ეს პროცესი პირველად ალჟირში დაიწყო, თავისი უკიდურესად მტკივნეული „არაბიზაციით", რომელიც პრაქტიკულად ადგილობრივ არაბულ და ბერბერულ დიალექტებზე[1] ლიტერატურული ენის მიწეპებას ნიშნავდა. შავ აფრიკაში, ადგილობრივ ენასთან დაბრუნებას მხოლოდ ის არ უშლის ხელს რომ, უცხო ენა თავისი ინტერნაციონალური კავშირებით ბევრად უფრო მოსახერხებელია, იგი ელიტარული კლასის მიერ უკვე დიდი ხანია გამოიყენება, და თანაც ადგილობრივი დიალექტები ევროპულზე უფრო მეტად დაქსაქსულია, არამედ ისიც, რომ კონკურენტუნარიან ენათაგან ნებისმიერის არჩევა შეურაცხმყოფელი იქნება იმათთვის, ვისთვისაც ეს ენა მშობლიური არ არის — და ასეთები ყოველთვის უმრავლესობაა.

ამ მიზეზების გამო, ის აფრიკული ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ქრისტიანობის თუ ისლამის მიღების გზით დამწერლობით მაღალ კულტურებთან იყვნენ ნაზიარებნი, ეფექტური ნაციონალიზმის გასავითარებლად უფრო კარგად იყვნენ მომზადებულნი, ვიდრე დანარჩენები. ჩრდილო-აღმოსავლური აფრიკის რეგიონი, სადაც ამ ორ რწმენას შორის ბრძოლა ტრადიციულად

[1] Hugh Roberts, "The Unfotseen Development of Kabyle Question in Contemporary Algeria", in Government and Opposition, XVII (1982), No.3. კაბილის ნაციონალიზმის წარმოშობა იმით არის საინტერესო, რომ ის თავდაპირველი მცირე გლეხური გაერთიანებების გრძნობებს გამოხატავს, რომლებმაც თავიანთი წარმატებული ურბანული მიგრაციის დროს, თავიანთი სოფლური საწყისები არ დაკარგეს. მსგავს მიზეზებს შეიძლება ჰქონოდა ადგილი ბასკებს შორისაც. იხ. Mariane heiberg, „Insiders/outsiders: Basque nationalism", in European Journal of Sociology, XVI (1975), N.2.

რომელიმეს საბოლოო გამარჯვების გარეშე მიმდინარეობდა, ის ადგილია, სადაც კლასიკური ნაციონალიზმის მაგალითებიც მრავლად მოიძებნება. უკვე ითქვა, რომ ერთადერთი რამ, რაც ბურებს თავისი ბანტუელი მტრებისაგან განასხვავებდა (მიუხედავად იმისა, რომ ორივენი სამხრეთ აფრიკაში სხვადასხვა მხარეებიდან მოვიდნენ), იყო ის, რომ მათ წიგნის, ბორბლის და იარაღის ფლობა იცოდნენ. ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში ამჰარელებსაც და სომალელებსაც ჰქონდათ იარაღი და წიგნი (ოღონდ არა ერთი და იგივე, არამედ ერთმანეთის მოქიშპე), ბორბალთან ურთიერთობით კი თავს მაინცდამაინც არცერთი მათგანი იწუხებდა. ამ კულტურული ინსტრუმენტების გამოყენებაში ორივე დაჯგუფებას მათთან დაკავშირებული ის უფრო ფართო რელიგიური საზოგადოების წევრები უდგანან მხარში, რომლებიც წიგნს და იარაღს ჩვეულებრივ იყენებენ ხოლმე და რომელნიც საკუთარი რიგების შევსებით მუდამ არიან დაინტერესებულნი. სომალელებსაც და ამჰარელებსაც სახელმწიფო წყობის შექმნაში სწორედ ეს საგნები დაეხმარნენ. სომალელებმა ვინმე რელიგიური პირის მიერ გაერთიანებული, ურბანული ვაჭრობასა და პასტორალურ-ტომობრივი მომენტების შერწყმაზე დაფუძნებული რამდენიმე ტიპიურად მუსულმანური ფორმაციები შექმნეს; ეთიოპიაში კი, ამჰარელებმა ფეოდალიზმის ერთადერთი ნამდვილი ნიმუში შექმნეს: ერთიან ნაციონალურ ეკლესიასთან დაკავშირებული ადგილობრივი გავლენიანი მმართველების არამდგრადი იმპერია.

იარაღი და წიგნი, ეს ორი მაცენტრალიზებელი პოტენციალი, დასახელებულ ორ ეთნიკურ ჯგუფს (მიუხედავდ მათი რიცხობრივი სიმცირისა), საშუალებას აძლევდა ამ დიდი რეგიონის პოლიტიკურ ისტორიაში გაბატონებულიყო. სხვა ეთნიკურმა დაჯგუფებებმა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი რიცხობრივად განუზომლად მეტნი იყვნენ, (მაგალითად ორომო, რომელიც უფრო გალას სახელწოდებითაა ცნობილი), ამ პრივილეგიების გარეშე მსგავს მდგომარეობას ვერ მიაღწიეს. სამოცდაათიან წლებში, ეთიოპელების წინააღმდეგ სომალელების დროებითი წარმატებების დროს, დამაჯერებელი და სომალელთა თვალსაზრისით მომგებიანი იყო ორომოს წარმოჩენა ერთიანი ინტერესებისა და მიზნების არმქონე მოსახლეობის ტიპად, პრეეთნიკურ გადაუმუშავებელ მატერიად, რომელიც პოლიტიკური ხვედრის და რელიგიური კონფესიის გამოცვლის გზით ამჰარელებად, ანდა სომალელებად გადაქცევას ელოდებოდა. ასე რომ მომხდარიყო, ეს მათ „სომალიზაციას" გაამართლებდა. ორომოელები ადამისა და ევას იმ უზარმაზარ ხალხად განიხილებოდნენ, რომლებსაც ეთნიკურობის ვაშლი ჯერ კიდევ არ ეგემათ და რომელთათვისაც მხოლოდ გვაროვნული ორგანიზაციების ლეღვის ფოთოლი იყო ცნობილი. ამჰარის

სახელმწიფოში გაერთიანების შემთხვევაში, მათი ადგილობრივი ბელადები ჯერ ოფიციოზებად, შესაბამისად კი ქრისტიანებად და ამჰარელებად უნდა ქცეულიყვნენ. მაგრამ თუ სომალის გავლენის სფეროში მოხვდებოდნენ, ისინი დიდი ადგილობრივი სიწმინდეების სახელით ისლამს უნდა ზიარებოდნენ, რაც საბოლოო სომალიზაციას უდრიდა. მას შემდეგ რაც სომალი ომში დამარცხდა, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში ამჰარის ბატონობისათვის წინააღმდეგობის გაწევის პერსპექტივები, მაინც ეთიოპიის იმპერიაში წარმოქმნილი სხვადასხვა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ფრონტების სტიმულირებაზეა დამოკიდებული. მათ შორის ორომოც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომელიც, როგორც უდიდესი დაჯგუფება, ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ახლა, ალბათ, უფრო ნაკლებად მოგვიწევს მათ ეთნიკურად გადაუმუშავებელ, წინაკულტურულ სტატუსზე საუბრის მოსმენა.

თუ ასეთი რამ საერთოდ შეიძლება არსებობდეს, მაშინ სწორედ ამჰარის იმპერია იყო ერების საპყრობილე. როდესაც 1974 წელს მოხუცი იმპერატორი ჩამოაგდეს, ახალმა მმართველებმა (როგორც ეს მათგან მოითხოვებოდა), სასწრაფოდ გამოაცხადეს ყველა ეთნიკური დაჯგუფების თანასწორუფლებიანობა და ერების მიერ თავიანთი ხვედრის არჩევის თავისუფლება. მაგრამ ამ თავისუფლებით აღფრთოვენებულ გრძნობას მალე არაამჰარული ჯგუფებიდან გამოსული ინტელიგენტების ლიკვიდაცია მოჰყვა, რაც იმპერიის შიგნით[1] მოქიშპე ერების წარმოშობის ხელის შეშლის თვალსაზრისით გატარებული საოცრად რაციონალური პოლიტიკა იყო.

მოკლედ, ორივე ეს მწვავე, თანამედროვეობაში გაბატონებული ნაციონალიზმი ძველი მაღალი კულტურის ხელმისაწვდომობის უპირატესობას გვიჩვენებს, უპირატესობას, რომელიც ერთ დროს სახელმწიფო ფორმაციისთვის სრულიად გამოუყენებელი ქონება იყო, მაგრამ ახლა ეთნიკურობის ადრეული პოლიტიკური შეგრძნების მიღწევისთვის გადამწყვეტი გახდა. ჩანს, რომ ყველა ამ შემთხვევაში, ეთნიკური ჯგუფი თავის ლოკალურ სივრცეში საკუთარ რწმენასთან თანაარსებობს და ეს მას თვითიდენტიფიკაციაში დიდად ეხმარება.

საინტერესოა, რომ სომალელები (ქურთების მსგავსად) ის ხალხია, რომლებმაც სოციალურ სტრუქტურებზე დაფუძნებული

1 Ioan Lewis, *"The western Somali Liberation Front (WSLF) and the legacy of Sheikh Hussein of Bale"*, in J. Tubiana (ed.), Modern Ethiopia, Rotterdam, 1980; and I.M. Lewis (ed.), *Nationalism and Self-determination in the Horn of Africa,* Indiana, 1983.

ძველი ტომობრიობა საერთო კულტურაზე დაფუძნებული ახალი ნაციონალიზმით შეცვალეს. წარმომავლობითი მიკუთვნებულობის გრძნობა დიდი და ძლიერია და გადამწყვეტიც კია შინაგანი პოლიტიკური ცხოვრების გასაგებად (მიუხედავად იმისა, რომ ეს მომენტი ოფიციალურად უარყოფილი და აკრძალულია). მე ვფიქრობ, ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენს ძირითად თეორიას, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ადამიანის მიერ ერთიანი დამწერლობითი კულტურის („ნაციონალიზმის") ფლობა ძველი კულტურის დაშლიდან მომდინარეობს. ეს კულტურა ერთ დროს წარმოშობდა ადამიანს საკუთარი იდენტურობის, ღირსების და მატერიალურად დაცულობის გრძნობით, მაშინ როდესაც ახლა მათი მიღება განათლებაზეა დამოკიდებული. სომალელებს ერთიანი კულტურა გააჩნიათ, რომელიც საკუთარი სახელმწიფოთი უზრუნველყოფის შემთხვევაში (რაც ხდება კიდეც), ყოველი სომალელისთვის კარგი სახელმწიფო სამსახურის მიღების გარანტია იქნება. ასეთ საკუთარ კულტურაზე დაფუძნებული სახელმწიფოს ფარგლებში სომალელის ცხოვრებისეული შანსი და ფიზიკური კომფორტი ბევრად უკეთესია, ვიდრე არასაკუთარ კულტურაზე დაფუძნებულ მეზობელ სახელმწიფოში. ამავე დროს, ბევრი სომალელი მაინც პასტორალური სისტემის წევრად რჩება და ცხოვრების ძველი ადათებით განსაზღვრული წესით აგრძელებს მწყემსურ ცხოვრებას და არ წყვეტს ურთიერთკავშირს მის ფართო ნათესაურ დაჯგუფებასთან, კავშირს, რომელიც ახალი პოლიტიკური ცხოვრების ხანაში მთლიანად დავიწყებული მაინც არ არის.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ძირითად შემთხვევებში, ახალი განათლებით გადაცემული ეთნიკურობა ორი მომენტიდან მომდინარეობს: სიმპათიიდან და ანტიპათიიდან ახალი სამუშაო შესაძლებლობების მიმართ, რომელიც ძველი, გარკვეული დაცვის უზრუნველმყოფელი ნათესაური დაჯგუფებების გადაგვარებიდან წარმოიშვა. სომალის შემთხვევა უნიკალური არ არის, მაშინაც კი, თუ ის განსაკუთრებით ყურადსაღებია. თანამედროვე სამყაროში პასტორალიზმის, სამუშაო მიგრაციის ან სავაჭრო ქსელების განსაკუთრებული ტიპის არსებობამ შეიძლება ფართო ნათესაური ორგანიზაციების გადარჩენა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში ჩვენ სტრუქტურისადმი ტომობრივი ერთგულების და კულტურისადმი (დამწერლობითი კულტურისადმი) ნაციონალური ერთგულების ურთიერთგვერდით არსებობას ვიღებთ. თუმცა, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ თანამედროვე სამყარო *ყველგან* წარმოშვება და თან მყარ სოციალურ მცირე წარმონაქმნებსაც შეინარჩუნებს. წარმატებული ეკონომიკური განვითარების ძლევამოსილი ისტო-

რიები იმ საზოგადოებებს შეეხება, სადაც კეთილდღეობა და სიძლიერე კაცობრიობას ცხოვრების ახალი სტილისაკენ მიუთითებდა. ეს ამბები თუ მაგალითები ამ ტიპისანი არ იყვნენ და ვერც იქნებოდნენ. მოდერნიზმის ზოგადი წარმოშობა მრავალრფეროვანი მცირე კავშირის მქონე ლოკალური ორგანიზაციების დაშლაზე და მათი მობილური, ანონიმური, დამწერლობითი, იდენტურობის მიმნიჭებელი კულტურით შეცვლაზე იყო დამოკიდებული. ეს ის ზოგადი პირობაა, რომელიც ნაციონალიზმს ნორმატიულს და საყოველთაოს ხდის. ზემოთ ნახსენები ორი ერთგულების შემთხვევითი დალექვა — ნათესაური ჯგუფების ახალ წყობასთან პარაზიტული, ნანილობრივი და დროებითი ადაპტაციის შემთხვევითი გამოყენება — მას ხელს არ უშლის. თანამედროვე ინდუსტრია შეიძლება პატერნალური ან ნეპოტისტური იყოს, მაგრამ მას არ შეუძლია მისი პროდუქტიული ერთეულების ნათესაურ ან ტერიტორიალურ პრინციპებზე დაყრდნობით შევსება, როგორც ამას ერთ დროს ტომობრივი საზოგადოება აკეთებდა.

დაპირისპირება, რომელიც მე აქ კულტურით გაშუალებულ ნაციონალიზმსა და სტრუქტურით გაშუალებულ ტომობრიობას შორის გამომყავს, რა თქმა უნდა, გულისხმობს, რომ ეს ორგანიზაციის ორ ობიექტურად განსხვავებულ ტიპებს შორის გაკეთებული ანალიტიკური განსხვავებაა. ეს *ჩემი* ნაციონალიზმის და *შენი* ტომობრიობის რელატივისტურ ან ემოციურ ოპოზიციაში არ უნდა აგვერიოს. ეს უფრო ქების თუ ძაგების ენაა, რომლითაც მოქიშპე პოტენციური ერები ერთმანეთს ებრძვიან: „მე პატრიოტი ვარ, შენ — ნაციონალისტი და ის — ტრაიბალისტი“ ეს ის ფრაზებია, რომელიც ყოველთვის იარსებებს სანამ ენა არსებობს. ამ აზრით ნაციონალიზმები უბრალოდ ის ტრაიბალიზმებია (ან რაიმე სხვა ჯგუფობრივი იდეოლოგიები), რომლებმაც თანამედროვე სამყაროში ბედის, ძალისხმევის და გარემოებების წყალობით ეფექტურ ძალაუფლებას მიაღწიეს. მათი განსაზღვრება მხოლოდ *ex post factum* შეიძლება. ტრაიბალიზმი არასდროს აყვავდება და ეს ასეც რომ მოხდეს, მას ყველა პატივისცემით მოეპყრობა, როგორც ნამდვილ ნაციონალიზმს და მას ტრაიბალიზმს აღარავინ დაუძახებს.

7
ნაციონალიზმის ტიპოლოგია

ტიპოლოგია, რომელიც ნაციონალიზმებისთვის გამოდგება, შესაძლებელია ავაგოთ, თუ იმ საკვანძო ფაქტორების სხვადასხვა შესაძლო კომბინაციებს შევადგენთ, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების შექმნაში იღებენ მონაწილეობას. პირველი ფაქტორი, რომელიც დედუქციური გზით დადგენილ ამ მოდელში უნდა იქნას შეტანილი, *ძალაუფლების* ფაქტორია. ამ შემთხვევაში იმის საჭიროება არ დგას, რომ ბინარული ან რაიმე სხვა ალტერნატივა ავამოქმედოთ. უაზრობა იქნებოდა თანამედროვე საზოგადოებაში ცენტრალიზებული ძალაუფლების უქონლობაზე, თუ მისი ყველგან გავრცელების შესაძლებლობაზე გვემსჯელა. თანამედროვე საზოგადოებები ყოველთვის და უცილობლად ცენტრალიზებულნი არიან იმ გაგებით, რომ აქ ერთ ორგანიზაციას ან ორგანიზაციათა ჯგუფს ევალება წესრიგის შენარჩუნება და ეს მოვალეობა მთელი საზოგადოების საზრუნავს არ წარმოადგენს. შრომის კომპლექსური დანაწილება, ურთიერთშევსება და ერთმანეთზე დამოკიდებულება, და ამასთან, მუდმივი მობილურობა ხელს უშლის, რომ მოქალაქეები ერთსა და იმავე დროს ძალადობის წარმომქმნელებადაც და შემდეგ ამ ძალადობის განმახორციელებლებადაც მოგვევლინონ. არსებობს იმ ტიპის საზოგადოებები, რომლებშიც ამგვარი რამ შესაძლებელია – ასეთი უფრო მეტად ზოგიერთი პასტორალური ტიპის საზოგადოებაა. აქ მწყემსი ერთსა და იმავე დროს თავისი ტომის ჯარისკაცი, ხშირ შემთხვევებში — სენატორიც, იურისტიც და პოეტიცაა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში საზოგადოების მთელი, ან თითქმის მთელი კულტურა, უფრო მეტად, ინდივიდში ერთიანად არის ჩადებული, ვიდრე ინდივიდთა შორის სხვადასხვა ფორმით განაწილებული. ამგვარი საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში, მისი მამაკაცური ნახევარი, თავს იკავებს სპეციალიზაციისაგან და ეს საკმაოდ თვალშისაცემად ხდება. ეს საზოგადოება ითმენს, მაგრამ ამავე დროს ეზიზღება კიდეც სპეციალისტთა ის მცირე რაოდენობაც კი, რომელიც მასში არსებობს.

ის, რასაც უნდა მოველოდეთ მომთაბარე ტიპის პასტორალური საზოგადოებიდან, სრულიად შეუძლებელია კომპლექსური თანამედროვე საზოგადოებისათვის. ამ საზოგადოების შემქმნელებს — სპეციალისტებს, არ შეუძლიათ არ აჩქარდნენ, როცა სახლიდან ოფისში მიჰქრიან, მათ არ შეუძლიათ მიიღონ დამცავი

ზომები, რათა თავიანთი მოქიშპე კორპორაციის მოულოდნელი დარტყმა აიცილონ, ან თავადვე მიიღონ მონაწილეობა ღამეულ რეპრესიულ რეიდებში. შესაძლოა, ასე იქცეოდნენ ბუტლეგერები, მაგრამ ისინი არ გამხდარან თანამედროვე ორგანიზებული ადამიანის მისაბაძი მოდელი. მთლიანობაში მაფიოზური ბიზნესი იქ ჰყვავის, სადაც უკანონობა ხელს უშლის ადამიანებს ოფიციალურ ძალისმიერ ორგანოებს მიმართონ. როგორც ჩანს, ამგვარი საწარმო მეტწილად უფრო ლეგიტიმური ბიზნესისაკენ ვითარდება, ვიდრე პირიქით. ფაქტობრივად, თანამედროვე საზოგადოების წევრებს მცირე ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ და ნაკლებად არიან გაწვრთნილნი საიმისოდ, რომ ან თავად მიმართონ ძალადობას, ანდა წინ აღუდგნენ მას. თანამედროვე საზოგადოების ზოგიერთი სექტორი ცალკეულ შემთხვევებში, ამ განზოგადებას არ ექვემდებარება. ამის მაგალითი ის ადამიანები არიან, რომელთაც ჩამორჩენილ ურბანულ ცენტრებში ურბანული ძალადობის პირობებში უწევთ ცხოვრება. თუმცა არსებობს ერთი ეკონომიურად კომპლექსური საზოგადოება, კერძოდ კი, ლიბანი, სადაც ცენტრალური ხელისუფლების დეზინტეგრაციის მიუხედავად საზოგადოება მოქნილია და აყვავებული.

თუმცა ეს შედარებით უმნიშვნელო გამონაკლისები მთავარ განაცხადს ძირს არ უთხრის; განაცხადს, რომლის მიხედვითაც თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური წესრიგის იძულებითი დამყარება რაღაც იმგვარ ქმედებას არ წარმოადგენს, რომელიც ყველგან, მთელ საზოგადოებაში თანაბრადაა გავრცელებული. მსგავს რამეს ადგილი აქვს ტომში, რომელიც სეგმენტური სოციალური ორგანიზაციით ხასიათდება. თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური წესრიგის იძულებითი დამყარება ამ საზოგადოების მხოლოდ ზოგიერთი წევრის ხელში არის კონცენტრირებული. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საქმის ვითარება ყოველთვის ასეთია: ზოგიერთებს აქვთ ეს ძალაუფლება, სხვებს – არა. ერთნი უფრო ახლოს არიან იძულებითი ორგანოების საკვანძო თანამდებობებთან, მეორენი კი — არა. ამგვარი ვითარება კი, სავარაუდოდ, არამყარ, მაგრამ მაინც საჭირო განსხვავებას წარმოქმნის ძალაუფალთა და დანარჩენ მასას შორის. ეს განსხვავება კი, თანამედროვე საზოგადოების ჩვენეული გამარტივებული მოდელის პირველ ელემენტს გვაძლევს, რომელმაც დამატებით ელემენტებთან მრავალფეროვან კომბინაციათა მეშვეობით ნაციონალიზმის სხვადასხვა შესაძლო ტიპები უნდა შექმნას.

ჩვენი მოდელის შემდეგ ელემენტს განათლებასა თუ სიცოცხლისუნარიან თანამედროვე მაღალ კულტურაზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს (ეს ორი ცნება აქ ექვივალენტურად განიხილება). განათლების თუ თანამედროვე მაღალი კულტურის ცნებები საკმაოდ ფართო ცნებებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გამოგვადგება. ის ხელობათა იმ ერთობლიობას მოიცავს, რომლის დაუფლებაც საკმაოდ კომპეტენტურს ხდის ადამიანს, რათა მან თანამედროვე საზოგადოებაში რიგითი თანამდებობის უმეტესობა დაიკავოს. ხატოვნად რომ ვთქვათ, იგი საშუალებას აძლევს პიროვნებას იოლად გაცუროს ამ ტიპის კულტურულ გარემოში. ეს უფრო ნიშნების და მახასიათებლების ერთობლიობაა, ვიდრე მკაცრად განსაზღვრული სია: სავარაუდოდ, არცერთი მისი პუნქტი აბსოლუტურად შეუცვლელი არაა. ეჭვგარეშეა, რომ წერა-კითხვის ცოდნა ამ ფენომენისთვის მთავარია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში, მოხერხებული და *d`ebrouillard* ინდივიდები ამის გარეშეც ახერხებენ თანამედროვე საზოგადოებაში თავის გატანას და მეტიც — სიმდიდრის დაგროვებასაც. იგივე ითქმის ელემენტარული არითმეტიკის და ტექნიკური ცოდნის მინიმუმის შესახებ და ასევე მოქნილი, გონებრივი ტიპის შესახებაც, რომელსაც ურბანული ცხოვრება ეხმარება და პირიქით, სოფლური ტრადიციები თრგუნავს. ზოგადად შეიძლება ითქვას – და ეს, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია ჩვენი არგუმენტისათვის – რომ საკმარისად ნიჭიერმა პიროვნებებმა ან მცირე გაერთიანებებმა, რომლებმაც თავისი ადგილი რაიმე შემთხვევების გამო ადვილად იპოვეს, შეიძლება ამ მინიმალურ ჩვევებს დამოუკიდებლად დაეუფლონ. მაგრამ ამ ჩვევების ფართო და წარმატებით გავრცელებისათვის საჭიროა კარგად გამართული და ქმედითი ცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემა.

განათლების (ამ გაგებით) ზემოხსენებულ მისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებობს ალტერნატივები და სხვადასხვა შესაძლო სიტუაციები; ძალაუფლებასთან მიმართებაში კი, ისინი არ არსებობენ. ინდუსტრიულ საზოგადოებაში ყოველთვის ასეა: ერთნი ფლობენ ძალაუფლებას, სხვები კი არა. სწორედ ამან წარმოშვა ჩვენი ბაზისური სიტუაცია – ეს არის საზოგადოება, რომელიც ჩვეულებრივად ძალაუფლების მფლობელებად და დანარჩენ მასადაა დაყოფილი. ამგვარი წინასწარგანპირობებული დაყოფა მეორე ელემენტთან – განათლების მისაწვდომობასთან დაკავშირებით არ გვაქვს. მოცემული განშტოებული ძალაუფლების მქონე საზოგადოებასთან მიმართებაში, ოთხი განსხვავებული ვარიანტი არსებობს: შესაძლებელია, რომ განათლება *მხოლოდ* ძალაუფალთათვის იყოს მისაწვდომი, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალაუფალნი ძალაუფლების შედეგად მიღებულ პრივილეგიებს იმისთვის იყენებენ, რომ განათლებაზე მხოლოდ მათ მიუწვდებოდეთ ხელი; ანდა შესაძლებელია, რომ განათლება ხელმისაწვდომი იყოს ორივე მხარისთვის როგორც ძალაუფალთათვის, ასევე სხვებისთვისაც. მესამე ვარიანტის მიხედვით, *მხოლოდ*

დანარჩენებს მიუწვდებათ ხელი განათლების მიღებაზე, ძალაუფალთ კი ეს შესაძლებლობა არ გააჩნიათ (ეს მდგომარეობა არ არის ისეთი აბსურდული, შეუძლებელი ან არარეალური, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს). და ბოლოს, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე, ისიც შესაძლებელია, რომ *ვერცერთი მხარე ვერ* ხეირობდეს იმით, რომ განათლებაზე მათ ხელი მიუწვდებათ. ანუ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ორივენი — როგორც ძალაუფალნი, ისე დანარჩენები, რომლებზედაც ეს ძალაუფლება ვრცელდება, არიან უმეცარნი და, როგორც ამას მარქსი იტყოდა „სოფლური ცხოვრების იდიოტიზმში" ჩაფლულნი. ეს გახლავთ სრულიად სარწმუნო და რეალისტური სიტუაცია, რომელიც არც წარსულში იყო უჩვეულო და არც ჩვენს დროში არის სრულიად უცხო.

ჩვენ მიერ წარმოსახული ეს ოთხი ვარიანტი, უფრო ჩვენი ვარაუდით შევქმენით (თითოეულ მათგანს აქვს თავისი ქვეალტერნატივა, რაც N 2 ცხრილში იქნება ახსნილი), ნამდვილად შეესატყვისება რეალურ ისტორიულ სიტუაციებს. როდესაც ძალაუფალთა კატეგორია დაახლოებით შეეფარდება იმ კატეგორიას, რომლისთვისაც ახალი ცხოვრებისათვის გამოსადეგი საგანმანათლებლო განსწავლაა ხელმისაწვდომი ჩვენს წინაშეა გარკვეული მდგომარეობა, რომელიც საბოლოო ჯამში ადრეული ინდუსტრიალიზმის ანალოგიურია. ახალმოსახლები, რომლებიც ძალაუფლებას არ ფლობენ და სოფლიდან ჩამოსულნი, ახლა რომ ჩაებნენ ამ სიტუაციაში, პოლიტიკურად უუფლებონი და კულტურულად გაუცხოებულნი არიან. ისინი უმწეონი არიან იმ ვითარებაში, რომელშიც მათ მიზნის მისაღწევად არანაირი საშუალება არ გააჩნიათ და რასაც ისინი ვერ აცნობიერებენ. სწორედ ისინი აყალიბებენ კლასიკური ადრეული პერიოდის პროლეტარიატს, როგორც ეს მარქსსა და ენგელს აქვთ აღწერილი (რომელსაც ისინი სრულიად მცდარად აღწერდნენ ინდუსტრიული საზოგადოების მომდევნო ეტაპების დახასიათებისას). ამგვარი პროლეტარიატი მეტწილად იმ ქვეყნების ღატაკთა უბნებში წარმოიქმნება, რომელსაც მოგვიანებით ინდუსტრიალიზმის ტალღამ გადაუარა.

მეორე კომბინაცია, გვიანდელ ინდუსტრიალიზმს შეესაბამება – ისეთს, როგორიც ის სინამდვილეშია (და არა ისეთს, როგორიც ის მცდარად იწინასწარმეტყველეს): აქ შენარჩუნებულია უმაღლესი ძალაუფლების ფლობის უთანაბრობა, მაგრამ მხარეთა შორის კულტურული და საგანმანათლებლო განსხვავება ძალზე მნიშვნელოვნადაა შემცირებული. მათი ცხოვრების ნირიც ერთმანეთისგან ძალზე დაცილებული არ არის. სტრატიფიკაციის სისტემა რბილი და უწყვეტია, იგი პოლარიზებული არ არის და თვისობრივად განსხვავებული შრეებისაგან არ შედგება. სხვადასხვა ფენების

ცხოვრების ნირი ერთმანეთს თანხვდება, მცირდება მათ შორის არსებული სოციალური მანძილი, ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება ახალი სწავლება — ჭიშკარი ახალ სამყაროში შესასვლელად ყველასათვის ღიაა. ხოლო, თუ სხვადასხვა ფენები ამ სფეროში თანაბარი უფლებებით სრულიად არ სარგებლობენ, ყოველ შემთხვევაში, არაფერი არ უშლის ხელს სერიოზულად მათ, ვისაც კი მისი მიღება სწადია (როგორც აღვწერეთ, მხოლოდ ენთროპულის *საწინააღმდეგო* თვისებების მქონეები არიან სერიოზულად დაბრკოლებულნი).

მესამე და თითქოსდა პარადოქსული სიტუაცია, რომლის დროსაც ძალაუფალნი არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებიან, როცა საქმე ახალ ხელობათა შეძენაზე მიდგება, ნამდვილად არსებობს და სულაც არ წარმოადგენს უჩვეულო ისტორიულ ფაქტს. ტრადიციულ აგრარულ საზოგადოებაში მმართველი ფენა ხშირად გაჯერებულია ეთოსით, რომლის ღირებულებებსაც ომი, იმპულსური ძალადობა, ავტორიტეტი, მიწათმფლობელობა, თვალშისაცემი მოცალეობა და მხარჯველობა წარმოადგენს. ამავდროულად იგივე ეთოსი ზიზღით ამბობს უარს კანონმორჩილებაზე, დროის ან სხვა რაიმეს დაგეგმვაზე, ვაჭრობაზე, გულმოდგინებაზე, მომჭირნეობაზე, სისტემატურ ძალისხმევაზე, წინდახედულობასა და წიგნიერებაზე (ის გზა, რომლითაც ამ თვისებათაგან ზოგიერთი, შესაძლოა, მაინც იქცეს მოდურ და წარმმართველ თვისებად და საზოგადოების დომინანტური ფენის მახასიათებელი გახდეს, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს მთავარ საგანს ყველაზე ცნობილი სოციალური გამოკვლევისა – კერძოდ მაქს ვებერის ნაშრომისა, რომელიც კაპიტალისტური სულის წარმოშობის შესახებ მოგვითხრობს). შესაბამისად, ეს უკანასკნელი თვისებები ჩვეულებრივ იმ ჯგუფებს ახასიათებთ, რომლებიც ურბანულნი, კომერციულნი და სწავლისკენ ორიენტირებულნი არიან და რომლებსაც მეტად თუ ნაკლებად უვარგისად მიიჩნევენ. მმართველებს დროდადრო შეუძლიათ ამგვარი ჯგუფების მოთმენა, თუმცა ისინი პერიოდულად მათ დევნასაც აწარმოებენ. მანამდე კი ყველაფერი კარგადაა: ტრადიციული წყობის შიგნით გარკვეული სტაბილურობაა. მოსამსახურეთა შტატი შეიძლება შეიცვალოს, სტრუქტურა კი იგივე რჩება. შრომისკენ ორიენტირებულ, მომჭირნე და ანგარებიან პირებს ჩვეულებრივ არ აძლევენ ნებას, რომ უსაქმური და აშკარად ხარჯვაზე ორიენტირებული კლასი შეცვალონ, რადგან ეს უკანასკნელი რეგულარულად სძალავს მათ ფულს, ხოლო პერიოდულად მათ ხოცვა-ულეტასაც აწყობს (ინდოეთის შემთხვევაში, არსებობდა ტენდენცია, რომ იმათ, ვინც დამატებითი ქონება შეიძინა, მთელი ფული ტაძრებში მოეთავსებინათ, რათა ამით შეემცირებინათ, ანდა თავიდან აეცილებინათ

ფულის გამოძალვა).

მაგრამ ინდუსტრიული წყობის დამკვიდრების შედეგად, რომელსაც თან სდევს საბაზრო ურთიერთობების, ახალი სამხედრო და საწარმოო ტექნოლოგიების გავრცელება, კოლონიურ დაპყრობათა და ა.შ გაფართოება, უწინდელი სტაბილურობა სამუდამოდ დაიკარგა. ამ ახალ არასტაბილურ და მშფოთვარე სამყაროში სწორედ ურბანულ- კომერციული ჯგუფების (მათ აქამდე უმაქნისად თვლიდნენ) ღირებულებები, ცხოვრების სტილი და ორიენტაცია იძლევა ძალზე დიდ პრივილეგიას და სიმდიდრის და ძალაუფლების ახალ წყაროებს ადვილად ხელმისაწვდომს ხდის. ხოლო რაც შეეხება ექსპროპრიაციის ძველ მექანიზმებს, რომლებსაც ადრე კომპენსაციის მოხდენა შეეძლოთ, ახალ სამყაროში მათ, შესაძლოა, ეფექტურობა დაკარგონ და გამოუსადეგარი გახდნენ.[1] საბუღალტრო ოფისი უფრო დიდი ძალაუფლების მფლობელი ხდება, ვიდრე ხმალი. მხოლოდ ხმლის გამოყენებით შორს უკვე ვეღარ წახვალთ.

რასაკვირველია, დასაშვებია ისიც, რომ უწინდელმა მმართველებმა ახალი ქარის ქროლვა შეიგრძნონ და თავიანთი მოქმედების წესი შეცვალონ. ასეც მოიქცნენ ისინი იაპონიასა და პრუსიაში. მაგრამ სწრაფი ტემპით მოქმედება მათთვის სრულიადაც არ არის ადვილი (ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოდ მოქმედებაც), საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ისინი, შესაძლოა, საჭირო სისწრაფით არ ირჯებიან. შედეგად კი, სწორედ იმ სიტუაციას ვიღებთ, რომელიც ადრე აღვწერეთ: როცა საქმე ახალი ტიპის განათლების და ხელობათა დაუფლებაზე მიდგება, სწორედ ისინი, ან ყოველ შემთხვევაში მათი ნაწილი, რომლებსაც მართავენ, ახლა უპირატესობას ფლობენ.

და ბოლოს, არსებობს მეოთხე სცენარი: არც მმართველებს და არც მართულებს ხელი გამოსაყენებელ ხელობებზე არ მიუწვდებათ. ეს სტანდარტული სიტუაციაა იმ ნებისმიერი აგრარული

---

1 Albert O. Hirschman, The *Passions and the Interests, Princeton, 1977.* რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ ინდივიდუალისტურმა, მობილურმა სულმა, რომელსაც წინ მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია უძღვოდა, ყოველ შემთხვევაში, ერთ საზოგადოებაში მაინც, მოიტანოს ინდუსტრიული წყობის დამკვიდრება: იხ. Alan Macfarlane, *The Origians of English Individualism, Oxford, 1978.* ეს წინააღმდეგობაში არ მოვა ჩვენ თეზისთან, თუმცა მას შეუძლია ნათელი მოჰფინოს ინგლისში ნაციონალისტური გრძნობის ადრეულ წარმოშობას. იმ გზის შეჯამებისთვის რომლითაც ნაციონალიზმის ახლანდელი თეორია თანხმობაში მოდის უფრო ფართო ხასიათის სოციალურ ფილოსოფიასთან, იხ. *John A. Hall, Diagnoses of Our Time, London, 1980.*

საზოგადოებისთვის, რომლებიც სტაგნაციაში იმყოფება და რომელზედაც ინდუსტრიულ სამყაროს თავისი გავლენა არ მოუხდენია. ამ ტიპის საზოგადოებაში, როგორც მართულთა, ისე მმართველთა ფენა თანაბრადაა ჩართული ამ საზოგადოების დამახასიათებელ ფენომენთა ნებისმიერ კომბინაციაში – იქნება ეს ცრურწმენა, რიტუალიზმი, ალკოჰოლიზმი ან სხვა ადგილობრივად მოდაში მყოფი გადახრა; აქ არცერთ ფენას არ სურს, ან არ ძალუძს ახალ გზას დაადგეს.

მას შემდეგ, რაც ჩვენ ძალაუფლების უთანასწორობა (მუდმივად არსებული) იმ მოდელებს შევუხამეთ, რომლებიც წარმოგვიდგნენ, თუ როგორ შეიძლება იყოს განაწილებულ მხარეთა შორის განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ჩვენ ოთხი შესაძლო სიტუაცია მივიღეთ: განათლება თანაბრად მისაწვდომია ორივე მხარისთვის; განათლება არცერთი მხარისთვის არაა ხელმისაწვდომი; განათლებაზე ხელი მიუწვდებათ მხოლოდ ძალაუფალთ. და მეოთხე – მმართველი ფენისთვის განათლება არაა ხელმისაწვდომი. მაგრამ აქამდე ჩვენ არ შემოგვიტანია ელემენტი, რომელიც ნაციონალიზმის თვალსაზრისით ყველაზე უფრო არსებითია. ეს არის კულტურის იდენტურობა თუ განსხვავებულობა.

უთქმელადაც ცხადია, რომ ტერმინი „კულტურა“ იხმარება აქ მისი ანთროპოლოგიური და არა სტანდარტული მნიშვნელობით. ეს ტერმინი მოცემული სოციუმის მოქცევისთვის და ურთიერთობისთვის დამახასიათებელ სტილს აღნიშნავს. ამ გამოკვლევაში ტერმინი „კულტურა“ მისი მეორე მნიშვნელობით დამოუკიდებლად არასოდეს იხმარება: ანუ როგორც *Kultur*, მაღალი კულტურა ან დიდი ტრადიცია, მოქცევის და ურთიერთობის სტილი, რომელსაც რომელიმე ორატორი, როგორც უზენაესს, ისე იმოწმებს. კულტურის დასახელებული მნიშვნელობა გულისხმობს აგრეთვე ნორმის დადგენას, ნორმისა, რომელიც რეალურ ცხოვრებაში მართალია, უნდა ხორციელდებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევებში არ ხორციელდება, და რომლის კანონებსაც, ჩვეულებრივ, ამ საზოგადოებაში დაფასებული სპეციალისტები ადგენენ. იმ შემთხვევაში, როცა „კულტურა“ განსაზღვრების გარეშეა მოცემული, ის აღნიშნავს კულტურას ანთროპოლოგიური, არასტანდარტული გაგებით, მაშინ, როცა *Kultur* გვევლინება, როგორც მაღალი კულტურა. თქმა არ უნდა, ჩვენი მსჯელობისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ ორი სახის „კულტურას“ შორის ურთიერთმიმართებას. მაღალი (ნორმატული) კულტურები, თუ ტრადიციები, რომლებიც ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს, მწიგნობრულ კულტურებს წარმოადგენენ. შესაბამისად, ჩვენი მსჯელობის პრობლემა, თუ რამდენად მიუწვდებათ მათზე ხელი, იდენტურია პრობლემისა, თუ რამდენად მიუწვდებათ ხელი განა-

თლებაზე. შედეგად ფრაზა „კულტურის ხელმისაწვდომობა“ ნიშნავს კულტურის ხელმისაწვდომობას (ანთროპოლოგიური გაგებით), როდესაც ის ვინმესთვის ხელმისაწვდომი იმიტომ არ არის, რომ იგი *სხვა* კულტურის წევრია და არა იმიტომ, რომ მას „განათლება“ არა აქვს მიღებული. ეს, შესაძლოა, პედანტური განმარტება, არსებითი იყოს, რათა არგუმენტის არასწორი გაგება თავიდან ავიცილოთ.

ნაადრევ გართულებათა თავიდან ასარიდებლად კულტურათა განსხვავებულობა ყველაზე მარტივი შესაძლო ფორმით უნდა წარმოვადგინოთ. ეკონომისტების მსგავსად, რომლებიც დროდადრო ისე განიხილავენ მსოფლიოს, თითქოს იქ საქონლის მხოლოდ ერთი ან ორი სახეობა არსებობდეს, ჩვენ ვთვლით, რომ ყველა შემთხვევაში, ჩვენი საზოგადოება არის ან მონოკულტურული (ყველა ერთი და იმავე კულტურით არის გარემოცული, კულტურის ანთროპოლოგიური გაგებით), ანდა არის *ორი* ამგვარი განსხვავებული კულტურის მატარებელი — ერთი მმართველთა, მეორე კი დანარჩენებისა. რეალური ცხოვრების სირთულეები, რომელსაც წარმოქმნის ერთ სივრცეში სამი, ოთხი ან მეტი კულტურის ერთდროული არსებობა, ჩვენ არგუმენტზე დიდად სერიოზულ გავლენას არ ახდენს.

ამ დამატებითი ბინარული ოპოზიციის „კულტურული ერთიანობის/კულტურული დუალობის“ შემოტანა ჩვენს მიერ უკვე შემუშავებულ ოთხმხრივ ტიპოლოგიაში, წარმოქმნის 8 შესაძლო სიტუაციას (იხ. ცხრილი 2). პირველ ყოვლისა, დააკვირდით, რომ ხაზები 1, 3, 5, 7 შეესაბამება იმ სიტუაციებს, რომლებშიც რაც არ უნდა არათანაბრად იყოს განაწილებული მხარეებს შორის განათლებაზე ხელმისაწვდომობა თუ ძალაუფლება, კულტურული სხვაობის უქონლობის გამო ნაციონალიზმი მარწუხებში არაა მოქცეული. შესაძლებელია, სხვა კონფლიქტების წარმოქმნაც; მართლაც, საინტერესოა, რამდენად წარმოიქმნებიან ისინი სინამდვილეში. როგორც ჩანს, ისტორიული ცნობები ხაზს უსვამენ იმას, რომ ადრეული ინდუსტრიალიზმის მიერ წარმოქმნილი კლასები (თავი რომ დავანებოთ მისი გვიანდელი ფორმის მიერ წარმოშობილ უფრო მოქნილ და რბილ სტრატიფიკაციას) არ წამოიწყებდნენ ერთმანეთში გამუდმებული კონფლიქტის ესკალაციას, თუ კულტურული სხვაობა კონფლიქტისათვის ნაპერწკალს არ გააღვივებდა, და არც საკუთარი თავის, და არც მტრის იდენტიფიკაციისთვის აუცილებელ საშუალებებს არ წარმოაჩენდა. 1848 წელს ნამდვილად ჰქონდა ადგილი კლასთა ფართომასშტაბიან დაპირისპირებას. ტოკვილმა[1], რომელსაც ეს არ მოსწონდა, იგი ისევე

[1] ალექსის დე ტოკვილი (1805-1859) – ფრანგი ისტორიკოსი, სოციოლოგი,

ერთმნიშვნელოვნად დაინახა, როგორც მარქსმა, რომელსაც ეს მოსწონდა. მაგრამ ეს დაპირისპირება კიდევ უფრო მძაფრ და კონტროლს დაუქვემდებარებელ კონფლიქტად არ ჩამოყალიბებულა.

მეორეს მხრივ, მარქსიზმს სურს, რომ ეთნიკური კონფლიქტი კლასების შენიღბულ კონფლიქტად გაიაზროს და სჯერა, რომ კაცობრიობისთვის სასარგებლო იქნებოდა, თუ ხალხი ნიღბებს ჩამოიშორებდა, შორსმჭვრეტელი გახდებოდა და შესაბამისად ნაციონალიზმის წინასწარ აკვიატებული არასწორი აზრებისა და ბანგისაგან განთავისუფლდებოდა. როგორც ჩანს, მას არასწორად ესმოდა როგორც ნიღაბი, ასევე ის, თუ რა იმალებოდა მის მიღმა. „ანტისემიტიზმი სულელების სოციალიზმია“, ეს ფრაზა ოდესღაც გავრცელებული იყო, თუმცა მას დიდი გამოხმაურება არ ჰქონია არც სლანსკის[1] სასამართლო პროცესისას და არც 1968 წლის პოლონური წმენდის დროს, როდესაც სოციალისტურმა რეჟიმმა ანტისემიტიზმის შეგულიანება მოახერხა[2].

საერთოდ ამტკიცებენ, რომ მშრომელებს არა აქვთ სამშობლო, სავარაუდოდ არც მშობლიური კულტურა, რომელიც მათ სხვა მშრომელებისაგან, განსაკუთრებით კი ემიგრანტებისაგან გამოჰყოფს. როგორც ჩანს, მათ არც კანის ფერი გააჩნიათ. სამწუხაროდ, მუშებს ეს ამაღლებული ფრაზები მათი უუფლებობის შესახებ არანაირად იმიტომ არ აღელვებთ, რომ მათ ამის შესახებ არ უთხრეს. ფაქტობრივად, პოლიტიკის სფეროში ეთნიკურობა, როგორც „ნაციონალიზმი“ იმ დროს შემოდის, როდესაც სოციალური ცხოვრების ეკონომიკური ბაზისი კულტურულ ერთგვაროვნებას თუ მთლიანობას (და არა უკლასობას) მოითხოვს და შესაბამისად, როდესაც კულტურასთან დაკავშირებული კლასთა განსხვავებანი აუტანელი ხდება, მაშინ, როცა ეთნიკური ნიშნით განურჩეველ, კლასთა შორის საფეხურეობრივი თანმიმდევრული განსხვავება კვლავ ასატანი რჩება.

პოლიტიკური მოღვაწე. ავტორი წიგნებისა ამერიკული დემოკრატიის, ფრანგული რევოლუციის, რუსეთის შესახებ.

[1] რუდოლფ სლანსკი (1901-1952) – ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური მოღვაწე. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის შემქმნელი. სიონისტური შეთქმულების ორგანიზების ბრალდებაზე დაყრდნობით სიკვდილით დასაჯეს.

[2] 1968 წელს პოლონეთის მთავრობის მიერ წამოწყებული ოფიციალური ანტისემიტური კომპანიის შედეგად ებრაული წარმოშობის პოლონელი ინტელექტუალები იძულებულნი გახდნენ ქვეყანა დაეტოვებინათ.

	P	~P	
	E	~E	
1	A	A	ადრეული ინდუსტრიალიზმი ეთნიკური კატალიზატორის გარეშე
2	A	B	„ჰაბსბურგული“ ნაციონალიზმი (მიმართულია აღმოსავლეთით და სამხრეთით)
	E	E	
3	A	A	მოწიფული ჰომოგენური ინდუსტრიალიზმი
4	A	B	კლასიკური ლიბერალური დასავლური ნაციონალიზმი
	~E	E	
5	A	A	დეკაბრისტულ რევოლუციური, არა ნაციონალისტური მდგომარეობა
6	A	B	დიასპორული ნაციონალიზმი
	~E	~E	
7	A	A	არატიპიური წინარე-ნაციონალისტური მდგომარეობა
8	A	B	ტიპიური წინარე ნაციონალისტური მდგომარეობა

ცხრილი 2. ნაციონალიზმის წარმომქმნელი და ნაციონალიზმის შემაფერხებელი სოციალური მდგომარეობათა ტიპოლოგია.

~ აღნიშნავს უარყოფას, არარსებობას. P- ძალაუფლებას, E – თანამედროვე განათლების ხელმისაწვდომობას. A და B აღნიშნავს ცალკეულ კულტურებს. თითოეული დანომრილი ხაზი ერთ შესაძლებელ სიტუაციას წარმოგვიდგენს. ხაზი, რომელიც ორივეს A -საც და B -საც შეიცავს, გვიჩვენებს სიტუაციას, როდესაც ორი კულტურა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე თანაარსებობს, ხოლო ხაზი, რომელშიც ორი A-ა წარმოდგენილი, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე კულტურულ ჰომოგენურობას აღნიშნავს. თუ A ან B E -სა და P-ს ქვევით დგანან, ეს იმას ნიშნავს, რომ კულტურული ჯგუფისთვის, რომელზეც არის ლაპარაკი, ხელმისაწვდომია განათლება თუ ძალაუფლება. თუ A ან და B დგანან ~E-ს ან ~P-ს ქვევით, ეს იმას ნიშნავს, რომ მათთვის არც განათლება და არც ძალაუფლება არაა ხელმისაწვდომი. ნებისმიერი ჯგუფის მდგომარეობა ხაზგასმულია მის თავზე აღნიშნული ყველაზე ახლოს მდგომი E და P-თი.

1 ხაზი შეესატყვისება ადრეულ კლასიკურ ინდუსტრიალიზმს, სადაც მხოლოდ ზოგიერთებს მიუწვდებათ ხელი, როგორც ძალაუფლებაზე, ასევე განათლებაზე. მაგრამ აქ ისინი, რომლებიც ამას არიან მოკლებულნი, პრივილეგირებული ფენისაგან კულტურის თვალსაზრისით არ განსხვავდებიან. შესაბამისად, საბოლოოდ არაფერი რადიკალური, ან ძალზე რადიკალური არ ხდება.

ის კონფლიქტი და კატაკლიზმი, რომელსაც მარქსიზმი წინასწარმეტყველებდა, არ მომხდარა. მე-3 ხაზი შეესაბამება გვიანდელ ინდუსტრიალიზმს, რომლის დროსაც განათლება ყველასთვისაა ხელმისაწვდომი და რომელშიც კულტურული განსხვავებულობა არ არსებობს. და აქ კიდევ უფრო ნაკლები საფუძველი არსებობს კონფლიქტის წარმოსაქმნელად, ვიდრე 1 ხაზში. ჩვენ ჯერ კიდევ განსახილველი გვაქვს ერთი რთული და მნიშვნელოვანი საკითხი — კერძოდ, წარმოქმნის თუ არა განვითარებული ინდუსტრიალიზმი, როგორც ასეთი, ყოველი შემთხვევისთვის ზიარ კულტურას, რომელიც ამ დროისათვის უკვე ლინგვისტურ დიალექტთა შორის არაარსებით განსხვავებებს აუქმებს. თქვენ იტყვით, რომ მაშინ, როდესაც ადამიანებს მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე შეხედულებები აქვთ, შესაძლოა, უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქოდეს იმას, იყენებენ თუ არა ისინი სხვადასხვა სიტყვებს მათ გამოსახატავად. თუ ეს ასეა, მაშინ მე-3 ხაზი, შესაძლოა, კაცობრიობის საერთო მომავლის მახასიათებელი გახდეს მას შემდეგ რაც საყოველთაო ინდუსტრიალიზმი დამკვიდრდება, თუკი ეს საერთოდ მოხდება. ამ საკითხს მომავალში განვიხილავთ. მე-5 ხაზი კვლავ არ იწვევს რაიმე ნაციონალისტური პრობლემის და კონფლიქტის წარმოქმნას. პოლიტიკურად სუსტი ქვეჯგუფი, როგორც ეკონომიკის, ისე განათლების სფეროში პრივილეგიებით სარგებლობს, მაგრამ რადგან იგი უმრავლესობისაგან არ გამოირჩევა, მას საერთო მორევში ცურვა შეუძლია, ისე რომ არც გამოჩნდეს. ანდაზად ქცეული მაოისტი პარტიზანის მსგავსად, იგი მტრების ყურადღებას არ იპყრობს. მე-7 და მე-8 ხაზები ნაციონალისტური „პრობლემატიკიდან“ სრულიად სხვა მიზეზით არის ამოღებული. აქ უბრალოდ არც კი დგება ახალ მაღალ კულტურაზე ხელმისაწვდომობის საკითხი, რაც ახალ ცხოვრებაში შებიჯების და ამისგან სარგებლის მიღების წინაპირობა გახლავთ. აქ ამაზე ხელი არავის მიუწვდება, ასე რომ არცერთი ჯგუფი აქ სხვასთან შედარებით უპირატესობით არ სარგებლობს. ეს, რასაკვირველია, არის ის ელემენტი, რომელიც ჩვენი თეორიისათვის ცენტრალური და საკვანძოა: ნაციონალიზმი შედის და მონაწილეობას ღებულობს იმ მაღალ მწიგნობრულ კულტურაში და იგი თვითიდენტიფიკაციას ახდენს იმ კულტურასთან, რომელიც მთელს პოლიტიკურ ერთეულსა და მის მთელ მოსახლეობასთან თანაარსებობს და უნდა თანაარსებობდეს კიდეც, თუ მას სურს ამ საზოგადოების საძირკველი შრომის დანაწილების და წარმოების წესებს შეესაბამებოდეს. აქ, მე-7 და მე-8 ხაზებში მოქმედების ამგვარი წესი არ არსებობს, არ არსებობს მისი არც რაიმე სახით გაცნობიერება, არც მისკენ მისწრაფება. აქ არ არის მაღალი კულტურა, ან ყოველი შემთხვევისათვის არ არის ისეთი, რომელსაც შესწევდეს უნარი და

მისწრაფება მთელი საზოგადოების მასშტაბით იქნას გავრცელებული და მისი ეფექტური ეკონომიური ფუნქციონირების პირობა გახდეს.

ამასთანავე, მე-7 ხაზი ნაციონალიზმის *პრობლემატიკიდან* ორგზის არის ამოღებული — პირველად ზემოთ მოყვანილ მიზეზთა გამო, მეორედ იმიტომ, რომ აქ არ არსებობს კულტურული განსხვავებულობა, რომელსაც შეუძლია მის სხვა პრობლემებს, როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი, სიმწვავე შესძინონ. მე-8 ხაზი მე-7 ხაზზე მეტად ტიპიური და კომპლექსურია აგრარული საზოგადოებისათვის. მმართველი ფენის იდენტიფიკაცია აქ განსხვავებული კულტურის მეშვეობით არის შესაძლებელი, იმ კულტურისა, რომელიც გამოიყენება კლასის ნიშნად და რომელიც ამცირებს ორაზროვნებას და ამდენად დაძაბულობას ქმნის. მე-7 ხაზი, მისი კულტურული მთლიანობით, აგრარული სამყაროსთვის ტიპიური არ არის.

ყურადღება მიაქციეთ შემდგომ განსხვავებას იმ სურათებს შორის, რომელთაგან ერთი საფუძვლად უდევს ჩვენს ტიპოლოგიას, მეორეს კი – ჩვეულებისამებრ მარქსიზმი გვთავაზობს. ჩვენ ვვარაუდობთ და ვწინასწარმეტყველებთ სხვადასხვა ჰორიზონტალურ შრეებს შორის ვერტიკალურ კონფლიქტს იმ სახით, რომელიც მარქსიზმისაგან სრულიად განსხვავდება. ჩვენი პროგნოზით, კონფლიქტი მხოლოდ იმ შემთხვევებში ხდება, სადაც „ეთნიკური" (კულტურული ან სხვა დიაკრიტიკული) ნიშნები შესამჩნევია და სადაც ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ სხვადასხვა მხარისთვის განათლება და ძალაუფლება თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის, და რაც ყველაზე მთავარია, როცა ისინი (ნიშნები) კრძალავენ იმას, რომ მოსამსახურეებმა თავისუფლად იმოძრაონ სოციალური სტრატიფიკაციის არაშემჭიდროებული ხაზების გარდიგარდმო.[1] ის ასევე წინასწარმეტყველებს იმას, რომ ინდუსტრიალიზმის განვითარების პროცესში უფრო სავარაუდოა, რომ კოფლიქტი *მალე* მოხდეს, ვიდრე მოგვიანებით (ერთი პირობით, რომ ეთნიკური/კულტურული განსხვავებულობის გარეშე საშიში და სერიოზულად ფეთქებადი კონფლიქტი საერთოდ არ წარმოიშვება, არც ადრე და არც მოგვიანებით). მაგრამ პროგნოზთა შორის არსებული ეს განსხვავება ყველაზე უკეთ ჩანს არა იზოლირებულად, არამედ როგორც მათ საფუძვლად მდებარე ინტერპრეტაციათა განსხვავებული შედეგი. ამ დონეზე ჩვენ ორ

[1] საზოგადოებაში საკვანძო ნაპრალთა არსებობის ამ ფაქტს, როგორც ჩანს, აღიარებს მკვლევარი, რომელიც მიუხედავად ამისა, თავს კვლავ მარქსისტად თვლის. იხ. Tom Tairn, The Break – up of Britain, London, 1977.

თვალსაზრისს შორის სულ ცოტა ორ ძალიან მნიშვნელოვან განსხვავებას ვხედავთ. ერთი იმ საკითხს ეხება, რომელიც მარქსიზმის კრიტიკოსებს კარგად აქვთ დამუშავებული და მასზე ვრცელი კომენტარიც აქვთ მოცემული. ეს გახლავთ მარქსიზმის შეხედულებანი იმ სოციალური სტრატიფიკაციის შესახებ, რომელსაც ინდუსტრიალიზმი წარმოქმნის (ან მისივე ტერმინოლოგიით „კაპიტალიზმი"). ჩვენი მოდელის მიხედვით, ადრეული ინდუსტრიალიზმის პერიოდში, სწორედაც რომ არსებობდა მკვეთრი პოლარიზაცია და სოციალური უფსკრული, მაგრამ შემდგომში სოციალური მობილობის, სოციალური დისტანციის შემცირების და მხარეთა ცხოვრების ნირის თანხვედრის შედეგად განსხვავება შემცირდა. არავინ უარყოფს იმას, რომ კვლავ ძალზე დიდია განსხვავება მხარეთა საკუთრებას შორის, მაგრამ ამ მოვლენის ქმედითი სოციალური შედეგები, როგორც შენიღბული, ისე გაცნობიერებული, გაცილებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ პოლარიზაციის ხასიათი, რომელსაც ინდუსტრიულ საზოგადოებაში ვხვდებით. მარქსისტული მოდელისაგან ჩვენსას ის განასხვავებს, რომ კაპიტალის ფლობა ან მისი კონტროლი აქ ნახსენებიც არ ყოფილა. მხოლოდ და მხოლოდ კულტურის იდენტურობა, ძალაუფლების და განათლების ხელმისაწვდომობა იყო ის ელემენტები, რომლებიც მოდელში წინამძღვრებად მოვიშველიეთ და ისინი ჩვენი რვა შესაძლო სიტუაციის შესაქმნელად გამოვიყენეთ. გარდა ამისა, ჩვენ კაპიტალის, საკუთრების და სიმდიდრის იგნორირება მოვახდინეთ და ეს განზრახ გავაკეთეთ. ერთ დროს ასე პატივდებული ეს ფაქტორები განათლებაზე ხელმისაწვდომობით იქნა შეცვლილი. როგორც უკვე განვმარტეთ, ამაში იგულისხმება ის, რომ ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა უნარების კომპლექსების დაუფლება, რამაც ადამიანებს ე.წ. შრომის ინდუსტრიული დაყოფის პირობებში წარმატებით ფუნქციონირების საშუალება მისცა. ჩემი აზრით, ამგვარი მიდგომა მთლიანად გამართლებულია. საქმის არსი იმაშია, რისკენაც ხშირად ეკონომისტები გვიბიძგებენ – განვითარდეს *laisser faize* იდეოლოგია. სრულიად უქონელი ხალხები (მაგ. გადასახლებული ჩინელი კულები, რომლებიც ხელშეკრულებით იყვნენ შეზღუდულები) საოცრად წარმატებით ასრულებენ თავის მოვალეობას, როდესაც მათდამი მართებული დამოკიდებულებაა. მაშინ როდესაც შეუფერებელ ადამიანურ კონტექსტში ჩადებულ კაპიტალს, რომელიც გამიზნულია მას განვითარებაში დაეხმაროს, არც არაფერი მოაქვს; კაპიტალი, კაპიტალიზმის მსგავსად, როგორც ჩანს, გაზვიადებულ კატეგორიას წარმოადგენს.

ნაციონალიზმის გამოცდილების მრავალფეროვნება

ჩვენი მოდელი შემუშავებული იყო მხოლოდ იმ სამი ფაქტორის საშუალებით, რომელთაც რეალურად მნიშვნელობა აქვთ. ეს ფაქტორებია: ძალაუფლება, განათლება და საერთო კულტურა იმ გაგებით, როგორითაც ჩვენ ის განვიხილეთ. ამ მოდელის მიერ წარმოქმნილი რვა შესაძლო სიტუაციიდან, ხუთი – ნაციონალიზმის სიტუაციას არ წარმოადგენს: ოთხი იმიტომ, რომ იქ არ ჰქონდა ადგილი კულტურულ განსხვავებულობას და ორიც იმიტომ, რომ იქ საერთოდაც არ იდგა დღის წესრიგში ცენტრალიზებულად მხარდაჭერილი მაღალი კულტურის ხელმისაწვდომობის საკითხი (ამ მაგალითთაგან ერთი, რასაკვირველია, ჩართულია „იმ „ოთხშიც“ და „იმ ორშიც“). შედეგად ჩვენ ნაციონალიზმის სამი ფორმა გვრჩება.

მე-2 ხაზი შეესატყვისება იმას, რასაც შესაძლოა, ნაციონალიზმის კლასიკური ჰაბსბურგული (აღმოსავლეთით და სამხრეთით მიმართული) ფორმა ვუწოდოთ. ძალაუფალთათვის უფრო მეტადაა ხელმისაწვდომი ცენტრალური (მთავარი) მაღალი კულტურა, რომელიც დაბადებიდან ნამდვილად მათი კულტურაა. ამასთან ერთად, მათ ასევე მიუწვდებათ ხელი მთელ რიგ ხერხებზე, რომელიც თანამედროვე პირობებში წარმატების საშუალებას იძლევა. მათ, ვისაც არა აქვთ ძალაუფლება, არც განათლება აქვთ. ისინი, ან მათი ჯგუფები ხალხურ კულტურაში იღებენ მონაწილეობას, რომელიც დიდი ძალისხმევისა და სტანდარტული ხანგრძლივი პროპაგანდის მეშვეობით, შესაძლოა, ამ კულტურის მეტოქე მაღალ კულტურად გადაიქცეს. ეს შესაძლებელია მოხდეს იმისდა მიუხედავად, განამტკიცებს თუ არა მას ჭეშმარიტი თუ გამოგონილი მახსოვრობა იმ ისტორიული პოლიტიკური ერთეულის შესახებ, რომელიც სავარაუდოდ ოდესღაც სწორედ ამ კულტურის, თუ მისი ერთ-ერთი ვარიანტის ირგვლივ იყო შექმნილი. ამ ეთნიკური ჯგუფის ე.წ. ინტელექტუალ-გამომღვიძებელნი ამისთვის საჭირო მცდელობებს ენერგიულად წარმართავდნენ. და ბოლოს, თუ ოდესმე სიტუაცია შეუწყობს ხელს, ეს ჯგუფი საკუთარ სახელმწიფოს დააფუძნებს, რომელიც მხარში ამოუდგება და დაიცავს ამ ახალ, თუ ხელახლა შობილ კულტურას.

ამის შედეგად, ზემოხსენებული „გამომღვიძებელნი“ მეყსეულ და უზარმაზარ უპირატესობას იძენენ. შესაძლებელია, მომავალში კულტურის სხვა ორატორებსაც შეექმნათ ხელსაყრელი მდგომარეობა, თუმცა ძნელია იმის თქმაც, რომ ისინი ვერ მიაღწევდნენ წარმატებას პირვანდელი მმართველების კულტურასთან ასიმილაციის პირობებში. ისინი კი, რომლებიც ახალი კულტურის ორატორები არ ყოფილან და რომლებიც ახალი სახელმწიფოს მიერ

კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ახლა თავად დგანან ასიმილაციის, ირედენტისტული მცდელობის, ემიგრაციის, უმცირესობის უსიამოვნო სტატუსის და ფიზიკური ლიკვიდაციის არჩევნის წინაშე. ამ მოდელს მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც ბაძავდნენ ისე, რომ დროდადრო ე.წ. „აფრიკული“ მოდელის მნიშვნელოვან მოდიფიკაციას ჰქონდა ადგილი (თუმცა ეს მოდელი აფრიკით არ შემოიფარგლება). იგი თავს იჩენს მაშინ, როდესაც ადგილობრივ ხალხურ კულტურებს არ შეუძლიათ გახდნენ დიდი სახელმწიფოს ახალი მაღალი კულტურები, რადგან მათი რიცხვი ან ძალზე დიდია, ან ეს კულტურები უკიდურესად არიან ერთმანეთთან დაპირისპირებულნი.

ეს საკითხი ნაწილობრივ განხილული იყო ზემოთ, ფსევდო–ჰიპოთეტურ რურიტანიასთან მიმართებაში (თავი 5). მაგრამ მაშინ მე უპირველესად განსხვავებას ამ რურიტანულ ტიპსა (ან მე-2 ხაზს) და იმ სპეციფიკურ პრობლემას შორის განვიხილავდი, რომელსაც განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოებები აწყდებიან, რადგან მათ მოსახლეობას მობილურობის დამაბრკოლებელი და ენთროპულობის საწინააღმდეგო თვისებები ახასიათებთ. მე განვიხილავდი იმ განსხვავებას, რომელიც ორი ტიპის მუხრუჭს შორის არსებობს: პირველი მათგანი, რომელიც მობილურობას აფერხებს, კომუნიკაციის სირთულითაა გამოწვეული, მეორე კი კულტურული იდენტიფიკაციის სიძნელეებით, ან თუ გნებავთ გამოწვეულია იმით, რომ არათანაბრობის ამოცნობა *ადვილად* ხდება, რაც, ასე ვთქვათ კუპრწასმულობის, თუ სახელგატეხილობის შედეგია.

მობილობისთვის ხელის შეშლა განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოებისთვის საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ეს კი არაპრივილიგირებულ ფენაში ცალკეული თვისებების დაჯგუფების პერმანენტულობითაა გამოწვეული. ეს განსხვავება მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მაგრამ ეს იმ განსხვავების იდენტური არ არის, რომელსაც ახლა განვიხილავდით, კერძოდ კი განსხვავების მე-2 და მე-4 ხაზებს შორის. მე-4 ხაზი, საინტერესო სიტუაციას ასახავს. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აქვს ძალაუფლება, დანარჩენებს – არა. განსხვავება კულტურათა შორის განსხვავებასთან არის დაკავშირებული და შესაძლოა, სწორედ ამის მეშვეობით იქნას გაგებული. მაგრამ როცა საქმე განათლების ხელმისაწვდომობაზე მიდგება, ჩანს, რომ ამ მხრივ მოსახლეობის ამ ფენებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის. რა ხდება ამ შემთხვევაში?

XIX ს. იტალიური და გერმანული ნაციონალიზმის გამაერთიანებელი ის ისტორიული რეალობაა, რომელსაც ეს მოდელი შეესაბამება. იტალიელთა უმეტესობას უცხოელები მართავდნენ და ამ

თვალსაზრისით მათ პოლიტიკური პრივილეგიები არ ჰქონდათ. გერმანელთა მეტი ნაწილი კი დანაწევრებულ სახელმწიფოებში ცხოვრობდა, რომელთაგან ბევრი პატარა და სუსტი იყო, ყოველ შემთხვევაში, ევროპის დიდ სახელმწიფოთა სტანდარტებით. ამდენად, მათ არ შეეძლოთ შეექმნათ გერმანული კულტურა, როგორც ცენტრალიზებული თანამედროვე გარემო და პოლიტიკურ საფარველქვეშ მოექციათ იგი (კიდევ უფრო პარადოქსულია, რომ ავსტრიის უდიდესი მრავალეროვანი სახელმწიფო ამგვარი რამის გაკეთებას ცდილობდა, მაგრამ ეს დიდწილად მისი ცალკეული მოქალაქეების უკმაყოფილებას იწვევდა).

ასე რომ, თვალნათლივ ჩანს, რომ იტალიური და გერმანული კულტურა პოლიტიკური თვალსაზრისით გაცილებით უარესად იყო დაცული, ვიდრე მაგალითად ფრანგული თუ ინგლისური კულტურები. მაგრამ როცა საქმე განათლების ხელმისაწვდომობაზე მიდგებოდა, ორივე ეს მაღალი კულტურა თავის დიალექტურ ვარიანტებში დაბადებულ მოსახლეობას თანაბრად ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. როგორც იტალიური, ისე გერმანული ენები მწიგნობრულ ენებს წარმოადგენდნენ, რომლებსაც სწორი ფორმების ქმედითი სტანდარტები ჰქონდათ შემუშავებული. ამ ენებზე მდიდარი ლიტერატურა, ტექნიკური ლექსიკა და ტრადიციები არსებობდა. მათ საგანმანათლებლო ინსტიტუტები და აკადემიები ჰქონდათ. კულტურული თვალსაზრისით ისინი ძალზე ცოტათი თუ იდგნენ დაბლა ვიდრე სხვები (თუკი საერთოდაც იდგნენ დაბლა): გერმანელებთან მწიგნობრობის ხარისხი და განათლების სტანდარტები ფრანგებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალი არ იყო (თუკი საერთოდ იყო დაბალი); და არც იტალიელებს ჰქონდათ გაცილებით უფრო დაბალი სტანდარტები, ვიდრე დომინანტ ავსტრიელებს. გერმანული კულტურა ფრანგულ კულტურასთან შედარებით, ანდა იტალიური კულტურა იმ გერმანულ კულტურასთან შედარებით, რომლებსაც ავსტრიელები იყენებდნენ, დაკნინებულ მდგომარეობაში მყოფ კულტურებს არ წარმოადგენდნენ. შესაბამისად, ამ კულტურების ორატორების წინაშე არ იდგა საჭიროება ებრძოლათ იმისთვის, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გაეხადათ თანამედროვე სამყაროს მიერ შექმნილი სარგებელი და უპირატესობა. ეს ისედაც რეალური იყო. მათ მხოლოდ ძალაუფლების უთანასწორობა უნდა დაეძლიათ და კულტურა (ეკონომიკასთან ერთად) პოლიტიკური სახურავის ქვეშ მოექციათ, შეექმნათ ის ინსტიტუტები, რომლებიც ამ კულტურასთან იქნებოდნენ გაიგივებულნი და რომელთაც მისი შენარჩუნება დაევალებოდათ. რისორჯიმენტომ[1] და გერმანიის გაერთიანებამ ეს უთანასწორობა

[1] რისორდჟიმენტო (იტალ. აღორძინება) – ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა იტალიაში ავსტრიტალიაში ავსტრიის ბაღდეგ ერთიანი იტალიის სახელმწიფოს შესაქმნელად (XVIII საუკუნის ბოლო – 1870).

გამოასწორა.

მიუხედავად ამისა, ამ ტიპის გამაერთიანებელი ნაციონალიზმი, რომელიც სრულად ეფექტური მაღალი კულტურის სახელით მოქმედებს და რომელსაც პოლიტიკური საფარველის მცირეოდენი შესწორება თუ სჭირდება, განსხვავდება ჰაბსბურგულ–აღმოსავლურ–სამხრეთული ტიპის ნაციონალიზმისაგან. სწორედ ამ განსხვავებას ეხება უმთავრესად აწ გარდაცვლილი პროფ. ჯონ პლამენატცის შესანიშნავი და სულისშემძვრელი ესე, ესე, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „მონტენეგროს მცხოვრების სევდიანი ფიქრები ოქსფორდში.“[1] პლამენატცმა ნაციონალიზმის ორ ტიპს – აღმოსავლური და დასავლური უწოდა, აქედან დასავლური – რისორჯიმენტოს, ან გამაერთიანებელი ტიპის ნაციონალიზმს წარმოადგენს. ის XIX საუკუნისთვისაა დამახასიათებელი და ღრმადაა დაკავშირებული ლიბერალურ აზრებთან, მაშინ როდესაც აღმოსავლური ნაციონალიზმი, თუმცა მეცნიერი მასზე ვრცლად არ მსჯელობს, არის ნაციონალიზმის ის ტიპი, რომელსაც მეცნიერი თავის მშობლიურ ბალკანეთში მოიაზრებდა. ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ მეცნიერი დასავლურ ნაციონალიზმს შედარებით მწყალობელად (კეთილმოსურნედ) და სასიამოვნოდ მიიჩნევდა, ხოლო აღმოსავლურს კი საძაგლად თვლიდა, რომელიც ამ სისაძაგლისთვის მისი წარმომშობი პირობების გამო იყო განწირული (საინტერესო იქნებოდა პლამენატცისთვის გვეკითხა, რამდენად მიიჩნევდა იგი იმ გამოკვეთილად საძაგელ ფორმებს შემთხვევით გადახრებად, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იყო და რომელიც ერთ დროს მწყალობელმა/კეთილმოსურნე თუ შედარებით ლიბერალურმა და ზომიერმა დასავლურმა ნაციონალიზმმა XX საუკუნეში მიიღო). სავსებით ცხადია ის ლოგიკა, რომელიც პლამენატცის არგუმენტებს უდევს საფუძვლად: შედარებით მწყალობელი (კეთილმოსურნე) დასავლური ნაციონალიზმის ტიპები მოქმედებდნენ კარგად განვითარებული მაღალ კულტურათა სახელით, რომლებიც სტანდარტების შესაბამისად იყო გაერთიანებული და რომლებიც საკმაოდ კარგად გამოკვეთილი ხალხური კლიენტურით იყო გარემოცული: საჭირო იყო მხოლოდ პოლიტიკური სიტუაციის და საერთაშორისო საზღვრების მცირედი კორექტირება, რათა ამ კულტურების, მათი ორატორების და პრაქტიკოსებისთვის ისეთივე ხანგრძლივი დაცუ-

[1] John Plamenatz, “Two types of Nationalism”, in E. Kamenka (ed.), *Nationalism, The Nature and Evolution of an Idea*, London, 1973.

ლობა უზრუნველყოთ, როგორითაც მათი მეტოქე კულტურები უკვე ხეირობდნენ. ამან გამოიწვია მცირე ომები და დიდძალი ხანგრძლივი დიპლომატიური ქმედებანი, მაგრამ როგორც ისტორიული ომლეტების კეთებას ჩვევია, ზემოხსენებულმა მოვლენებმა კვერცხების უჩვეულო რაოდენობის მტვრევა არ განაპირობა. დასაშვებია, რომ იმაზე მეტი კვერცხი არც კი გატეხილა, ვიდრე ზოგადი პოლიტიკური ჩარჩოს და დროის შიგნით ჩვეულებრივი პოლიტიკური თამაშის პროცესი მოითხოვდა.

ახლა ეს ნაციონალიზმი ნაციონალიზმის იმ ტიპს შევუპირისპიროთ, რომელიც პლამენატცმა აღმოსავლურად მონათლა. რასაკვირველია, მისმა განხორციელებამ სულ მცირე იმგვარი მასშტაბის ომები და დიპლომატიური ქმედება გამოიწვია, რაც დასავლური ნაციონალიზმის რეალიზაციამ. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. ამ ტიპის აღმოსავლური ნაციონალიზმი არ მოქმედებდა უკვე არსებული, კარგად გამოკვეთილი და სისტემატიზირებული მაღალი კულტურის სახელით, კულტურისა, რომელსაც უკვე გამოყოფილი და ლინგვისტური თვალსაზრისით გარდაქმნილი ჰქონდა საკუთარი ტერიტორია ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობის შედეგად, რომელიც ამ ქვეყნებში ადრეული რენესანსის თუ რეფორმაციის პერიოდიდან მოყოლებული მიმდინარეობდა. აღმოსავლური ნაციონალიზმი მოქმედებდა იმ მაღალი კულტურის სახელით, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო შესაფერისად კრისტალიზებული. იგი, უბრალოდ, თავის მისწრაფებას ავლენდა ამ კულტურის შესაქმნელად, ანდა მისი შექმნის პროცესში იმყოფებოდა. ზემოხსენებული ნაციონალიზმი ახორციელებდა ზედამხედველობას, ან ცდილობდა ეს გაეკეთებინა იმ ქაოტურ ეთნოგრაფიულ რუკაზე, რომელიც მრავალი დიალექტისაგან შედგებოდა და რომლისათვისაც დამახასიათებელი იყო გამოუკვეთელი ისტორიული თუ ლინგვო-გენეტიკური წარმოშობა. მისი მოსახლეობა მხოლოდ ახლა იწყებდა იდენტიფიკაციას დიდ ნაციონალურ მაღალ კულტურებთან. ყოველივე ეს თანაბარ მეტოქეებთან გამძაფრებულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. თანამედროვე სამყაროს ობიექტური პირობები აიძულებდნენ მათ, რათა ამ კულტურებს ერთ-ერთ მაღალ კულტურასთან მოეხდინათ თვითიდენტიფიკაცია. მაგრამ ამ მომენტამდე ამ ხალხებს ის ცხადად გამოკვეთილი კულტურული ბაზისი არ გააჩნდათ, რომლითაც მათი გერმანელი და იტალიელი კოლეგები ხეირობდნენ.

აღმოსავლეთ ევროპის ეს ხალხები ჯერ კიდევ ჩაკეტილნი იყვნენ იმ რთულ და მრავალწახნაგოვან ერთგულებაში, რომელიც მათ თავისი კლანის, ტერიტორიის და რელიგიის მიმართ ჰქონდათ. ამ ხალხის ნაციონალური იმპერატივის შესაბამისობაში მოყვანა უფრო მეტის გაკეთებას მოითხოვდა, ვიდრე ცოტაოდენი ბრძოლა

და დიპლომატია. ეს დიდძალ, ძალზე ძლიერ კულტურულ დაგეგმარებას უკავშირდებოდა. ხშირ შემთხვევებში ეს პროცესი მოიცავდა ასევე მოსახლეობის გაცვლას თუ გაძევებას, მეტნაკლებად იძულებით ასიმილაციას და ზოგჯერ განადგურებასაც კი. ყოველივე ეს ხდებოდა, რათა მიეღწიათ სახელმწიფოსა და კულტურას შორის იმ მჭიდრო ურთიერთკავშირისთვის, რომელიც ნაციონალიზმის არსს წარმოადგენს. ზემოთხსენებულ მოვლენათა მიზეზი სიტუაციის გარდაუვალი ლოგიკა იყო, და არა იმ ნაციონალისტების უჩვეულო სისასტიკე (ისინი, შესაძლოა, სხვებზე არც უარესები და არც უკეთესები არ იყვნენ).

თუ ნაციონალიზმის იმპერატივი იმ პირობებში უნდა განხორციელებულიყო, რომელიც პლამენატცმა აღმოსავლურ პირობებად განსაზღვრა, მაშინ ამას ზემოთ ნახსენები შედეგები უნდა მოჰყოლოდა. საზოგადოების თანამედროვე ტიპის ჩამოყალიბება შეუძლებელია, თუ არ მოხდება იმის დაკმაყოფილება, რაც ძალზე ახლოს დგას ნაციონალისტურ იმპერატივთან და რაც შრომის განაწილების ახალ ფორმას სდევს თან. მას შემდეგ რაც მანამდე არსებული სოციალური წყობა დანგრეულ იქნა და ინდუსტრიული დოვლათის სარგებელი და გამოსადეგობა ცნობილი გახდა, მისი მოპოვებისადმი სწრაფვა დაუძლეველი შეიქმნა. შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ ის შედეგები, რომლისკენაც ამ ნაბიჯებს მივყევართ. იღბლის, ურთიერთგაგების და სიმტკიცის წყალობით, შესაძლებელია, ნაკლები ფასი იყოს გადახდილი. მაგრამ მისი გადახდის მთლიანად თავიდან აცილება შეუძლებელია.

დიასპორული ნაციონალიზმი

მე-2 და მე-4 ხაზებს შორის არსებული განსხვავების ჩვენეული განხილვა (ცხრილი 2) გარკვეულწილად პლამენატცის მიერ აღმოსავლურ და დასავლურ ნაციონალიზმს შორის დადგენილ განსხვავებას იმეორებს. მაგრამ ჩვენ განხილვას პლამენატცის გამოკვლევასთან შედარებით გარკვეული უპირატესობის პრეტენზია გააჩნია. ჩვენი მოდელის მიხედვით ამ ნაციონალიზმთა შორის არსებული განსხვავება ისეთ განსხვავებას არ წარმოადგენს, რომელსაც შემთხვევით, ისტორიული ფაქტის სახით შევეჯახებით, არამედ ეს განსხვავება მარტივი მოდელისაგან გამომდინარე შედეგია: ამ მოდელში კი ჰიპოთეტური გზით შეტანილ იქნა გარკვეული ძალიან არსებითი ფაქტორები. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი მოდელის უპირატესობა, ყოველი შემთხვევაში მათთვის, ვისაც ჩემსავით მიაჩნიათ, რომ მოდელების აგება ყოველთვის უნდა სცადო.

მაგრამ, ამას გარდა, ჩვენს მოდელს დამატებითი სარგებლიანობა აქვს. ამგვარი „კონსტრუქციული“ მიდგომა ნაციონალიზმის დამატებით, მესამე ვარიანტს ბადებს, რომელიც პლამენატცმა სრულებით გამოტოვა. ამ ვარიანტს კი სრულიად დამაჯერებლად სწორედ იმავე ელემენტების შემდგომი კომბინაცია წარმოშობს, რომლებიც პლამენატცის მიერ ესოდენი გატაცებით განხილულ ნაციონალიზმის ორ ზემოთ წარმოდგენილ სახეობას ქმნიდნენ. ნაციონალიზმის ამ მესამე სახეობის საუკეთესო სახელწოდება დიასპორული ნაციონალიზმი იქნება და ის, როგორც ისტორიული ფაქტის ნიმუში, ნაციონალიზმის განსხვავებულ, ძალზე თვალსაჩინო და მნიშვნელოვან ქვეჯგუფს წარმოადგენს.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ ტრადიციული აგრარული საზოგადოება კულტურას ან ეთნიკურობას უპირველესად იმიტომ იყენებს, რომ პრივილეგირებული ჯგუფები გამოარჩიოს. ამით იგი ამ ჯგუფების სხვებისაგან განსხვავებულობას და მათ ლეგიტიმურობას უსვამს ხაზს, აძლიერებს მათ აურას და ამცირებს სტატუსის ორაზროვნებით გამოწვეულ საფრთხეს. თუ მმართველი ფენა ერთ ენაზე ლაპარაკობს, ანდა ერთნაირი აქცენტი აქვს და თუ მათ გარკვეული ჩვეულებები ახასიათებთ, მაშინ ურთიერთობის ამავე მოდელის გამოყენება სხვების მიერ ზრდილობის წესების დარღვევად, ან გაცილებით უარეს მოვლენად იქნება აღქმული. ეს ამპარტავნებად, უდიდებულესობის შეურაცხყოფად – *lèse-majesté* — წაბილწვად თუ მკრეხელობად, ანდა სულაც სასაცილოდ ჩაითვლებოდა. დაცინვა კი ძლიერ სანქციას წარმოადგენს. ის შეადგენს ყველაზე ძლიერად მოქმედ სანქციას, რომლის წინაშე არგუმენტი განსაკუთრებულად უძლურია, მაშინაც კი, ან განსაკუთრებით მაშინ, როცა ვერდიქტი ყველაზე არაკვალიფიცირებული მოსამართლის მიერაც კი უყურადღებოდაა დატოვებული. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, სხვა უფრო სასტიკ სასჯელსაც ჰქონდეს ადგილი.

მაგრამ კულტურის თუ ეთნიკურობის იგივე სოციალური მარკერი არა მხოლოდ პრივილეგირებული ფენის იდენტიფიკაციისა და გამოყოფისათვის გამოიყენება, არამედ იმ ჯგუფების აღსანიშნავადაც, რომლებსაც პრივილეგიები არ გააჩნიათ, ორაზროვანი სტატუსის მქონედ მოიაზრებიან ანდა პარიებს (უუფლებოებს) შეადგენენ. ასეთი ჯგუფების ყოლა სოციალური თვალსაზრისით ყველაზე მეტადაა ხელსაყრელი. როგორც აღვნიშნეთ, პრეინდუსტრიულ საზოგადოებაში ბიუროკრატული ფუნქციები ყველაზე მეტად საჭურისებმა, მღვდლებმა, უცხოელებმა და მონებმა შეიძლება შეასრულონ. ძალზე სახიფათოა ამ საკვანძო პოზიციებზე მკვიდრი თავისუფალი მოქალაქეების დაშვება. ისინი სხვებზე გაცილებით მეტად განიცდიან ზეწოლასა და ცდუნებას

თავიანთი წრისა თუ ნათესაური კავშირების მხრიდან, რათა მათ უკანასკნელთა სასარგებლოდ თავიანთი თანამდებობები გამოიყენონ. მათ ასევე სხვებზე გაცილებით უკეთ შეუძლიათ ზემოხსენებული კავშირები თავიანთი მდგომარეობის შემდგომ გამაგრებას მოახმარონ.

მხოლოდ თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბების შემდეგ, როდესაც თითოეული ადამიანი ერთდროულად მამლუქიცაა და კლერკიც, ბიუროკრატობა ნებისმიერისთვისაა შესაძლებელი და ამისთვის აღარ არის საჭირო მისი ფიზიკური, თუ სოციალური კასტრაცია. ახლა უკვე შესაძლებელია ენდო ადამიანებს, რომ ისინი პატივს სცემენ იმ ნორმებს, რომლებიც აგრარული საზოგადოებისთვის მახინჯი და არატიპური იყო და რომლებიც ჩვენ საზოგადოებაში მისაღები და საყოველთაოდ გავრცელებული გახდა. ჩვენ ახლა ყველანი კასტრირებულნი და საბრალოდ საიმედონი ვართ. სახელმწიფოს შეუძლია გვენდოს, რომ აღვასრულებთ ჩვენ მოვალეობებს და ამდენად, აღარ დგას იმის საჭიროება, რომ ამისთვის ჩვენ პირველ რიგში საჭურისებად, მღვდლებად, მონებად ან მამლუქებად გადავიქცეთ.

მაგრამ ადმინისტრაციულ სტრუქტურაში თანამდებობების დაკომპლექტების წესი აგრარულ საზოგადოებაში პარიების არსებობის ერთადერთ მიზეზს არ წარმოადგენს. პარიათა ბიუროკრატია სრული ადამიანურობისაგან განთავისუფლების ერთადერთი ფორმა არაა, ხოლო ბიუროკრატია სოციალური ძალაუფლების ერთადერთი წყარო არ არის. მაგრამ მაგიამ, ლითონის ჭედვამ, ფინანსების წარმართვამ, ელიტარულმა ჯარებმა და სხვადასხვა ამგვარმა ხელობამ, გარკვეულ შემთხვევებში კი, ნებისმიერმა საკვანძო სპეციალიზაციამ, შესაძლოა, სპეციალისტს სახიფათო ძალაუფლება მიანიჭოს. ამ საშიშროების ნეიტრალიზაციის ერთი გზა, რომელიც იმავდროულად ითმენს სპეციალიზაციას და, შესაძლოა, მხარს უჭერს კიდეც გილდიის თუ კასტის მონოპოლიას, გარკვეული მოთხოვნების წამოყენებას გულისხმობს. ამ მოთხოვნების თანახმად, დასახელებული სოციალური ნიშა მხოლოდ იმ ჯგუფმა შეიძლება დაიკავოს, რომლის კულტურული იდენტიფიკაცია ადვილია, რომელიც სიძულვილის და მარტოობისთვის იქნება განწირული, რომელიც გაძევებული იქნება პოლიტიკური სამსახურიდან და იძულებითი ორგანოების უმაღლესი ზედამხედველობიდან და რომელსაც, ამასთანავე, პატივი ექნება ართმეული.

იმ თანამდებობათა თვალნათელ მაგალითებს, რომელთა მიცემაც ძალიან სახიფათოა მკვიდრი სრულუფლებიანი მოქალაქეებისთვის, შესაბამისად კი, უცხოელთათვისაა შემონახული, სამთავრობო რეზიდენციათა დაცვის და ფინანსური სამსახურების უზრუნველმყოფლის თანამდებობები წარმოადგენს. უეჭველია,

რომ დიდძალი თანხის ქონა პიროვნებას დიდ ძალაუფლებას ანიჭებს, ამდენად უმჯობესი იქნებოდა, რომ ამ ძალაუფლებას ის პიროვნებები ფლობდნენ, რომლებიც საკუთარი წინსვლისთვის მას ვერ გამოიყენებენ, რადგანაც ისინი ადამიანთა იმ ჯგუფს განეკუთვნებიან, რომლებიც დაშვებულნი არ არიან საპატიო და მაღალი რანგის სამსახურებში, და ამასთან, არა აქვთ უფლება სხვებს მორჩილება მოსთხოვონ. ამგვარი ჯგუფები ტრადიციულ წყობაში ბედისწერის ცვლილებას მტკიცედ დაითმენენ და მორჩილად იღებენ თავიანთი მდგომარეობის მიერ მოტანილ სარგებელსაც, დამცირებასაც და მარცხსაც. ეს მათთვის ჩვეული სიტუაციაა და თანაც, მათ მცირე არჩევანი აქვთ. ბუნებრივია, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ამ პირებს დიდძალი გასაჭირის ატანაც შეიძლება მოუხდეთ, მაგრამ ხშირად ამ თანამდებობებს, დანაკარგთან ერთად, სარგებელიც ახლავს თან.

სიტუაცია ძირფესვიანად იცვლება, როდესაც ასპარეზზე მობილური, ანონიმური და ცენტრალიზებული მასობრივი საზოგადოება გამოდის. ეს განსაკუთრებით იმ უმცირესობებს ეხება, რომლებიც ფინანსურ, კომერციულ და ზოგადად ურბანული ხასიათის სპეციალობებს ფლობენ. მას შემდეგ, რაც მობილურობა (მობილური სული) ყველაზე გავრცელდა და ადგილი აქვს პროფესიონალური ხასიათის ცვლილებებს, ცალკეულ კულტურულ ჯგუფს უკვე აღარ შეუძლია მოღვაწეობის რომელიმე სფეროზე მონოპოლია შეინარჩუნოს. როდესაც შედარებით ფართო საზოგადოების ამდენ წევრს სურს ამ უმეტესწილად კომფორტული და სარფიანი პროფესიების დაკავება (თუ ისინი არ არიან კონფისკაციის სუბიექტები), ნაკლებად არის სავარაუდო, რომ ისინი უმცირესობისთვის, ანდა იმათთვის იქნება შემონახული, ვისაც უკვე დაღი აქვს დასმული.

ამისდა მიუხედავად, ამ სხვებისგან უკვე გამოყოფილ და სპეციალობის მქონე ჯგუფს საგრძნობი უპირატესობა აქვს, როცა საქმე ცხოვრების ახალ ნირსა და მისწრაფებებზე მიდგება. მათი ცხოვრების ურბანული სტილი, რაციონალური გათვლის ჩვევა, კომერციული პატიოსნება, მწიგნობრობის უფრო მაღალი ხარისხი და, შესაძლოა, ბიბლიური რელიგია — ეს ყოველივე მათ უფრო უკეთ გამოადგებათ ახალი ცხოვრებისთვის, ვიდრე უწინდელ მმართველ კლასს თუ გლეხობას.

მეცნიერები და მათ შორის ისეთი გამოცდილი სოციოლოგიც კი, როგორიც მაქს ვებერია, ხშირად ამტკიცებენ, რომ დასახელებული უმცირესობისათვის ორმაგი სტანდარტია დამახასიათებელი, ამათგან ერთს ისინი თავისი ჯგუფისთვის იყენებენ, ხოლო მეორეს – ინსტრუმენტალურს და მორალისგან დაცლილს — აუტსაიდერებისთვის (გარეშეთათვის). დიახ, მათ ნამდვილად აქვთ

ორმაგი სტანდარტი, ოღონდაც ეს სტანდარტები ზემოთ აღწერილის საპირისპიროდ ფუნქციონირებს. ადრე გარე სამყაროსთან მიმართებაში მათი მდგომარეობა ემყარებოდა იმას, თუ რამდენად *საიმედოდ* აღასრულებდნენ ისინი განსაზღვრულ სამსახურებს და მიაწვდიდნენ საზოგადოებას განსაზღვრულ ქონებას. ამაზე იყო მთლიანად დამოკიდებული მათი სახელიც და შემოსავალიც, და მართლაც, ისინი ცნობილი იყვნენ ამგვარი პროფესიონალური საიმედოობით. ეს სრულიად განსხვავდებოდა ურთიერთობისაგან, რომელიც *მორალური* „გაერთიანების" შიგნით ბატონობდა, სადაც ორ ინდივიდს შორის დადებული კომერციული გარიგება ყოველთვის უბრალო კომერციულ გარიგებაზე გაცილებით მეტი რამ იყო. გარიგების პარტნიორები ნათესავებად, კლანის წევრებად, მოკავშირეებად, მტრებად და ა.შ. გვევლინებოდნენ. ასე რომ, გარიგება არასოდეს არ შემოიფარგლებოდა ამგვარი შეთანხმებით – რომ *ეს* კონკრეტული საქონელი *ამ ფასად* ყოფილიყო მიწოდებული. ყოველთვის იყო იმის იმედი, რომ გარიგებას კიდევ უფრო მეტი სარგებელი შეიძლებოდა მოეტანა, თუმცა ამავე დროს პარტნიორებს ღალატისაც ეშინოდათ. ორივე მხარე იმგვარ სავაჭრო გარიგებასა და კალკულაციაში იყო ჩართული, რომელიც სინამდვილეში გაცილებით უფრო გრძელვადიანი და აბსურდული იყო, ამდენად მათ უფრო მეტის შეთავაზება უნდა ეცადათ. მეორეს მხრივ, თუ მხარეები გარიგებით უკმაყოფილონი აღმოჩნდებოდნენ, მაშინ პროტესტის ჩასახშობად გაერთიანება ძლიერად მოქმედ არგუმენტებს აამოქმედებდა ხოლმე, რათა ამის გამო ამ გაერთიანების დანარჩენ კავშირებს ურთიერთსაფრთხე არ დამუქრებოდა.

მეორეს მხრივ, იმ უმცირესობასთან გარიგებას, რომელთანაც სუფრაზე ვერ დაჯდებოდი, ვერ შეხვიდოდი პოლიტიკურ თუ სამხედრო კავშირში, ან რომელზედაც ვერ დაქორწინდებოდი, თავისი უპირატესობა ჰქონდა: ორივე მხარეს შეეძლო ყურადღება გაემახვილებინა იმაზე, თუ როგორი იყო ამ კონკრეტულ გარიგებაში ურთიერთმიმართება ფასსა და მოგებას შორის, და ამასთან ჰქონოდა მოლოდინი, რომ მიიღებდა ზუსტად იმას, რაზედაც გარიგდნენ, არც მეტსა და არც ნაკლებს. უმცირესობის გაერთიანების შიგნით, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ურთიერთკავშირების ფართო ქსელი იყო გაბმული და ამდენად აქ დადებული გარიგება ნაკლებად საიმედო, ნაკლებად რაციონალური და გაცილებით მრავალმხრივი იყო. უფრო ფართო საზოგადოებაში კი, იმ ჯგუფებს, რომლებსაც სტატუსი არ გააჩნიათ, შეუძლიათ კონტრაქტს სცენ პატივი. მეორე მხრივ, იმ ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებრივი მდგომარეობით ხეირობდნენ და რომლებსაც ამ მდგომარეობით დაკისრებული უფლებები და მოვალეობები უნდა შეესრულებინათ, სწორედ ამის გამო ჰქონდათ წართმეული კიდეც

თავისუფლების ის დიდი წილი, რაც შეთანხმებასა და განსაზღვრული კონტრაქტის დაცვას სჭირდება. სტატუსი და ღირსება ადამიანს არჩევანის უფლებას ართმევს, რადგან მას ძალზე ბევრ ვალდებულებასა და მოთხოვნას აკისრებს. ხოლო როდესაც პიროვნებას არა აქვს საზოგადოებრივი მდგომარეობა, მას შეუძლია ჩაიხედოს მის თვალწინ წარმართულ ბიზნესში, აწარმოოს რაციონალური გარიგება და შეასრულოს მისი პირობები.

ამდენად, ნამდვილად სწორია ის თვალსაზრისი, რომ უმცირესობის გაერთიანებას ორმაგი სტანდარტი ახასიათებს, მაგრამ ეს სტანდარტი სწორედ იმის საპირისპიროდ ფუნქციონირებს, როგორადაც ეს ჩვეულებრივ იყო მიჩნეული. უცხოთა მიმართ უმცირესობა იმ საიმედოობას ავლენდა, რომელიც სტანდარტულ (ერთმაგ) თანამედროვე ურთიერთობის სავარაუდო წინაპირობას წარმოადგენს. სწორედ საკუთარ თანამოძმეებთან წარმოებულ მათ გარიგებას ახასიათებდა ის მდიდარი მრავალმხრივობა, რომელსაც ჩვენი თანამედროვე მგრძნობელობისთვის, კორუფციის სუნი ასდის. მაგრამ, თქმა არ უნდა, ანონიმური, მობილური, მასობრივი საზოგადოების დამკვიდრებით ნორმალური ხდება სწორედ ეს ერთმაგი, ერთი გასროლით დადებული გარიგება და არა გარიგების ის სპეციალური ფორმა, რომელიც არათანამეინახეთა ჯგუფებს შორის იდება.

მოდერნიზაციის პირობებში ხელობას დაუფლებული უმცირესობის ჯგუფები კარგავენ თავიანთ უუფლებობას, მაგრამ სამწუხაროდ, ისინი ასევე კარგავენ თავიანთ მონოპოლიას და თავიანთ დაცულობას. მათი უწინდელი დაოსტატება და ორიენტაცია ეხმარება ამ ადამიანებს, რომ ახალ ეკონომიკურ შეჯიბრში, სადაც ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება, მათ მეტოქეებზე უფრო წარმატებულად იმოქმედონ. საკუთარი კვალიფიკაცია მათ უპირატესობას ანიჭებს. მაგრამ მათი ფონი ასევე გულისხმობს იმასაც, რომ ტრადიციულად ისინი პოლიტიკურად უუფლებონი იყვნენ და საკუთარი თავის საზოგადოებრივ დაცვაზე უარი ჰქონდეთ ნათქვამი. ყოველივე ეს, უპირველესად იმის საზღაური იყო, რომ მათ პროფესია ჰქონდათ; მათ საკუთარი თავი პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით უძლური უნდა გაეხადათ, რათა ნება ჰქონოდათ იმ იარაღის გამოყენებისა, რომელიც არასაიმედო ხელში ჩავარდნის შემთხვევაში ერთობ ძლიერი და საშიში აღმოჩნდებოდა. მაგრამ ამგვარი ტრადიციის გარეშეც, ამ ჯგუფის პოლიტიკურ და სამხედრო სისუსტეს სხვა მიზეზებიც განაპირობებს. უპირველეს ყოვლისა ეს არის ამ ჯგუფის, როგორც უმცირესობის სტატუსი. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ მათი უმრავლესობა სხვადასხვა ურბანულ ცენტრებში არიან გაფანტულნი და კომპაქტური და დაცული ტერიტორიული ბაზა არ გააჩნიათ. ამ ტიპის

ზოგიერთ ეკონომიურად წარმატებულ ჯგუფებს ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდათ ყოფილიყვნენ გაფანტულნი, ურბანიზებულნი და უმცირესობის სტატუსის მქონენი. ებრაელები, ბერძნები, სომხები და პარსები[1] ამის ნათელი მაგალითებია. სხვა ჯგუფებმა ამგვარ მდგომარეობას მხოლოდ ორი გარემოების შემდეგ მიაღწიეს: 1) უახლესი პერიოდის მიგრაციული პროცესები; 2) ის უნარი (თუ საგანმანათლებლო შესაძლებლობანი), რომელთა შეძენა, თუ ფართოდ გაშლა, თანამედროვე პერიოდში მოხდა. ასეთ სიტუაციას ჩინელების, ინდოელების თუ ნიგერიის იბოსების შემთხვევაში ვხვდებით.

კარგადაა ცნობილი და გამეორებას აღარ საჭიროებს, თუ რა გამანადგურებელი და ტრაგიკული შედეგები მოაქვს იმას, როცა ჯგუფის ეკონომიური აღმატებულობა და კულტურულად ადვილად გათანაბრების უნარი მისსავე პოლიტიკურ და სამხედრო სისუსტესთან არის გაიგივებული. შედეგები გენოციდიდან გაძევებამდე მერყეობს. ზოგიერთ შემთხვევაში, არასაიმედო და მოუხერხებელი ბალანსის შენარჩუნება ხერხდება. მთავარია ის, რომ ცენტრალური ხელისუფლება ახლა სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში ხვდება. ახლა ის სულ სხვა ზეგავლენის ქვეშაა, ვიდრე შრომის აგრარული განაწილების დროს. იმ დროს დღის წესრიგში არ იდგა თითოეული მობილური და განათლებული გამხდარიყო, დაუფლებოდა სპეციალობას, ანდა კომერციული საქმიანობა ეწარმოებინა. მაშინ ვინღა მოხნავდა მიწას?

როდესაც ადამი ბარავდა
და ევა საქმიანობდა სახლში,
ვინ ბიზნესმენობდა მაშინ?

ალბათ, ასეთებიც არსებობდნენ, მაგრამ ისინი ვერც უმრავლესობას შექმნიდნენ და ვერც ნორმას დაადგენდნენ. წარმოუდგენელი იყო, რომ თითქმის მთელი საზოგადოება ბურჟუაზიული გამხდარიყო.

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მაშინ უმცირესობის როლისკენ არ მიისწრაფოდა, რადგან ამ როლს ყველა შემთხვევაში დაღი ჰქონდა დასმული. ძალაუფალნი სიხარულით ეგებებოდნენ ეკონომიკური ხელობების მცოდნე ჯგუფებს, რომელთაც ქომაგი არ ჰყავდათ, რომელთაც გადასახადს ადვილად დააკისრებდნენ და

[1] პარსები – ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფი დასავლეთ ინდოეთსა და პაკისტანში (დაახლ. 40 000). შთამომავლები იმ სპარსელი ზოროასტრელებისა, რომლებიც ირანიდან ინდოეთში ჩვ. წ. აღ. VII-X საუკუნეში გადასახლდნენ.

რომლებიც მიჯაჭვულნი იყვნენ მმართველებს, რადგანაც ამ ჯგუფების ზემოხსენებული უმწეობის მხარდაჭერის და მისი გაძლიერების პოლიტიკა მკაცრად ტარდებოდა.

მაგრამ ახლა ნაციონალური „განვითარება“ ითხოვს სწორედ იმას, რომ თითოეული პიროვნება იმ გზას დაადგეს, რომელიც ოდესღაც მხოლოდ „უმცირესობით“ დაღდასმული ჯგუფისთვის იყო ღია. ოდესღაც სახელმწიფო დაინტერესებული იყო დაეცვა უმცირესობა, რომლის მონველა ადვილი იყო. ახლა კი სახელმწიფო უფრო მეტად უმცირესობისთვის ეკონომიკური მონოპოლიის წართმევით არის დაინტერესებული. და რადგან უმცირესობა ფლობდა ქონებას და ამასთან აშკარად ხილული იყო, სახელმწიფოს შეეძლო ფართო მოსახლეობის უკმაყოფილების დიდი ნაწილი სწორედ დასახელებული უმცირესობისთვის საკუთრების ჩამორთმევით და მისი დევნით გამოესყიდა. ამდენად, გარდაუვალი ხორციელდება. ეს კი დამცირების ყველაზე სახალისო (მის მსხვერპლთა გარდა) და პათეტიკურ სანახაობას წარმოქმნის, და უმრავლესობის საამებლად ამცირებს სწორედ იმ ჯგუფს, რომელიც ერთ დროს შურის ობიექტი გახლდათ. ამ სიამოვნებით შესაძლებელია მოსახლეობის უფრო ფართო კატეგორია დატკბეს, ვიდრე მხოლოდ ის შეზღუდული ჯგუფი, რომელმაც დევნილი უმცირესობის განთავისუფლებული თანამდებობები დაიკავა. ამ კურსის არჩევაც პოლიტიკურად მნიშვნელოვანი მოსაზრებაა და პოლიტიკური თვალსაზრისით სახელმწიფოსთვის მიმზიდველია.

ამ პირობებში უმცირესობა იმგვარი არჩევანის პირისპირ დგას (თუმცა განსხვავებულ პირობებში), როგორსაც ჩვენი რურიტანული შრომის მიგრანტები აწყდებოდნენ. უმცირესობას შეუძლია ასიმილაცია განიცადოს. ცალკეულ შემთხვევებში მთელი უმცირესობა, თუ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ამას წარმატებით ახორციელებს. ანდა უმცირესობას ასევე შეუძლია ფართოდ გაავრცელოს სპეციალიზაციის მისეული ცოდნა, ისევე, როგორც უმცირესობის საკუთარი სტატუსი და შექმნას თავისი სახელმწიფო, როგორც ახალმა მფარველმა იმ კულტურისა, რომელიც არაა სპეციალიზირებული, და მემკვიდრეობით მიღებულ, ახლებურად ნაციონალურ კულტურას წარმოადგენს. ურბანული მოსახლეობის მთავარი პრობლემა, რასაკვირველია, საჭირო ტერიტორიული ბაზის მოპოვებაში მდგომარეობს. იმდენად, რამდენადაც რურიტანელები გლეხები იყვნენ, ტერიტორიული საფუძველი მათთვის აუცილებელი პირობა იყო. აუცილებელი იყო ის ტერიტორიული ბაზა, რომელიც განკუთვნილი იყო იმისთვის, რომ ახლო მომავალში რურიტანიის სამეფო, შემდეგ კი რურიტანიის სახალხო რესპუბლიკა გამხდარიყო.

მაგრამ რა უნდა ქნას იმ ურბანულმა ჯგუფმა, რომელსაც

მიღებული აქვს სპეციალიზაცია, სხვადასხვა ადგილასაა გაფანტული და რომელიც ძალზე ნაკლებად ან საერთოდ არაა დაკავშირებული სოფელთან?

ნაციონალიზმის ამ სახეობათათვის ტერიტორიის მოპოვება პირველი და ალბათ მთავარი პრობლემა გახლდათ. დასაწყისში ელინები იმდენად ოტომანური იმპერიისაგან გამოყოფაზე კი არ ფიქრობდნენ, რამდენადაც მის შიგნით იერარქიის გადატრიალებაზე, ამ იერარქიაზე კონტროლის დამყარებაზე და ამის მეშვეობით ბიზანტიის აღორძინებაზე. ბერძენთა პირველ აჯანყებას ადგილი ჰქონდა არა საბერძნეთში, არამედ თანამედროვე რუმინეთში, სადაც ბერძნები უმცირესობას წარმოადგენდნენ და მეტიც, ძალზე კარგად სარგებლობდნენ ოტომანთა სისტემით. ახლანდელი სამხრეთ საბერძნეთის ტერიტორიულ ბაზად გამოყენება მხოლოდ მოგვიანებით მოხდა.

წარმატებული დიასპორული ნაციონალიზმის ყველაზე ცნობილ და დრამატულ შემთხვევას ისრაელი წარმოადგენს. ჰიუ ტრევორ-როპერის სიტყვებით, ის ამავე დროს არის „უკანასკნელი, ყველაზე ნაკლებად ტიპიური ევროპული ნაციონალიზმი“[1] (ევროპული პრობლემა მან აზიური პრობლემის შექმნით გადაწყვიტა, რომლის გააზრებაც ებრაელებმა მხოლოდ ახლა დაიწყეს. დიასპორის პირობებში, ებრაელთა რელიგია იერუსალიმთან იყო დაკავშირებული. იერუსალიმში დაბრუნების შემდეგ, ნახევრად საერო ხასიათის სიონიზმი გარკვეული დროის განმავლობაში იყენებდა XIX საუკუნის ევროპის ყავლგასულ სოციალისტურ თუ პოპულისტურ კლიშეებს).

ისტორიის დაახლოებით 2000 წელმა ებრაელებს არსად დაუტოვა ტერიტორიული ბაზა, ყველაზე ნაკლებად კი ისრაელის მიწაზე. მეტიც, ისტორიამ ებრაელები ჩამოაყალიბა, როგორც უფრო გაბნეული და საკმაოდ მაღალ დონეზე სპეციალიზირებული ფენა სხვა საზოგადოებათა შემადგენლობაში, ვიდრე ბალანსირებული პოპულაციის ტიპი, რომელიც, შესაძლოა, ყოფილიყო ბაზისი მეტ-ნაკლებად ავტარკიული თანამედროვე სახელმწიფოს *geschlossener Handelstaat*[2]-ისა. და ამის მიუხედავად, ეს ექსტრაორდინალური ტრანსფორმაცია განხორციელდა. უეჭველია, რომ მისი განხორციელება დიდწილად წააქეზა ებრაელთა იმ დევნამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჰოლოკოსტის პერიოდის განმავლობაში თავდაპირველად აღმოსავლეთ, ხოლო შემდეგ მთელ ევროპაში. უცხოს ეს დევნა, ნათლად ცხადყოფს, თუ რა ბედი ეწევა კულტურულად გამორჩეულ, ეკონომიურად პრივილეგირებულ და

---

[1] Hugh Trevor – Roper, *Jewish and Other Nationalism*, London, 1962.
[2] დახურული კორპორაცია (გერმ.)

პოლიტიკურად უმწეო გაერთიანებებს იმ პერიოდში, როცა სპეციალიზირებული ერთობების და შრომის ორგანული განაწილების ტრადიციული ფორმის ხანა უკვე დასრულებულია.

ადამიანების ტრანსფორმაცია, რომელსაც ებრაელთა შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, გლობალური მიმართულების საპირისპიროდ წარიმართა: ურბანული, დიდად მწიგნობარი და გამოცდილი, კოსმოპოლიტი მოსახლეობა ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც დააბრუნეს მიწასთან და უფრო ჩაკეტილი გახადეს. ჩვეულებრივ, ნაციონალიზმის პროცესი პირუკუ მიმართებაშია მის საკუთარ ფორმულირებასთან, როდესაც იგი გლეხებზე ლაპარაკობს და მოქალაქეებს წარმოქმნის. ამ შემთხვევაში ნამდვილად იყო საჭირო, რომ მცირერიცხოვანი სუროგატული გლეხობა მაინც შექმნილიყო. ფაქტობრივად, ისინი ჩამოყალიბდნენ იმგვარ გლეხებად, რომელთაც ტომის გარკვეული საკვანძო მახასიათებლები გააჩნდათ: ეს იყო ადგილობრივი ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ერთსა და იმავე დროს მოქმედი მწარმოებლების და სამხედროებისგან შედგებოდა. ალბათ არ უნდა ყოფილიყო მარტივი, ურბანული ფონიდან ასეთი ტიპის ტომის წევრი გლეხები წარმოქმნილიყვნენ. ეს სუროგატული გლეხი-მეომრები ფაქტობრივად საერო-სამონასტრო ორდერის სხვადასხვა სახეობამ ჩამოაყალიბა. ამას კი იდეოლოგია სჭირდებოდა და მართლაც, ისტორიული შემთხვევითობის წყალობით, ამისთვის სოციალიზმისა და პოპულიზმის ნაზავი აღმოჩნდა შესაფერისი, რომელსაც ნამდვილად ჰქონდა ძალა და საყოველთაოდ იყო გავრცელებული იმ ინტელექტუალურ გარემოში, რომელშიც ორდენი თავის რიგებს აკომპლექტებდა. ამ იდეოლოგიის თეზები, რომლებიც კოლექტივიზმსა და სოფლურ ცხოვრებას ქადაგებდნენ და შრომის დაყოფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ამ მიზანს იდეალურად მიესადაგებოდნენ.

საკითხი, თუ რამდენად უზრუნველყოფდა კიბუციზმი[1] თანამედროვე ადამიანს კარგი ცხოვრებით, როგორც ეს მის შემქმნელებს სჯეროდათ, ღიად რჩება. მაგრამ იგი სრულიად გამორჩეული და ნამდვილად შეუდარებელი საშუალება გამოდგა ხალხის ხელახალი ეფექტური განსახლებისთვის, ხალხისა, რომელიც ამოგლიჯეს მკვეთრად ურბანიზებულ და გაბურჟუაზებულ მოსახლეობას და რომელიც შემდეგ წარმატებით იცავდა ქვეყანას

[1] კიბუცები – სასოფლო-სამეურნეო დასახლებები-კომუნები, რომლებსაც XIX საუკუნის ბოლოს XX საუკუნის დასაწყისში პალესტინაში ებრაელი ახალმოსახლეები ქმნიდნენ. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა აქამდე პოპულარულია თანამედროვე ისრაელში. კიბუცი ეყრდნობა კერძო საკუთრებაზე უარის თქმას, საერთო წარმოებას/შრომას და მიღებული პროდუქციის განაწილებას.

სამხედრო კრიზისის დროს მინიმალური და მწირი სახსრებით.

პრობლემები, რომლებიც უკავშირდებიან სოციალურ ტრანსფორმაციას, კულტურულ განახლებას, ტერიტორიის შეძენას და იმ ხალხის ბუნებრივი მტრობის დაძლევას ვისაც ტერიტორიის მიმართ მანამდე ჰქონდათ პრეტენზიები, წარმოადგენს იმ სრულიად სპეციფიკურ და მწვავე პრობლემას, რომელთაც დიასპორული ნაციონალიზმი აწყდება. ამათგან ის ხალხები, რომლებსაც ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მაინც აქვთ შენარჩუნებული, შესაძლოა, ნაკლებად მწვავე დაბრკოლებებს წააწყდნენ. მაგრამ დიასპორული კულტურა, რომელიც არ ირჩევს ნაციონალიზმს, შესაძლოა, ისეთივე მძიმე და ტრაგიკული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს, როგორსაც ნაციონალიზმის მიმღები დიასპორული კულტურა. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტუაციაში ნაციონალიზმის მიმდევრები თავიანთ პოზიციას სწორედ ასიმილაციის თანმდევი უკიდურესი საშიშროების გამო იცავენ.

ნაციონალიზმის ამ თეორიის საპირისპირო მაგალითად დიასპორული ნაციონალიზმის დამოწმება, ორი გარემოების გამო, არ იქნება სწორი. პირველი ესაა მდგომარეობის სირთულე, რომელსაც დიასპორული მოსახლეობა აწყდება იმ შემთხვევაში, თუ ის ნაციონალიზმს არ აირჩევს. მეორე კი გახლავთ ის მანერა, რომლითაც აგრარულიდან ინდუსტრიულ წყობაზე გადასვლა ხდებოდა.

„ბერძნული და სომხური ნაციონალიზმი იმ მოსახლეობის წიაღში წარმოიშვა, რომლებიც საზოგადოდ უფრო აყვავებულნი იყვნენ და რომლებსაც უკეთესად შეეძლოთ გაეგოთ თანამედროვე ევროპის დოვლათის შემქმნელი ეკონომიკა, ვიდრე მათ ოტომანურ მუსლიმურ სუზერენებს“.[1]

[1] Nationalizm in Asia and Africa, ed. Elie Kedourie, London,1970. p.20 იმავე წიგნში (გვ.132) პროფ. კედური ეჭვქვეშ აყენებს დოქტრინას, რომლის თანახმადაც ინდუსტრიული სოციალური ორგანიზაცია კულტურულ ერთგვაროვნებას უწყობს ხელს. „დიდ ინდუსტრიულ საწარმოებს საფუძველი ჩაეყარათ და განსაკუთრებით განვითარდნენ მრავალენობრივ საზოგადოებებში: ბოჰემიასა და შეერთებულ შტატებში მე-19 საუკუნეში, ჰონგ-კონგში, ისრაელში, საფრანგეთის ალჟირში, ინდოეთში, ცეილონსა და მალაიაში მე-20 საუკუნეში".
არასოდეს ყოფილა განცხადებული, რომ ინდუსტრიული საწარმოები მხოლოდ *უკვე* კულტურულად ერთგვაროვან საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს. ეს თეორია ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ თუ ინდუსტრიული ეკონომიკა კულტურულად ჰეტეროგენულ საზოგადოებაში არის წარმოქმნილი (ან თუ ის თუნდაც ჩრდილს აყენებს მას), *მაშინ* ამას შედეგად მოჰყვება დაძაბულობა, რომელიც *შემდგომში* ნაციონალიზმს წარმოშობს. ჰონგ კონგის შესაძლო და დროებითი გამონაკლისის გარდა,

ჩვენ მიერ მოტანილ რურიტანიის შემთხვევაში, ნაციონალიზმი განმარტებული იყო ეკონომიურად და პოლიტიკურად უუფლებო მოსახლეობასთან დაკავშირებით, რომელსაც შეეძლო საკუთარი თავის კულტურულად იდენტიფიცირება და ამდენად, ისინი ნაციონალიზმის არჩევისაკენ იხრებოდნენ.

მაგრამ ის გაუსაძლისი მდგომარეობა, რომელშიც ინდუსტრიალიზმის შემოსვლის შემდეგ კულტურულად გამორჩეული მოსახლეობა აღმოჩნდება – მოსახლეობა, რომელიც არ არის ეკონომიურად ჩამორჩენილ მდგომარეობაში (სრულიად პირიქით) და მხოლოდ პოლიტიკურად არის უუფლებო, რაც მის, როგორც უმცირესობის სტატუსს ახლავს თან – გამომდინარეობს იმავე ზოგადი წინამძღვრებიდან და მიუთითებს იმავე დასკვნაზე, თუმცა, ბუნებრივია, იგი საკუთარ სპეციფიკურ გზას გადის.

ყურადღების გამახვილება მხოლოდ ეკონომიურად არასახარბიელო მდგომარეობაზე, რომელიც სავარაუდოდ ყველაზე ტიპიური შემთხვევებისთვისაა მთავარი, ჩვენი პოზიციის დამახინჯებას ნიშნავს. ინდუსტრიული წყობა პოლიტიკურ ერთეულთა შიგნით ერთგვარობას მოითხოვს, ყოველ შემთხვევაში საკმარისს იმისთვის, რომ დაუშვას მოქნილი მობილობა და თავიდან აიცდინოს ეკონომიური თუ პოლიტიკური წარმატების თუ წარუმატებლობის „ეთნიკური“ განსაზღვრება-იდენტიფიკაცია.

რომლის მოსახლეობა დაკომპლექტებულია ჩინელებისაგან, რომელთაც არ სურთ ამჟამინდელი კონტინენტური ჩინეთის რეჟიმის ქვეშ ცხოვრება. ასე რომ, თავად დაკომპლექტების პრინციპი უარყოფს ირედენტისტულ მისწრაფებას. კედურის მიერ ჩამოთვლილი ყველა დანარჩენი ქვეყანა არა თუ არ გვევლინება ამ თეორიის საპირისპირო შემთხვევებად, არამედ მისივე საილუსტრაციო მაგალითებს წარმოადგენს და მართლაც გვაძლევს იმ მოდელის ჭეშმარიტ პარადიგმებს, რომელსაც თეორია ვარაუდობს. ბოჰემია ადრეული პერიოდის მრავალი ნაციონალური მოქმედების და თეორიის წყარო იყო, როგორც გერმანულის, ისე ჩეხურისა. შეერთებული შტატების საგანმანათლებლო სისტემა აშკარად ექვემდებარებოდა იმ პირობას, რომ არაერთგვაროვანი ემიგრანტი მოსახლეობა ეთნიკურად ერთგვაროვანი გაეხადა, რაც ამ კუთხით დამუშავებული მოსახლეობის გულთბილი თანხმობით ხდებოდა. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ყველა დანარჩენი ნაციონალიზმის ისტორიის მაგალითები არიან (მათგან ზოგი უკიდურესი და ტრაგიკული ფორმით). მართალია, რომ ინდოეთში კულტურული ერთგვაროვნება *ზოგჯერ* ლინგვისტურ განსხვავებულობასთან მოდის შეჯახებაში. ინდუსები "იმავე ენაზე ლაპარაკობენ" მაშინაც კი, როდესაც ისინი არ ლაპარაკობენ ერთსა და იმავე ენაზე. მაგრამ ეს თეორია ამას არ იცდენს თავიდან.

8
ნაციონალიზმის მომავალი

ნაციონალიზმის ჩვენი ზოგადი შეფასება მარტივია. კაცობრიობის ისტორიის სამი საფეხურიდან მეორე — აგრარული, მესამე კი ინდუსტრიულია. აგრარულ საზოგადოებას გარკვეული საერთო მახასიათებლები გააჩნია: მოსახლეობის უმრავლესობას ამ საზოგადოებაში გლეხები, ანუ სოფლის მეურნეების მწარმოებლები წარმოადგენენ. სპეციალობა — იქნება ეს სამხედრო, პოლიტიკური, რელიგიური თუ ეკონომიური, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს თუ გააჩნია. თუმცა აგრარულ საზოგადოებას ორ დიდ ინოვაციასთან — ცენტრალიზებულ მმართველობასთან და დამწერლობის შექმნასთან აქვს კავშირი.

აგრარული საზოგადოება, წინა პერიოდის და მის მომდევნო პერიოდის საზოგადოებებისგან განსხვავებით, მალთუსიანურია[1]: საწარმოო და თავდაცვითი აუცილებლობები მას პოპულაციის ზრდას აიძულებს, რომელიც შემდეგ ყველა ხელმისაწვდომ რესურსებს ისე სწრაფად ამოწურავს, რომ როგორც წესი, კრიზისის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე. ამ საზოგადოებაში მოქმედი სამი გადამწყვეტი ფაქტორი (საკვების წარმოება, პოლიტიკური ცენტრალიზება და დამწერლობა) ისეთ სოციალურ სტრუქტურას ქმნის, რომ იქ პოლიტიკური და კულტურული საზღვრები ერთმანეთს იშვიათად ემთხვევა.

ინდუსტრიული საზოგადოება სრულიად განსხვავებულია. ის მალთუსიანური არ არის. იგი შემეცნების და ეკონომიკურ ზრდაზეა დაფუძნებული და დამოკიდებული. ეს ზრდა საბოლოოდ პოპულაციის დრამატულ ზრდას წინ უსწრებს და აჩერებს. მასში არსებული სხვადასხვა ფაქტორები — უნივერსალური დამწერლობა, მობილურობა და ინდივიდუალიზმი, პოლიტიკური ცენტრალიზება და ღირებული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურების საჭიროება — ქმნის სიტუაციას, სადაც პოლიტიკური და კულტურული საზღვრები სრულ ურთიერთთანხვედრაშია. გარდა ამისა, სახელმწიფო ახლა უკვე რწმნის კი არა, კულტურის მფარველია. ის ასევე იმ ერთგვაროვანი და სტანდარტირებული საგანმანათ-

---

[1] ტომას მალთუსი (1766-1834) ინგლისელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი. „მალთუსიანური“ ეწოდება სისტემებს რომლებიც ეყრდნობიან ეკომონიკური ზრდის და მოსახლეობის რაოდენობის ხელოვნულ შეზღუდვას.

ლებლო სისტემის მფარველიცაა, რომელსაც პროფესიონალთა ისეთი ტიპის შექმნა შეუძლია, რომლებიც მზად არიან, ეკონომიკურად მზარდი და მობილური საზოგადოების ფარგლებში ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასასვლელად. ეს სისტემა ასევე წარმოშობს სამუშაო ადგილებს, სადაც საგნებზე მეტად ადამიანებითა და მნიშვნელობებით მანიპულირება ხდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ადამიანთა უმრავლესობისთვის მათი კულტურის საზღვარი, თუ მთელი სამყაროს არა, მათი შრომისუნარიანობის და, შესაბამისად, მათი ღირსების საზღვარი მაინც არის.

აგრარული საზოგადოებების დახურულ მიკროდაჯგუფებების უმეტეს ნაწილში კულტურის ზღვარი სამყაროს ზღვარიც იყო. ხშირად თავად კულტურა იყო უჩინარი: მას, როგორც იდეალურ პოლიტიკურ საზღვარს არავინ აღიქვამდა. დღეს კი, მობილურობასთან ერთად ის ხილული ხდება და რამდენადაც იგი უკვე ადამიანის შრომისუნარიანობის ახლად გაზრდილ რანგს განსაზღვრავს, პიროვნების მობილურობის ზღვარად, შესაბამისად კი, ბუნებრივ პოლიტიკურ საზღვრადაც იქცევა. ამის თქმა არ ნიშნავს ნაციონალიზმის დაყვანას სოციალური მობილურობის მომავლის გამო წუხილზე. ადამიანებს თავიანთი კულტურა მართლა უყვართ, რადგან ისინი ახლა უკვე კულტურულ ატმოსფეროს გრძნობენ (იმის მაგივრად, რომ ეს უკანასკნელი ჰაერივით ბუნებრივი რამ იყოს) და იციან, რომ ამ ატმოსფეროს გარეთ მათ თავისუფლად სუნთქვა და საკუთარი იდენტურობის დამკვიდრება არ შეუძლიათ.

ადამიანთა უმრავლესობისათვის, მაღალი (დამწერლობითი) კულტურა, რომლის ფარგლებშიც მათ განათლება მიიღეს, მათი ყველაზე ძვირფასი ინვესტიცია, იდენტურობის არსი, დაზღვევა და უსაფრთხოებაა. ასე რომ ის, რაც ამ სამყარომ ძირითადად გამოიგონა, რამოდენიმე მცირე გამონაკლისის გარდა, ნაციონალისტურ იმპერატივს — კულტურის და პოლიტიკის თანხვედრას აკმაყოფილებს. ნაციონალიზმის პრინციპის გამარჯვება ინდუსტრიალიზმის პირველი გამოჩენის წინაპირობა კი არ იყო, არამედ მისი გავრცელების შედეგია.

ეს გადასვლა უნდა განხორციელებულიყო სამყაროდან, რომელიც ნაციონალიზმის განხორციელების შესაძლებლობებს თავი რომ დავანებოთ, ნაციონალისტური იდეალის ფორმულირებასაც კი არ უწყობდა ხელს. ეს გადასვლა უნდა განხორციელებულიყო სამყაროში, სამყაროში, რომელიც მას [ნაციონალიზმს –მთარგმნ.] (მცდარად) ყველა დროისთვის ქმედით თავისთავად ცხად იდეალად აქცევდა, ანუ აქცევდა ისეთ ეფექტურ ნორმად, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ხორციელდება. გადასვლის პერიოდი აუცილებლად ნაციონალიზმის აქტიურობის პერიოდია. კაცობრიობა ინდუსტრიულ ხანას ისეთი კულტურული და პოლიტიკური

ინსტიტუტებით უახლოვდება, რომლებიც ზოგადად ეროვნულ მოთხოვნას ეწინააღმდეგება. საზოგადოების ახალი იმპერატივებზე გადაყვანა უთუოდ მღელვარე და რთული პროცესი იყო.

ნაციონალიზმის ყველაზე მძიმე ფაზა ადრეული ნაციონალიზმი და მისი გავრცელების ხანაა. იქმნება არასტაბილური სოციალური სიტუაცია, სადაც ერთმანეთს მტკივნეულ განხეთქილებათა მთელი ქსელი გადაფარავს: იქ საკმაოდ მწვავე პოლიტიკური, ეკონომიური და საგანმანათლებლო უთანასწორობები სუფევს. თუმცა, ამავე დროს, ახალი, კულტურასთან თანხვედრილი სახელმწიფოებიც იქმნებიან. იმ პირობებში, თუ ეს მრავალმხრივი და ერთმანეთთან გადაჯაჭვული უთანასწორობები შეცნობადი, შესამჩნევი და კარგად აღქმადი ეთნიკური და კულტურული უთანასწორობების გვერდით არსებობენ, ისინი ახლად შექმნილ ერთეულებს, უთუოდ, ეთნიკური დროშის ქვეშ გაერთიანებას აიძულებენ.

ინდუსტრიალიზმი, უეჭველია, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილებსა და საზოგადოებებში ჩაისახება, რაც გვარწმუნებს, რომ ადრეული ინდუსტრიალიზმის მღელვარე გარემო (დისლოკაცია, მობილურობა, დროისა და ჩვევების მიერ *მიუღებელი* მწვავე უთანასწორობა) ყველა სოროსა და კუნჭულში კულტურულ სხვაობებს ეძებს. დროისათვის დამახასიათებელ უსამართლობის და უთანასწორობის გამო ცოტა მათგანი თუ იქცევა რეალურ ნაციონალიზმად, ხოლო დანარჩენი რჩება ინდუსტრიულ ქვეყნებად ქცევის შესაძლებლობად. როდესაც მოდერნიზაციის მიმოქცევის ტალღები მთელ ქვეყნიერებას მოიცავს, ის ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ უსამართლოდ მოპყრობის ტკივილი ადრე თუ გვიან, აბსოლუტურად ყველამ იგრძნოს და შემდეგ, ამ ტკივილის მომყენებელი სხვა „ერის“ წარმომადგენლად აღიქვას; და თუ ადამიანები ამ ტკივილის მსხვერპლთა უმეტეს ნაწილს თავიანთივე „ერის“ წარმომადგენლად აღიქვამენ, ამის შედეგად, იბადება ნაციონალიზმი. და თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა და სიმწვავე შეინარჩუნა, იბადება ერი.

„ფარული საზღვრების“ პოლიტიკურ სისტემაში ეკონომიკური რაციონალიზმის ელემენტიც არსებობს, რომელსაც ახალ სამყაროში ნაციონალიზმი ქმნის. აქ ტერიტორიული საზღვრები გამოყოფილი და ლეგალურად გამყარებულია, მაშინ, როცა სტატუსის განსხვავება ძალაში შესული და მარკირებული კი არ არის, არამედ დამალული, დაფარული და უარყოფილია. განვითარებულმა ეკონომიკურმა სისტემებმა შეიძლება ახალი სისტემები დაამუხრუჭონ და მათ განვითარებას ხელი შეუშალონ, თუ მათ სახელმწიფო არ დაიცავს. ამიტომ ნაციონალისტური სახელმწიფო არა მხოლოდ კულტურის, არამედ, ხშირად, ახალი და რეალურად სუსტი

ეკომომიკის დამცველიცაა (რწმენის დაცვის ინტერესს კი ის, როგორც წესი, კარგავს ხოლმე). იქ, სადაც ადრე ჩვეულებრივი ფენის ანუ გლეხების, ან რაღაც სპეციალობის მქონე ურბანული მოსახლეობის ადგილზე თანამედროვე ერი დაიბადა, ეთნიკური ჯგუფების დაბალანსებულ ერად გადაქცევა და ეკონომიკის განვითარება სახელმწიფოსათვის ერთი და იგივე ამოცანის სხვადასხვა ასპექტებია.

ახლა უკვე ასეთი კითხვა იბადება: რად შეიძლება იქცეს ნაციონალიზმი — წარმატებული, რაღაც აზრით უკვე დასრულებული ინდუსტრიალიზმის ხანის ძირითად მამოძრავებელ ძალად, თუ ზოგად პოლიტიკურ იმპერატივად? იმდენად, რამდენადაც სამყარო ჯერ ეკონომიკური ზრდის სურვილით სრულიად გამაძღარი არ არის, ამ კითხვაზე ნებისმიერი პასუხი აუცილებლად ჰიპოთეტური იქნება. მიუხედავად ამისა, ცდა მაინც ღირს. ზრდის როლი, პროფესიონალური და სოციალური მობილურობის თვალსაზრისით, ჩვენს არგუმენტში ხაზგასმული იყო. მუდმივი პროფესიონალური ცვლილებები, სამსახურთა უმრავლესობის კომუნიკაციებთან და მნიშვნელობებით მანიპულირებასთან კავშირი, სადაც კომუნიკაციის სტანდარტიზებული, შედეგიანი, საერთო წესის საჭიროება გარკვეულ სოციალურ თანასწორობას თუ არ ქმნის, სოციალურ დისტანციას მაინც აქრობს. ეს ფაქტორები თანამედროვე ეგალიტარიზმის და ნაციონალიზმის საფუძვლებია.

მაგრამ რა ხდება, როდესაც ინდუსტრიული სიჭარბის საზოგადოება ისევ სტაბილური და და არამობილური ხდება? ამის კლასიკურ წარმოდგენით გამოვლინებას ოლდოს ჰაქსლის წიგნში „ო, ეს საოცარი ახალი სამყარო“ ვხვდებით. კარგად გამძღარი ინდუსტრიული საზოგადოების წარმოდგენა მართლაც შესაძლებელია: თუმცა იმის სავარაუდოდ მიზეზი სულაც არ არსებობს, რომ ერთ დღეს ყველა შესაძლო ტექნიკური ინოვაცია ამოიწურება. იმის დაჯერება უფრო შესაძლებელია, რომ რაღაც გარკვეული ზღვარის შემდეგ ტექნიკური ინოვაციები სოციალურ სტრუქტურებსა და ზოგადად საზოგადოებაზე იგივე მნიშვნელობის გავლენის მოხდენას ვეღარ შესძლებენ; სამაგალითოდ შეიძლება რომელიმე მულტიმილიონერი მოვიყვანოთ, რომლის ცხოვრების დონეს ერთი მილიონით ნაკლები თუ მეტი ვერაფერს დააკლებს. ეს ანალოგია შეიძლება იყოს და არც იყოს ღირებული; ძნელია ამ ტიპის კითხვას კომპეტენტური პასუხი გასცე. ჩანს, რომ კაცობრიობისთვის კეთილდღეობით სრული დაკმაყოფილების ხანა ჯერ კიდევ არ დამდგარა, ასე რომ, დღესდღეობით ამ თემაზე დაფიქრება საჩქარო არ არის.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს არგუმენტთა უმრავლესობა გლობალური ეკონომიკური ზრდისაკენ, შესაბამისად კი,

ინოვაციისა და პროფესიონალური ცვლილებებისაკენ გამუდმებითი სწრაფვის დაშვებაზეა დამყარებული. ის ასევე პირობით კასტრირებასა და მოსალოდნელ სიუხვის დაპირებაზე დაფუძნებული საზოგადოების არსებობას გულისხმობს. ეს დაშვებები, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ისინი ღირებულნი არიან, ასე განუსაზღვრელნი ალბათ არ დარჩებიან (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ ამ ტიპის საზოგადოების ატომური აფეთქებით ან მსგავსი უბედურებით დასასრულის შესაძლებლობას გამოვრიცხავთ). ჩვენი კულტურულად ერთგვაროვანი, მობილური და საშუალო ფენის დონეზე საკმაოდ არასტრუქტურირებული საზოგადოება ყოველთვის ერთნაირად კარგად ვერ იარსებებს, მაშინაც კი, თუ ჩვენ კატაკლიზმების შესაძლებლობას უარვყოფთ. და მაშინ, როდესაც საზოგადოების ეს ტიპი გაბატონებული აღარ იქნება, ის, რასაც ჩვენ ნაციონალიზმის სოციალურ ბაზისად წარმოვადგენდით, საფუძვლიანად შეიცვლება. თუმცა ეს ჩვენს სიცოცხლეში არ მოხდება.

ძალიან შორსაც რომ არ გავიხედოთ, ნაციონალიზმის სახეცვლილება ახლო მომავალშიც შეიძლება ვივარაუდოთ. ნაციონალიზმის მწვავე ფორმა, ინდუსტრიულად განსხეულებულ, პოლიტიკურად და განათლებით წინწასულ მოსახლეობასა და ახალი სამყაროს კარიბჭესთან მყოფ, მაგრამ ჯერ კიდევ მასში ვერშეღწეულ ადამიანებს შორის არსებული მაქსიმალური დაპირისპირების დროს წარმოიშვა. ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად ეს დაპირისპირება შემცირდება (პესიმისტური მოლოდინების მიუხედავად). ამ დაპირისპირებამ თავის მაქსიმუმს შეიძლება მიაღწიოს კიდეც, მაგრამ, ერთხელაც იქნება და, პრივილეგირებულობაც და არაპრივილეგირებულობაც გარკვეულ ჩარჩოებს თავს დააღწევს და ის ნაკლებად მწვავედ და უსასრულოდ მოგვეჩვენება. რა თქმა უნდა, განსხვავება შიმშილსა და კეთილდღეობას შორის მწვავეა. მაგრამ, როდესაც განსხვავება კეთილდღეობის მეტ-ნაკლებად სიმბოლურ, ხელოვნურად შექმნილ ფუფუნების საგნებს შორის კეთდება, ის აღარ არის ისეთი დიდი, განსაკუთრებით კი, ნომინალურ, ეგალიტარულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში, სადაც ეს ფუფუნების საგნები ერთი და იგივე სტილითაა შექმნილი.

მიუხედავად ამისა, ნაციონალისტური ლტოლვის სიმწვავის განელება სულაც არ ნიშნავს, რომ კონტრენთროპიული უმცირესობები აუცილებლად კარგად იცხოვრებენ. თანამედროვე სამყაროში მათი ბედი ხშირად ტრაგიკულია. რა თქმა უნდა, იმის დარწმუნებით თქმა, რომ ეს ტრაგედიები აღარ განმეორდება, მიუღებელი ოპტიმიზმი იქნება. განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოება თავისი წევრებისთვის შეუფერხებელ კომუნიკაციებსა და მობილურობას მოითხოვს. პირველი უნარი ზრდასრუ-

ლობის აუცილებელი პირობაა, მეორე კი უფრო მოუხელთებელია, ვიდრე პირველი. მოძრაობის შეჩერება, სადაც არ უნდა ხდებოდეს იგი, ინდუსტრიული საზოგადოების ყველაზე სერიოზული და მძიმე პრობლემაა. ერების კეთილდღეობებს შორის უფსკრული შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ როდესაც „მქონეთა“ და „არაფრის მქონეთა“ შორის საზღვარი *უკვე* არსებობს, მათ შორის დაძაბულობა ორჯერ აღარ გაიზრდება, ყოველ შემთხვევაში, ნაციონალიზმის თვალსაზრისით ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს (მე დროებით თავს დავანებებ პოლიტიკურად დამოუკიდებელი „პროლეტარული კლასის“ მიერ მდიდარი ერების წინააღმდეგ კოლექტიური მტრობის შესაძლებლობას. თუ ასეთი რამ მოხდება, ის ყველა შემთხვევაში რაღაც სხვა იქნება, ვიდრე ნაციონალიზმი. იგი ალბათ, ღარიბების ინტერნაციონალური სოლიდარობის გამოვლინება იქნება.).

ასე რომ, რა ემართება გვიანდელ ნაციონალიზმს, თუ ინდუსტრიული სისტემის გაფართოებასთან ერთად მოსახლეობაში კეთილდღეობის არათანაბარი გადანაწილება კლებულობს? პასუხი ამ კითხვაზე ჯერ კიდევ არ არის ნათელი, მაგრამ ამ საკითხით ჩვენ მეტად დავინტერესდებით, ვიდრე სხვა უფრო შორეული პერსპექტივებით, რადგან ზოგიერთმა ქვეყანამ ამ მდგომარეობას თითქმის მიაღწია. ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ ჩვენს თეორიულ წინამძღვრებსაც და კონკრეტულ, ემპირიულ, ისტორიულ მონაცემებსაც. ამის ჩვენება უკვე შესაძლებელია. საბოლოოდ ეს ყველაფერი ინდუსტრიული კულტურის ხასიათზეა დამოკიდებული.

ინდუსტრიული კულტურა — ერთი თუ ბევრი?

არსებობს ინდუსტრიულ საზოგადოებაში კულტურის მომავლის ორი შესაძლო ხედვა და ამ ხედვის პოლუსებს შორის არსებული რამოდენიმე საშუალო კომპრომისული შესაძლებლობა. მსოფლიო ისტორიის ჩემეული კონცეფცია ნათელი და მარტივია: კაცობრიობის სამი დიდი საფეხური — მონადირულ-შემგროვებლური, აგრარული და ინდუსტრიული — ჩვენ პრობლემას განსაზღვრავს, მაგრამ არ წყვეტს მას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარქსიზმი ორმაგად სცდებოდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ელეგანტური, ეკონომიკური და კანონიკური სამეულის გარდა სხვა სტადიების დანახვას რომ ცდილობდა (სამეულობის ისეთი მიმდევრები, როგორებიც იყვნენ კონტი[1], ფრეზერი[2] და კარლ

[1] ოგიუსტ კონტი (1798-1857) – ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი;
[2] ჯეიმს ფრეზერი (1854-1941) – ინგლისელი ეთნოგრაფი, რელიგიის ისტორიკოსი.

პოლანი[1] მართლები იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ ტრიადის ელემენტების იდენტიფიკაცია საკამათოა), არამედ იმ ვარაუდშიც, რომ თითქოს გადაწყვეტაც და პრობლემაც ყოველ საფეხურისთვის განსაზღვრული იყო.

> *მატერიალური ცხოვრების წარმოების ტიპი ცხოვრების სოციალური, პოლიტიკური და სულიერი პროცესების საერთო ხასიათს განსაზღვრავს... ჩვენ შეგვიძლია ძალიან ზოგადად, წარმოების აზიური, ანტიკური, ფეოდალური და თანამედროვე ბურჟუაზიული ტიპები გამოვყოთ და ისინი საზოგადოების ეკონომიკური ფორმაციის პროგრესულ პროცესად გავიაზროთ.*[2]

თუმცა, ზოგადად, ალბათ, საზოგადოების მხოლოდ ეკონომიკური საფუძვლით განსაზღვრება არ გაამართლებს. ყველა ტომობრივი და აგრარული საზოგადოება ერთმანეთს არ ჰგავს. ის ფაქტი, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ზესტრუქტურული მახასიათებლები (სახელმწიფო და დამწერლობა) ადრეულ გადამწყვეტ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს (საკვების წარმოების დაწყება) *არ* შეეფარდება, მარქსისტული ისტორიის ფილოსოფიისთვის განსაკუთრებით სავალალოა. თუ ჯეიმს ვუდბერნს დავუჯერებთ, გადამწყვეტ სტრუქტურულ ცვლილებას უკვე ტომობრივი საზოგადოების *შიგნითაც* ჰქონდა ადგილი. ისინი შეიძლება დაიყონ ორად: რომლებიც მყისიერი სარგებელის მიღების პრაქტიკას მისდევენ და ვინც შემგროვებლური და მონადირული ეკონომიკებიდან სარგებლის მიღებას ელოდებიან. ეს უკანასკნელი მყარი ვალდებულებებისათვის მორალურ და ინსტიტუციონალურ საფუძვლს მოითხოვს და იმ შემთხვევაში, თუ ამ მიმართულებით ხდება მოძრაობა და თუ ტექნიკური საშუალებებიც სახეზეა, განვითარებული აგრარული კულტურის წინაპირობაც წარმოიშობა.[3] ამოცანათა დროში გადანაწილება აზროვნების და ქმედებების ისეთ უნარებს წარმოშობს, რომლებიც შესაძლებელს ხდიან საკვების წარმოებაში ჩართულ ადამიანებს შორის როლთა მუდმივ სპეციალიზებას. და თუ ეს ასეა, მაშინ საკვების წარმოებისკენ გადადგმულ ამ დიდ

[1] კარლ პოლანი (1887-1964) – ამერიკელი სოციოლოგი, ეკონომიკური ანტროპოლოგიის ფუძემდებელი.
[2] K. Marx, Introduction to *A Contribution to the Critique of Political Economy*, ამ წიგნის მრავალი გამოცემა თუ თარგმანი არსებობს.
[3] James Woodburn, "Hunters and gathers today and reconstructions of the past", in E. Gellner (ed.), *Soviet and Western Antropology*, London and New York, 1980

ნაბიჯს ერთი დიდი სოციალურ-სტრუქტურული ცვლილება — სახელმწიფოს ფორმირება — *უსწრებს* წინ; და ის არანაირი უშუალო, ან ერთი განსაზღვრული გზით არ არის მასთან დაკავშირებული.[1] კაცობრიობა მონადირულ-შემგროვებლური მდგომარეობიდან, მდგომარეობიდან როდესაც ყველას აქვს ბევრი თავისუფალი დრო, აგრარულისაკენ მიემართება, ხანისაკენ, როდესაც მოცალეობა მხოლოდ ზოგიერთების (მმართველი ელიტის) პრივილეგიაა, ხოლო აქედან ის სამუშაო ეთიკით მართულ ინდუსტრიულ ხანაში შედის, ეპოქაში, სადაც მოცალეობის ფუფუნებით ვერავინ დაიკვეხნის. სხვაგვარად, ეს ასეც შეიძლება გამოითქვას: ჩვენ ვმოძრაობთ მოგების დაუყოვნებლივ მიღებიდან მცირე შეფერხებით მიღების გავლით მოგების მუდმივი შეფერხებით მიღებამდე.

ასე რომ, ზოგადად, საზოგადოების მატერიალურ საფუძველზე განსაზღვრის იდეა, ჩანს, გვერდით გვრჩება. მაგრამ ასეა თუ არა ეს ინდუსტრიული საზოგადოების ხანგრძლივი, მთავარი ტიპისთვის, რომელიც სწორედ საწარმოო ინფრასტრუქტურებით ისაზღვრება? პასუხი ნათელი არ არის და იგი მონადირულ-შემგროვებლური და აგრარული საზოგადოებების ცხადი მაგალითებით წინასწარ არ განსაზღვრულა. *შესაძლოა*, რომ ინდუსტრიულ ადამიანს მომავალში უფრო მცირე არჩევანი დარჩეს, ვიდრე ეს მის წინაპარ მონადირეს თუ გლეხს ჰქონდა. შესაძლოა, რომ თეზისი, რომლის მიხედვითაც ყველა ინდუსტრიული საზოგადოება ერთმანეთის მსგავსია, ანდა, ყოველ შემთხვევაში, მომავალში დაემსგავსება, მართალია. ამ შემთხვევაში კულტურისა და ნაციონალიზმის რა განსაკუთრებული მახასიათებლების გამოყოფაა შესაძლებელია?

უფრო მოსახერხებელია პირველად ეს კონვერგენტული თეზისი [მარქსისტული თეორია –მთარგმნ.] განვიხილოთ. დავუშვათ, *არსებობს* შემთხვევა, როდესაც საზოგადოების კულტურას მხოლოდ წარმოების ინდუსტრიული ტიპი განსაზღვრავს: ტექნოლოგიის ერთი და იგივე ტიპი ადამიანებს იერარქიების და აქტივობების ერთსა და იმავე ტიპისკენ მიმართავს, ხოლო არსებული ტექნიკის და პროდუქტიული ცხოვრების საჭიროება დასვენების სტილის იგივე ტიპს წარმოშობს. რა თქმა უნდა, უეჭველად, იარსებებენ განსხვავებული ენები: მაგრამ ის სოციალური საჭიროება, რისთვისაც ისინი გამოიგონეს და მისი მნიშვნელობები საერთო ინდუსტრიული კულტურის ფარგლებში ნებისმიერ არსებულ ენაში საოცრად მსგავსნი იქნებიან.

[1] ემპირიული თუ თეორიული სახის პრობლემები, რომლის წინაშეც მარქსიზმის სოციალურ ბაზისსა და ზედნაშენ სტრუქტურებს შორის არსებული რეგულარული ურთიერთკავშირების დოქტრინა დგას და ის სიმწვავე რასაც ის სოციალური განვითრების სწორხაზოვან ხედვაში ამჟღავნებს, საბჭოთა აზროვნებაში იქცევს გარკვეულ ყირადღებას. იხ. Лооне, Современная Философия Историй (Contemporary Philosophy of History), Tallin, 1980, Part IV

ასეთ სამყაროში ადამიანს ერთი ენიდან მეორეში გადასასვლელად დასჭირდება ახალი ლექსიკონის, ნაცნობი საგნებისა და კონტექსტებისათვის ახალი სიტყვების შესწავლა, უფრო მეტიც, მას ასევე ახალი გრამატიკის[1] შესწავლაც კი შეიძლება დასჭირდეს; მაგრამ ეს ადამიანის შესაძლებლობების საზღვრებს არ გადაჭარბებს. მას ამისთვის აზროვნების ახალ სტილს არავინ მოსთხოვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას შეუძლია, ფრაზეოლოგიური ლექსიკონის მქონე ტურისტის მსგავსად, თავი იმით დაიმშვიდოს, რომ მან ძველ ნაცნობ საგნებსა თუ საჭიროებებს მხოლოდ ახალი სიტყვები უნდა მოარგოს. ტურისტმა ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლისას იცის, რომ ადამიანის მოთხოვნები ყველგან ოთახის, საჭმლის, სასმელის, საწვავის, ტურისტული სააგენტოს და მსგავსი რამეების საჭიროებასთანაა დაკავშირებული. სწორედ ასევე, იმ სამყაროშიც, სადაც თანხვედრილი თეზისები სრულიად ქმედითუნარიანნი იქნებიან, სადაც კარგად მოწყობილი ინტერნაციონალური კონცეპტუალური სისტემის ფარგლებში, ნორმების შეცვლა ერთობ სტაბილური, ფიქსირებული და სანდო იქნება, ინტერლინგვისტური რეგულაციაც სხვა არაფერი იქნება, თუ არა ერთი ვერბალური ოდენობის სხვა ოდენობით მარტივად შეცვლა.

ამაში ნამდვილად არის სიმართლის ელემენტი. ინდუსტრიული საზოგადოება რთული შრომის დანაწილების მფლობელიცაა და ინტერნაციონალური და შინაგანი ურთიერთდამოკიდებულებაც გააჩნია. მიუხედავად ამისა, ფრთხილ ეროვნულ სახელმწიფოებს ურჩევნიათ ზედმეტად სპეციალიზებულნი, და შესაბამისად, ერთმნეთზე დამოკიდებულნი არ იყვნენ. ინტერნაციონალური ვაჭრობის მოცულობა ძალიან დიდია, ისევე როგორც მისი თანმხლები კონცეპტუალური და ინსტიტუციონალური თანხვედრილობაც. ერთობ ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ საკრედიტო ბარათები რკინის ფარდის[1] იქითაც ქმედითუნარიანნი რჩებიან. ადამიანს თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს თავისი საკრედიტო ბარათი იქ, სადაც საკუთარ აზრს თავისუფლად ვერ გამოთქვამს. დოლარი საკმაოდ ლეგალური მიმოცვლის ერთეულია, ერთ-ერთ სოციალურ სისტემაში მაინც. ამასთან უეჭველად არსებობს

[1] რკინის ფარდა – დასავლურ პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში საბჭოთა კავშირის რეჟიმის აღმნიშვნელი ცნება.

ინტერნაციონალური, ტრანს-იდეოლოგიური ახალგაზრდული კულტურა.

ინდუსტრიულ ხანაში მხოლოდ მაღალი კულტურები გადარჩებიან. ხალხური კულტურები და მცირე ტრადიციები მხოლოდ ხელოვნურად შენარჩუნდა ენის და ხალხური კულტურის შემანარჩუნებელი საზოგადოებების მიერ. უფრო მეტიც, ზოგადად მაღალ კულტურებს შორის ინდუსტრიული საზოგადოების მაღალი კულტურები განსაკუთრებულები არიან და ისინი ერთმანეთს უფრო მეტად გვანან, ვიდრე აგრარული საზოგადოების მაღალი კულტურები. ისინი საერთო სააზროვნო საფუძვლით და ცნობიერი გლობალური ეკონომიკით არიან დაკავშირებულნი. ისინი ერთმანეთს უფრო მჭიდროდ გადაფარავენ, ვიდრე ერთ დროს განსხვავებული თეოლოგიით და კულტურულად პრივატული, იდიოსინკრეტული სააზროვნო სისტემით ღრმად მოცული ძველი მაღალი კულტურები.

არის კი, ეს სრული სიმართლე? განა შეიძლება ვინმე მოელოდეს, რომ ეფექტური ინდუსტრიალიზმის მიღწევის შედეგად, ენათა და კულტურათა შორის განსხვავებები უფრო ფონეტიკურ განსხვავებებში გადაიზრდება, სადაც მხოლოდ კომუნიკაციის ზედაპირული ნიშნებით მოხდება ვარირება, მაშინ როცა გამოთქმათა და ქმედებათა სემანტიკური მნიშვნელობა და სოციალური კონტექსტი უნივერსალური და არარეგიონალური გახდება? თუ ეს აღსრულდება, განსხვავებულ ენათა შორის საკომუნიკაციო დისტანცია ძალიან შემცირდება, ხოლო შესაბამისი სოციალური დისტანცია, განსხვავებული ენის და კულტურული საფუძვლის კონტრენთროპიული და მობილურობის შემკავებელი ეფექტი თითქმის შეუმჩნეველი გახდება. ამ შემთხვევაში ნაციონალიზმის ვერცერთი აკრძალვა ინტერკულტურულ მეგობრობას და ინტერნაციონალიზმს ხელს ვერ შეუშლის.

გარკვეულ დონემდე და გარკვეულ ადგილებში, მსგავსი რამ ფაქტობრივად უკვე მოხდა: განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნის ორი გამოცდილი და განათლებული მაღალი პროფესიონალური საზოგადოების წევრი ერთმანეთის ქვეყნებში ჩასვლისას რაიმე დისკომფორტს არ გრძნობენ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთის ენაზე გამართულად ვერ ლაპარაკობდნენ. მათ მრავალნაციონალურ კორპორაციაში ურთიერთთანამშრომლობა მშვენივრად შეუძლიათ. ისინი უკვე „ერთ ენაზე" ლაპარაკობენ, მაშინაც კი, თუ ერთმანეთის ენაზე არ ლაპარაკობენ. ამ საფეხურზე უკვე რაღაც შრომისა თუ ურთიერთგაცვლის ინტერნაციონალური ბირჟის მსგავსი რამ წარმოიშობა. მაგრამ, შესაძლოა თუ არა ამ სიტუაციის განზოგადება? ირონიას იწვევს ის ფაქტიც, რომ თავდაპირველი ნაციონალიზმის მამოძრავებელი

ძალები, ანუ ინტელექტუალები, დღეს, ეროვნულ სახელმწიფოთა სამყაროში, ერთი ქვეყნიდან მეორეში ძალიან მარტივად გადადიან მინიმალური წინასწარი (უარყოფითი) განწყობების გარეშე, ისევე, როგორც ამას ისინი ადრე ინტერნაციონალური ინტერსახელმწიფოებრივი კლერიკალობის დროს სჩადიოდნენ.

თუ ინტერნაციონალური მოძრაობის ეს თავისუფლება საყოველთაო გახდება, შეიძლება ნაციონალიზმის პრობლემა აღარც დადგეს. ყოველ შემთხვევაში, კულტურული განსხვავებებით წარმოშობილი საკომუნიკაციო ბარიერები შეიძლება მნიშვნელოვანნი აღარ იყვნენ და აღარც ეროვნული დაძაბულობები წარმოშვას. ნაციონალიზმი, როგორც მუდმივი პრობლემა, როგორც პოლიტიკური და კულტურული საზღვრების თანხვედრილობის ნაციონალისტური იმპერატივის უარმყოფელი წყობილების წინააღმდეგ აღმართული დამოკლეს მახვილი, შეიძლება დაიძლიოს და მუდმივად თანმდევ, მწვავე საშიშროებად აღარ მოგვევლინოს. საფუძველშივე ერთგვაროვანი, მხოლოდ ფონეტიკურად, ზედაპირულად და არა სემანტიკურად განსხვავებული ენებით გამიჯნულ ინდუსტრიულ კულტურის ამ ჰიპოთეტურ გლობალურ განგრძობითობაში ნაციონალიზმის ხანა შეიძლება წარსული მოვლენა გახდეს.

ისე კი არ მგონია, ასე მოხდეს. მირჩევნია ამ თვალსაზრისში ჯ. ფ. რეველს მივემხრო:

> *ყველა ერი ერთმანეთის მსგავსი არ არის. ისინი ერთმანეთს არც სიღარიბეში ჰგავდნენ და არც ფუფუნებაში ჰგვანან.*[1]

ინდუსტრიული პროდუქციის, მეცნიერების საერთო საფუძვლის და ერთაშორისი ურთულესი კონტაქტების საერთო მახასიათებლები, ეჭვს გარეშეა, გლობალური კულტურათა ურთიერთგავლენას აძლიერებს, რისი დანახვაც ჩვენ უკვე შეგვიძლია. ეს აგვაცილებს კულტურული განსხვავებისაგან მომდინარე ურთიერთობების შუეძლებლობას, რაც პრივილეგირებულთა და არაპრივილეგირებულთა შორის არსებულ მეტ-ნაკლებ დაძაბულობას კიდევ უფრო გაართულებდა (თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სხვა კონტრენთროპიული მახასიათებლები არ გამწვავდება და დაძაბულობას არ გამოიწვევს). განვითარებულ ქვეყნებში, იმ ქვეყნებში, სადაც მოქალაქეთა დიდი ნაწილი საკმაოდ კარგად და თითქმის თანაბარი უფლებითაა ნაზიარები გაბატონებულ ეკონომიკურად ეფექტურ მაღალ კულტურას, იქ, სადაც არსებული კულტურული უთანასწორობები ამ „ეთნიკური" მომენტით არ გამ-

---

1 J.F. Revel, En France, Paris, 1965

წვავდება და პოლიტიკურად არ გააქტიურდება, შეიძლება თავი კვლავ მეორადი კულტურული პლურალიზმის და განსხვავებულობის გარკვეულმა ოდენობამ იჩინოს, ოღონდ ის პოლიტიკურად უწყინარი იქნება. მოცემული ზოგადი განვითარება, სოციალური წარმატების მიღწევის თანაბარი შანსი, ნათესაური ან საერთო ისტორიის მქონე კულტურების ერთმანეთის გვერდიგვერდ მეგობრულად არსებობის საშუალებას იძლევა. არ ჩანს, რომ გრიზონის შვეიცარული კანტონის ენობრივ მრავალფეროვნებას ამ კანტონის პოლიტიკურ ერთიანობისთვის რაიმე დაძაბულობა მოეტანოს. იგივეს ვერ ვიტყვით ბერნის კანტონზე, სადაც იურას მცხოვრებნი იმდენად უკმაყოფილონი იყვნენ გერმანულენოვან ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფნისა, რომ შვეიცარიის კონფედერაციის რეორგანიზაცია მოახდინეს (რაც კონფლიქტების გარეშე ვერ მოხერხდა).

მაგრამ, ორი დიდი, პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი, დამოუკიდებლობის ღირსი კულტურის ერთ პოლიტიკურ სივრცეში თანაცხოვრება ისევ ძნელად წარმოსადგენია, გინდაც გვჯეროდეს, რომ მათ ორივეს ერთი პოლიტიკური ცენტრი სრულიად მიუკერძოებლად მოემსახურება. შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ დამოუკიდებლობის ხარისხი, რომლებსაც ერები სხვადასხვა გარემოებებში დაიცავენ. სუვერენიტეტის შეზღუდვა დასაშვები იქნება მხოლოდ ისეთი ორგანიზმების მიერ, როგორებიც არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რეგიონალური კონფედერაციები, ალიანსები და ა.შ. თუმცა, ეს ჩვენი შესწავლის საგანი აღარ არის და არც ის თემა, რომლის გარჩევაც ახლა აუცილებელია. მაგრამ ჩანს, რომ ცხოვრებისა და კომუნიკაციის კულტურულ ფორმებს შორის განსხვავებები, მიუხედავად მსგავსი ეკონომიკური საფუძვლისა, მაინც საკმაოდ დიდნი იქნებიან იმისთვის, რომ დამოუკიდებელი მომსახურება, შესაბამისად კი, განსხვავებული კულტურულ-პოლიტიკური ერთეულები მოითხოვონ, მიუხედავად იმისა, იქნებიან თუ არა ისინი სრულიად დამოუკიდებელნი.

რა უნდა ითქვას სხვა ექსტრემალურ შესაძლებლობაზე? ალტერნატიულია ის შესაძლებლობა, რომლის თანახმადაც განსხვავებული კულტურები შესაძლოა ისეთივე ურთიერთშეუდარებელნი და არაფარდობითნი (თუ მეტად არა) დარჩნენ, როგორადაც მათ პრეინდუსტრიულ კულტურებში უწევდათ ყოფნა. ეს საკითხი იმ ფაქტითაცაა გართულებული, რომ ანთროპოლოგებისთვისაც კი არ არის ნათელი, *რამდენად* ურთიერთშეუდარებელნი და თვითკმარნი იყვნენ პრეინდუსტრიული კულტურები.

თავის ექსტრემალურ ფორმაში არათანაბრობის თეზისი დაახლოებით შემდეგნაირად ყალიბდება: ყოველ კულტურას, ან

ცხოვრების სტილს საკუთარი სტანდარტი გააჩნია, რომელიც არა მხოლოდ „კეთილდღეობის", არამედ თავად რეალურობის სტანდარტია. არ შეიძლება რომელიმე კულტურის განსჯა სხვა კულტურის სტანდარტებით, ან სტანდარტებით, რომელიც თავს ისე აჩვენებს, თითქოს ყველა კულტურისათვის უნივერსალური ყოფილიყოს. ამ მოსაზრებას, როგორც წესი, რომანტიკოსები ქადაგებენ. ისინი მას, ძველი რწმენებისა და ჩვევების რაციონალური კრიტიციზმისაგან დასაცავ წინაპირობად იყენებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ გარეგანი უნივერსალური რაციონალური სტანდარტი მითია. ამ ფორმით, ასეთი პოზიცია, ალბათ, სასტიკ ნაციონალიზმს გამოიწვევს, რამდენადაც ცხადია, რომ ერთი კულტურის სხვა კულტურის წევრების მიერ თავის ადმინისტრირებულ-პოლიტიკური მმართველობისადმი დაქვემდებარება ყოველთვის საშინლად უსამართლო იქნება.

მე ურთიერთ/შეუდარებლობის თეზისის აგრარული საზოგადოებისთვის მისადაგებისადმიც კი ძალიან სკეპტიკურად ვარ განწყობილი. მე არ მჯერა, რომ მისი საფუძვლიანად გამოყენება შეიძლება ინტერკულტურული კომუნიკაციების, ან აგრარული და ინდუსტრიული კულტურების შედარებითი ევოლუციის უარსაყოფად. არათანაბრობის თეზისის ცოტაოდენი დამაჯერებლობა გვიანი აგრარული საზოგადოების მიერ საკუთარი თავის აბსოლუტად გამომცხადებელი, კრიტიკისადმი ძალიან მწყრალად განწყობილი რწმენის სერიოზულად მიღების ტენდენციის დამსახურებაა (რწმენისა, რომელიც ზოგადად ისეა კონსტრუირებული, რომ გარეგნულად ლოგიკურად მუდამ შეურყეველია, შინაგანად კი, მუდმივად თვითგამყარებაზეა დამოკიდებული). ამ კარგად ცნობილი მახასიათებლების მიუხედავად (რომელიც ახლა ლიბერალური ორიენტაციის ადამიანში ზიზღს იწვევს), ზემოხსენებული რწმენის მიმდევრებმა პრაქტიკულად იცოდნენ, როგორ უნდა დაეძლიათ საკუთარი საქვეყნოდ განთქმული შეზღუდულობა. ისინი კონცეპტუალურად ორენოვანნი იყვნენ და არიან კიდეც, მათ იცოდნენ როგორ გადამხტარიყვნენ მკვირცხლად და უმტკივნეულოდ თანაზომადობის ენიდან არათანაზომადობის ენაზე. იმ რელიგიის წარმომადგენლები, რომლებიც ჭეშმარიტების მონოპოლიაზე აცხადებენ პრეტენზიას, მიუხედავად ამისა, მაინც სიხარულით იღებდნენ მონაწილეობას ეკლესიების მსოფლიო დისკუსიებში. კითხვა რომელსაც აინტერესებს თუ *როგორ* ხდება რელატივიზმის გადალახვა ძნელი და საინტერესოა, მაგრამ ახლა ის აქ ვერ გადაწყდება. თუმცა, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, თუ ჩვენ იმას მაინც გადავლახავთ, რასაც კულტურულ ჭუპრებსა და მისი ნორმების ქსელში დამწყვდევა ჰქვია და თანაც რამოდენიმე ცხადი მიზეზის — საერთო შემეცნებითი და პროდუქტიული საფუძველის,

ბევრად გაზრდილი ინტერსოციალური კომუნიკაციების გამო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ინდუსტრიული ადამიანი უფრო ნაკლებად იქნება თავის ლოკალურ კულტურაში დატყვევებული, ვიდრე მისი წინაპარი აგრარული ადამიანი.

ჩანს, რომ ამ თემაზე საუბრისას სიმართლე სადღაც შუაში უნდა ვეძებოთ. განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების ინფრასტრუქტურები და მისი გარდაუვალი გამოვლინებები კვლავაც დაგვარწმუნებენ იმაში, რომ ადამიანები კულტურაზე არიან დამოკიდებულნი, და რომ კულტურა საკმაოდ დიდ სივრცეებზე გავრცობას მოითხოვს და რომ მას ცენტრალიზებული სააგენტოები უნდა ემსახურებოდნენ და იცავდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის შემოსავალი და მისი ადგილი საზოგადოებაში ისევ იმ ხანგრძლივ და მრავალმხრივ წვრთნაზეა დამოკიდებული, რომელსაც კლანური ან ლოკალური დაჯგუფებები ვერ უზრუნველყოფენ. თუ ეს ასეა, პოლიტიკური ერთეულების გამოყოფა და საზღვრების შემოფარგვლა თავის თავისადმი ზიანის მიყენების გარეშე კულტურის განაწილების ფაქტს გვერდს ვერ აუვლის. ყოველგვარი სუსტი და უწყინარი ცვლილებების მიუხედავად, პოლიტიკური ერთეულების და კულტურის ურთიერთთანხვედრილობის ნაციონალისტური იმპერატივი არსებობას გააგრძელებს. ამ აზრით, ნაციონალიზმის ხანის დასასრული მოსალოდნელი არ არის.

თუმცა უნდა ველოდოთ, რომ ნაციონალისტური კონფლიქტის სიმწვავე დაიკლებს. ადრეული ინდუსტრიალიზმისა და მისი დიფუზიის არაგაწონასწორებულობის მიერ შექმნილი სოციალური უფსკრული ამ კონფლიქტს უფრო ამწვავებდა. ეს სოციალური უფსკრულები, ალბათ, აგრარულ საზოგადოებაში არსებულზე უარესნი არ იყვნენ, მაგრამ ისინი აღარ იყვნენ ტრადიციით და ხანგრძლივობით შერბილებულნი, ან დაკანონებულნი. ისინი ისეთ კონტექსტში არსებობდნენ, რომელიც სხვაგვარად ასაზრდოებდა თანასწორობის იმედსა და მოლოდინს, ის, ამასთანავე, მობილურობასაც მოითხოვდა. იქ, სადაც კულტურული განმასხვავებლები ამ უფსკრულების დასასაზღვრად მუშაობდნენ, აუცილებლად უბედურება ტრიალდებოდა. სადაც ეს ასე არ იყო, იქ არაფერი ხდებოდა. როდესაც სრულიად სტაბილურ, აგრარულ სისტემებში სახელმწიფოები ყალიბდებოდნენ, „ერები“, ეთნიკური ჯგუფები სულაც არ იყვნენ ნაციონალისტურნი. კლასები, რამდენადაც ჩაგრულნი და ექსპლუატირებულნი არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვერ შეცვლიდნენ პოლიტიკურ სისტემას, სანამ ისინი თავის თავს „ეთნიკურად“ არ განსაზღვრავდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერი თავად გახდა კლასი, სხვამხრივ მობილურ სისტემაში შესამჩნევად და არათანაბრად გავრცელებამ ის პოლიტიკურად შეცნობად და აქტიურ კატეგორიად გადააქცია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კლასი

მეტ-ნაკლებად „ერად“ იქცევა, ის „თავის-თავში-კლასიდან“ „თავისთვის-კლასად“, ანდა „თავისთვის-ერად“ გადაიქცევა. პოლიტიკური კატალიზატორი ვერც ერი და ვერც კლასი ვერ იქნება: მხოლოდ ეროვნულ კლასს ან კლასს-ერს შეუძლია იყოს რაიმეს კატალიზატორი.

ამ ფაქტს ერთი საინტერესო ავტორიც აცნობიერებს, სწორედ ის, ვინც მარქსიზმის გადარჩენას ან მისი ახალი სიცოცხლისუნარიანი ფორმის განახლებას ან თავიდან გამოგონებას ცდილობს.[1] გვიანი ინდუსტრიული საზოგადოება უკვე ისეთ ღრმა უფსკრულებს აღარ წარმოშობს, რომელიც შემდეგ ეთნიკური მიკუთვნებულობით შეიძლება იყოს გააქტიურებული (მე გავაგრძელებ სირთულეების წარმოჩინებას, ხანდახან ტრაგიკულისაც კი, მაგალითად, კონტრენთროპიული მახასიათებლებიდან ისეთის, როგორიც „რასა“, რომელიც თავის ღია ეგალიტარიზმს აშკარად უარყოფს). მან პატივი უნდა სცეს აქა-იქ ჯერ კიდევ გადარჩენილ კულტურულ განსხვავებებს, და თან აკონტროლოს, რომ ეს განსხვავებები ზედაპირულნი დარჩნენ და ადამიანებს შორის ნამდვილი ბარიერები არ წარმოშვან, რადგან სერიოზულ პრობლემას ბარიერები წარმოშობენ და არა კულტურები. მიუხედავად იმისა, რომ ხალხური კულტურების ადრინდელ მრავალფეროვნებას გადარჩენა არ უწერია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რაღაც სიმბოლოებსა და ცელოფანში შეფუთულ ფორმებს), ეჭვს გარეშეა, რომ საკმაოდ განსხვავებული მაღალი კულტურების ინტერნაციონალური მრავალფეროვნება ჩვენთან დარჩება. მათში ჩადებული ინფრასტრუქტურული ინვესტიციები, შეიძლება მათივე შენარჩუნებისათვის იქნეს გამოყენებული. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ბევრმა საზღვარმა საკუთარი თავი უკვე ამ კულტურულ საზღვარს მიაკუთვნა და ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ნაციონალისტური იმპერატივი ახლა ფართოდ აღიარებულია; მას განვითარებული საზოგადოებები ღიად იშვიათად თუ უარყოფენ და მასთან ღიად დაპირისპირებას გაურბიან. უნდა ველოდოთ, რომ გვიან ინდუსტრიულ საზოგადოებაში (თუ კაცობრიობას უწერია მისით საკმაო ხნის განმავლობაში ტკბობა) ნაციონალიზმი დარჩება, თუმცა უფრო მშვიდი და არააგრესიული ფორმით.

---

[1] Narin, *The Break-up of Britain*.

9
ნაციონალიზმი და იდეოლოგია

ნაციონალიზმის ჩვენეული კვლევის ერთი ყურადსაღები მახასიათებელი ნაციონალისტური იდეის ისტორიისადმი და სხვადასხვა ნაციონალისტი მოაზროვნეების ღვაწლისა და იდეებისადმი ინტერესის ნაკლებობაა. ეს მომენტი ჩვენს კვლევას ამ თემისადმი მიძღვნილი ბევრი სხვა გამოკვლევებისაგან მნიშვნელოვნად განასხვავებს. ეს დამოკიდებულება ისტორიაში იდეების როლისადმი რაიმე ზოგადი გულცივი განწყობისაგან არ მომდინარეობს. ზოგიერთ იდეებსა და რწმენის სისტემებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ (არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც კარგ იდეას ჰქონდეს დიდი ეფექტი. ზოგი იდეა კარგია, ზოგი კი ცუდი, ზოგს მნიშვნელოვანი შედეგი მოაქვს, ზოგსაც არანაირი და ამ ოპოზიციებს შორის არავითარი სისტემატური ურთიერთდამოკიდებულება არ არსებობს). მაგალითად, რწმენის ისეთი სისტემებიც კი, როგორებიც ქრისტიანობა და მარქსიზმია, პირობითია: ორივე მათგანი რთული თემებისაგან შედგება, და ყოველი მათგანი მხოლოდ იმ სიტუაციისთვის არის დამახასიათებელი, რომელშიც იგი იბადებოდა. მაგრამ ისინი, როგორც სახელით, ისტორიით და განგრძობითობით გარანტირებული კერძო კომბინაციები, ამა თუ იმ ტიპის ერთეულში მოაზროვნეთა და სასულიერო პირთა მიერ იყვნენ დამუშავებულნი და გაერთიანებულნი.

ეს გაერთიანება, რაღაც აზრით უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ცალკეული ელემენტების ამორჩევითი გამოყენება. უფრო მეტიც, გაჩენისთანავე ისინი იმ საზოგადოებებში იწყებენ გაბატონებას, სადაც მათ დოქტრინებს დიდი სერიოზულობით იღებენ და იყენებენ. ამის გამო, თუ ჩვენ ამ საზოგადოებების ბედის გაგება გვინდა, ვალდებულები ვართ ფრთხილად შევხედოთ ამ რწმენების ჩამომყალიბებელ მოაზროვნეთა სიტყვებს, დოქტრინებსა თუ არგუმენტებს. მაგალითად, გარკვეულმა ეთნოგრაფიულმა დოქტრინებმა ჩამორჩენილი ქვეყნების სოფლებში თემის სულის გადარჩენისა და მათი განახლებისთვის პირობების შექმნის შესახებ, რომლებმაც 1870-იან წლებში მარქსსა და ენგელსზე გარკვეული გავლენა მოახდინეს და რომელთა ასახვაც შემდგომ მარქსიზმში მოხდა, საბჭოთა აგრარულ პოლიტიკაზე, ალბათ, გადამწყვეტი და თანაც დამღუპველი შედეგები იქონია.

მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ ეს ნაციონალიზმის შემთხვევაშიც

ასეა (ამან, სხვათაშორის, შეიძლება ახსნას, თუ რატომ დაიმსახურა ნაციონალიზმმა, მიუხედავად მისი უდაო მნიშვნელობისა, აკადემიური პოლიტიკის ფილოსოფოსთა ნაკლები ყურადღება: არ არსებობდა დოქტრინათა და ტექსტთა ის საკმარისი რაოდენობა, რომელსაც ისინი ხელს ჩასჭიდებდნენ).[1] საქმის ისე წარმოდგენაც არ შეიძლება, ნაციონალიზმის წინასწარმეტყველები საერთოდ არ არსებობდნენ, ან მათი ნააზრევი მდარე იყო: თუმცა, ეს თავისთავად ხელს არ შეუშლის მოაზროვნეს ისტორიაზე უზარმაზარი, გადამწყვეტი და რეალური გავლენა მოახდინოს. ამას უამრავი მაგალითი ამტკიცებს. საქმე უფრო იმაშია, რომ ეს მოაზროვნეები ერთმანეთისგან რეალურად დიდად არ განსხვავდებოდნენ. თუ რომელიმე მათგანი გამოაკლდებოდა, მის ადგილს მარტივად დაიკავებდა სხვა (ისინიც რაღაც დაახლოებით მსგავსს ამბობდნენ). შეუცვლელი არცერთი მათგანი არ იყო. სავარაუდოა, რომ ნაციონალისტური აზროვნების ხარისხზე ასეთი შეცვლები ნაკლებ გავლენას მოახდენდა.

ალბათ, არც ღირს მათი დოქტრინების ზუსტი გაანალიზება. ჩანს, რომ ჩვენ იმ ფენომენის დროში ვცხოვრობთ, როდესაც ჩვენი საერთო სოციალური პირობების ძირეული ცვლილებების პარალელურად საზოგადოებებს, კულტურებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში არსებული ყოვლისმომცველი ცვლილებებიც მომდინარეობს. უეჭველია, რომ ამ ფენომენის გამოჩენა და ადგილობრივი ხასიათი ბევრადაა ადგილობრივ გარემოებებზე დამოკიდებული, რომელთა შესწავლაც ნამდვილად ღირს. თუმცა, მე არ ვარ დარწმუნებული, ამ გარემოებათა მოდიფიცირებაში ნაციონალისტური *დოქტრინის* ნიუანსები რაიმე განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ.

ზოგადად, ალბათ, ნაციონალისტური იდეოლოგია, იმის გამო, რომ მას არასწორად ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, საკმაოდ დიდ

---

[1] ნაციონალიზმის აუცილებლობასა და მისადმი მიძღვნილ მოსაზრებათა რაოდენობას შორის დისპროპორციას აღნიშნავს Pr. Eric Hobsawm "Some Reflections on Nationalizm", in *Imagination and Precision in the Social Sciences, Essays in Memory of Peter Nettl*, T.J. Nossiter, A.H. Hanson and Stein Rokkan, et al. (eds.), Atlantic Heights, NJ, 1972. იგი D. Mack Smith`s IL Risorgimento-დან იღებს მაზინის რამოდენიმე ექსცენტრულ იდეას ევროპის ნაციონალისტური ორგანიზაციის შესახებ, რომელიც სლოვენიას რაღაც დიდ შვეიცარიას უერთებს, უნგრელებს, ჩეხებსა და რუმინელებს კი რატომღაც ჰერცოგოვინას. ცხადია, რომ მაზინი იტალიის მიღმა არსებულ ქვეყნებს პოლიტიკური ეკონომიკის და ტერიტორიული კომპაქტურობის კუთხით უფრო განიხილავდა, ვიდრე კულტურული საზღვრების პრინციპებზე დაყრდნობით.

ზარალშია. მისი მითები რეალობის შებრუნებას, ამოტრიალებას ახდენს: ის [მითი – მთარგმნ.] აცხადებს, რომ ხალხურ კულტურას იცავს, მაშინ, როდესაც რეალურად ის [ნაციონალიზმი – მთარგმნ.] მაღალი კუტურის გამოჭედვით არის დაკავებული; ის აცხადებს, რომ ძველ ხალხურ საზოგადოებას იცავს მაშინ, როდესაც სინამდვილეში ანონიმური მასობრივი საზოგადოების ასაშენებლად იღწვის (პრენაციონალისტური გერმანია ნამდვილ, სოფლურ თემთა მრავალფეროვნებისაგან შედგებოდა. პოსტნაციონალისტური გაერთიანებული გერმანია ძირითადად ინდუსტრიული და მასობრივი საზოგადოება იყო). ნაციონალიზმი საკუთარ თავს მანიფესტად და ყველა ადამიანისთვის თავისთავად ცხად პრინციპად წარმოადგენს, რომელსაც ხელი მხოლოდ ზოგიერთის ჯიუტი სიბრმავის გამო ეშლება. რეალურად კი, ის თავის დამაჯერებლობას და სრულყოფილ ბუნებას გარემოებათა განსაკუთრებულ ერთიანობას უნდა უმადლოდეს, რომელიც რეალურად ძალას ახლა იკრებს და რომელიც ისტორიისა და კაცობრიობის დიდი ნაწილისთვის უცხოა. იგი მემკვიდრეობითობას ქადაგებს და იცავს, თუმცა ყოველივეს კაცობრიობის ისტორიაში მომხდარ გადამწყვეტ და საოცრად ღრმა გარდატეხას უნდა უმადლოდეს. ის იცავს და ქადაგებს კულტურულ მრავალფეროვნებასაც, როდესაც ფაქტობრივად პოლიტიკურ ერთეულებს შიგნით და, გარკვეულ დონეზე, პოლიტიკურ ერთეულებს შორისაც, ჰომოგენურობას წარმოშობს. მისი თვითწარმოდგენა და მისი ნამდვილი ბუნება ერთობ უკუპროპორციულ ურთიერთობაშია, რაც სხვა წარმატებულ იდეოლოგიებში ნაკლებად გვხვდება. აქედან გამომდინარე, მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ნაციონალიზმი მისივე მქადაგებლების შრომებიდან არ უნდა შევისწავლოთ.

იქნებ უმჯობესია იგი მისი მოწინააღმდეგეების სწავლებიდან გავიცნოთ? მაგრამ აქაც, ფრთხილად უნდა ვიყოთ. ჩემი აზრით, ის დადებითი, რაც მათგან შეიძლება ავიღოთ, შემდეგია: ნაციონალიზმი თავისივე ღირებულებების, თავისივე განსაზღვრებების სივრცეში არ უნდა შევისწავლოთ და ის არ უნდა აღვიქვათ, როგორც თავისთავად ცხადი მოვლენა. მისი ამგვარად აღქმის ცდუნება საკმაოდ ღრმად დევს თანამედროვე ყოფაში: იქ, სადაც კულტურულად ერთგვაროვანი გაერთიანებები, სადაც ის ვინც მართავს და ის, ვისაც მართავენ, ერთსა და იმავე კულტურას მიეკუთვნებიან, ისეთი ნორმაა, რომლის შეცვლაც, ბევრის აზრით, ბუნებრივ სკანდალს გამოიწვევს. ამ ყოვლისმომცველი სიყალბიდან თავის დაღწევა მართლაც საშური საქმეა. ეს ნამდვილი აღმოჩენაა.

თუმცა, ასევე არასწორი იქნება ნაციონალიზმის ისეთ მტერს, როგორიც ელი კედურია ყველაფერში დავეთანხმოთ, და ნაციონალიზმი ევროპელი მოაზროვნეების მიერ შემთხვევით შექმნილ, სხვადასხვა გარემოებებზე დამოკიდებულ და, თავიდან მოსაცილებელ დაბნეულობად განვიხილოთ. ნაციონალიზმი, როგორც კულტურულად ჰომოგენური ერთეულების, პოლიტიკური ცხოვრების, მმართველების და სამართავების ურთიერთვალდებული კულტურული ერთეულის საფუძვლის პრინციპი, არც საგანთა ბუნებაშია ჩაწერილი, არც ადამიანთა გულებში და არც საერთო სოციალური ცხოვრების წინაპირობებში. განცხადება, რომ ეს *ასეა*, იმ სიყალბეში მდგომარეობს რაც ნაციონალისტურმა დოქტრინამ, წარმატებით წარმოგვიდგინა როგორც თავისთავად ცხადი რამ. მაგრამ ნაციონალიზმი, როგორც ფენომენი და არა როგორც ნაციონალისტების მიერ წარმოდგენილი დოქტრინა, პირობათა გარკვეული ქსელისთვის საკმაოდ დამახასიათებელია; თანაც ისე მოხდა, რომ ეს პირობები ჩვენი დროის პირობებია.

ამის უარყოფა ისეთივე შეცდომაა, როგორც ნაციონალიზმის მიღება იმ პირობებით, რომელსაც ის გვკარნახობს. აშკარად მიუღებელია ის მოსაზრებებიც, რომ ისეთი ფართო და ყოვლისმომცველი ძალა, ცეცხლი, რომელიც ბევრ ერთმანეთთან დაუკავშირებელ ადგილას ასე ძლიერად და სპონტანურად ჩნდება და რომელსაც ძალიან ცოტა რამ სჭირდება ყველაფრის მშთანთქმელ ტყის ხანძრად გადასაქცევად, სხვა არაფერია თუ არა ფილოსოფოსთა საოცრად ძნელად გასაგები ტვინის ღრძობის შედეგი. კარგია ეს თუ ცუდი ჩვენს იდეებს იშვიათად აქვთ ასეთი ძალა.

იაფი ქაღალდის, გამომცემლობების, საყოველთაო წიგნიერების და გაადვილებული კომუნიკაციების ხანაში სხვადასხვა იდეოლოგიების ფართო არჩევანია. მათი ჩამოყალიბება და პროპაგანდა ხშირად ისეთი ადამიანების მიერ ხდება ხოლმე, რომლებსაც იმათზე მეტი ლიტერატურული თუ პროპაგანდისტული მონაცემები გააჩნიათ, ვიდრე მათ, ვისაც ბუნებამ ნაციონალიზმის მქადაგებლობა დააკისრა. მიუხედავად ამისა, მსგავს უაზრობათა სხვა ფორმებს კაცობრიობაზე ასეთი გავლენა არ მოუხდენია, თუმცა ლიტერატურული უნარები არც მათ ავტორებს აკლდათ. ეს შემთხვევითობის მიზეზი არ უნდა ყოფილიყო. ექსპერიმენტი ერთი მთლიანის იმდენ ნაწილში განმეორდა, რომ თუ სადღაც ერთი დოქტრინის გამარჯვების შანსი ძალიან დიდი იყო, მაშინ სხვაგან გამარჯვების შესაძლებლობა სხვა დოქტრინას უნდა ჰქონოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა: შემთხვევათა მიმართულება უმრავლეს ადგილებში ერთსა და იმავე გზისკენ მიგვითითებს. და თუ ჩვენ ზოგად სოციალურ პირობებსა და გადაულახავ გაბატონებულ ტენდენციებს შორის ცხადი კავშირის გამოვლენას *შევძლებთ*, მაშინ ამ კავშირების მოხმობის საფუძველი ნამდვილად უფრო გვაქვს, ვიდრე შემთხვევითი იდეის შემთხვევითი გამოჩენისა, რომელიც

XVIII-XIX საუკუნეების ევროპული ინტელექტუალური წარმოდგენების მიერ იყო შემოგდებული.

ნაციონალიზმის შემთხვევაში (თუმცა სხვა მოძრაობებს ყოველთვის იგივე არ შეესაბამება), იდეის ან იდეათა აქტუალური ფორმულირება, ანდა საკითხი — ზუსტად ვინ რა თქვა ან რა დაწერა — ბევრს არაფერს ნიშნავს. მთავარი იდეა, ყველა შემთხვევაში, იმდენად მარტივი და ადვილია, რომ მისი გამოყენება ყველას ყოველთვის შეუძლია. ნაწილობრივ ამის შედეგია ის, რომ ნაციონალიზმი საკუთარ თავს, როგორც *მარად* ბუნებრივს აცხადებს. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ცხოვრების პირობებს, რომელიც ამ იდეას წარმოაჩენს აუცილებლად და არა აბსურდულად, როგორც ეს სიტუაციათა უმრავლესობაში ხდება ხოლმე.

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ალბათ, აზრი აქვს რამოდენიმე სიტყვით ნაციონალისტური იდეის გავრცელებაში კომუნიკაციის როლსაც შევეხოთ. ეს მომენტი ნაციონალიზმის იდეის გამაანალიზებელ სულ მცირე ერთ ავტორთან[1] მაინც, გადამწყვეტ როლს თამაშობს. მაგრამ ნაციონალიზმსა და თანამედროვე კომუნიკაციების სიადვილეს შორის კავშირის ჩვეულებრივი ფორმულირება ცოტა არ იყოს მაცდურია. ის გვიქმნის ილუზიას, თითქოს მოცემული იდეა (ნაციონალიზმი) ყოველთვის არსებობდა და შემდეგ ის დაბეჭდილმა სიტყვამ, რადიომ თუ მედიის სხვა საშუალებებმა ყველაზე შორ ტალღებზე მყოფ აუდიტორიამდეც მიიტანეს, აუდიტორიამდე, რომელიც მასმედიის არარსებობის ხანაში ამ იდეის გარეშე რჩებოდა.

ეს მცდარი მიდგომაა. მედია მასში ჩადებული იდეების გადაცემას არ ახდენს. სულაც არ არის მნიშვნელოვანი თუ რა არის მასში ჩადებული: თავად მედია, ისევე როგორც აბსტრაქტული, ცენტრალიზებული, სტანდარტიზებული და ყველა ინფორმაციისთვის საყოველთაო აუცილებლობა ნაციონალიზმის ცენტრალურ იდეას ავტომატურად წარმოშობს, ამასთან ისე, რომ სულაც არ აქცევს ყურადღებას იმას, თუ კერძოდ რა არის ჩადებული მის მიერ გავრცელებულ ამ განსაკუთრებულ იდეაში. მნიშვნელოვან, აუცილებელ ინფორმაციათა უმრავლესობა თავად მედიითაა გენერირებული, იმ როლით, რაც მან თანამედროვე ცხოვრებაში მიიღო. მთავარი კი ის არის, რომ ახლა გადაცემის ენა და სტილი ხდება მნიშვნელოვანი, რადგან მხოლოდ იმას აქვს საზოგადოებაში მორალურად თუ ეკონომიკურად ჩართვის უფლება, ვისაც ამ ინფორმაციის გაგება და შეთვისება შეუძლია, ვისაც ეს არ ძალუძს, ის გარიყულია. ყოველივე ეს დღესავით ნათელია და ამ ტიპის საზოგადოებებში მასობრივი კომუნიკაციის ყოვლისმომცველი და

[1] K.W. Deutsch, *Nationalism and Social Communication*, New York, 1966.

გადამწყვეტი როლიდან მომდინარეობს. ის, რაც სინამდვილეში *ითქმება* ცოტას ნიშნავს.

მეთოდი, რომელშიც იმ პირობების შეცვლა მოხდა, რომელმაც ერთ დროს ექსცენტრიული იდეა თავისთავად ცხად რამედ აქცია, ალბათ, ყველაზე უკეთ კედურის დასკვნითი და გადამწყვეტი სიტყვებით გამოიხატება:

> *ერთადერთი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც საზოგადოების დაცულობაზე შეიძლება მსჯელობა, არის ის, იქნებიან თუ არა ახალი მმართველები ნაკლებად კორუმპირებულები და მომხვეჭელები, უფრო სამართლიანები და შემწყნარებელნი, თუ საერთოდ არანაირი ცვლილება არ მოხდება და კორუფცია, მიმტაცებლობა და ტირანია ძველებისგან განსხვავებით უბრალოდ სხვა მსხვერპლს იპოვის?* (ე. კედური „ნაციონალიზმი", გვ.140).

შეკითხვა, რომელსაც პროფესორი კედური ასე ხატოვნად სვამს, სინამდვილეში არის კითხვა, რომელსაც აგრარულ საზოგადოებაში დაუსვამდა საკუთარ თავს ტიპიური ბიურგერი, თუ ის ერთ მშვენიერ დილას გაიგონებდა, რომ ადგილობრივი ფაშა ჩამოუგდიათ და ის სხვა ვინმეთი შეუცვლიათ. და თუ მისი ცოლი გაბედავს და ამ საკითხთან დაკავშირებით დაუსვამს ქმარს შეკითხვას, თუ რა ენაზე ლაპარაკობდა ფაშა ოჯახურ გარემოში — არაბულად, თურქულად, სპარსულად, ფრანგულად თუ ინგლისურად, საცოდავი კაცი მას, ალბათ, მკაცრად შეხედავს და ჰკითხავს, როგორ უნდა მოვახერხო ყველა ჩემი პრობლემის მოგვარება, თუ ყველაფერთან ერთად ცოლიც გამიგიჟდაო. შემდგომ ის, ალბათ, ცოლს რომელიმე სულიერ შეშლილობათა განკურნებით სახელგანთქმულ ადგილობრივ სამლოცველოში გააგზავნის.

კედურის მიერ რეკომენდირებული საკითხი იმ საზოგადოებებშია მნიშვნელოვანი, სადაც ერთის მხრივ მთავრობა და მეორეს მხრივ ეკონომიკა ერთმანეთს დაშორებულია, სადაც ამ ორს შორის კულტურული კავშირი შეუძლებელია, სადაც ვინმემ შეიძლება მხოლოდ უფრო ლმობიერ და სამართლიან ხელისუფლებაზე იოცნებოს, მაგრამ არა ერთობლივ და ურთიერთვალდებულ წარმომადგენლობითობაზე (რაც ვეჭვობ ჩვენშიც კი სრულიად ილუზორული ლტოლვაა). თუმცა, ამ შემთხვევაში რაღაც უფრო მეტი უნდა მომხდარიყო, ვიდრე ევროპელი წიგნის ჭიების ბნელი სიტყვების ქვეყნად მიმოფანტვაა, რომ ერთ დროს ცოლის მიერ დასმული შეკითხვა, რომელსაც სიგიჟის კვალიფიკაცია მიეცა, იმ

საკითხად ექცია, რომელსაც დღეს ყველას გონებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რაღაც მართლაც მოხდა. ეკონომიკა დღეს უკვე ისეთია, რომ ის ყველასგან, ვინც მასში მონაწილეობს, *და ასევე* მისი ყველა წევრისაგან და მთავრობისგან, ერთმანეთს შორის მყარ და ზუსტ კომუნიკაციებს მოითხოვს. გარდა ამისა, საგანმანათლებლო და კულტურული ინფრასტრუქტურების ხელშეწყობა მთავრობის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა ხდება. აქედან გამომდინარე, ერთ დროს ახალი ფაშას ოჯახში სამეტ-ყველო ენის ასე უაზროდ მიჩნეული პრობლემა დღეს გადამწყვეტი ნიშანია იმისა, თუ ვის დაუჭერს მხარს და ვის უარყოფს ახალი ძალაუფლება.

თავის შედარებით გვიანდელ წიგნში *„ნაციონალიზმი აზიასა და აფრიკაში“* (1970) კედური მართებულად სვამს საკითხებს მსოფლიოზე ევროპული კოლონიალური ბატონობის შესახებ. ისინი განსხვავდებიან იმ საკითხებისგან, რომელსაც იგი *„ნაციონალიზმის“* ბოლო ფურცლებზე გვთავაზობს. კედური დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმასაც, რომ ევროპელმა დამპყრობლებმა დაპყრობილი მოსახლეობის ის წევრები, რომლებმაც კვალიფიკაცია შეიძინეს და გარკვეულ დონეს მიაღწიეს, თავიანთ თანასწორებად ვერ მიიღეს. იგი სწორედ შენიშნავს, რომ ევროპელების ასეთმა საქციელმა მათ ბატონობაზე ნაციონალისტური რეაქცია გამოიწვია. ბოლომდე ნათელი არ არის, ეს კრიტიკაა თუ ნეიტრალური დიაგნოზი; თუმცა ძნელია არ იგრძნო, რომ მასში პირველი ელემენტი უფრო ფიგურირებს. და თუ ეს ასეა, მაშინ, ალბათ, მმართველების შესახებ, *დასმული* კითხვა მხოლოდ მათ სიქველეს ან სიხარბეს არ ეხება!

საქმე იმაშია, შეუძლიათ და უნდათ თუ არა მმართველებს მობილური საზოგადოების გაძღოლა, საზოგადოებისა, სადაც მმართველებს და მართულებს გაერთიანება და კულტურული ერთიანობის ფორმირება შეუძლიათ. ჩემი მოსაზრებით ეს მართლაც გადამწყვეტი კითხვაა, რომელიც თანამედროვე პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს და ყველას ეხება. მაგრამ, ამ განსაკუთრებული თანამედროვე პირობების გარეშე რატომ უნდა ყოფილიყო მათი განსაკუთრებულობა სუსტი ან დეფექტური? წარსული დროის მმართველებიდან ზოგიერთნი (რომაელები, ბერძნები), რაღაც პერიოდებში შეიძლება ღიანი და მისაღებნიც ყოფილიყვნენ (თუმცა რომაელები მაინცდამაინც არ ისწრაფვოდნენ, რომელიმე ახლად დაპყრობილი სივრცის მოსახლეობისთვის რომის თავისუფალი მოქალაქის სტატუსი მიენიჭებინათ); მაგრამ მათი უმრავლესობა ასეთები არ ყოფილან და ამით არც ზარალდებოდნენ. პირიქით, ტრადიციულ მდგომარეობაში მმართველთა ადვილად ცნობადობა და ცალკე მდგომობა მათ დადებითად ახასიათებდათ და ეს მომენტი სტაბილურობის გარანტი

იყო. მამლუქთა კლასმა კი ღია საბაზრო სტრუქტურებიდან სარგებელი ვერ ნახა. რატომ უნდა გამხდარიყო ექსკლუზიურობა უცებ ასეთი დამღუპველი და რატომ გამოიწვია მან ასეთი მძლავრი, ფართომასშტაბიანი და საერთო რეაქცია?

პასუხს თავად კედური გვაძლევს:

> *არაფერი არ ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ ევროპა არის ცენტრი და წარმომშობი იმ ღრმა რადიკალური არეულობებისა, რომელმაც ქვეყანა ანაზდად მოვარდნილი ტალღებივით მოიცვა და აზიისა და აფრიკის ტრადიციულ საზოგადოებებს ძალადობა და არეულობა მოუტანა, მიუხედავად იმისა განიცდიდა თუ არა ეს საზოგადოება პირდაპირ ევროპულ მმართველობას ... ტრადიციული საზოგადოებების ეს განადგურება, თვითკმარი ეკონომიკების ეს აფეთქება...*

თუ ამ შეფასებას, რომელსაც ძნელია, არ დაეთანხმო, დავუმატებთ შეკითხვებს, თუ მოცემული თანამედროვე პროდუქტიული მეთოდების და მათი შემცველი საზოგადოების შიგნით რა ტიპის ახალი რეორგანიზაციაა შესაძლებელი, როგორია წარმოების თანამედროვე საშუალებები და საზოგადოების რომელ ტიპს შეესაბამებიან ისინი, მაშინ მე ვაცხადებ, რომ შეიძლება ვიპოვოთ კიდეც პასუხი, რომელიც თანამედროვე ნაციონალიზმს ნებისმიერ იდეოლოგიურ შემთხვევითობაზე, ანდა ხალხთა აღშფოთების მიერ გამოღებულ ნაყოფზე მეტ ოდენობად აქცევს და რომელიც ნაციონალიზმს ზოგადი ფორმებით (თუ დეტალებით არა) აუცილებლობად წარმოადგენს.

იქნებ ღირდეს ნაციონალიზმის ყალბი თეორიების არასრული სიის მოცემა:

1. ის ბუნებრივი, თავისთავად ცხადი და საკუთარი თავის გამაგრძელებელია. მისი არარსებობა ძალადობით დათრგუნვის შედეგია.

2. ეს არის იდეათა ხელოვნური თანამიმდევრობა, რომლის ფორმულირებაც გარკვეულმა სამწუხარო შემთხვევითობებმა გაპირობეს. ინდუსტრიულ საზოგადოებებშიც კი, პოლიტიკურ ცხოვრებას მის გარეშე არსებობა შეუძლიათ.

3. მარქსიზმის მიმდევართა საყვარელი „არასწორ მისამართთა თეორია“: ისევე როგორც ექსტრემისტ შიიტ მუსულმანებს სჯერათ, რომ მთავარანგელოზი მიქაელი შესცდა, როდესაც ალისთვის გათვალისწინებული შეტყობინება მუჰამედს გადასცა, ასევე მარქსისტებიც ფიქრობენ, რომ ისტორიამ ან კაცობრიობის ცნობიერებამ საშინელი შეცდომა დაუშვა. გამომაფხიზლებელი

გზავნილი *კლასებისთვის* იყო განკუთვნილი, მაგრამ რაღაც საბედისწერო საფოსტო შეცდომის გამო ის *ერებს* გადაეცა. რევოლუციონერი აქტივისტებისათვის ახლა აუცილებელია მიმღებები გზავნილის უკან დაბრუნებაში დაარწმუნონ და გადასცენ ის მათ, ვისთვისაც ეს გზავნილი იყო განკუთვნილი. ის, რომ დათმობა არც ჭეშმარიტ და არც მცდარ მიმღებს არ სურს, აქტივისტების დიდ გაღიზიანებას იწვევს.

4. „ბნელი ღმერთების" თეორია: ნაციონალიზმი სისხლის თუ ტერიტორიების ატავისტური ძალების თავიდან აღმოცენებაა. ამ მოსაზრებას ხშირად ნაციონალიზმის მოყვარულებიც და მოძულეებიც იზიარებენ. პირველები მას სიცოცხლის მამოძრავებლად, მეორენი კი ბარბაროსებად აღიქვამდნენ. ფაქტობრივად, კი ნაციონალიზმის ხანის ადამიანი სხვა პერიოდის ადამიანებზე არც უკეთესი და არც უარესია. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებები სხვა დროს ჩადენილ დანაშაულებებს უტოლდება, ოღონდ ისინი უფრო თვალშისაცემნი არიან რადგან ისინი უფრო ძლიერი ტექნიკური საშუალებებით სრულდებიან.

არცერთ ამ თეორიას ოდნავი ლოგიკურობაც კი არ ახასიათებს.

ვინ არის ნიურნბერგის მომხრე?

ავტორმა, რომელიც თვლის, რომ ნაციონალიზმის იდეოლოგიური ან დოქტრინალური ისტორია ნაციონალიზმის გაგებას არ უწყობს ხელს, ალბათ მისი ინტელექტუალური წყაროების შესახებ არც უნდა იკამათოს. თუ მას არ გააჩნია ისეთი ღირსეული წინაპარი, რომლის შესახებაც საუბარი ღირს, მაშინ რატომ უნდა ვიკვლიოთ ვინ ფიგურირებდა და ვინ არა მის გენეალოგიაში? მიუხედავად ამისა, რამოდენიმე შენიშვნა მაინც გვიჩნდება ნაციონალიზმის იდეური ძირების კედურისეულ შთამბეჭდავ ანალიზთან დაკავშირებით.

ჰეგელის შეფარულ გამართლებას თავი რომ დავანებოთ, უსამართლო კრიტიკა განმაცვიფრებელია. თვითდეტერმინაციის იდეა კანტის აზროვნებაში ნამდვილად ცენტრალურია. კანტის მთავარი პრობლემა ჩვენი მეცნიერული და ჩვენი მორალური ცოდნის გამართლება (*და* ზღვარის დადება) იყო. მთავარი ფილოსოფიური დევიზი, რომელსაც ის ამ მიზნის მისაღწევად იყენებს, არის მტკიცება, რომ ჩვენი მამოძრავებელი მორალური და შემეცნებითი პრინციპები აუცილებლად თვითგენერირებადია. და რამდენადაც საბოლოო გარეგანი ავტორიტეტი ან კანონი არ არსებობს, ის შინაგანი უნდა იყოს.

ეს მისი მოძღვრების არსია. იმ პრინციპების შეფასება, რითაც ჩვენ ვცხოვრობთ, დაკავშირებულია ჩვენს გონებაში არსებულ გარკვეულ სტრუქტურასთან, რომელიც მასზე აუცილებლად მოქმედებს. ეს სხვა რაღაცეებთან ერთად ჩვენს მიუკუთვნებულობის ეთიკასაც გვაძლევს და ასევე ბუნებაში უნივერსალური კანონზომიერების პოვნის იმედს გვინერგავს. შესაბამისად, სისტემატიზირებული ეთიკაც და მეცნიერებაც გარანტირებულია. ის ფაქტი, რომ ჩვენი გონების სტრუქტურა *მოცემული* და შეუცვლელია, გვათავისუფლებს შიშისგან, რომ მეცნიერების და მორალურობის საფუძვლები ცვალებადი და მერყევი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მხოლოდ ჩვენზეა დაფუძნებული, ჩვენ ჯერ კიდევ შეიძლება გვენდონ და ამ ნდობის საფუძველიც კვლავ არსებობდეს. ის, ფაქტი, რომ ჩვენ, ყოველი ჩვენგანი (ორმხრივად ერთმანეთის პატივისმცემელი) ამ პრინციპზე პასუხს ვაგებთ, ათავისუფლებს კანტს რეგრესიის შიშისგან, რაც მას, როგორც პროტესტანტს და ლოგიკოსს აღიზიანებდა: ძალაუფლება და სამართალი ჩვენს გარეთ რომ ყოფილიყო (რამდენადაც ამაღლებული არ უნდა ყოფილიყო იგი), როგორ მოხერხდებოდა ძალაუფლების გამართლება/დაფუძნება?

თვით(self)-ის ავტორიტეტი — კაპრიზებისადმი გულგრილი, საბოლოო და აბსოლუტური — რეგრესიას ზღუდავს. ის[1] თავს არიდებს სირცხვილს, რომელიც გარედან მიღებულ ძალაუფლებას გულისხმობს, რაც კანტისთვის, როგორც ლოგიკოსისთვის და მორალისტისთვის აუტანელია: ჰეტერონომიის სირცხვილი, როგორც ის ამას უწოდებს, რომელიც თვითდეტერმინირების ანტითეზაა. ამავე დროს საკუთარი თავის უცვლელობის ბედნიერება მის ავტორიტეტულობას გამოსაყენებელს და საიმედოს ხდის.

„თვითგანსაზღვრების" *მისეულ* ცნებაში ჩადებული სურათი კანტის ფილოსოფიის არსია. რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მას ერთა თვითშემეცნებასთან, საკითხთან, რომელიც ჩვენ ასე გვაღელვებს, თუ მხოლოდ ვერბალური არა? — არავითარი. კანტისთვის რეალურად დამოუკიდებელი რამ ინდივიდუალური ადამიანური ბუნებაა (რაც თავისთავად კოპერნიკული რევოლუციის დარია) და იგი ყველა ადამიანში უნივერსალური და იდენტურია. არა რაიმე სპეციფიკურს, განსაკუთრებით კი, *კულტურული თვალსაზრისით* სპეციფიკურს, არამედ ადამიანში არსებულ უნივერსალურს სცემს კანტი პატივს. ასეთ ფილოსოფიაში იდიოსინკრეტული კულტურის მისტიკისთვის ადგილი აღარ რჩება. უფრო მეტიც, იქ საერთოდ არანაირი კულტურისთვის არ მოიძებნება

[1] თვით(self)-ის ძალაუფლება (მთარგმნელის შენიშვნა).

ადგილი. კანტისთვის პიროვნების იდენტურობა და ღირსება მის უნივერსალურ ადამიანურობაში, უფრო ფართოდ, მის რაციონალურობაში დევს და არა მის კულტურულ თუ ეთნიკურ სპეციფიკაში. ალბათ ძნელი წარმოსადგენია სხვა ავტორი, რომლის იდეებიც ნაციონალიზმს ასე მცირე კომფორტს უქმნის.

პირიქით, ის, რომ კანტი ადამიანს მის შიგნით არსებულ რაციონალურთან და უნივერსალურთან აიგივებს, ის, რომ მას ყოველგვარი ისტორიულის, სპეციფიკურის და პირობითის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, კანტს თითქოს განმანათლებლობის იმ კოსმოპოლიტურ, საეჭვოდ სუსტ და უსიცოცხლო მოდელად აქცევს, რომელიც რომანტიკულ ნაციონალიზმს ასე ეზიზღებოდა და რომელსაც ის კლანური, ტერიტორიალური თუ კულტურული, უფრო მიწიერი, სპეციფიური და პარტიული ვალდებულებების პატივსაცემად ასეთი მონდომებით უარყოფდა.

ეს მოსაზრება ზოგადი ინტერესის საგანია. კანტი ყველაზე ნაკლებად არის ის პიროვნება, რომელმაც ნაციონალიზმის საქმეში რაიმე ქულები ჩაიწერა. ეს ბრალდება უბრალო შეცდომა კი არ არის, არამედ ის გარკვეული ღრმა საფუძვლებიდან მომდინარეობს და ყურადღებასაც მოითხოვს. სიმართლე იმაში *მდგომარეობს*, რომ კანტი ჩვენი ძირითადი ღირებულებების იმ იდეებზე, იმ რაღაც ნაკლებად პირობითზე და სამყაროსთან ნაკლებად დაკავშირებულზე დაფუძნების მწვავე საჭიროებას უფრო გრძნობს, ვიდრე ეს ამა თუ იმ ქვეყნებში გაბატონებული მოქმედი ტრადიციებია. მთელი მისი ფილოსოფიური სტრატეგია ამ საჭიროებას და სიმწვავეს ასახავს. იგი ფიქრობდა, რომ ამ საჭიროებას ადამიანის გონების უნივერსალური სტრუქტურის აღმოჩენით დააკმაყოფილებდა.

კრიპტო-რომანტიკული ტრადიციონალიზმის თვალსაზრისით, ტრადიციისა, რომელიც ცხოვრების ასეთ გარეგნულ, „რაციონალურ“ თანამიმდევრობას უარყოფს, რომელიც ადამიანს კონკრეტული *პრაქსისის* ფარგლებში დარჩენას, ისტორიის პირობითობის გაზიარებას და გარეგანი, აბსტრაქტული იდეებისგან ილუზორული მხარდაჭერისა და კომფორტის მიღებისგან თავშეკავებას ასწავლის, კანტი განსაკუთრებით ღრმად გზის ამბნევი ფიგურაა. კანტი, ალბათ, „რაციონალისტი“ იმ მნიშვნელობით იყო, რა მნიშვნელობითაც პროფესორი მაიკლ ოკესჰოტი ამ ტერმინს დამამცირებლად იყენებს. "ნაციონალიზმი *აზიასა და აფრიკაში" (კედურის ზემოთ დასახელებული ნაშრომი)* ამ ზოგადი ჩარჩოების ფარგლებში უნდა განიხილებოდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპულ აზროვნებაში, კანტი ნამდვილად პრომეთეს მხარეს ეკუთვნის, აზროვნებას, რომელმაც თავის პიკს XVIII საუკუნეში მიაღწია, აზროვნებას, რომელიც ღვთაებრივი ცეცხლის მოპარვას ცდი-

ლობს და არ კმაყოფილდება დროებითობით, შემთხვევითობით და კომპრომისულობით, რომლებსაც ტრადიციები შეიცავენ. კანტი ნათლად გამოხატავდა იმ პოზიციისადმი თავის ღრმა უკმაყოფილებას, რომელიც ვინმეს შემთხვევითი ისტორიული საფუძვლით დაკმაყოფილების ნებას აძლევდა.

ის, რომ კანტი ინდივიდუალურ თვითშემეცნებას როგორც ერთადერთ თავისთავად ღირებულ მორალურობას განსაზღვრავდა, არც სიჯიუტე იყო და არც რომანტიზმი. პირიქით ეს თანდაყოლილი, ობიექტური, გამაერთიანებელი უნივერსალური ეთიკის (და ცოდნის) გადარჩენის თავგანწირული მცდელობა იყო. კანტი იზიარებდა ჰიუმის მოსაზრებას ემპირიულ მონაცემებში აუცილებლობის და უნივერსალურობის აღმოჩენის შეუძლებლობის შესახებ და თვლიდა, რომ ისინი მხოლოდ ადამიანის გონების აუცილებელ სტრუქტურაში შეიძლება იყვნენ ფესვგამდგარნი. სავარაუდოა, რომ ეს *faute de mieux*[1] გადაწყვეტილება პროტესტანტულ ინდივიდუალისტურ სიამაყეს უფრო შეესაბამება, რომელიც ავტორიტეტების გარედან ძებნას უკადრისობს. მაგრამ ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა იყოს ავტორიტეტი აუცილებლად პიროვნების შიგნით, არის ის, რომ მისი პოვნა სადმე გარეთ უბრალოდ შეუძლებელია.

თუ ნაციონალისტები ერთ დროს კარგად მომუშავე ტრადიციული ადგილობრივი ინსტიტუციების წინააღმდეგ აბსტრაქტულ პრინციპს მოუხმობენ, მაშინ ისინი ნამდვილი პრომეთეანელები არიან. მაგრამ, ფაქტობრივად ნაციონალიზმი იანუსის მსგავსი რამაა. ის პრომეთეანულია, როდესაც ნაციონალისტური იმპერატივის უარმყოფელ კომპრომისებს ზიზღით უყურებს. მაგრამ ის ანტიპრომეთეანულია, როდესაც ის ერს და მის კულტურულ განვითარებას, რაღაც ისეთად აღიქვამს, რომელიც ინტერნაციონალისტების და ჰუმანისტების აბსტრაქტულ მორალს მხოლოდ იმით სჯობია, რომ ის კონკრეტულია და ისტორიული თვალსაზრისით სპეციფიური.

ამ *ერთობ* ზოგადი, და თანაც, *ნეგატიური* მნიშვნელობით, შეგვიძლია კანტი და ნაციონალისტები გავაერთიანოთ. ამ აზრით, არცერთი მათგანი არ არის ტრადიციის პატივმცემელი (უფრო სწორედ, როცა საქმე ტრადიციას შეეხება, ნაციონალიზმი ოპორტუნისტულად სელექციური ხდება). ამ ფართო გაგებით, ორივენი „რაციონალისტები“ არიან, ეძებენ რა კანონიერების საფუძველს იმ რაღაცის იქით, რაც ნამდვილად *არსებობს*.

ფაქტობრივად, ნაციონალისტებს შეუძლიათ კონსერვატორი ტრადიციონალისტები, ანუ ის ხალხი, ვინც განმანათლებლობის

[1] უკეთესის არ ქონის შემთხვევაში (ფრანგ.)

აბსტრაქტულ რაციონალიზმს უარყოფს, ძმებად გამოაცხადონ და ხშირად ასეც იქცევიან. ორივე მათგანს კონკრეტული ისტორიული რეალიების პატივისცემა და დაფასება სურთ და უარს ამბობენ იგი უსიცოცხლო, აბსტრაქტულ, პან-ჰუმანურ გონის განაჩენს დაუმორჩილონ. შორს იდგნენ რა გამომწვევი ინდივიდუალისტური ნებით ტკბობისაგან, ნაციონალისტები უფრო დიდში, ლეგიტიმურში და მდგრადში გაერთიანებით ტკბებოდნენ, ვიდრე ცალკე დგომით და იზოლირებულობით. კედური საკმაოდ საინტერესოდ ახდენს არა მხოლოდ ნაციონალიზმის „ნებით თვითგანსაზღვრის [თვითგამორკვევის – მთარგმნ].“ თეორიასთან შეთავსებას, არამედ (ჩემის აზრით არასწორედ), ასეთი ნაციონალიზმის ისტორიულ წარმატებასაც უშვებს. ეს თეორია გარკვეული ფილოსოფოსების თავში დაიბადა და ისინი ვინც მისი გავლენის ქვეშ მოექცა, აბსოლუტური ნების დახმარებით, წარმატებით ახორციელებენ ამ თეორიის ხალხის საცოდავ მასებზე გავრცელებას! მისი შეხედულების ეს გაყინული ვერსია, რომელიც მხოლოდ მცირე დათმობებს ახდენს იმ სოციალური პირობების მიმართ, რომლებიც ნაციონალიზმს ხელს უწყობენ, როგორც ჩანს, ნაციონალიზმის წარმატებას ნების ნამდვილ ტრიუმფს უკავშირებს.

გამოდის, რომ, ნაციონალისტები და კონსერვატორები თავიანთი მიმართებებისათვის კონკრეტულის სხვადასხვა ნაწილებს ირჩევენ: ერთ შემთხვევაში ესაა ინსტიტუციები, სხვა შემთხვევაში კი, ენის, რასის, ან რაიმე სხვა კატეგორიის მიხედვით შექმნილი და მასზე დამყარებული დაჯგუფებები. თუმცა, ხომ არ არის ეს ჩხუბი უფრო დეტალების და არა პრინციპების გამო? რა თქმა უნდა, მსგავსი მოსაზრება და ის რაც მასში იგულისხმება არ ამტკიცებს, რომ ორივე ეს მდგომარეობა მცდარია. ეს მე უბრალოდ იმის საჩვენებლად აღვნიშნე, რომ ვიღაცისთვის კონკრეტული ისტორიული რეალობა სხვის *trahision des clercs*[1]-ია. როგორ უნდა განვსაზღვროთ, რომელია მართალი?

ასე რომ ყველა, ვინც მოცემულ პოზიციას (ტრადიციონალიზმს) უარყოფს, ამის გამო სხვა რაღაცეებში ერთმანეთს სულაც არ ჰგავს. ჩანს, რომ ეს „თვითგანსაზღვრების“ [თვითგამორკვევის – მთარგმნ.] ნიშნით გაძლიერებული, მცდარი დასკვნა, კანტისთვის წაყენებული ბრალდების საფუძველია. კანტი მართლაც საუბრობდა თვით-განსაზღვრების (ავტონომიის) შესახებ. მაგრამ ამავე დროს ის საკმაოდ ბევრს საუბრობდა ჩვენი კატეგორიების სინთეტურ *a priori* სტატუსზეც. ისიც ფაქტია, რომ კატეგორიების *a priori* სტატუსის კანტისეული დოქტრინა განსაკუთრებით არავის დაუ-

[1] შეცდომას, გაუგებრობას (ფრანგ.)

ცავს. თუმცა, იგივე შეიძლება ითქვას თვითგანსაზღვრების მისეულ შეხედულებებზეც. თუ ნაციონალიზმსა და კანტს შორის საერთოდ რაიმე კავშირები არსებობს, მაშინ ნაციონალიზმი სწორედ კანტის წინაამღმდეგაა მიმართული, და არა მისი დანატოვარი.

ერთი ერი — ერთი სახელმწიფო

სახელმწიფოსა და ერის თანხვედრილობის რაციონალისტური პრინციპის დარღვევა ღრმად შეურაცხყოფს ნაციონალისტურ გრძნობას; თუმცა, სხვადასხვა ტიპის დარღვევები მას სხვადასხვაგვარად შეურაცხყოფს. ისინი ყველაზე მეტად მმართველებს და მართულებს შორის არსებული ეთნიკური დივერგენციით არიან შეწუხებულნი. ლორდ აქტონი ამას შემდეგნაირად აყალიბებს:

> *შემდეგ დაიწყო დრო, რომელიც ამბობდა, რომ ერები უცხოელებმა არ უნდა მართონო. ლეგიტიმურად მიღებული და ზომიერად გამოყენებული ძალაუფლება შეუსაბამოდ გამოცხადდა.*[1]

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ აქტონი იმ სიტუაციებში მიგვითითებდა ამ დროის *დაწყება*ზე, სადაც ნაციონალისტები ამას ისე წარმოაჩენდნენ, თითქოს იგი ლატენტური, თავშეკავებული ფორმით ყოველთვის არსებულიყოს. მაგრამ, როდესაც საქმე ერსა და სახელმწიფოს შორის არითმეტიკულ შეუსაბამობაზე მიდგება, უფრო შეურაცხმყოფელია როდესაც, ასე რომ ვთქვათ, სახელწიფო ძალიან ცოტაა, ვიდრე მაშინ, როდესაც ის ძალიან ბევრია. კულტურულად ერთგვაროვანი პოპულაცია, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია სახელმწიფო, რომელსაც ის თავისას უწოდებდა, ძალიან დაჩაგრულია (მისი წევრები იძულებულნი არიან იცხოვრონ სახელმწიფოში ან სახელმწიფოებში, სადაც უცხოები, სხვა კულტურული დაჯგუფებები ბატონობენ), მეორეს მხრივ კი, ჯგუფები, რომელთა კულტურაც ერთზე მეტ სახელმწიფოსთან იწვევს ასოციაციას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაციონალისტურ პრინციპს მექანიკურად არღვევს, მაინც ნაკლებად დაჩაგრულნი არიან. ვინ არიან ისინი?

ახალ ზელანდიელთა და ბრიტანეთის სამეფოს მოქალაქეთა

[1] Quoted in Nationalism, *Its Meaning and History, by Hans Kohn*, Princenton, 1955, pp. 122-3.

უმრავლესობას იმდენად ხანგრძლივი კულტურული ერთიანობა აკავშირებს, რომ გეოგრაფიული სიახლოვის შემთხვევაში, ეს ორი ერთეული, უეჭველია, ერთმანეთისგან დაუშორებელი დარჩებოდა. ახალი ზელანდიის ეფექტურ სუვერენიტეტს ხანგრძლივობას და მანდატს დისტანცია ანიჭებს. აქ დამოუკიდებლობა, ნაციონალიზმის პრინციპის ტექნიკური დარღვევის მიუხედავად, არავის აღშფოთებას არ იწვევს. რატომ ხდება ასე? არსებობენ არაბები, რომლებიც არაბეთის გაერთიანების წარუმატებლობას დასტირიან, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის არაბები კულტურულად ბევრად უფრო მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ვიდრე ინგლისელები და ახალ ზელანდიელები. პასუხი ასე უნდა ჟღერდეს: ინგლისელების და ახალ ზელანდიელების ინტერნაციონალური მდგომარეობა და ზოგადი პოზიცია დიდად არ ზარალდება იმით, რომ ისინი მსოფლიოს თავიანთ ქვეყნებს, როგორც ერთ ერთეულს არ წარუდგენენ. რეალურად მათ ამით არაფერი აკლდებათ, მათი ალტერნატიული მოწყობის არათანადროულობა შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანიც იყოს. და პირიქით, ცხადია, რომ არაბების, ლათინოამერიკელების[1] და გაერთიანებამდელი XIX საუკუნის იტალიელების და გერმანელების პოლიტიკური ძალები მათი პოლიტიკური სივრცის დაყოფით ძალიან ზარალდებიან.

მიუხედავად ამისა, ნაციონალური პრინციპის ყველა შესაძლო დარღვევათა შორის ვარიანტი — „ერთი ერი, რამდენიმე სახელმწიფო", ყველაზე მეტად გამაღიზიანებელია. მისი კორექციის გზაზე არსებული ბარიერები ცხადი და ძლიერია. თუ გარკვეულ ერს წილად ხვდა ბედნიერება წარმოადგენდეს *n* სახელმწიფოებს, მაშინ აქედან გამომდინარე, *n* ფაქტორის გამო, ერთა გაერთიანებას მექანიკურად მოაქვს პრემიერ-მინისტრების, მმართველების, მომსახურე პერსონალის, აკადემიის პრეზიდენტების, მენეჯერების და ფეხბურთის გუნდის კაპიტნების შემცირება. გაერთიანების შემდეგ, ყოველ ადამიანზე, რომელსაც ასეთი ტიპის თანამდებობა უჭირავს, ყოველთვის იქნება *n*—1, ვინც მას დაკარგავს. მოსალოდნელია, რომ ყოველი n—1 ერთიანობის მიერ განწირულია რაღაცის დასაკარგავად, მაშინაც კი თუ მთელი ერი ხეირობს.

სავარაუდოდ, ის, ვისაც ერგო ბედნიერება რაიმე დამსახურებული პოზიციისთვის მიეღწია, ახლა ნაციონალური თეატრის ან ლაურეატია, ან დირექტორი, ან რაღაც მეტად უფრო დიდი და

[1]ლათინური ამერიკელების ასეთი ვითარებისადმი ხანგრძლივ შეგუებას, ჩვენი თეორიის საწინააღმდეგო საფუძვლად იყენებს Jose Merquior in "politics of Tramsition", *Goverment and Opposition*, XVI (1981), N.2, p.230

დიდებული, რაღაც უფრო დიდთან ასოცირებული, ვიდრე ადრე. უეჭველია, სჯობს იყო დიდი ერთეულის თავი, ვიდრე პატარასი, მაშინ როცა განსხვავება როგორმე მეთაურად ყოფნასა და საერთოდ არყოფნას შორის არც თუ ისე აშკარაა. იმ ილუზიების დაშვებისასაც კი, რომ შეიძლება „პატარები" იმ მოლოდინით შეაგულიანონ, რომ ისინი „ოდესღაც დიდები" გახდებიან, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: გაერთიანებისადმი რაციონალური წინააღმდეგობა მისაღებია. მიუხედავად ამისა, გაერთიანება წარმატებას აღწევს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც დანაწევრების ნაკლი ძალიან დიდი და თვალშისაცემია და როდესაც ისინი, ვინც ამ ნაკლით ზარალდებიან, თავიანთ ინტერესებს იმათ წინააღმდეგ მიმართავენ, ვისაც პოლიტიკური სამუშაო ადგილების რაოდენობის n—ჯერადი კლება ეხება და როდესაც უფრო დიდი ერთეულის ახალი ლიდერები, ძალით თუ პოლიტიკური ხიბლით, წარმატებით ახერხებენ სხვებზე გაბატონებას.

10
დასკვნა

ამ წიგნს, იმ წიგნების მსგავსად, რომლებსაც საქმე მარტივ და მკაფიოდ განსაზღვრულ არგუმენტაციებთან აქვთ, არასწორედ გაგების და აღქმის საშიშროება ემუქრება. ჩემი კონცეფციის ადრეული და მარტივი ვერსიების წარმოდგენის ცდამ მე ამ საშიშროების რეალურობაში დამარწმუნა. ერთის მხრივ, პოზიციის სიმარტივემ და განსაზღვრულობამ შეიძლება მკითხველს ისეთი საკუთარი ასოციაციების დამატებისაკენ უბიძგოს, რომლებსაც ავტორი სულაც არ გულისხმობდა. მეორეს მხრივ კი, ყოველი ახალი პოზიციის (მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი სწორედ ასეთია) გამჟღავნება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როცა ნიადაგი მის დასამტკიცებლად რაც შეიძლება გულდაგულ არის მომზადებული. ვფიქრობ, განსხვავებული მტკიცებულების შექმნა გამოსაყენებელ ენობრივ ყუთში არსებული ბანქოს ქაღალდის მხოლოდ მარტივი გადაჯგუფებით არ შეიძლება. პასეანსი ბევრჯერ გაიშალა და ყველა წყობას თავისი ადგილი უკვე დიდი ხანია მიეჩინა. აქედან გამომდინარე, ახალი რამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანქოს ყუთს იმდენად განვაახლებთ, რომ ის სრულიად ახალი კომბინაციებისთვის გამოსადეგი გახდება. ამის განხორციელება საოცრად რუტინული და დამღლელი შრომაა. ახალი სირთულეების გადაწყვეტა მათემატიკაშია საინტერესო და არა ჩვეულებრივ პროზაში. ნააზრევის კარგად მონოდება ჩვეული ასოციაციების ძალდაუტანებელ შესუსტებას გულისხმობს, ანუ როდესაც ახალს ცხად და მხოლოდ კონტექსტიდან გამომდინარე პრინციპებზე აგებ, აგებ მანამ, სანამ ბოლოს არ *წარმოიქმნება* კონტექსტი, სადაც ისეთი მტკიცებულების წარდგინება შეიძლება, რომელიც მარტივიცაა და თანაც ძველი სიბრძნეების ბანალურ გამეორებას არ წარმოადგენს.

ის, რაც არ თქმულა

მხოლოდ სხვებმა შეიძლება განსაზღვრონ მივაღწიე თუ არა წარმატებას ჩემს მცდელობაში. მაგრამ, გამოცდილებამ მასწავლა, რომ ერთი ადამიანი, ან ერთი შეხედულება იშვიათად შეიძლება იყოს (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია) წარმატებული. აქედან

გამომდინარე, მე მსურს რამოდენიმე შეხედულება ჩამოვთვალო, რომელთა დამტკიცებაც მე *არასდროს* მიცდია და იმ მოსაზრებებისთვის, რომლებიც აქ იყო განსახილველად წარმოდგენილი, მათი მოყვანა *არც* მოითხოვებოდა.

ჩემი მიზნის ნაწილი არ არის იმის უარყოფა, რომ კაცობრიობა ყველა დროში ჯგუფებად ცხოვრობდა. პირიქით, ადამიანები, მართლაც ყოველთვის ჯგუფებად ცხოვრობდნენ. როგორც წესი, ეს ჯგუფები სკმაოდ ხანგრძლივ პერიოდებს მოიცავდნენ. მათი ხანგრძლივობის განმსაზღვრელი ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის ლოიალურობა, რომელსაც ადამიანები ამ ჯგუფების მიმართ გრძნობდნენ და ის ფაქტი, რომ ისინი მათთან საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენდნენ. ადამიანის ცხოვრებაში ეს ელემენტი ეკონომიკის რაღაც განსხვავებული ტიპის დალოდებას არ საჭიროებდა. ეს, რა თქმა უნდა, ერთადერთი ფაქტორი არ იყო, რომელიც ამ ჯგუფების ხანგრძლივობას ეხმარებოდა, არამედ ერთ-ერთი სხვებს შორის. და თუ ვინმე ამ ფაქტორს ზოგადად „პატრიოტიზმს“ უწოდებს, მაშინ ჩემი განზრახვის ნაწილი სულაც არ იქნება იმის უარყოფა, რომ ასეთი პატრიოტიზმის რაღაც ოდენობა მართლაც არის ადამიანის ცხოვრების მუდმივი ნაწილი (იმ საკითხის გადაჭრას, თუ რამდენად დიდი იყო მისი კავშირი სხვა ძალებთან, ჩვენ აქ არ ვაპირებთ).

ის, რაც ითქვა იყო შემდეგი: ნაციონალიზმი პატრიოტიზმის საკმაოდ განსხვავებული სახეობაა, ისეთი, რომელიც ყოვლისმომცველად და დომინანტურად მხოლოდ გარკვეული სოციალური პირობების დროს იქცევა, იმ პირობებისა, რომლებიც, ფაქტობრივად მხოლოდ თანამედროვე სამყაროში ბატონობდნენ. ნაციონალიზმი პატრიოტიზმის სახეობაა, თუმცა მისგან რამოდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებლით განსხვავდება: ერთობები, რომლებსაც პატრიოტიზმის ტიპი, კერძოდ კი, ნაციონალიზმი ხელს უწყობს თავისი ლოიალურობით, არიან კულტურულად ერთგვაროვანი, თანაც ისეთ კულტურაზე დაფუძნებულნი, რომელიც ცდილობს იყოს მაღალი (დამწერლობითი) კულტურა; ისინი საკმაოდ დიდნი არიან იმისთვის, რომ უზრუნველყონ დამწერლობითი კულტურის არსებობის განმაპირობებელი საგანმანათლებლო სისტემის მხარდაჭერა; ისინი უცვლელი არიან, შინაგანი ქვედაჯგუფებებით უზრუნველყოფილნი, მათი მოსახლეობა ანონიმური და მოძრავია; მას საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის გამაშუალებელი არ სჭირდება, ის მას პირდაპირ ეკუთვნის, მისი კულტურული სტილის და არა მისი რომელიმე ქვე-დაჯგუფებების წევრობის სახელით. ერთგვაროვნება, დამწერლობა და ანონიმურობა ასეთი ერთობების მთავარი მახასიათებლებია.

ჩვენ არ გაგვიცხადებია, რომ პრეინდუსტრიული სამყაროს-

თვის კულტურული შოვინიზმი სრულიად უცხო იყო, ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნეთ, რომ მას თანამედროვე პოლიტიკისთვის დამახასიათებელი მიზან-მისწრაფებები არ გააჩნდა. ჩვენ არ უარვყოფთ იმ შესაძლებლობას, რომ გარკვეულ შემთხვევებში, აგრარულმა სამყარომ წარმოშვა ისეთი ერთეულები, რომლებმაც თანამედროვე ნაციონალისტური სახელმწიფოები მოიტანეს. ჩვენ ვთქვით, რომ აგრარულ სამყაროში, *შესაძლოა,* რაღაც შემთხვევებში, ეს ასეც ყოფილიყო, მაშინ, როდესაც ჯერ-ჯერობით, თანამედროვე სამყაროს *ხვედრი* უმრავლეს შემთხვევებში ასეთია.

ჩვენ არ გვითქვამს, რომ ნაციონალიზმი ერთადერთი ან შეუცვლელი ძალაა, თუნდაც თანამედროვე სამყაროში. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ის დროდადრო სხვა ძალით თუ ინტერესით, ანდა ინერციით მარცხდება ხოლმე.

არ თქმულა, რომ რაიმეს, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება პრეინდუსტრიული სტრუქტურის და ეროვნული გრძნობის საბურველი გააჩნდეს. ტომობრივი ნაციონალიზმი რაღაც დროით შეიძლება იყოს ტომობრივი შინაგანად და ეროვნული გარეგნულად. ამ შემთხვევათა მაგალითების მოყვანა ძნელი არ არის (სომალია, ქურთები). მაგრამ ახლა ადამიანს უბრალოდ შეუძლია განაცხადოს, თავისი კულტურული მიკუთვნებულობის მიხედვით, რომ ის ერთ-ერთ ამ ნაციონალურ ერთეულთაგანის წევრია, ისე, რომ მას არ სჭირდება (და არც *უნდა სჭირდებოდეს*), რომელიმე გამაშუალებელი ქვე-დაჯგუფების წევრობა. ჩვენ არ გაგვიცხადებია პრეტენზია იმაზე, რომ ჩვენი არგუმენტები ახსნიდა იმას, თუ რატომ იყო ზოგიერთი ნაციონალიზმი, განსაკუთრებით ჰიტლერისა და მუსოლინის პერიოდისა, ასეთი საშიში. ჩვენ მხოლოდ ვცდილობდით აგვეხსნა, რატომ წარმოიშვა ნაციონალიზმი და რატომ გახდა ის ყოვლისმომცველი.

ზემოთ თქმული არ არის იმ საწინააღმდეგო მაგალითებისგან თავის დაზღვევა, რომლებმაც შესაძლოა ცენტრალური თეზისის შინაარსი შეუმჩნევლად სიცარიელემდე დაიყვანოს. ეს მხოლოდ მოსაზრებებია იმის შესახებ, რომ რთულ სამყაროში, ინსტიტუტების და დაჯგუფებების მაკრო დონეზე, განზოგადება გამონაკლისის გარეშე იშვიათადაა შესაძლებელი (თუკი ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელია). ეს არანაირად არ გვიშლის გავაცნობიეროთ და სოციოლოგიურად ავხსნათ ისეთი საყოველთაო მოვლენა, როგორიც ნაციონალიზმია.

შეჯამება

ამ ფენომენის აღწერისას, ჩვენ ზედმიწევნით ვართ დაინტერესებულნი და იმედი გვაქვს, რომ მის მართებულ ახსნას მივუახლოვდით (ალბათ, ჩვენ საგნების კარგად აღწერა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, თუ ისინი გვესმის). თუმცა, მაინც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ნაციონალისტური პრინციპის ისტორია; ანდა ორი ეთნოგრაფიული რუკა, რომელთაგან ერთი-ერთი ნაციონალიზმის ხანის დადგომამდე გამოიკვეთა, მეორე კი, მას შემდეგ, რაც ნაციონალიზმის პრინციპმა ყველა თავისი ძირითადი სამუშაო ჩაატარა.

პირველი რუკა კოკოშკას მხატვრობას გვაგონებს. ფერების განსხვავებულ ლაქათა ერთიანობა დეტალებში არცერთი აშკარა მონახაზის გარჩევის საშუალებას არ გვაძლევს, მიუხედავად იმისა, რომ მთლიან ნახატს ის გააჩნია. მთლიანის ყოველ ცელკეულ ნაწილს დიდი მრავალფეროვნება, განსხვავებულობა და კომპლექსურობა ახასიათებს: მყისიერ სოციალურ დაჯგუფებებს, რომლებიც სურათის შემქმნელ ატომებად წარმოგვიდგებიან, ბევრ სხვადასხვა კულტურებთან ამბივალენტური, კომპლექსური და მრავალფეროვანი ურთიერთობები გააჩნია. ეს ურთიერთობები ზოგი ენის, ან სულაც რწმენის, ზოგიც ·ამენათა ვარიანტების, ან გამოცდილებათა ქსელების, ზოგიც ადმინისტრაციული ლოიალობის და სხვა მრავალი საშუალებით ხორციელდება. თუ საქმე პოლიტიკური სისტემის გამოსახვაზე მიდგება, კულტურის სფეროზე ნაკლები სირთულეები აქაც არ შეგვხვდება. ერთ ვითარებაში რაიმე ერთი მიზნისადმი დამორჩილება აუცილებლად იგივე არ არის, რაც სხვა დროს და სხვა მიზნისადმი მორჩილება.

მოდით ახლა ამის მაგივრად თანამედროვე სამყაროს არეალის ეთნოგრაფიულ და პოლიტიკურ რუკას დავაკვირდეთ. ის კოკოშკას აღარ ჰგავს, ის უფრო მოდილიანია. აქ ძალიან ცოტაა ჩრდილი; სუფთა, ბრტყელი ზედაპირები ერთმანეთისგან მკვეთრად გამოიყოფა; ეს არის სისადავე, სადაც ერთი რაიმეს დაწყებისთანავე მეორე აუცილებლად მთავრდება; მასში ძალიან ცოტაა (თუკი საერთოდ არის) ორმაგობა და დამთხვევა. რუკიდან რეალურობაში რომ გადმოვინაცვლოთ, ჩვენ დავინახავთ, რომ პოლიტიკური ძალაუფლების უზარმაზარი ნაწილი ერთი ტიპის ინსტიტუტში, რაციონალურად დიდ და კარგად ცენტრალიზებულ სახელმწიფოშია კონცენტრირებული. ზოგადად, ყოველი ასეთი სახელმწიფო აკონტროლებს, ინარჩუნებს და იდენტიფიცირდება კულტურის ისეთ ერთ ტიპთან, კომუნიკაციის ისეთ ერთ სტილთან, რომელიც მის საზღვრებში ბატონობს და რომელიც გავრცელებას თავისივე

საგანმანათლებლო სისტემას უნდა უმადლოდეს. ამ უკანასკნელზე, თავის მხრივ, კონტროლს და ხშირად მმართველობასაც, სახელმწიფო ახორციელებს. იგი ლეგიტიმური კულტურის მონოპოლიას ფლობს და ახორციელებს, ისევე, თუ უფრო მეტად არა, როგორც ლეგიტიმური ძალადობის მონოპოლიას.

და როდესაც ჩვენ ამ ტიპის სახელმწიფოთი კონტროლირებად საზოგადოებას დავაკვირდებით, ჩვენ მივხვდებით, თუ რატომ ხდება ასე. მისი ეკონომიკა ინდივიდებს შორის არსებულ მობილურობასა და კომუნიკაციებზეა დამყარებული. ურთიერთობათა ეს დონე კი, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ ეს ინდივიდები მაღალ, და თანაც სწორედ შესაბამის მაღალ კულტურაში არიან სოციალიზებულნი. ამ სტანდარტების განმახორციელებელი ვეღარ იქნება ის გზა, რომელიც ძველ ადგილობრივ ქვედაჯგუფებში არსებული ადამიანების დასაქმებას და ჩამოყალიბებას ახორციელებდა. გარკვეული სტანდარტის მიღწევა მხოლოდ უკიდურესად მონოლითური საგანმანათლებლო სისტემით შეიძლება. გარდა ამისა, ეკონომიკური ამოცანები ინდივიდებს ანაწილებს და მათ ერთდროულად მცირე ადგილობრივი თემის ჯარისკაცებად და მოქალაქეებად ყოფნის უფლებას არ აძლევს. ადამიანებმა თავიანთი აქტივობები ისე უნდა დაანაწილონ, რომ საკუთარი სამუშაოების შესრულება მოახერხონ.

ასე რომ, როგორც ცენტრალიზებულ კულტურას, ასევე ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ეკონომიკის ახალი ტიპი სჭირდება. კულტურას ესაჭიროება სახელმწიფო; სახელმწიფოს, ალბათ, ესაჭიროება მისი სამწყსოს ერთგვაროვანი კულტურული ნიშანი იმ სიტუაციაში, რომელშიც ის ვერც დიდად დანაწევრებულ ქვედაჯგუფებს ვერ დაეყრდნობა ვერც თავისი მოქალაქეების დასაცავად და ვერც მათში მორალური სულისკვეთების მინიმუმის და სოციალური იდენტიფიკაციის ჩასადებად, რის გარეშეც სოციალური ცხოვრება საკმაოდ რთულია. კულტურა და არა ქვედაჯგუფება [თემი – მთარგმნ.] იძლევა ბრძანებებს და გასცემს თანხმობას. მოკლედ, თანამედროვე კულტურისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირი რაღაც სრულიად ახალია და ის უცილობლად თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებიდან წარმოიშვა.

ის, რასაც ჩვენ ვამბობთ, ძალიან მარტივია. საკვების მწარმოებელი საზოგადოება, გარდა ამისა, იყო საზოგადოება, რომელიც ვიღაცეებს ნებას აძლევდა საკვების მწარმოებელნი არ ყოფილიყვნენ, თუმცა (პარაზიტული ჯგუფების გარდა) მიუხედავად ამისა, იგი ადამიანთა უმრავლესობას სწორედ საკვების მწარმოებლად ყოფნას ავალდებულებდა. მხოლოდ ინდუსტრიულმა საზოგადოებამ შესძლო წარმატებით განთავისუფლებულიყო ასეთი საჭიროებიდან.

ამ საზოგადოებამ შრომის დანაწილება ახალ, უპრეცენდენტო საფეხურზე აიყვანა; უფრო მეტიც, მან შრომის დანაწილების ახალი *ტიპი* გამოიგონა: ის ადამიანებისგან, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობენ, ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე გადასასვლელად სრულ მზადყოფნას ითხოვს (ეს შეიძლება მოხდეს სულაც ერთი ადამიანის ცხოვრების განმავლობაში). ამისთვის მას საერთო კულტურა და დამწერლობით „შედუღაბებული" მაღალი კულტურა სჭირდება. ეს ავალდებულებს ადამიანებს, პირისპირი ეფემერული კონტაქტების დროს, კონტექსტისაგან თავისუფალი, ზუსტი კომუნიკაციების წარმოება შესძლონ, თანაც კომუნიკაციის აბსტრაქტული მნიშვნელობებით. ყოველივე ეს — მობილურობა, კომუნიკაციები, მაღალგანვითარებულ სპეციალიზაციათა შესაბამისი გაქანება, რაც ინდუსტრიულ წყობას სიმდიდრისა და განვითარების წყურვილის გამო მუდამ თან ახლავს — ავალდებულებს თავისსავე სოციალურ ერთეულებს დიდნი და თანაც კულტურულად ერთგვაროვანი იყვნენ. ამ ტიპის მაღალი კულტურის შენარჩუნება სახელმწიფოსგან, ანუ ცენტრალიზებული წესრიგის დამამყარებელი ორგანიზაციისაგან (უფრო სწორედ კი, ორგანიზაციათა ჯგუფისაგან) დაცვას ითხოვს. სახელმწიფოს უნდა შეეძლოს ყველა იმ რესურსის შეგროვება თუ განაწილება, რაც საჭიროა, ერთის მხრივ მაღალი კულტურის მხარდასაჭერად, მეორე მხრივ კი, იმის საგარანტიოდ, რომ ეგი მთელს მოსახლეობაში გავრცელდება. ასეთი რამის მიღწევა წინა-ინდუსტრიული სამყაროსთვის წარმოუდგენელია.

ინდუსტრიული ხანის მაღალი კულტურა აგრარული წყობისაგან რამდენიმე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები თავისებურებით განსხვავდება. აგრარული საზოგადოების მაღალი კულტურა პრივილეგირებული სპეციალისტების, ანუ უმცირესობის მიერ იყო შექმნილი და ის განსხვავდებოდა იმ დანაწევრებული, არაკოდიფიცირებული ხალხური კულტურისგან, რომელსაც იგი აკონტროლებდა და მართავდა. ის განსაზღვრავდა კლერიკალურ ფენას, რომელიც იშვიათად თუ იყო რომელიმე ერთ პოლიტიკურ ერთეულთან, ან ენობრივად შემოსაზღვრული ხალხურ გარემოსთან დაკავშირებული. პირიქით, ის ცდილობდა ტრანს-ეთნიკური და ტრანს-პოლიტიკური ყოფილიყო. ის ხშირად მკვდარ ან არქაულ წესებს იყენებდა და თავსაც დიდად არ იწუხებდა ამ წესებსა და ყოველდღიური ცხოვრების/ეკონომიკის წესებს შორის კავშირების დადგენით. რიცხობრივი უმცირესობა და პოლიტიკური ბატონობა მისთვის არსებითი იყო; აგრარული საზოგადოებისთვის ალბათ არსებითია ისიც, რომ მისი უმრავლესობა ისეთი საკვების მწარმოებლებისგან შედგება, რომლებიც ძალაუფლებიდანაც და მაღალი კულტურიდანაც გარიყულები არიან. ისინი უფრო ეკლე-

სიასთან და რწმენასთან იყვნენ დაკავშირებულნი, ვიდრე სახელმწიფოსთან და გავრცელებულ კულტურასთან. თუმცა, ჩინეთის მაღალი კულტურა, რომელიც ეთიკასთან და სახელმწიფო ბიუროკრატიასთან უფრო იყო კავშირში, ვიდრე რწმენასთან და ეკლესიასთან გამონაკლისი იყო; შესაბამისად, იგი ამით, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ამით, წინასწარმეტყველებდა სახელმწიფოსა და კულტურის თანამედროვე კავშირს. იქ მაღალი დამწერლობითი კულტურა ცოცხალ ენათა მრავალფეროვნებასთან თანაარსებობდა და დღესაც თანაარსებობს.

ამის საპირისპიროდ, ინდუსტრიული მაღალი კულტურა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი ისტორია, ეკლესიასა და რწმენასთან აღარ არის დაკავშირებული. ჩანს, რომ მისი შენარჩუნება უფრო სახელმწიფოს საზოგადოებასთან თანაარსებობის რესურსებს მოითხოვს, ვიდრე იმგვარ თანაარსებობას, რომელშიც ეკლესიაა გაბატონებული. შემეცნებით ინოვაციებზე დაფუძნებულმა, განვითარებაზე ორიენტირებულმა ეკონომიკამ, არ შეიძლება თავისი კულტურული მექანიზმები (რომლებიც მას უპირობოდ სჭირდება) რომელიმე დოქტრინალურ რწმენას სერიოზულად დაუკავშიროს. ის ხომ ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება მოდიდან გადავიდეს, ანდა აბსურდული გახდეს.

ასე რომ, კულტურა უნდა იყოს მხარდაჭერილი *როგორც* კულტურა, და არა, როგორც რწმენის მატარებელი ან ძლივს შესამჩნევი აკომპანიმენტი. საზოგადოებას შესწევს ძალა საკუთარ თავს, ან საკუთარ კულტურას უშუალოდ ეთაყვანოს ყოველგვარი ბნელი რელიგიური მედიუმის გარეშე, როგორც ამას დურკჰაიმი ფიქრობდა. მაღალი კულტურის ერთი ტიპიდან მეორეში გადასვლა გარედან ნაციონალიზმის დადგომად აღიქმება. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს სიმართლე ამ რთული და მნიშვნელოვანი თემის შესახებ, ერთი რამ ცხადია: ინდუსტრიული სამყაროს წარმოშობა რაღაცნაირად პროტესტანტიზმთან იყო დაკავშირებული, რომელმაც თანამედროვე სამყაროსთვის ის მნიშვნელოვანი მახასიათებლები წარმოშვა, რამაც შემდეგ ნაციონალიზმი გამოიწვია — დამწერლობისა და სკრიპტუალიზმის ხაზგასმა, უნიტარობა მღვდლების გარეშე, რაც უდაოდ, საკრალურის მონოპოლიას არღვევს, ინდივიდუალიზმი, რომელიც ადამიანს თავის ლოცვებსა და შემეცნებასთან მარტოს ტოვებს და მას სხვების მიერ რიტუალურ მსახურებაზე დამოკიდებულს არ ხდის — აი ყველაფერი ის, რაც ანონიმურ, ინდივიდუალისტურ, საოცრად არასტრუქტურირებულ მასობრივ საზოგადოებას წინასწარ საზღვრავს; საზოგადოებას, რომელშიც საერთო კულტურასთან ზიარების შედარებით თანასწორი შანსები არსებობს. ამ საზოგადოების კულტურული ნორმები დამწერლობის საყოველთაობის გამო ყველასთვის გასაგებია და

მას პრივილეგირებულ სპეციალისტთა რაღაც ფენა აღარ ინახავს. წერა-კითხვის საყოველთაო ცოდნა მაღალ კულტურასთან თანასწორუფლებიანად მიღწევის საშუალებასაც იძლება. დამწერლობა უკვე სპეციალობა კი აღარ არის, არამედ ნებისმიერი სპეციალობის წინაპირობაა იმ საზოგადოებაში, სადაც ყველა რაღაცის სპეციალისტია. ასეთ საზოგადოებაში განსაკუთრებული ლოიალურობა ჩვენი დამწერლობის გამავრცელებელს და მის პოლიტიკურ დამცველს ეკუთვნის. მორწმუნეთა ღმერთთან ზიარების თანასწორი შესაძლებლობა, ახლა ურწმუნოთა განათლებასთან და კულტურასთან ზიარების თანასწორობის შესაძლებლობა ხდება.

ასეთია თანამედროვე სახელმწიფოთი გამყარებული, ყოვლისმომცველი და ერთგვაროვანი მაღალი კულტურის სამყარო, რომელშიც შედარებით მცირე რამ მიეწერება სტატუსს და ძალიან ბევრი რამ მობილურობას, რაც საერთო რთული მაღალი კულტურის კარგად გავრცელებულ ძალაუფლებას გულისხმობს. ამ სამყაროს საწყისების ვებერისეულ ცნობილ ახსნაში საკმაო ირონია გვხვდება: ეს სამყარო წარმოიშვა იმიტომ, რომ გარკვეულმა ადამიანებმა თავიანთ პროფესიას ძალიან სერიოზულად შეხედეს, ამან კი, წარმოშვა სამყარო, რომელშიც მყარად მიწერილი პროფესიების დრო გაქრა, სამყარო სადაც სპეციალობათა სიმრავლეა, მაგრამ ისინი დროებითნი და ამოსარჩევნი არიან და საბოლოო მფლობელობაში გადაცემას არ ექვემდებარებიან; ეს არის სამყარო, სადაც განათლების ან მისი ფორმირების მნიშვნელოვანი, იდენტურობის მიმნიჭებელი ნაწილი უკვე რაიმე განსაკუთრებული უნარ-ჩვევა კი არ არის, არამედ საერთო უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელიც „ეროვნების“ განმსაზღვრელ საერთო მაღალ კულტურაზეა დამყარებული. ასეთი ერი/კულტურა მხოლოდ *მერე*, მოგვიანებით ხდება ბუნებრივი სოციალური ერთეული და მას უკვე აღარ შეუძლია საკუთარი პოლიტიკური ნიჟარის — სახელმწიფოს გარეშე ნორმალური არსებობა.

ISBN 99928-58-69-9